

644
1966/4

საგარეო ურთიერთობების

საგარეო ურთიერთობების
საინფორმაციო ცენტრი

საგარეო ურთიერთობების



1966

1

ბიბლიოთეკა

10.336.



ი ა ნ ე ჯ ა რ ი
1 9 6 6

ლიტერატურულ-
მხატვრული და
საზოგადოებრივ-
პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა
და მშენებელთა კავშირის ორგანო

თბილისი



◆

რედაქტორი **სუბა ბერულავა**

სარედაქციო კოლეგია: გურამ გვერდუითელი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, როინ მებრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მზ. მდივანი), გიორგი ციციუვილი, ვლადიმერ ჭავჭავანიძე, ვახტანგ ზელიძე, სერგი ზილიაძე, თამაზ ზილაძე, ლაშა ჯანაშია.

◆

საქართველო საჯიბი

თბილისი

«ცისკრის»

რედაქციას

ირაკლი აბაშიძე, პოეტი, პაპაფიქოსი.

ჟურნალ „ცისკრის“ ავტორებსა და თანამშრომლებს, ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს, ახალგაზრდა მკითხველებს, მთელი საქართველოს ახალგაზრდობას სულითა და გულით ვულოცავ ახალ წელს.

მოვიდა, ამხანაგებო, ჩვენი იმედო ვაჟებო და ქალებო, 1966 წელი. ჩვენი დიდი წინაპრის, ქართველი ხალხის სულიერი მამის, შოთა რუსთაველის იუბილეს წელი. რვა თვეა დაგვრჩა იმ დღეებამდე. ახლა გვჭირდება დიდი გარჯა, მონდომება და ენერჯია; მთელი ქვეყნის, მოწინავე კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები მოგვადგებიან კარზე მომავალი წლის სექტემბერში, რომ თავიანთი თვალთ იხილონ ჩვენი წარსული და აწმყო, ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები და დღევანდელი.

ვუჩვენოთ ჩვენი სამშობლო საქართველო ისე, როგორც იგი ამის ღირსია, მისი გმირული და ბრძნული წარსულით, შემოქმედებითი შრომით გართული აწმყოთი და ნათელი მომავლით.

არ დავიშუროთ ძალა და ღონე, ნიჭი და უნარი!

ერთად, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

ვისურვებთ მრავალ ახალ წელს!

დიმიტრი ალექსიძე, რეჟისორი, საპარტოველო სახალხო არტისტი.

ვისურვებდი, ახალ წელს ბევრი სიხარული მოეტანოს „ცისკრის“ მკითხველებისთვის. დაე, ყოველი ახალი ნომრის გამოსვლა საყვარელ ადამიანთან შეხვედრას ჰგავდეს; იყოს მოლოდინის ღელვა, იმედი და გატაცება; ჟურნალმა გააცნოს ხალხს ახალი გმირები, მისი ფურცლებიდან „გავიდნენ“ ხალხში ახალი ადამიანები.

ჟურნალის პირველი გვერდის გადაშლა სცენაზე ფარდის გახსნის წუთების თრთოლვას უნდა იწვევდეს. იქაც ხომ, სპექტაკლის მსგავსად, მრავალი ადამიანის ფიქრი, განცდა, სიხარული და ტკივილია გამხელილი.

მინდა „ცისკარი“ იყოს მებრძოლი, დაუთმობელი თავის კეთილშობილურ მისწრაფებაში და გულისხმიერი.

ბორის ეპოქოვი,

საბჭოთა კავშირის კოსმონავტი,
საბჭოთა კავშირის ზმირი.



ესარგებლობ შემთხვევით და უდიდესი სიხარულით გადაცემე ჩემს გულთბილ საახალწლო მილოცვას ჟურნალ „ცისკრის“ ყველა მკითხველს.

ამ ახალი წლის დამდეგს მინდა თითოეულ თქვენგანს ვუსურვო დიდი ბედნიერება, შრომითი წარმატებანი და დიდი სიხარული პირად ცხოვრებაში.

ეპხენი ვინოკუროვი,

პოეტი.

საქართველო და პოეზია — განუყრელია ეს ორი ცნება. პოეტურია საქართველოს ბუნება — მისი მთები, ჩანჩქერები, მდინარეები. პოეტურია თვით ქართველი ხალხიც, მისი ზნე-ჩვეულებანი, მისი დღესასწაულები. საქართველოს პოეზია კი ორმაგად პოეზიაა — პოეზიის პოეზია.

ქართველ პოეტებს თარგმნიდნენ რუსეთის უბრწყინვალესი პოეტები. მათგან ბევრი ჩემი მასწავლებელი იყო, ბევრიც ჩემი თანატოლი და მეგობარია. ქართული პოეზია რუსულ ენაზე ცოცხლობს ბ. პასტერნაკის, ნ. ზაბოლოცკის, ნ. ტიხონოვის, ა. მეჟიროვის, ე. ევტუშენკოს, ბ. ახმადულინას შესანიშნავი თარგმანებით. ბევრი მათგანი ზეპირადაც მახსოვს. ან ვის დაავიწყდება კეთილხმოვანი რუსული ლექსით აქლერებული ტიციან ტაბიძის „მე არ ვწერ ლექსებს“... ან სიმონ ჩიქოვანის: „დიდი პოეტის თვისება არი...“

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ბევრი გვასწავლა რუსულ ენაზე ჩინებულად ამეტყველებულმა ძარღვიანმა ქართულმა პოეზიამ.

მე ბევრი მეგობარი მყავს საქართველოში. ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ბევრი ქართული ლექსი მითარგმნია, მაგრამ მაინც ვალში ვარ ქართული პოეზიის წინაშე. მინდა კვლავ და კვლავ ვთარგმნო ქართული ლექსები, მაგრამ არა მარტო იმისათვის, რომ რუს მკითხველს კიდევ უფრო კარგად გაავაცნო ქართული პოეზია, არამედ „ეგოისტური“ მიზნითაც: მინდა უფრო ღრმად ჩაეწვდე ქართული სახოვნებისა და აზროვნების სტიქიას.

ჩემი ოცნებაა კვლავ ჩამოვიდე საქართველოში, ჩემთვის ძვირფასია ეს ოცნება, მუდამ თან მახლავს და გულს მითბობს.

ახალ, 1966 წელს ბედნიერებას ვუსურვებ ყველა ქართველ მკითხველს, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს — ყველა ქართველ პოეტს, ყველა ჩემს მეგობარს კი ვუსურვებ იმასვე, რასაც ისინი მისურვებენ ხოლმე — მუდმივ შემოქმედებით წვას!

ბორის კოლევოვი,

მწიგნობალი, ჟურნალ „იუნოსტის“ მთავარი რედაქტორი

მოხარული ვარ, რომ ჟურნალმა „ცისკარმა“ თავისი საახალწლო ტრიბუნა დამითმო.

საქართველო ისეთი მხარეა — თუ ერთხელ ნახე, არასოდეს დაგავიწყდება.

მე და ჩემი მეუღლე ბევრჯერ ვყოფილვართ საქართველოში. ჩვენ ვიცით, რა არის ქართული მზე, ქართული მიწა, ქართული ხელოვნება... ჩვენ ვიცით, რა მძლავრად და ლამაზად ჟღერს ქართველ პოეტთა და მწერალთა ხმა მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ძლევაშისილ გუნდში.

ამიტომ განსაკუთრებით გვსიამოვნებს ახალი წლის დამდეგს ერთ-ერთი პირ-



ველნი მივესალმით ახლობელ და შორეულ ქართველ ადამიანებს. საამისოდ მე დი
ჩემს მეუღლეს ერთი პატარა, კერძო ხასიათის მიზეზიც გვაქვს: მოყვარული
ფუტკარები გახლავართ. ჩვენს „დიდ საფუტკარეში“ ორი ოჯახი საუცხოო ქართუ-
ლი ფუტკარი გვყავს. მარტო ჩვენ კი არა, მთელმა მსოფლიომ აღიარა, რომ ეს ყვე-
ლაზე შრომისმოყვარე, ყველაზე თავდადებული ფუტკარია დედამიწის ზურგზე.
მე და ჩემი მეუღლე ამ საერთაშორისო შეფასებას მხოლოდ ერთს დავეუმატებთ:
ქართული ფუტკარი ყველაზე კეთილი და ყველაზე გონიერია.

დღეს, როცა საახალწლო მისაღმებას ვუგზავნი ჩემს თბილისელ მეგობრებს:
ირაკლი აბაშიძეს, გიორგი ლეონიძეს, გრიგოლ აბაშიძეს, ბესო ჟღენტს, იოსებ ნო-
ნეშილს, სახელოვან მხატვარს ლადო გუდიაშვილს, დიდებულ მსახიობს აკაკი ხო-
რავას, დიდ მოგზაურს ვლადიმერ მაჭავარიანს, რომელთან ერთადაც შარშან ვი-
ეტნამის ჯუნგლებში დავეხტიალობდი... და სხვა მეგობრებს, მე მივესალმები
მშვიდობიანი ფუტკარების არმიის მხედართმთავარს ამხანაგ ბაძალუასაც. ის მარ-
ტო ერთუზიასტი კი არა, თავისი საქმის პოეტიცაა.

გილოცავთ ახალ წელს, ვისურვებთ ბედნიერებას, ძვირფასო ქართველო მე-
გობრებო!

===== რეზა ჯაფარიძე, მწიგნობარი.

მომილოცია, ძვირფასო თანამემამულენო, ახალი წლის მობრძანება! კეთილი
იყოს იმისი ფეხი! ხალხს გამრავლება და ჯანის სიმრთელე ნუ მოჰკლებოდეს, ბე-
დელს და ჭურ-მარანს — ბარაქა, მიწას — სინოყვირე, ცას — მანანა, მოყვარეს —
სიხარული და მტერს — გულში ლახვარი!

რა მადლიანი კალთა დაუბერტყავთ გასულ წლებს და ჯერ კიდევ რამდენი
რამ გვაქვს საოცნებო და მოსანატრებელი. ეს წელი ბედნიერი ყოფილიყოს, საგ-
ლენო, როგორც იტყვიან ხოლმე, მშვიდობიანი, წელი ხვნა-თესვისა და კოსმოსუ-
რი გაფრენებისა, წელი გონების ზეიმისა...

საყვარელ „ციკარასაც“ ვუსურვებ ამ ახალ წელს მკითხველი საზოგადოება
ლიტერატურის ჭეშმარიტი ქმნილებებით გაეხარებინოს. დასამალი როდია, რომ ამ
მხრივაც ბევრი რამ გვაქვს საოცნებო და სანატრელი...

ახალგაზრდა კოლეგებს, ყველა თაობის ქართველ მწერლებს და საქართვე-
ლოს ყოველ მეგობარს წრფელი გულით ვუსურვებ ახლის შექმნის სიხარულს,
მშობელი ხალხის წინაშე მარად შუბლნათელობას.

კეთილი იყოს ჩვენს მამულში ახალი წლის მობრძანება!





ლენინის მეორე ორდენი საქართველოს დროშაზე

ოთარ ჩერქეზია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის პირველი მდივანი.

ახალი წლის გათენებამდე ორი დღით ადრე მოვიდა მეტად სასიხარულო ცნობა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ეს უკვე ლენინის მეორე ორდენია საქართველოს დროშაზე!

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასა ქართველი ხალხის ჭეშმარიტად გმირული შრომა, რითაც მან მოიპოვა დიდებული წარმატებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა ფრონტზე.

რესპუბლიკის ახალგაზრდობა, ლენინური იდეებით გულანთებული და შთაგონებული ახალგაზრდობა, აქტიური მონაწილეა და შემოქმედი ამ გამარჯვებისა. იგი მუდამ წინ არის, როგორც იტყვიან ხოლმე, — ცეცხლის ხაზზე.

საქართველოს კომკავშირი ამაყობს კომუნისმის ახალგაზრდა მშენებელთა

მრავალათასიანი არმიით, რომელიც ხალხის, საყვარელი სამშობლოს ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებს.

როცა ჩვენი დღეების გმირებზე, საკოლმეურნეო შრომის ენთუზიასტებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოგვაგონდეს მახარაძელი მეჩაიეები ნაირა გოგატაძე და კლავდია ნაცვალაძე, საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ქალიშვილი ვინარ სხულუხია, ბათუმელი მეციტრუსე სვეტლანა ლორია, დუშელი მწყემსი არსენ გიგაური, რუხელი კოლმეურნე ნათელა ფიფია, გარდაბნის მეფრინველეობის ფერმის მუშა ნანული ქარსელაძე და სხვა მრავალი.

როცა მრეწველობის წარჩინებულთა სამავალითო შრომითს საქმიანობას ვაფასებთ, არ შეიძლება არ დავასახელოთ: დედაქალაქის ქარხანა „ელექტროგამშევის“ კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ციცილო ცერცვაძე, თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ინის“ მუშა ადა ასტვაცატუროვა, ფოთის ნავსადგურის მუშა იროდი თოფურია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი ომარ ფერაძე, ენგურპეის მშენებელი ავთანდილ კაკულია, რუსთავის „მეტალურგმშენის“ ბრიგადის ხელმძღვანელი მუ-

რმან გელაგა, ამავე ქალაქის კაპროლაქტამის ქარხნის მებაპარატე ლეილა ლონდაძე... რომელი ერთი ჩამოვთვალთ!

როცა შემოქმედებით ინტელიგენციას წარმოვიდგენთ, — შეუძლებელია არ გამოვყო მთელი რაზმი ნიჭიერი, მრავლისაღმტქმელი ახალგაზრდა ოსტატებისა როგორც მწერლობაში, ისე მხატვრობაში, მუსიკაში, თეატრში, ხელოვნების ყველა დარგში. მათი ხელოვნება მაღალია, ადამიანური და ნათელი, — შრომას, სიყვარულს, კეთილშობილებას, სულიერ სიმდიდრესა და სიღამაზეს რომ უმღერის და განადიდებს; გატაცებით რომ ემსახურება ხალხის საქმეს, კაცობრიობის ყველაზე წმინდა და მართალ იდეალებს.

როცა რესპუბლიკის მეცნიერების ხვალისდელ დღეზე ფიქრობ, არ შეიძლება სიამაყის გრძნობით არ აღვივო, რადგანაც უფროსი თაობის საქვეყნოდ ცნობილ მოღვაწეთა გვერდით გაბედულად დგებიან ახალი ტალანტები!

სპორტი, რაც ასე მხურვალედ უყვარს დიდსა თუ პატარას, ხომ ძირითადად ახალგაზრდობის მხრებზე დგას? ნონა გაფრინდაშვილს, ომარ ფხაკაძეს, ალექსანდრე მეტრეველს, მურთაზ ხურცილავას და სხვა მათებრ ვარსკვლავებს თავი რომ დაგნებოთ, რამდენია ჯერ კიდევ უჩინარი ახალგაზრდა, რომელიც საკავშირო და მსოფლიო სპორტული სარბიელის კარებს უკაკუნებს?

დიას, საქართველოს ახალგაზრდობამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებში. სადაც კარგი და კეთილი

ითქმის, იქ ჩვენი საამაყო ახალგაზრდობაც მოიხსენიება!

ბუნებრივია, რომ რესპუბლიკის დაჯილდოება თანაბრად აღელვებს ყველა თაობისა და ასაკის ადამიანს. ბუნებრივია ისიც, რომ საბჭოთა საქართველოს ყველა მოქალაქე გახარებულია და სულიერად კმაყოფილი!

ჯილდო გვახარებს, მაგრამ როდი გვაბრმავეს: ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ბევრი ნაკლოვანება — გამოსასწორებელი, ბევრი ზღუდე — ასაღები და გადასალახავი!

ჯილდო გვალეღვებს და მოგვიწოდებს არავითარ შემთხვევაში არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. ფხიზლად და გულდინჯად გადაგხედოთ განვლილ გზას, ჩვენს საქმიანობას და უფრო მეტი ენერგიით, კომკავშირული ცეცხლით და მგზნებარებით შევასრულოთ მშობლიური პარტიის მიერ ჩვენზე მონდობილი საქმე; პირნათლად შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამესამე ყრილობას, რომელიც ახალი ნიშანსვეტი იქნება კომუნისმისაკენ მიმავალ დიად გზაზე.

ასეთია ჩვენი ახალგაზრდობის ფიქრები იმ დღეებში, როცა ქართველი ხალხი ზეიმობს რესპუბლიკის დაჯილდოებას ლენინის მეორე ორდენით.

ჩვენი ახალგაზრდობის სახელით სულითა და გულით ვულოცავთ საქართველოს ყველა მშრომელს, ძვირფას თანამემამულეებს, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი დაჯილდოებას.

ასევე გულითადად გილოცავთ ახალწელს, ძვირფასო მეგობრებო!



ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვება

ილია ვეკუა

აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი, ლენინური
პრემიის ლაურეატი.

ჩვენი რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოება ჩვენი სამშობლოს დიდი გამარჯვებაა. ცხადია, ამ გამარჯვებას წინ უძღოდა დიდი, დაძაბული მუშაობა, იგი მოპოვებულია ჩვენი ხალხის თავდადებული, მუსყაითი შრომით.

მე, როგორც მეცნიერს, სიამაყის გრძნობით შემიძლია განაცხადო, რომ ამ წარმატებათა მოპოვებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც. კერძოდ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე შესრულებულია ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელთა დანერგვამაც წარმოებაში ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის აღმავლობას და მოგვცა საგრძნობი ეკონომიური ეფექტი. დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკის ყველა მშრომელი, გულწრფელად აღფრთოვანებული პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი შეფასებით, უფრო მეტი ხალხით იმუშავებს მომავალში, კიდევ


უფრო განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებას, ხელს შეუწყობს ჩვენი საყვარელი სამშობლოს კულტურისა და მეცნიერების შემდგომ გაფურჩქვნასა და აყვავებას.

მე გაბედულად შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი მეცნიერები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ჩვენი პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად, არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს მათი თეორიული და ექსპერიმენტული კვლევა-ძიებანი ჩვენი სამშობლოს სასახელოდ და სადიდებლად.

ვუსურვებ ორგზის ლენინის ორდენისან საქართველოს ახალ-ახალ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების ყველა უბანზე. ამ დიდ გამარჯვებასთან ერთად მე მიიწვევს მივულოცო ჩვენს ხალხს ახალი წელი.

გვეჯერა და გვწამს, 1966 წელი იქნება ჩვენი მრავალი ახალი გამარჯვებისა და სიხარულის წელი.





ქოთსა კაცუსა

მონტაჟი

თბილისის ერთ-ერთი კლინიკურ-კვლევითი საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილების მეოთხე პალატაში სულ ხუთი ავადმყოფი იყო.

კარიდან მარჯვნივ, ფანჯარასთან, მაღალი ტანის მასწავლებელი იწვა, რომელიც ქოშინს უჩიოდა. ღამით წუხდა, ვერ იძინებდა და პალატაში მოჩვენებასავით დადიოდა.

მასწავლებლის გვერდით თხუთმეტი წლის ბიჭი იწვა. ბიჭს ვიტალი ერქვა. დედამისი იმავე საავადმყოფოს ქალთა განყოფილების ექიმი იყო. ვიტალის დღე-ღღეზე უპირებდნენ გაწერას, მაგრამ დედის პატივისცემით ექიმები და ექთანები ზედმეტად ანებივრებდნენ. მართალია, ბიჭს სულ არ უნებოდა იქ ყოფნა, მაგრამ ის რიარია, რაც მის გარშემო იდგა, მაინც ახალისებდა.

ვიტალის მეზობლად მსუქანი კაცი იწვა. მსუქანი იკვნენხნოდა, ახალგაზრდობაში კარგი მეხრე და მხედარი ვიყავით ალბათ, მართალს ამბობდა. სოფლიდან ჩამოსულს თერძობა შეესწავლა და ოცდაათი წლის ჯდომელა მუშაობას მოეკლა, დაეზანტებინა. ტანწვრილ მოცეკვავეებს ჩოხებს უკერავდა, თვითონ სხე-

ულზე ქონი მოდებოდა. ჭამას უშლიდნენ, მაგრამ თავს ვეღარ იკავებდა. მსუქანი კაცი სერიოზულად ამტკიცებდა: ყველაზე დიდი ცხოველი ზღვაში იმიტომ იზრდება, რომ ზღვის ცხოველები ერთმანეთს ჭამენო. დიდი თევზი პატარას ჭამს, უფრო დიდი — დიდს, კიდევ უფრო დიდი — უფრო დიდს და ასე და ასე ბოლომდე... ვეშაპი იმიტომ გაიზარდა ასე უსაშველოდო. მსუქანი კაცი სრულიად დამოუკიდებლად ადგებოდა რაღაც თავისებური ფილოსოფიის საწყისებს, თუმცა, სამწუხაროდ, უფრო შორს ვეღარ მიდიოდა.

პალატის მოპირდაპირე კედელთან ორი საწოლი სიგანეზე მიედგათ. ერთზე იწვა მოხუცი კაცი, გვარად ღლონტი. ღლონტი მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა იყო. მთელი წუთისოფელი მუშაობდა და ეტყობოდა არცთუ უნაყოფოდ, რადგან საკმაოდ შეძლებული კაცის სახელი ჰქონდა. ღლონტი კარგა ხანს ავადმყოფობდა: იწვა მისუსტებული, გაჩუმებული. რას ფიქრობდა, ვერ გაიგებდი. იმდენი რამ ტკოდა, რომ ყველაფრის ერთად გამხელა ერცხვინებოდა. ოჯახის წევრები ხელს არ აკლებდნენ, მულამ გარს ეხვი-

ნენ. ღლონტი საავადმყოფოში არავის აწუხებდა, არაფერზე ჩიოდა, თავისიანებთან კი ჭირვეულობდა, ბავშვებით იქცეოდა. უთმობდნენ, ყველაფერს უსრულებდნენ. ეჩვენებოდა, აღარავის ვჭირდებო და თავისი უკურნებელი სენით აწინებდა მოყვარულ ცოლსა და შვილებს. ავადმყოფობით მბრძანებლობდა. იძახდა ვკვდებით, მაგრამ დარწმუნებული არ იყო თავისი სიტყვის სისწორეში.

...და ბოლოს, ცხადია, რიგით მესუთე საწოლის ბინადარიდა დაგვრჩა გასაცნობი. მესუთე საწოლი რამდენიმე დღე თავისუფალი იყო და წინაღობით პოეტმა ბონდო ყანთარელმა დაიკავა. ყანთარელმა სრულიად მოულოდნელად ამოჰყო თავი ამ კლინიკის თერაპიულ განყოფილებაში და ორი გულისგამაწვრილებელი კვირაც გაატარა.

ივლისის თვე ნახევრდებოდა. თბილისი სიციხეში იწვოდა. ახალგაზრდა ექიმ ქალებს თეთრი ხალათები პირდაპირ ნეილონის თხელ პერანგებზე ეცვათ.

ყანთარელმა ამ არემარეზე ვერაფერი პოეტური ვერ აღმოაჩინა, პირველხანს საკმაოდ მშინარა კაცის რეპუტაციაც კი დაიმკვიდრა. მართალია, თავისი უკვდავების დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ მიხვდა, რომ მაინც შეიძლებოდა ჩვეულებრივი მოკვდავივით გარდაცვლილიყო. ამ ჭეშმარიტებას ვერაფრით შეუირვდა და აზრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა სულაც აღარ ყოფილიყო ამ ქვეყანაზე, აუტანელ ტკივილს აყენებდა. ცხადი იყო, უკვალოდაც არ გაქრებოდა: სიკვდილის შემდეგ დარჩებოდა ლექსების წიგნი „დაცვენილი ფოთლები“, რამდენიმე სცენარი და ორიოდ საკმაოდ მახვილგონივრული ანეგდოტი, რომელთა ავტორობა მეტი დამაჯერებლობისათვის რატომღაც სხვას ვადააბრალა. სანუგეშოდ თითქოს ესეც კმაროდა, თუმცა ბონდოს ამის გახსენება იოტისოდენა შეღავათსაც არ აძლევდა.

არც ექიმებს, არც ბონდოს ახლობლებს და, მით უმეტეს, არც ავადმყოფებს არაფერზე ეტყობოდათ, რომ ყანთარელის გაჭირვებას იზიარებდნენ. ეს

გულგრილობა ავადმყოფს საშინლად აოცებდა და ადამიანის არარაობაზე არც მუხნებდა. ჩვენდა საბედნიეროდ, შემდეგ ოდეს დღის შემდეგ ბონდომ ირწმუნა: პირდაპირი საშიშროება, ყოველ შემთხვევაში უახლოეს ხანს, არსაიდან ელოდა. ბოლოსდაბოლოს იმასაც მიხვდა, რამდენიმე ექიმის გარდა ის იყო ყველაზე ჯანმრთელი ადამიანი თუ იმ საავადმყოფოში არა, იმ განყოფილებაში მაინც. დამშვიდდა. უკვე შეეძლო საღი თვალით შეეხებდა მოვლენებისათვის.

ნელ-ნელა დაინტერესდა გარშემომყოფი ადამიანებით და საგნებით. ერთგვარად მოეწონა კიდევ თავისი ყოფა. არასოდეს ავად არ ყოფილა და არ ჰქონია საბაბი ნებვირობისა, რასაც კარგადმყოფი ახლობლები და ნათესავები უქმნიდნენ. ბონდომ იცოდა, დღეის იქით მშობლები, დები და ნათესავები მეტ პატივს სცემდნენ, ისე არ გაანერვიულებდნენ. სამსახურშიც დაუჭერდნენ თუ იტყოდა, ცუდად ვარო. ქალაქის ლიტერატურულ საზოგადოებაში სწრაფად გავრცელდებოდა მისი მოულოდნელი ავადმყოფობის ამბავი. ზოგიერთები ამას „წვეთის დაცემას“ დააბრალებდნენ. ზოგი იტყოდა, პოეტი ბონდო ყანთარელი კინალამ გადაყვა ბოჰემურ ცხოვრებასო. მიუხედავად ამ სიკეთისა, ბონდომ მაინც საავადმყოფოდან გასვლაზე დაიწყო ფიქრი.

როცა გაიგო, ერთი კვირა მაინც დარჩებოდა იქ, მოიწყინა. იქაურობას ამრეზილად უყურებდა, აღარაფერი მოსწონდა. ჩახუთული ჰაერი, წამლის სუნი და დიეტური საჭმელი ძალიან აღიზიანებდა. მაღალი ტანის მასწავლებელი, რომელიც ქონის უჩიოდა, განსაკუთრებით უშლიდა ნერვებს. მასწავლებელი, როგორც ვიცით, ღამე მოჩვენებასავით დადიოდა და დღისით, თუ არ ეძინა, სულ იმის შოშოში იყო, ფანჯარა და კარი ერთდროულად არ გაიღოსო. ნიავე არსაიდან იძროდა, მაინც ხან კარს გმანავდა, ხან ფანჯარას. „ვინ იცის, ალბათ მთელი სიცოცხლე აწვალებდა მოსწავლეებს!“ — ფიქრობდა ბონდო ყანთარელი.

იმ ჩვენგან მოწონებულ კლინიკურ-კვლევით საავადმყოფოში, სადაც ბონდო ყანთარელი იწვა, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს პრაქტიკა ჰქონდათ. სამივე სართულის დერეფნები ახალგაზრდა ქალ-ვაჟებით იყო გავსებული. სტუდენტები ხელმძღვანელებთან ერთად ეცნობოდნენ ავადმყოფებს; ექთანების მაგივრად არიგებდნენ წამლებს და ზოგიერთი ნემსის ვაკეთებასაც ბედავდა. ბონდოს მაინცადამაინც არ მოსწონდა ეს ამბავი. სტუდენტებს დაუბატოებელ სტუმრებად თვლიდა და მიიჩნედა, რომ ცოცხალი ადამიანის სასწავლო საგნად გამოყენება ბედის დაცინვა იყო და მეტი არაფერი.

სამუშაოს დამთავრებისას, დაახლოებით დღის სამ საათზე, სტუდენტები მიდიოდნენ. მუწხრისას მნახველებიც გაიკრიფებოდნენ და საავადმყოფო დუმილებოდა; დგებოდა მოსვენებისა და მიძინების ჟამი. ბონდო ყანთარელს კი ყველაზე მეტად სწორედ დაძინება უჭირდა. გვიანობამდე რული არ ეკიდებოდა და ძილშიც ყოვლად უცნაურ სიზმრებს ხედავდა. მხოლოდ გამთენიისხანას, ვიდრე ასივნებოდა და პალატა ახმაურდებოდა, გულდაგულ ეძინა და მორიგე ექთანიც, რომელიც უხმოზე წამლებსა და სიცხისსაზომებს არიგებდა, ძილს არ უფრთხობდა.

იმ დღით ბონდო ვიღაცამ ძალიან გაუბედავად გადავიდა. ვაჟმა ძილშივე იგრძნო, როგორ შეეხო ქალის ნაზი თითები შიშველ მკლავზე. თვალი გაახილა და პირდაპირ ლამაზ, უცნობ ქალიშვილს შეხედა. ქალიშვილის ძალიან თეთრი ხალათი ეცვა. ბონდომ იფიქრა: ალბათ სიზმარია, თორემ ასეთი ლამაზი არსება აქ საიდან გაჩნდებოდაო.

— თქვენ სიცხე უნდა გაიზომოთ! — წყნარად უთხრა ქალმა. ბონდომ ხმა არ ამოიღო. თვალისდაუხამხამებლად მიჩერებოდა უცხო სტუმარს.

— თუ გინდათ, მე თვითონ გაგიკეთებთ! — თქვა ქალიშვილმა და სწორედ მაშინ გაიღიმა, როდესაც ბონდომ იფიქ-

რა: ალბათ ჩემი მდუმარებით შევაშინეო. ბონდო საწოლში გასწორდა. ქალიშვილი სწრაფად დაიხარა და დადგინდა თერმომეტრი ჩაუღო. ისევ გაიღიმა და მეორე ავადმყოფს მიაკითხა. ვაჟიც იქით მიტრიალდა. ქალიშვილმა დანარჩენებსაც ჩამოუარა და გარეთ გავიდა. ბონდომ თვალი გააყოლა. ქალს მალალი, ლამაზი ფეხები ჰქონდა.

ბონდომ პალატა შეათვალიერა. უნდოდა გაეგო, სხვებმაც მიაქციეს თუ არა შემოსულს ყურადღება. ყველანი თავისი საქმით იყვნენ გართულნი, თითქოს არც არაფერი ახალი არ მომხდარიყოს. „ალბათ ახალგაღვიძებულზე მომეჩვენა, თორემ არც ისეთი ლამაზი იქნება“, — გაიფიქრა და დაძინება დააპირა. ველარ მოახერხა. რამდენჯერაც არ ჩათვლიმა, იმდენჯერ მოეჩვენა, რომ მის წინ ისევ ის ლამაზი გოგო იდგა. „ასე უცინის ყველან თუ მე მოვეწონე?“ — ფიქრობდა ბონდო და ანგარიშობდა, რას შეიძლებოდა მოეხიბლა ქალიშვილი. „შეიძლება იცის, რომ პოეტი ვარ!“ ამ ფიქრში იყო, რომ ქალიშვილი შემობრუნდა. ბონდომ თვალი მალულად შეავლო და თავი მოიმაძინარა. ქალიშვილმა ავადმყოფებს დახედა და სულ ბოლოს ისევ ბონდოს მიაკითხა.

— სიცხე გაიზომეთ?

— აჰ! — ვითომ შეკრთა ბონდო.

— სიცხე თუ გაიზომეთ? — გაიმეორა ქალმა და გაიღიმა.

— სიცხე? როგორ არა.

ბონდომ თერმომეტრი ამოიღო. დაახერდა, მაგრამ ვერაფერი ვაარჩია. ვერცხლისწყლის წითელ სვეტს თვალი ვერა და ვერ შეაჩვია.

— კი მაქვს.

ქალიშვილმა თერმომეტრი გამოართვა და დახედა.

— სიცხე სულ არა გაქვთ.

— არა?

ქალმა სიცხის საზომი დაფერთხა. საწოლზე ჩამოკიდებულ მუყაოს გრაფაზე ტემპერატურა აღნიშნა და ვიტალისთან მივიდა. მოიკითხა, გაუღიმა, თითქმის მოეფერა „ალბათ ასწავლეს, ასე მოიქე-

ციო, — გაიფიქრა ბონდომ, — რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზი კია! წამოდგა. პიემოს მაგივრად, ბალიშქვეშ დამალული ფეხსაცმელები და შარვალ-გამოიღო, ჩაიცვა. წელზევით შიშველმა ხელპირი დაიბანა. შემდეგ კარგა ხანს ივარცხნინდა სარკის წინ შავ თმას. როდესაც ელექტროსაპარსით წვერიც გაიპარსა, თავისი თავი თვითონვე მოეწონა.

საავადმყოფო უკვე ხმაურობდა. ზებრისტყავისფერ პიემოიანი ავადმყოფები დინჯად დადიოდნენ დერეფანში. ზოგიერთს უფრო ცოცხლად სიარულიც შეეძლო, მაგრამ რახან ავადმყოფი იყო, თითქოს უფრო ჩქარი მოძრაობის უფლება არა ჰქონდა.

ბონდო მსუბუქად და ხალისიანად შემოვიდა პალატაში. ახალმოსულ ქალიშვილს ხელში თაბახის ფურცელი ეჭირა და ზედ ჩამოწერილი გვარების მიხედვით წამლებს არიგებდა. ვაჟის ნალიანი ფეხსაცმლის ხმამ და „სამოქალაქო“ ჩაცმულობამ ქალიშვილის ყურადღება მიიქცია. ბონდო არც ავადმყოფს ჰგავდა, არც ექიმს.

— თქვენ რა გვარი ხართ? — ჰკითხა ქალმა.

— ყანთარელი, — უპასუხა ბონდომ და სსასანე პატარა კარადაში შეინახა.

— ყანთარელი... — ჩამარცვლა ქალმა, — აჰა, თქვენი წამალი!

ბონდოს ეგონა, მისი გვარი ქალს რაღაცას გაახსენებდა. თითქოს ელოდა კიდევ, როდის ჰკითხავდნენ: პოეტ ბონდო ყანთარელის ხომ არაფერი ხართო. პოეტი ყანთარელი მე ვარო, იტყოდა ბონდო, მაგრამ ამისდაგვარი არაფერი მომხდარა, არც გაჰკვირვებია. იცოდა, არც ასეთი პოპულარული იყო. მით უმეტეს, ბედს ყოველთვის ემდუროდა. ბონდომ ქალს წამალი გამოართვა.

— ეს უნდა დავლიო?

— დიახ, — სერიოზულად უპასუხა ქალმა.

— ეჰ! — ამოიოხრა ბონდომ. საწოლზე ჩამოჯდა და ერთი წუთით უმიზეზოდ დაფიქრა.

— თქვენ რატომ არ დალიეთ წამა-

ლი? — ჰკითხა ქალიშვილმა დღონტს. — დავლიე, — მშვიდად უპასუხა დღონტმა.

— აქა დგას, ხელიც არ გიხლიათ, როგორ დალიეთ? — გაუკვირდა ქალიშვილს.

— დავლიე.
— არ დაუღუგეია! — წამოიძახა ბონდომ.

დღონტი წამალს საერთოდ არ სვამდა. მხოლოდ ნემსებს იკეთებდა უხმოდ. ეტყობოდა, წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა. დასალევ წამალს პირთან არ იკარებდა.

— დალიეთ წამალი? — ჰკითხავდა მორიგე ექთანნი.

— დავლიე, — პასუხობდა დღონტი.
— როგორ დალიე, აქ არა გაქვს?!

— დალია კი, ჩემი თვალთ დავინახე! — ემოწმებოდა ბონდო. ეგონა, დღონტს არავითარი წამალი აღარ უშველიდა. ეტყობოდა ექთანიც ამ აზრისა იყო ან დღონტისთვის დასალევი წამლების არაფერი სწამდა, რადგან ბონდოს დასტურზე თავს გადააქნევდა და მიდიოდა. ბონდო კმაყოფილი იყო, რომ ავადმყოფს ენაბრებოდა. ისე, რაც მართალია, სულ ფიქრობდა: დათვურ სამსახურს ხომ არ ვუწევო. იმ დილით კი დღონტი დაუფიქრებლად დაასმინა. მოხუცმა ისეთი თვალეებით გადმოხედა, ბონდოს თავისი სულმოკლეობისა შერცხვა.

— არ შეიძლება, უნდა დალიოთ! — ჯიუტად იმეორებდა ლამაზი ქალიშვილი. მოხუცმა წამალი დალია და ნაღვლიანი თვალეები ჰერს მიაპყრო.

პალატაში მოულოდნელად ბონდოს სულთამხუთავი ექთანი შემოვიდა. ექთანს ხელში გამზადებული ნემსი ეჭირა და ბონდოსაკენ ტყვიასავით მოდიოდა. „რა ეჩქარება, ამ უპატრონოს!“ — გაიფიქრა ფერდაკარგულმა ბონდომ. ლამაზი ქალიშვილის დასანახავად გული გაიმავრა, მარჯვენა მკლავი გაიშიშვლა და მარცხენით საწოლის ძვიდეს ჩააფრინდა.

— ცოტა მოაღუენეთ მკლავი! — საკმაოდ მკაცრად უთხრა ექთანმა.

— აჰა.

— დედა, როგორ აქვს დაქიმული კუნ-
თები!

— დაქიმული არაა, ბუნებრივი კუნ-
თებია, — აუხსნა ბონდომ.

— როგორ ბუნებრივი?

— ისე, უბრალოდ, ნავარჯიშევი ვარ,
ღონის ბრალია.

ამ ლაპარაკში ექთანმა ნემსიც უჩხვ-
ლიტა. ბონდო დაიღრჩავა, თუმცა წამე-
ბაც იქვე მორჩა. ექთანი წავიდა. ბონ-
დომ პალატა მოათვალიერა, მაგრამ ლა-
მაში ქალიშვილი ვეღარ ნახა.

ბონდო ყანთარელი მთელი დღე ელო-
დებოდა მოულოდნელად გაუჩინარე-
ბულ ქალს. ყველა სართული დაიარა,
კვალს ვერ მიაგნო.

შუადღისას მსუქანმა ავადმყოფმა,
ზღვის ცხოველებზე საკუთარი მოსაზრე-
ბა რომ ჰქონდა, სრულიად მოულოდნე-
ლად იკითხა:

— ამ დილით ძალიან ლამაზი გოგო
რომ შემოვიდა, სად გაქრა სიზმარივით?

— სად იყო ლამაზი გოგო? — იკითხა
მაღალმა მასწავლებელმა.

— სად იყო და აქ იყო, ამ დილით აქ
იყო! — დაბეჯითებით თქვა საწოლზე
წამოწოლილმა მსუქანმა და ბალნიან
მკერდზე ხელი დაიდო.

— არავითარი გოგო აქ არ ყოფი-
ლა... — დამარწმუნებლად თქვა მაღალ-
მა მასწავლებელმა.

მსუქანმა ცხვირის ორივე ნესტოთი
უცნაურად დაიქსიტინა.

— როგორ არ იყო, კი იყო! — წამოი-
ძახა ვიტალიმ.

— იყო, იყო, — თქვა ღლონტმა გუ-
ნებაში.

ბონდოს ხმა არ გაუღია.

ის დღეც ჩვეულებრივად, უინტერე-
სოდ ჩათავდა. სამი საათისათვის საავად-
მყოფო მიყურდა. ხუთ საათზე მნახველე-
ბი მოვიდნენ. ავადმყოფებმა მოსაკითხი
ერთმანეთს უზიარეს, ისამხრეს. შემდეგ
მზე ჩავიდა და დაღამდა.

შელამებულზე ბონდო ცარიელ დერე-
ფანში დადიოდა. დერეფნის ბოლოს
მრგვალ მაგიდას რამდენიმე კაცი მიჯ-

დომოდა და დომინოს თამაშობდა. მრ-
თამაშენი რამდენჯერმე დატუქსა ღამის
მორიგემ. ერთი ძვალტყავა ავადმყოფი,
ყვლადადგებული იხვეწებოდა: ცოტა
გვადროვეო. ამ სიარულში ბონდო დაუ-
ფიქრებლად საპროფესოროს ვესტი-
ბულთან გაჩერდა. კარი ფრთხილად შე-
აღო და შევიდა. საორდინატოროსთან
რბილ სავარძლებში თეთრხალათიანი
გოგონები ისხდნენ. მოულოდნელად გა-
მქრალი ლამაზი ქალიშვილი წიგნს კით-
ხულობდა. ორი ამხანაგი უსმენდა. ლა-
მამს ქალიშვილის ერთმანეთზე მიტყუებ-
ბული მუხლის თავები უჩანდა. ფეხზე
ძალიან გამჭვირვალე წინდები ეცვა. ისე
გატაცებით კითხულობდა, რომ ბონდოს
შემოსვლაზე თავი არ აუწევია. მისმა ამ-
ხანაგებმა კი ვაქს შეხედეს. ბონდომ
დინჯად ჩაუარა კასრში ჩარგულ პალმას,
კედლის მაღალ სარკეს და მერე ისევ
უკან გამობრუნდა. ლამაზმა ქალიშვილ-
მა მუხლის თავებზე კაბა გადაიქაჩა. ბონ-
დო ისევ შებრუნდა და ღია ფანჯარამდე
მივიდა. ქალიშვილმა თავი მანც არ ას-
წია. ბონდო შეტრიალდა, რაფას გადაეყ-
რნო.

ნიავე არ იძროდა, მაგრამ ფანჯარას-
თან მანც გრილოდა. ქვევით, ეზოში,
რამდენიმე აკაცია და ჯუჯა, მოგრძო
შენობების შავი სახურავები მოჩანდა.
ქალიშვილი აუწერელი ემოციით კითხუ-
ლობდა რუსულ წიგნს. ყოველი აბზაცის
შემდეგ ჩერდებოდა და წაკითხულს უც-
ნაურად თარგმნიდა. ჩანდა, ამხანაგებმაც
არანაგლებ იცოდნენ რუსული ენა და
ქალიშვილი ხან რუსულად, ხან ქართუ-
ლად, ერთსა და იმავეს იმეორებდა. ქა-
ლის ხმა ბონდოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად
ესმოდა. იგი ადრევე მიხვდა, რომ შარ-
ლოტა ბრონტეს „ქენ ეარს“ კითხულობ-
დნენ. ბონდო ცოტა ხანს კიდევ იდგა
ფანჯარასთან, მერე გამობრუნდა და პა-
ლატაში შევიდა.

— თქვენ კითხულობდით ხომ გუ-
შინდამ წიგნს? — ჰკითხა მეორე დილით
ბონდომ ქალიშვილს, როცა ამ უკანასკ-
ნელმა პალატაში წამლები შემოიტანა.

— დიას, მე ვკითხულობდი. თქვენ

შემოხვედით, გაიარეთ და მერე ფანჯრიდან გადაიხედეთ! — მშვიდად უთხრა ქალმა.

ბონდოს გაცინა.

— რა გქვიათ თქვენ?

— ნანი. თქვენ?

— ბონდო.

ქალმა გაიღიმა.

— პრაქტიკაზე ხართ, არა?

— დიახ, წუხელ მორიგე ვიყავი.

— რომელ კურსზე ხართ?

— მესამეზე.

— ორ წელიწადში დაამთავრებთ, არა?

— სამ წელიწადში დავამთავრებ.

— აჰა, სამ წელიწადში... თქვენი ფაკულტეტი ექვსწლიანია, არა?

— დიახ, ექვსწლიანია.

ბონდოს კიდევ უნდოდა, რაღაც ეკითხა, მაგრამ სახელდახელოდ ვერაფერი მოიფიქრა. ქალმა კი საამისოდ შეიცადა, შემდეგ შეტრიალდა და წავიდა. „რა უგნური ვარ, როგორ დამემა ენა! — ფიქრობდა ბონდო, — მთავარი მაინც ისაა, რომ წიგნი უყვარს... საერთო ენას როგორმე გამოვინახავთ. ნუთუ არ გაუგონია ბონდო ყანთარელი? თანამედროვე მწერლებს შეიძლება არც კითხულობს!“

შუადღისას ბონდომ კვლავ მოახერხა ქალიშვილთან გამოლაპარაკება. ნანი ღიმილით, დაუზარებლად პასუხობდა და ბონდოს მოეჩვენა, რომ ქალი ბუნებით იყო ასეთი ყურადღებიანი და თავაზიანი. ალერსიან საუბარს, როგორც ჩანდა, არავის ამადლიდა. ამან ბონდოს ცოტა ხასიათი წაუხდინა და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მეორე დღეს ქალიშვილი საერთოდ არ გამოჩენილა, მიგვხედვით რა დღეში იქნებოდა ბონდო.

იგი მთელი დღე მოლოდინში იყო. ზაფხულის თაქარა მზე გავარავარებულ სალტესავით უჭერდა საავადმყოფოს შენობას. წამლისა და დიეტური საჭმლის სუნი უფრო მძაფრად იგრძნობოდა. ბონდო მალულად პაპიროსს ეწეოდა და ცივ ბორჯომს სვამდა.

მზე გადაიხარა თუ არა, დასავლეთიდან ქვენამ დაუბერა. მეოთხე პალატაში

ოდნავ აგრილდა. ხუთივე ავადმყოფი მღუმარედ იწვა და ისვენებდა.

— რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო? — ჰკითხა მასწავლებელს ბონდომ.

— სამოცი წლის გავხდები გაისად, — წვრილი ხმით უთხრა მასწავლებელმა, ზურგს უკან ბალიშები გაისწორა და საწოლზე მოხერხებულად წამოჯდა, რათა გულის ქომისს უკეთესად გამკლავებოდა და სხეულის ყველა იოგის დახმარებით ესუნთქა. მასწავლებლის პასუხმა ყველა გააოცა. იგი კარგად შენახულ სამოცდათხუთმეტი წლის კაცს ჰგავდა. ცხადია, არავის უთქვამს, მეტის გვეგონეო.

— რას ასწავლიდით, ბატონო? — ჰკითხა ბონდომ.

— მათემატიკას.

— არითმეტიკას?

— მათემატიკას. ალგებრას, ტრიგონომეტრიას და ასე... სკოლაში ხომ ყოფილხარ? ეხ, ხე, ხე... — ჩაახველა მასწავლებელმა და ხვნეშით და წვალებით ბალიშები კიდევ გაისწორა.

— ძნელია, პათივცემულო, მასწავლებლობა, არა? — ინტერესით იკითხა მსუქანმა ავადმყოფმა.

— ადვილი რა არი ამ ქვეყანაზე. თქვენ რა მოხელე ხართ?

— თერძი ვარ.

— თერძობა ადვილია მერე?

— მასწავლებლობა, მე მგონი, მაინც უფრო სახათაბლოა...

— გცოდნია და რაღას მეკითხები? მაგან არ მომკლა! თუ არა, ასე დაგლახებულნი რატომ უნდა ვიყო ჯერ? — იკითხა მასწავლებელმა.

— მაინც რატომაა ძნელი? — ვერ მოისვენა სქელმა.

მასწავლებელმა ერთხანს ხმა არ ამოიღო. თერძს ეგონა, ჩემი ხმა არ გაუგონიაო, მაგრამ მასწავლებელმა მოულოდნელად წამოიძახა:

— არ უყვარს შენი ალგებრა და გეომეტრია არავის... უნდა იყვირო, ინერვიულო!

— მასწავლებელმა კლასში ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ მოსწავლეებს თა-

ვისი საგანი შეაყვაროს! — თქვა შუა საწოლის პატრონმა ახალგაზრდა ბიჭმა.

— შენ მოწაფე ხარ, ბიძია?

— დიახ, მოსწავლე ვარ.

— კარგია, — დაიღრვიჯა მასწავლებელი.

— მეც მყავს მათემატიკის მასწავლებელი, ძალიან მკაცრია, მაგრამ ყველას გვიყვარს.

— ერთ კლასს კი მოუვლი, ზოგიერთებს დააინტერესებ, მაგრამ გამოჩნდება ერთი ლეთისპირიდან ამოვარდნილი... — მასწავლებელმა გრძელი ხელები გაშალა და წვრილი ხმით აყვირა: — მერე რას შევები, რას უზამ, მითხარი! მოკლავ?! —

— რა თქვა? — ჰკითხა ღლონტმა ბონდოს.

— თქვა კი არა, დააქცია ქვეყანა, — ჩაილაპარაკა ბონდომ.

— მასწავლებელმა მოსწავლეს საგანი უნდა შეაყვაროს, თორემ ძალით რას გახდება, — თქვა ვიტალიმ. ბიჭი მართალი იყო, მაგრამ ვერ გრძნობდა, თავზედურად რომ ლაპარაკობდა. წესიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ მიხვედრა აკლდა.

— ვის უნდა შეაყვარო? — იკითხა მასწავლებელმა.

— მოსწავლეებს.

— მათემატიკა კლასში სულ სამ კაცს უყვარს. შვიდი, უბრალოდ, კარგად სწავლობს. ესეც ათი. ახლა თუ ვიგულისხმებთ, რომ კლასში ორმოცი მოწაფეა, მაშინ დარჩენილი სამოცდახუთმეტი პროცენტის ნახევარზე ცოტა მეტი იძულებულია გაძაღლებულად ისწავლოს... ოცდახუთმა პროცენტმა არც არაფერი იცის და არცა სურს იცოდეს. სხვანაირად არც შეიძლება. ვის გაამტყუნებ? შენ შეძლებ მუსიკა ასწავლო ადამიანს, რომელსაც ასი ვირის სმენა აქვს? რა იმისი ბრალია, რომ ვირის სიფაქიზე დაჰყვა. ასე გააჩინა ბუნებამ და რა უნდა ვქნათ? ყველანი ბუნების შეილები ვართ.

ბონდო სულ ნანიზე ფიქრობდა. მეორე დღემდე მხოლოდ ერთხელ ნახა სიზმარში. ნანი მეორე დღესაც დაგვიანე-

ბით მოვიდა. ბონდო საწოლზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა, როცა პალატის ღია კარიდან ქალის ძალიან თეთრი ლათი გალანდა. ნანიმ დერეფანში ჩაიარა. ბონდომ თმა დაივარცხნა, საწოლი გულდაგულ გაასწორა, მაგრამ ნანის ოთახში არ შემოუხებდავს. ბონდო თვითონ გავიდა დერეფანში. ნანი მორიგე ექთანის პატარა მაგიდასთან იჯდა, უფროს ექთანს ელაპარაკებოდა და იცინოდა. „ამას მე სულ არ ვახსოვარ!“ — გაიფიქრა ბონდომ. უცბად ნანიმ მოიხედა და გულლიად გაუღიმა. ბონდო ქალს მიესალმა და მაგიდასთან გაჩერდა.

— ყანთარელი, რატომ არ აიღე სისხლი? — ჰკითხა ექთანმა.

— ხომ ავიღე გუშინწინ.

— მეოთხე პალატაში ხარ, ხომ? — ექთანმა ჟურნალში ჩაიხედა, — კიდევ უნდა აიღო, გენაცვალე.

— სადა მაქვს ამდენი სისხლი! —

ნანის გაეცინა.

— ნუ ხარ, ყანთარელი, მშიშარა! — უთხრა ექთანმა ბონდოს.

— მე ვარ მშიშარა? ვინ გამივრცელა ეს ხმა?!

ნანიმ კიდევ გაიცინა, მაგრამ ახლა უფრო თავშეკავებულად.

— შევიდე ერთი, ღლონტს დაგხედო! — თქვა ექთანმა და წავიდა.

— გუშინ რატომ არ იყავით? — ჰკითხა ბონდომ ნანის.

— გუშინ ლექციები მქონდა.

— მე გელოდით მთელი დღე, მთელი ღამე.

— რატომ მელოდით?

— როგორ რატომ?

ნანიმ გაიღიმა, ბიჭს თვალი მოარიადა და გაბედულად დაწყებული ლაპარაკის გაგრძელების უფლება არ მისცა.

— კარგი გოგოა, ძამია, ხელიდან არ გაუშვა, — უთხრა დაწოლისას მსუქანმა თერძმა ბონდოს.

— ხელიდან როგორ არ უნდა გავუშვა? — ჰკითხა ბონდომ.

— სიტყვით როგორ ვითხრა, არ ვცი. შენი ხნისად რომ მაქცია, მაშინ გაჩვე-

ნებდი, როგორ! — დაქადნებით თქვა თერძმა.

ბონდოს აზრით თერძი დონ ყუანი არც ახალგაზრდობაში უნდა ყოფილიყო და ამ ნათქვამზე გუნებაში ვაცინა, ხელები თავქვე ამოიწყო და ჰერს მიაშტერდა. დიდხანს, დიდხანს არ დაეძინა. ნანიზე ფიქრობდა. სულ თვალწინ ედგა თეთრი სახის, მხიარულთვალეზიანი გოგო. ქალის ტანის საამო სურნელსაც გრძნობდა. ნანის სადად გადავარცხნილა წაბლისფერი თმა ჰქონდა.

მასწავლებელი მთელი დამე ბორგავდა: ხან წვებოდა, ხან დგებოდა, დერეფანში და პალატაში დადიოდა. ბოლოს ორი სავარძელი ერთმანეთს მიადგა, ბალიშები ჩაიფინა და ჩაჯდა, მაგრამ ვერც იქ მოსვენა. „არ მოუკლავთ მოსწავლეებს ეს კაცი!“ — გაიფიქრა ბონდომ.

ბონდო ყანთარელს სერიოზული საფიქრალი გაუჩნდა. იგი თვლიდა, რომ ქალიც ასევე იქნებოდა შეწუხებული. „მართალია, ძალიან ლამაზია, მაგრამ მე ისეთი მდგომარეობა და ღირსება მაქვს, ყველასათვის მოსაწონი უნდა ვიყო... შეიძლება ჩემი ბედიც ეს არი“.

ქალ-ვაჟი ამ ხუმრობა-ხუმრობაში მართლა დაახლოვდა. ქალი ბევრს კითხულობდა. ბუნებითაც მეოცნებე იყო. წარმოდგინილი ჰქონდა, როგორ განდებოდა ძალიან გულისხმიერი, ალერსიანი ექიმი. წავიდოდა ყველაზე უგზო, მივარდნილ სოფელში. უმკურნალეობდა იმ კეთილ ხალხს, რომელიც დააფასებდა, შეიყვარებდა. მართალია, ბონდოს არ გაუხსენია თავისი პოეტობა, მაგრამ ქალი გრძნობდა, რომ ბონდო მაინც ის კაცი იყო, რომელიც გაუგებდა, რომელთანაც გულახდილი საუბარიც შეიძლებოდა.

ოთხშაბათს ბონდო ყანთარელი მოულოდნელად გაწერეს. ნანი იმ დღეს საავადმყოფოში არ ყოფილა. ქალს არაფერი დაუბარებია. ვიღაცამ თქვა: ნანის ჭგუფს პრაქტიკა დაუშთავრდაო. გამოდიოდა, ბონდომ ქალს პაემანიც ვერ დაუნიშნა.

ბონდომ იმ დღეს ტანსაცმელი გამოიცვალა და მეოთხე პალატის ღირსიულ

ბინადართ გამოეთხოვა. ყველას ხელი ჩამოართვა. ავადმყოფებს გამოჯანმრთელება და ბედნიერება უსურვა. კინტყვა გინახულებთო, თქვა წასვლისას.

— აქ მოსვლამდე არაფერი გეტყინოს, — უთხრა ღლონტმა.

მეორე დღეს ბონდო ყანთარელი თბილისის ქუჩებში დადიოდა. საავადმყოფო მოულოდნელად მისი მეხსიერების შორეულ უბანში გადავარდა. მთელი სხეულით გრძნობდა, რომ საავადმყოფოდან გამოვიდა, საავადმყოფო მაინც სადღაც დასაკარგავში ჩაიმალა.

ბონდო ყანთარელი, ვინ იცის მერამდენედ, მაგრამ ახლა აშკარად, შეყვარებული იყო. თითქმის მთელი ქალაქი დაიარა. ნანი ვერ იპოვა. ინსტიტუტში აღარავინ იყო. ქალს სახლის მისამართი არ გაუხსენია. არც იცოდა, სად უნდა ეძებნა. ცდილობდა ქალს შემთხვევით გადაეპოდა და სურვილიც მალე აუსრულდა. იმ საღამოს მარტოდმარტო შეხეტიალდა კინოში. ფოიეში ნანი და ვიღაც მაღალი ვაჟი იდგნენ. ნანიმ შორიდან გაუცინა. ბონდო მივიდა და ხელი ჩამოართვა.

— როგორა ხარ?

— კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით?

— რა მიშავს.

სიტყვა „ბრძანდებით“ ბონდოს არ მოეწონა.

— მარტო ხართ? — ჰკითხა ნანიმ.

— არა, ხალხი მახლავს, — იცრუა ბონდომ და გაიფიქრა: ჩემს დღეში კინოში მარტო არ შევსულვარ, ახლა რამ შემომიყვანაო.

ბონდომ რამდენჯერმე გადახედა მაღალ ბიჭს. ათლეტური აღნაგობის ბიჭი მღუმარედ იდგა. სად იხედებოდა ანდარას უყურებდა, ბონდომ ვერაფრით ვერ გაიგო.

— ღლონტი მოკვდა, იცი? — უთხრა ნანიმ.

— მოკვდა? — შეწუხდა ბონდო.

— კი, მოკვდა.

— უჰ! საცოდავი კაცი!

— გაიცანი, ჩემი მეგობარია, — უთხრა ნანიმ.

ბონდომ მაღალ ბიჭს ხელი გაუწოლა. მაღალმა საკმაოდ თავაზიანად, მაგრამ ისე მაგრად ჩამოართვა ხელი, რომ ბონდო კინაღამ მუხლებში ჩაიკეცა. ერთი წუთით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე მეგონა, პრაქტიკა დავიმთავრე, ასე მითხრეს... — უთხრა ბონდომ ნანის.

— არა, ისევ იქა ვარ. თქვენ საწოლში სხვა წევს.

— სხვა?

— დიახ.

— ახალგაზრდაა?

— ახალგაზრდაა, — რატომღაც გაეცინა ნანის. მაღალ ბიჭს მკლავში ხელი მოჰკიდა და ბონდოს თითქოს თივის ზვიანის მეორე მხრიდან გახელდა. შემდეგ ვინღაც ხნიერ ქალს მიესალმა, ვაჟს ხელი გაუშვა. უკაცრავად, ერთი წუთით, თქვა და ბიჭებს მოშორდა. ხნიერი ქალი გადაკოცნა და ლაპარაკი გაუბა. ბონდო და მაღალი ბიჭი მარტო დარჩნენ. ბონდოს სულ წაუხდა ხასიათი. ათლეტური აღნაგობის ვაჟი თითქოს ადგილზე ცმუკავდა. ხანდახან ცალ ბეჭს ათამაშებდა და პერანგის საყელოს წამლაუწუმ ზევით ქაჩავდა. ერთი შეხედვით მოხდენილი მამაკაცი იყო. ბონდო თითქოს იცნობდა კიდევ, მაგრამ ასეთი ბევრი ენახა და ერთმანეთისაგან ძნელად განასხვავებდა.

— თქვენ ვაკეში ხომ არ ცხოვრობთ? — ჰკითხა მაღალ ბიჭს იმისათვის, რომ რამე ეთქვა.

— არა, მთაწმინდაზე.

— ძმა არა გყავთ?

— მე? — ხმამაღლა იკითხა მაღალმა.

— ერთ ბიჭს მიგამგვანეთ და იმტომ გკითხეთ, — შეკრთა ბონდო.

— რომელს? — დაინტერესდა მაღალი.

— სახელი და გვარი არ ვიცი.

— აბა მაშინ...

— მაღალი ბიჭია, შეშინებული თავისფერი „ვოლგა“ ჰყავს.

— 34-37, — უცბად უთხრა მაღალმა.

— კი მგონი. მგონი კი არა, კი, — თქვა ბონდომ.

— ასე ჩემი ტანის ბიჭია, ხომ?

— კი, გვერდზე გადავარცხნილი თმა აქვს.

— ჰო, ვიცი, — უთხრა მაღალმა.

— ცოტა ნაყვავილარი სახეცა აქვს, — თქვა ბონდომ.

— ხო, ვიცი.

— თქვენი ძმა არის?

— ძმა მე არა მყავს.

— აბა ვინ არის?

— რა ვიცი, ვინ არის ის მათხოვარი!

ნანი მალე მობრუნდა. მაღალ ბიჭს ისევ მკლავში მოკიდა ორივე ხელი და სანახევროდ დაიძალა.

— ხომ არ მოიწყინეთ? — იკითხა ქალმა.

— როგორ გეკადრებათ! — უბასუხა ბონდომ.

ამასობაში შესვლის ზარიც დაირეკა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — თავაზიანად დაუკრა ქალ-ვაჟს ბონდომ თავი.

— კარგად, შენი ჭირიმე! — უთხრა მაღალმა და უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალს არაბუნებრივი მახვილი დაუხვა.

ნანიმ ბონდოს გაუღიმა. ბონდო მაყურებლებში შეერია, მერე უკან გამობრუნდა და კინოდან გავიდა.

დაღამებულიყო. რუსთაველის პროსპექტზე ლამპიონები ენთო. ჭადრის ხეების ჩრდილები ქვის სახლების ფსადლებს და ტროტუარის დიდ ფილაქნებს დაჰფენოდა. გრილოდა. უზარმაზარი და ულამაზესი ქუჩა მოსიერნეებით იყო სავსე.

— ის ბიჭი პოეტია, ბონდო ყანთარელი, — უთხრა კინოს დაწყების წინ ნანიმ მაღალ ვაჟს.

— ვიცი, — ჩაილაპარაკა მაღალმა.

ბონდო მარტო მიდიოდა რუსთაველის პროსპექტზე. მიდიოდა დაღონებული, დაფიქრებული. ყველაფერი დასრულდა. ვატერლოოს ბრძოლა წაგებული იყო. „საით მიდიან ადამიანები, რა უნდათ? ან

წინ რას ხედავენ, ან უკან. სულ მალე მთვარეზე გაფრინდებიან. ნეტავი თუ გამოვჩნდებით მთვარიდან? საუკუნეები სინათლის სისწრაფით მიჰქრებიან. ვიყავით, ვართ და ვიქნებით. ყველაფერი უკეთესობისაკენ წავა. ადამიანები რატომ უახლოვდებიან და ეყრებიან ერთმანეთს? რატომ? რისთვის? მთავარი მაინც რა არი?“ — ფიქრობდა ბონდო და ვერ ხედავდა ნანისთან კვლავ დაახლოების ვერავითარ გზას. „წავალ და ისევ საავადმყოფოში დავწევები!“ — გაიფიქრა ბონდომ და გონება თითქოს რალაცამ გაუნათა. გაახსენდა მეოთხე პალატა. გაახსენდა ლლონტი. ახლა მიხვდა, რომ ლლონტი თავისი ყინიანობით, ჰირვეულობით და უკურნებელი სენის შიშით აიძულებდა თავისიანებს დამორჩილ-

ბონდენ მის სურვილებს. „იქ მე პატრიც მცემდნენ. ჩემზე უკეთესიც არავინ იქნებოდა. ნანი იძულებული იქნება ისევ მე დამომხლოვდეს. ვეტყვი, რომ პოეტი ვარ. წავუყუთხავ ჩემს დაუმთავრებელ პოემას. ავადმყოფობით მოვიპოვებ გამარჯვებას!“ ეს აზრი ბონდოს მოეწონა და აღფრთოვანდა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ ლლონტი მოკვდა და ტანში ჰინჰარივით დაბურძგლა. უცნაურ ფიქრსაც თავი მიანება.

ბონდო ყანათარელი მიდიოდა ლამპიონების შუქითა და ჰადრის ფოთლების ჩრდილით აჭრელებულ უზარმაზარ ფილაქნებზე. არ ტკიოდა არც ფეხი, არც ხელი, არც გული აწუხებდა. ბონდო ამას გარკვევით გრძნობდა და მთავარი მისთვის ჯერჯერობით მაინც ეს იყო.

ნეიმიანი ღლე

იუმორისტული მოთხრობა

„ლურჯო მონტევიდეო“...
გალაკტიონი.

ქალაქი სალტო მონტევიდეოდან უკიდურესი ჩრდილოეთით, არგენტინა-ურუგვაის საზღვარზე მდებარეობს. იმ დღეს სალტოში უსიამოვნოდ წვიმდა. მდინარე ურუგვაის ამღვრეული წყალი პორტის სანაპიროს ლამპიონების შუქზე და ჰუჭყიანი ბარკასის კაიუტიდან გამოსულ სინათლეზე უხეიროდ ლაპლაპებდა. დეკემბრის თვე იყო, ციოდა.

რკინიგზის სადგურის გვერდით, შემნახველ საკანსა და რკინეზით აჭედოლ საწყობს შუა ტირის წაგრძელებული შენობა სამართებლის ბუდესავით იყო შეჩხერილი. ტირის კედლები შიგნით ყურნალებიდან ამოჭრილი ფერადი ილუსტრაციებით აეჭრელებინათ. ტირში საკმაოდ თბილოდა, თუმცა დახლოდან მიყუჩული ექვსი კაცის წვიმით დამბალ ლაბადებს ოთახი დაენოტიოებინა. სქელლაბადიანები სამიზნეებს ესროდნენ. სულ

არ შევნიოდა ამ ხალხს სათამაშო თოფების ტრიალი, თუმცა, ჩანდა, არც მათ მოსწონდათ ეს საქმიანობა და ისე დროს ახრჩობდნენ. მაღალი, სქელულვაშიანი კაცი დონ პედრო მორიდეზით იდგა კედელთან. ეტყობოდა აქ კარგახნის წინათ შემოსულიყო, რადგან სისველის არაფერი ემჩნეოდა და სქელი ულვაშებიც ცეცხლთან ნაჯდომი კატის ბეწვივით უბრწყინავდა. ხელში ტირის თოფი ეჭირა და წარმოუდგენლად გულუბრყვილო თვალეზით უმიზნებდა ნიშანს. დანარჩენი ექვსი სველტანსაცემელიანი კაციც მდუმარედ ისროდა.

დახლოდან სულ ოთხი ადამიანი ეტეოდა და ახალმოსულები რიგრიგობით უთმობდნენ ერთმანეთს ადიგლს. დონ პედრო სამიზნეს შემოწმებისას კედელს მორიდეზით ეწებებოდა; ცდილობდა, ხელი არავისთვის შეეშალა. ქულებს ჩურ-

ჩულოთ, დაკვირვებით ითვლიდა, ხანდა-
ხან მიმატება ეშლებოდა და ყველაფერს
თავიდან იწყებდა. ბოლოს თავს უკმაყო-
ფილოდ გააქნევდა და სხვის გასაგონად
წუწუნებდა: სად ეშმაკში მიდის ეს
ტყვიები, მართალია, ცოტა მაკლდება
პრემიაზე, მაგრამ მაინც მივივრის, რო-
გორ მოიგო პატეფონი ჩემმა არიზონე-
ლმა მეგობარმაო.

პირმრგვალი, დაბალი ტანის მეტირე
მსროლელებს დამტვრეული პორტუგა-
ლური ენით აქვებდა და გადაჭარბე-
ბულად აქტიურობდა. ბრაზილიელ მუ-
შებს უფრო და უფრო ეჭვი ეპარებოდათ
თავიანთ თავში, უხალისოდ ისროდნენ
და ბოლოს სულ გაჩერდნენ. წვითა და
დავეით ნაგროვები ფული გადასაყრე-
ლად არ ემეტებოდათ. ამ ქალაქში ბრა-
ზილიიდან ორიოდე გროშითა და ამდენ-
ნივე ესპანური სიტყვით სამუშაოს და
ბედის საქებრად იყვნენ ჩამოსულნი.

ტირში სიჩუმე ჩამოვარდა. ბრაზილი-
ელმა მუშებმა, კედლებზე გაკრულ სუ-
რათებს დაუწყეს ჰვრეტა. მზით გახუ-
რებულ პლაჟზე წამოწოლილი, ნახევ-
რადშიშველი ქალების ფოტოები ამ სი-
ცივეში შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა.
პირმრგვალმა მეტირემ პატარა ტოტა-
ლიზატორი მოიტანა და ბრაზილიელ მუ-
შებს დამტვრეული პორტუგალურით
აუხსნა თამაშის წესები; აჩვენა, სად უნ-
და დაედოთ ვერცხლის ფული და სად
რა ციფრები მოიგებდა. მუშები ეჭვის
თვლით უცქეროდნენ ათასნაირი ნიშ-
ნებით და ციფრებით აჭრელებულ საბ-
რუნავ დისკს და არც ერთს სახეზე არ
ეტყობოდა, რომ რაიმე სურვილი ჰქონ-
და ამ თამაშში ჩაბმისა, რომელიც, მათი
აზრით, გაცილებით მეტ ფულს წაიღებ-
და, ვიდრე ეს დროს მოკვლისა და გათ-
ბობისათვის შეიძლებოდა დახარჯული-
ყო.

სქელულვაშიანმა დონ პედრომ ტო-
ტალიზატორს უწყინარი თვალებით და-
ხედა; დისკი თითით დააბრუნა, გაიღიმა
და მუშებს უთხრა: ჯანი ვაგარდეს, ვითა-
მაშოთო. ამ კაცის სანდომიანმა სახემ
მუშები კინალამ სათამაშოდ წაათამაშა,

მაგრამ პირმრგვალი მეტირე ისე ხმაურ-
ლა მოჰყვა ამ თამაშის ქებას, რომ მუშე-
ბი გარეთ გავიდნენ; ოთახში სიტყვით
და ორთქლის სუნის დატოვეს.

დონ პედრომ სიგარეტი ამოიღო, ხის
უშველებელ მუნდშტუქში გააკვება,
მშვიდად ვააბოლა და მეტირეს უთხრა:

— არასოდეს იმას არ აკეთებ, რაც სა-
ჭიროა, სენიორ დონ დიეგო!

— რატომ ვითომ? — დაეჭვებით იკი-
თხა მეტირე დონ დიეგომ.

— ძალიან ქაჭურად იქცეოდი!

— ავუსხენი, ასე უნდა-თქვა, და ვერ
გავაგებე ვერაფერი...

— სულ არ უნდა ამოგელო ხმა.

— აბა რა უნდა მექნა?

— მე და შენ უნდა გვეთამაშა და აგ-
ყვევებოდნენ...

— გაუშვი, მაგათი სწავლა-განათლე-
ბაც... — წმინდა პროვანსული აქცენ-
ტით შეიკურთხა დონ დიეგო.

ტირში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, მოწ-
ყენილობამ დაისადგურა. პირმრგვალმა
მეტირემ დახლსქვემოდას რალაც დაეთა-
რი ამოიღო, გაშალა. დაეთარში ქვითრე-
ბი ეწყო. დონ დიეგომ ქიმიური ფანქარი
მოიმარჯვა და ქვითრებს დაკვირვებით
ჩააშტერდა. დონ პედრომ ხუთი გრძელ-
ჯაგრიანი ტყვია გადააჩრია, თოფი გატე-
ხა, უკან დაიხია, კართან გაჩერდა და ცა-
ლი ხელით დაიწყო სროლა; შავ-შავი
ტყვიები ერთმანეთის მიყოლებით გა-
აგზავნა ერთ წერტილში. როდესაც ამ
საქმეს მორჩა, თოფი დახლზე უხალი-
სოდ დადო და მეტირეს უთხრა:

— ძალიან ქაჭურად იქცეოდი!

— რა უნდა მექნა, მითხარი! — თავის-
აუწყველად იკითხა მეტირემ და ქიმიურ
ფანქარს თავი წაუსველა.

— ენად რომ იქეცი, ვერ გაჩერდი
შენთვის?

— მაგდენი რომ შემეძლოს, ახლა ტი-
რში კი არ ვიქნებოდი...

— აბა რაფერ გინდა შენ...

— მერე მაგათ სადა აქვთ ფული? ფუ-
ლი იქით უნდა მისცე...

მეტირემ ქვითრები გადააჩეცა, დაეთა-
რი დახურა და დახლქვეშ შეინახა. მერე

შებრუნდა და დონ პედროს სამიზნე მოუტანა. დონ პედრომ სამიზნე ხელში დაიჭირა და ჯაგრიან ტყვიებს რატომღაც ირიბულად გახედა.

— ერთი მაინც გვერდზე წასულა! — თქვა ბოლოს.

— თოფის ბრაღია.

დონ პედრომ პაპიროსი დაფერფლა:

— თოფის ბრაღი არაა, შენ რომ იცოდე...

— დანარჩენი ხომაა ათიანში, რა გინდა მეტი! — დაამწვიდა მეტირემ.

დონ პედრომ უკანასკნელად მოქაჩა და ხის ყავისფერი მუნდშტუკიდან სიგარეტის ნამწვი გამოაძრო, საფერფლეზე დადო და გაყვითლებულ თითებზე შერჩენილი თამბაქოს ნამცეცები მოიშორა. ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. გარედან გარკვევით შემოვიდა წვიმის ხმა. კანტ-კუნტად მიმავალი მგზავრების ფეხის ხმაც მოისმა. საწყობთან რამდენჯერმე დიდი საბარგო მანქანა შემოტრიალდა და დამწვარი ბენზინის ბოლი დააფრქვია. ტირში გასათბობად, დროის მოსაკლავდაც კი აღარავინ შემოდიოდა. დონ პედრომ ისევ გადაარჩია ტყვიები.

— ერთი მიყუფე დაკვირვებით! — უთხრა მეტირეს, გამიგე, რომელ სროლაზე უხვევს გვერდზე.

დონ პედრო ისევ კართან დადგა, თოფი ცალ ხელში დაიჭირა და შავფოჩიანი ტყვიები გააყოლა ერთმანეთს.

— შეატყვე? — შეეკითხა მეტირეს რამდენიმე სროლის შემდეგ.

— არ დავკვირვებივარ... მავის ჯავრი სულ არა მაქვს ახლა...

დონ პედრომ თოფი ხელახლა გატენა. მეტირემ ლაპარაკი განაგრძო:

— ...ეს დასაწვავი, შარშან რატინის პალტო შევიკერე... მაშინ კარგი იყო, წელს გრძელი მჩხვენა და გავიხადე...

— კარგი გიქნია.

— რატომ?

— აბა ვიღას აცვია ახლა რატინი...

— ტყუილი არ თქვა... ლურჯი რატი-

ნია, მონტევიდეოში ვიყიდე. ორასი თურმანი დამიჯდა ძველი ფულით. ნეტავი გრძელი არ ყოფილიყო.

ამ ლაპარაკის დროს დონ პედრო გულდაგულ უმიზნებდა თოფს ნიშანს. ბოლოს, როგორც იქნა, ისროლა.

— ეს კი გოუშვი ათიანში...

— ახლა გრძელი პალტო თუ ჩაიცვი, მათხოვარს მიგამგვანებენ. ადრე, მახსოვს, პალტოს კალთები რაც მეტ მტვერს გახვეტავდა ასფალტზე, ის იყო კარგი...

— დამოკლე მერე...

— დავამოკლე, გედენიძეს გადავაქრევი ბალახვანში...

— მაშინ რალა გინდა?

— რალა მინდა და ჯიბეები დარჩა ქვეით... რომ ჩავიცივი, მენავთეს დავემგვანე...

— აბა მე რა გიყო... — თქვა დონ პედრომ და უკანასკნელი ტყვიაც ისროლა. მეტირემ სამიზნე მოიტანა.

— ერთი მაინც გვერდზე წასულა...

— ცოლს მინდა დავუთმო და არ გადაკეთდება?

— რა უნდა გადაკეთდეს?

— პალტო.

— არ გამოადგება!

— რატომ არ გამოადგება, ლურჯია და ისიც მონტევიდეოში ნაყიდი...

— შენ გემასხრება, ჩემო ძმაო, და ახლა მე მკითხე! — ეწყინა მეტირეს.

— რატომ მიღის ნეტავი ის ერთი გვერდზე?.. — ჩაილაპარაკა დონ პედრომ.

— არადა ვიზარალო ორასთუმნიანი პალტო?

მეტირე გაჩუმდა. დონ პედრო გახურებულ პლაჟზე წამოწოლილი ნახევრადშიშველი ქალის ფოტოს მიაჩერდა.

ქალაქ სალტოში მაინც წვიმდა. მდინარე ურუგვაის ამღვრეული წყალი პორტის სანაპიროს ლამპიონების შუქზე და ჭუჭყიანი ბარკასის კაიუტიდან გამოსულ სინათლეზე ლაპლაპებდა. დეკემბრის თვე იყო. ციოდა.





ბონეო კაპელავა

ის მშამს, მას ვეტრვი

დიმიტრი ყიფიანს

აივნის ბოძზე ვარ მიყრდნობილი,
ბარში ჟინჯლავს და მთაზე ნისლია.
ვიგონებ კოლხეთს, ვიგონებ ყრმობას,
ძიძას, მორდუს და ფაცხას ისლიანს.

მიყვები ფიქრებს და თითქოს ვხედავ
ჩვენს ეკლესიას. შეფეთქილს კირით.
წინ მეხატება ჩემი ტალერი,
ჩემი ტეხური და ლეფეთქირი.

საიდან, როგორ, აქ რა მინდოდა,
რისთვის ვინდომე აქ დასახლება?
(რად გაუკვირდა ზოგიერთს ჩემგან
ქართლში საკუთარ ჭიშკრის გაღება?).

ვინც შემაყვარა მე ეს სოფელი
ვკადრო შიშველი დასახლება?...
დაუვიწყარი არის მარადის
მისი თუნდ ერთი ის გახელება.

ის მოკლე, მაგრამ მკაცრი წერილი
ელავს, ბასრია, ვით სატევარი.
მან საქართველოს ჰაერის ღირსად
არა სცნო ჩვენი დამაწყევარი.

ის სულდგმულობდა მამულზე ზრუნვით,
სახელი მისი მიჩრდილვას ასცდა.
რადგან, ჰოს როცა ეტყოდა გული,
უკან დახევას ლაჩრობად რაცხდა.

გაზაფხული

სულ სხვა ეშხი აქვს უკვე დილის შუქს,
თითქოს სხვა მზეა, დღეს რომ ამოდის
და კენწეროდან ხე თავს იწონებს
ახალთახალი ტანისამოსით.

ეზოში გავლა სულს ახასხასებს
წყნარი დღეა თუ ნიავეკარია.
ისე კვასკვასებს ატმის ყვავილი,
გულს ახალისებს, თვალს უხარია.

მთის წვერზე თოვლი ისევ ანათებს,
აქა-იქ ტყეშიც ჩამალულია.
ბარში კი სუსხის იწილ-ბიწილო
გატყდა, დღეს ნაღდი გაზაფხულია.

ნეტარი წუთი

რომ არ ველოდი, — ისე უეცრად
მე ბედნიერად ვიგრძენი თავი.
ეს საამური ნეტარი წუთი
ასე გაგრძელდეს ერთხანს ნეტაეი.

დალამდეს ასე, გათენდეს ასე,
გზადაგზა ასე დიდხანს ვიარო.
და გულმოკლული თუ შემხვდა მგზავრი
ეს ჩემი ხვედრი გაეუზიარო.

სოფ. ქვიშხეთი.



პეგანე ჯეგანე

სამი ლექსი

* * *

ბევრჯერ დასცალეს სავსე თასები
და ბევრჯერ დაწნეს გვირგვინი ეკლის,
ხოლო ქალაქის დამაარსებელს
თვითონ ქალაქმა დაუდგა ძეგლი.
მანამ კი, ვიდრე დიდი ქალაქი
ძეგლს დაუდგამდა მეფეს და მხედარს,
მალღობზე იდგა ციხე ჭარმაგი
და ანდერძივით ამაყი დედა.
უფრო ადრე კი კაცი ცხოვრობდა,
რომელმაც მერანს მიანდო ბედი,
ვერ მოიშორა სული ბოროტი,
ვერ დაიმარხა მოძმეთა გვერდით;
მაგრამ პოეტის წმინდა სამარე
მოიკითხა და მონახა ხალხმა;
არ მიატოვეს ბედის ამარა,
ზაირალივით ასწიეს მალლა...
ბევრი იპოვის სახელს შემდეგაც,
დროს გული უნდა ფიცვივით ენდოს,
ახლა ქალაქში მეტროც შენდება,
მაჯას უსინჯავს ქალაქი მეტროს.
ტოკავს უცნობი მერნის ჭიხვინზე,
არ უშინდება უარეს ამინდს,
და დილით უფრო ადრე იღვიძებს,
და უფრო გვიან იძინებს ღამით.

* * *

ომგადახდილებს ოცნება უყვართ,
ომი გუშინდელ დღესავით ახსოვთ,
მშვიდობის დღეებს სტოვებენ უხმოდ,
ომის დღეებთან მიდიან ახლოს.

ახსოვთ ყოველი წუთი და წამი,
ჰყვებიან ყოფნა-არყოფნის ამბავს...
ჩვენ კი ზედმეტად განვიცდით ამინდს
და დროს საოცრად გულგრილად ვფლანგავთ.
დროს მაშინ ვამჩნევთ, როდესაც ძვირფას
ადამიანებს დაგკარგავთ ხოლმე,
წარსული ლამაზ ქალივით გვხიზლავს,
ბავშვობასავით ვიხსენებთ ომებს.
მომავლის გამო ვკამათობთ მუდამ,
ნელა დავდივართ და მშვიდად გეძინავს...
მაგრამ დღეს ყოველ მოკვდავს და უკვდავს
მე ვეტყვი: — საათს დახედე ხშირად!
შენ ხარ ცხოვრების ღიადი კერპი
და არა მისი უბრალო მოწმე,
კვირაში ერთი დღე არის მკვდრების,
დანარჩენები ეკუთვნის ცოცხლებს!

* * *

უკვე მეორე გაზაფხულია,
შენი თვალების ამინდს ვამოწმებ,
ძველს ვივიწყებ და ახალ სურვილებს
ვეჩვევი, როგორც ახალ სამოსელს.
ანლა საკუთარ თავსაც ვუმაღავ,
იმდენი დრო და ფიქრი დამჭირდა,
ასე თოკზე დგას ცირკის ხუმარა
და ბეშვით მიაქვთ წყალი დაჭრილთან;
ანდა მთამსვლელი

უარყოფითი

დანრის კედელზე ღამეს ათენებს...
მე წარბის ერთი შეხრაც მყოფნიდა,
მე თვალებს ვგრძნობდი, როგორც სატევრებს.
ეს ერთი წელი იყო ცხოვრების
დროსთან და მხოლოდ დროსთან კამათი,
მაგრამ იგი არ გაიზომება
ლითონის, მზის და ქვიშის საათით.



მშობლიურ მთებში

მაღალო მთებო, იქნებ მართლაც თქვენ ხართ ძეგლები,
დიდი ტკივილის, დიდი რწმენის, დიდი მიზნების;
საწუთროს სტუმრებს — კაცთა მოდგმას, შეეგებებით
ფეხზე ამდგარნი, ვით მასპინძლები.

ვინ იცის, იქნებ თქვენ ასწავლეთ მთიელ აფხაზებს
სტუმრის წინაშე ფეხზე დგომა და მოკრძალება!
ამოვიკითხე თქვენს კალთებზე, როგორც დაფაზე:
იყო გამბანი, — კაცს გევალება!

დგახართ მხარდამხარ, დგახართ მტკიცედ, ჯარისკაცულად
და მეჩვენება, რომ ფიცს იღებთ ნათელ მამულში,
რომ თქვენ დაგტოვათ მშობლიური ხალხის წარსულმა
ერთგულ დარაჯად თვისი ენის, თვისი ნამუსის.

მე თქვენს კალთებზე წინაპართა ვხედავ ნაკვალევს, —
ვინც თლიდა ერქვანს, ვინაც მომხდურს მახვილი ჩასცა...
თქვენი დუმილიც მეტყველია და ის მავალებს
უპირველესად — სამშობლოს დაცვას!

ვიცი, კოშკებზე ლოდი ლოდთან ვინც შეაერთა,
მან შეაერთა ჩემი შარაც მოძმის შარასთან
და ჩემი ენაც არის ეჭო ზვიად ჩანჩქერთა,
ეს სული მისი მადლით განათდა.

თქვენს უღრანებში დაიბადა ბევრი თქმულება,
მათგან მრავალი არწივივით ქვეყნად ნავარდობს.
მთებო, თქვენს ხმაში აჭარბანის ხმაც მეგულება,
დაუსრეტელი ლექსის სამადნოც.

ვინც ჩემს ენაზე გამესიტყვა — ჩემი მთებია,
ჩემი ფრთებია მშობლიური სიტყვა ალალი.
ვიცი, ეს მთები არასოდეს დადუმდებიან,
არ დავდუმდები მეც — ამ მთების შთამომავალი!

აფხაზურიდან თარგმნა ზოთა აკოზიაშ.



ჩვენი ჟურნალის საახალწლო ნომერში ფართო ადგილს ვუთმობთ ახალგაზრდა ავტორებს, რომლებიც ახლა გამოდიან ლიტერატურის სარბიელზე.

ჟურნალი მოუწოდებს ჩვენს ნიჭიერ ლიტერატურულ ახალგაზრდობას შემოქმედების მთავარ თემად აირჩიოს თანამედროვეობა, მრავალფეროვანი ცხოვრება იმ შესანიშნავი თაობისა, რომლის დაუცხრომელი, გვირული შრომაც ამაღლებს რესპუბლიკის სახელსა და დიდებას.

სიტყვას ვაძლევთ ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსებს.

მანანა აბრამიშვილი

ჩვენი მასპინძლის

სასახლე

კალა,
ცხენების თქარუნი,
ჰეი, მასპინძელო!
იქნებ მგზავრული გესმა და არ გძინავს.
გესმის,

გამოგვხედე.

გზა არ გაგვიძნელო!
შულამისას
თავს დავესხით მუშნი ხარძიანს.

ჩვენი მასპინძლის სასახლე
ჩვენთვის ყურთამდე გაიღო.
დარბაზში ბავშვებს ეძინათ,
რა თმები ჰქონდათ, რა სახე!
გამოიღვიძეს, თვალები
თითქოს სვანეთის ცა იყო.
ხუთი ბულბული შეგნოდა
ჩვენი მასპინძლის სასახლეს.

ივარის საყდარი

ანგელოსების პატარა სახლი —
თეთრი საყდარი ივარის.
ფრესკებს თალიდან კედელზე დახრილთ
ფერი აქვთ მიმქრალი, მიმქრალი.

რამდენი ფრთა აქვს და რად არ აფრინდება,
რად გარინდებულა, მითხარით?
ანგელოსების პატარა სახლი —
თეთრი საყდარი ივარის.

კოშკები

იყურებიან განაოცები,
აქ სად მოვსულვართო სადაურები.
ტანდაზნარული ძველი კოშკები —
დადუმებული სალამურები.

დგანან და ფიქრობენ ლომისფერ დროშებზე,
მღვრიე ნისლეზში ჩაკარგულები.
სვანური კოშკები, მაღალი კოშკები —
ჩამქრალი ბუხრის საკვამურები.





მითხრობა

სანატორიუმში საახალწლო ქრიაშული შეწყდა და დათოვლილ ტყეში სიჩუმე ჩამოვარდა. დაძინებამდე მე და მორიგე ექთანმა შეძოვლა დავაძთავრეთ და ჩემს კაბინეტში შევედით. ექთანის ჩანაწერები და ზოგიერთი დამსვენებლის ისტორია გადავთვალიერე. შემდეგ ექთანმა მთხოვა, ძალიან დაღლილი ვარ, თუ შეიძლება წავალ, დავიძინებო... კაბინეტში მარტო დავრჩი.

როცა თეთრად ათენებ დამეს, ძალაუნებურად ბევრი რამ გაგონდება; ხოლო თუ ეს ახალწლის ღამეა, მაშინ კაცი მთელ შენს წარსულს იხსენებ, იხსენებ აღამიანებს, რომელთაც კვალი დაუტოვებიათ შენს სულში. მე ყოველთვის მახსენდება ერთი უჩვეულო ახალწლის ღამე. მაშინ პირველად ვისვენებდი სწორედ ამ სანატორიუმში, სადაც ახლა ექიმად ვმუშაობ.

ომი ახალი დამთავრებული იყო. ხალხს ჯერ კიდევ უჭირდა. იმ წელს შევედი სამედიცინო ინსტიტუტში, მაგრამ პირველსავე კურსზე გავხდი ავად და ჩემდაუნებურად სწავლა შევწყვიტე. საავადმყოფოში მკურნალობის შემდეგ თბილისიდან ლიბანში გამგზავნეს.

სანატორიუმს თავისი საკუთარი, გან-

საკუთრებული ცხოვრება, განსაკუთრებული წესები ჰქონდა და ყველა ჩვენგანი იცავდა ამ წესებს.

დეკემბერი იდგა. თოვლს ჯერ კიდევ არ დაეფარა ლიბანის ნაძვნარი. დილით ტყეში ციოდა და სანატორიუმის გარშემო ვსეირნობდით, შენობის კედლთან მზეს ვეფიცებოდით.

ეზოს კუთხეში, იქ, სადაც გაზაფხულზე იასამანი ჰყვავოდა, პატარა ჩარდახი იდგა. ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხები ჰყიდიდნენ ვაშლს, კარაქს, თავლსა თუ ნიგოზს. ჩვენ უფრო მოხარმულ წაბლს შევექცეოდით, რადგან წაბლი უფრო იაფი იყო.

სანატორიუმს სამი მხრიდან ნაძვნარი ერტყა. ჩრდილოეთით ნაძვები გაეკაფათ. პატარა მინდვრის იქით ციცაბო იწყებოდა; ქვევით გუჯარეთის ხეობა მოჩანდა; რძისფერი ნისლი ნაზად ბლანდავდა ფერდობებს.

საუზმის შემდეგ კლინიკური საათი იწყებოდა და ყველა ვალდებული იყო, ექიმს დახვედროდა პალატაში. ექიმს მუდამ ექთანი ახლდა და ყოველთვის ერთსა და იმავეს კითხულობდა: ტემპერატურა, მდა, წონა, რაიმე სატკივარი გვაწუხებდა თუ არა?...

შუადღისას მატარებელი ამოდიოდა ბორჯომიდან. თუ კარგი ამინდი იდგა, სადგურზე მივიდიოდით. ერთ კილომეტრამდე დაკლაკნილი გზა ირიბად სჭრიდა ნაძვნარს და პატარა სადგურთან თავდებოდა.

ბასით მივყვებოდით გზას, თან გულში იმედი ღვიოდა, იქნებ ვინმე ჩვენიანი ჩამოვიდესო. უფრო ხშირად იმედი გვიცრუვდებოდა და სანატორიუმში უხმოდ ვბრუნდებოდით.

ლამაზი იყო ტყეში ჩაფლული სანატორიუმი, უფრო ლამაზი იყო იგი ღამით, როცა ფანჯრებიდან გამოჭრილი შუქი ნაძვნარს ეფინებოდა.

სადამოობით ზოგჯერ ნიავე დაუბერავდა, სანატორიუმი ნისლში გაეხვეოდა. ამ დროს მოჩახჩახე შენობა ემსგავსებოდა უზარმაზარ ხომალდს, რომელსაც მგზავრები მღელვარე ოკეანიდან გამოჰყავდა, მაგრამ მაცოცხლებელ ნაპირებამდე დიდი გზა იყო და ბევრი ვერ უძლებდა სახიფათო მოგზაურობას.

ახალწლის წინა დღეებში სულ გამოიკვალა სანატორიუმი: ვინ ამანათს იღებდა, ვინ საჩუქრებს, ვინ მისალოც ბარათებს. დეკემბრის დამლევს წამოთოვა. თოვლმა ხალისიც მოიტანა და თუ კლინიკური ან წყნარი საათი არ იყო, ეზოდან გამუდმებით მოისმოდა აურზაური. მე კი შინიდან წერილი მივიღე — მამა მძიმედ არის ავადო. ამ ამბავმა ცუდად იმოქმედა ჩემზე: სიცხე მომცა; თერმომეტრი გამუდმებით აჩვენებდა ოცდაჩვიდმეტსა და ხუთს; ექიმმა საწოლიდან ადგომა ამიკრძალა.

ვიწეჭი ჩემთვის და ათას რამეზე ვფიქრობდი.

ჩემს გარდა პალატაში კიდევ ორნი იყვნენ: ვაჟა და ნოდარი. ვაჟა ისტორიულზე სწავლობდა, ნოდარი — სასოფლოზე. ავადმყოფობის გამო ორივეს აკადემიური შევებულება აეღოთ. ახალწლის წინა დღეებში სანატორიუმში ყოფნის ვადა გაუთავდათ და შინ გაემგზავრნენ. მათ მაგიერ კი სხვები მოვიდნენ. ერთს პირქუში გამომეტყველ-

ბა ჰქონდა, სულ ილუკმებოდა და პალატაში მხოლოდ მაშინ რჩებოდა, როცა აუცილებელი იყო.

მეორე დამსვენებელს ლევანი ერქვა. იგი მაღალი და ლოყებჩაცვენილი მოხუცი გახლდათ. მელოტ თავზე გაყვითლებული კანი გადასტყეცოდა. სიარულის დროს ჩამომხმარი ხელები ძირს ჰქონდა ჩამოყრილი. გრძელსა და განიერ მტევნებზე მკაფიოდ აჩნდა დაბერილი, ლურჯი ძარღვები. ამ გამოფიტულ კაცს საოცრად მოძრავი ცისფერი თვალები და მჭექარე ხმა ჰქონდა.

ლევანს სანატორიუმის თანამშრომლები განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ, ამ სანატორიუმში თურმე ხშირად ისვენებდა.

წყნარი საათი სადამოს ექვსზე მთავრდებოდა. დეკემბერში ექვსი საათისათვის უკვე საკმაოდ ბნელოდა. მოხუცო გვთხოვდა ხოლმე, ოთახში სინათლე არ აგვენთო და... ფანჯრის გაღების ნება მიგვეცა. ფანჯარას აღებდა და ისევ წვებოდა. ოთახში კვლავ სიჩუმე ისადგურებდა. ისმოდა მხოლოდ უცნაური ხრამუნი; ეს ჩვენი პალატის მესამე ბინადარი ილარიონი გახლდათ. რამდენიმე წუთის შემდეგ ლევანი საწოლიდან დგებოდა, სინათლეს ანთებდა და ჩაილაპარაკებდა ხოლმე: „დღეს მშვენიერი ამინდი იყო“, ან პირიქით, „დღეს ამინდი არ ვარგოდა“ და... გარეთ გადიოდა. ეს მისი უცნაური ჩვეულება ყოველდღე მეორდებოდა და მოხუცის ახირებდალ მიმაჩნდა. ამაზედაც ძალიან ვბრაზდებოდი.

დადგა ოცდათერთმეტი დეკემბერი. დილაღრიან ექთანმა დეპეშების დასტა შემოუტანა ილარიონსა და ლევანს. შუადღისას ილარიონმა ამანათი მიიღო. ამანათი დიდის ამბით გახსნა. ოთახში სხვადასხვა ტკბილეულის სურნელი დადგა, შემდეგ ამანათს ისევ ფიცარი დააფარა და კარადაში შეინახა.

მე კი, არ ვიცი, რატომ, საახალწლოდ არავის გავახსენდი, არც მეგობრებს, არც ნათესავებს, არც თანაკურსელებს. მხოლოდ დედამ გამომიგზავნა დეპეშა. ექთანს მალე ექიმიც შემოჰყავა. იგი

თავთან დაუჯდა ლევანს. მათი სიცილ-
ნარევი საუბარი უკვე მალეზიანებდა.
კედლის მხარეს გადავბრუნდი, თავზე
საბანი წავიფარე და ვცდილობდი არა-
ფერი გამეგონა.

შემდეგ ექიმი ჩემთან მოვიდა:

— სამ საათზე რენტგენზე მოხვალთ! —
მითხრა ბრძანების კილოთი და პალატი-
დან გავიდა.

— თქვენ სად მუშაობთ, ახალგაზ-
რდავ? — ეს ლევანი იყო.

— ...არსად, — დავუგვიანე პასუხი.

— სწავლობთ?

— არა, — ისე ვთქვი, მისკენ არც მი-
მიხედავს.

— აბა რას აკეთებთ? — არ მომეშვა
მოხუცი.

— ვსწავლობდი სამედიცინოზე.

— ა! მაშ, ისევ გააგრძელებთ... დედ-
მამა გყავთ?

— მყავს.

— კარგია, კარგი. დები ან ძმები?

— მყავს, მყავს... — უკვე ველარ ვი-
თმენდი მე.

— მეგობრები?

ეს უკვე მეტისმეტი იყო და პასუხი
არ გამიცია.

...დიდხანს მატრიალა რენტგენოლოგ-
მა აპარატთან. რენტგენოლოგის გვერ-
დით ჩემი მკურნალი ექიმი იდგა და გა-
მულდმობით ისმოდა მათი შემაწუხებელი
ოხ-ოხ! შემდეგ მკურნალმა ექიმმა მხარ-
ზე ხელი დამადო:

— იწექით, გესმით, იწექით ლოგინ-
ში, სანამ მე არ დაგრთავთ ადგომის უფ-
ლებას; თორემ მე და თქვენ ჩხუბი მოგ-
ვივა.

რენტგენის კაბინეტში სინათლე აან-
თეს. მაგიდაზე შემთხვევით რაღაც ქა-
ლდღს მოგკარი თვალი. ზედა კუთხეში
ჩემი გვარი, სახელი და პალატის ნომე-
რი ეწერა. გვარის ქვეშ ფილტვები იყო
დახაზული, — რენტგენოლოგს იგი
მთლად გაეშავებინა ფანქრით.

კაბინეტიდან გამოვედი. ტალანშიც
ბნელოდა. ჩემი პალატისკენ გავემართე.
პალატაში მოხუცს ჩვენი საწოლები

შეეცვალა. არაფერი მიტკვამს, რადგან
ყველაფერი სულერთი იყო ჩემთვის.

ახლა ჩემი საწოლიდან ფანჯარას უნდა
დაპირ ვუყურებდი. ტყის პირი ჩანდა.
ზოგჯერ ნაძვის რომელიმე ტოტი თოვლს
ჩამოჰყრიდა, ტვირთისაგან განთავისუფ-
ლდებოდა და ისევ ზევით აირკალებოდა,
შემდეგ მეორე ნაძვი გამართავდა ტოტს,
მესამე... და თეთრ სამოსს თანდათან
იცილებდნენ. ფანჯრის თაღს ყინულის
ლოლუები გასდევდა. ლოლუებმა ჩვენი
სახლი გამაზსენა თბილისში, სახლმა —
ბავშვობა და რაღაც სინარულის მსგავსი
გრძნობა დამეუფლა.

ჩვეულებებისამებრ ექვს საათზე გამაღ-
ვიდა ექთანმა, თერმომეტრი მომაჩუჩა...
ისევ ოცდაჩვიდმეტი და ხუთი ხაზი
მქონდა.

ილაზიონმა კიდევ გახსნა ამანათი,
ჩამოჯდა საწოლზე და ნაცნობი ხრამუნი
მომესმა. მერე ყუთს ფიცარი დაახუ-
რა, კარადაში შედგა და ოთახიდან გავი-
და. ლევანი, თითქოს მის გასვლას უც-
დიდაო, მკვირცხლად წამოხტა ლოგი-
ნიდან, ფანჯარა გამოაღო და სინათლე
გამორთო. ჩაბნელებულ ოთახში მოუ-
ლოდნელად შემოიჭრა ცივი ჰაერი.
უნებურად საბანი წავიხურე თავზე.
შემდეგ საბანი გადავიძრე და...

ეს ნამდვილი სასწაული იყო:

ოთახში დაჰქროდნენ ფერადი წერტი-
ლები. წერტილები კრიალებდნენ, ბზი-
ნავდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ. წერ-
ტილები ბრუნავდნენ, ფერს იცვლიდნენ,
ქრებოდნენ, ისევ აენთებოდნენ. მათ მო-
ძრობას თვალს ვერ ვაცილებდი...

— ეს ნისლია, ნოდარ, ფერადი ნის-
ლი! — გავიგონე მოხუცის ხმა, — აი,
ახლა ნიავი დაუბერავს და ფერები
კვლავ გავლენ ოთახიდან.

ცოტა ხნის შემდეგ ფერებმა მართ-
ლაც დატოვეს ოთახი, — ნელა გავიდა
ნისლი გარეთ. ახლა ეზოში აირიენენ
ფერადი წერტილები. შემდეგ ერთმანე-
თისკენ დაიძრნენ, წრეებად შეიკრნენ
და გამოჩნდა დიდი ყვითელი ბურთი,
რომელსაც შარავანდელი შემორტყმო-
და... მალე შარავანდელიც შემოსცილდა

და მკვეთრად გავარჩიე, რომ დიდი ყვირთელი ბურთი ლამპიონი იყო.

ცოტა ხანი გავიდა და... ფანჯარაზე ჩამოკიდებული ლოლუები აელვარდნენ. ნისლი გადმოიფრქვა ოთახში და ფერადმა წერტილებმა კვლავ იწყეს სრიალი; ისინი მიახლოვდებოდნენ, მშორდებოდნენ და... თითქოს მღეროდნენ. „ჩვენ მივეჩვიეთ ათასგვარ წამლებს, მივეჩვიეთ აბებს და ნემსებს, მივეჩვიეთ ექიმს, მაგრამ ვერ მივეჩვიეთ სილამაზეს; ხშირად ვერ ვამჩნევთ მას. უბრალო ნისლიც კი სტაცებს ლამპიონს სინათლეს. ამ სინათლეს უთვალავ წერტილებად შლის, წერტილებს ფერებს აძლევს და საოცრებას ქმნის. სილამაზე რომ შექმნა, ოცნება გქირდება. ასეთი ოცნებისათვის ღირს ცხოვრება“.

ფერადი წერტილები კვლავ გაიკრიფნენ ოთახიდან. ნაძვებით შემოჯარული დათოვლილი ეზო გამოჩნდა. მაგრამ ეზო მხოლოდ რამდენიმე წამს ჩანდა, — ისევ ნისლმა დაფარა იქაურობა. ნისლმა დიდ ყვირთელ ბურთს კვლავ მოსტაცა სინათლე, ლამაზ წერტილებად დაშალა იგი და კვლავ ფერებით აავსო ოთახი...

ისევ ფიქრში წავედი:

„ლამპიანმა თუ ყველაფერმა დაკარგა, დაკარგა სიყვარული, ჯანმრთელობა, ძალ-ღონე, სიარულის უნარი, მას ხომ რჩება ოცნება, უსაზღვრო და უკიდევანო, ლაყვარდისფერი და ლაყვარდისწყმული ოცნება...“

ფერადი ნისლი კი იფრქვეოდა და იფრქვეოდა ოთახში. მე შეჩვენებოდა, რომ ფერებით სავსე საღამო მღეროდა ლიბანის ტყეში.

ასეთი იყო ის უჩვეულო ახალწლის ღამე.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. დავამთავრე ინსტიტუტი და ექიმად ვმუშაობ ლიბანში. მუყავს ცოლი, სამი ბიჭი და ერთი გოგო. ტუბერკულოზი აღარაა ისე მწვავე და საშიში დაავადება, როგორც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ იყო. ავადმყოფებს ვუსყვარვარ და მეც ძალიან მიხარია, როცა ისინი ჩქარა განიკურნებიან ხოლმე... და რომ ყველაფერი ეს ასეა, რომ აქა ვარ და ავადმყოფებს ვუვლი, — იმ ახალწლის ღამეს უნდა ვუმაღლოდე, როცა ფერები მღეროდნენ ტყეში.





ჰეჰე ლოღაიი

მიფრინავს წლები

მე ისევ ვისმენ შორეულ ძახილს,
შენს ბავშვურ ძახილს, ტირილიც მესმის...
და მელანდები ფიქრებით დაღლილს:
თეთრი თოჯინით, ძაფით და ნემსით.

მიფრინავს წლები... თვალებს—წყვილ კოცონს,
ანთებ და ანთებ... სიყვარულს წყველი
და იქ ნაძვებთან დაკარგულ კოცნას
ისევ სდის ჩუმად ფარული ცრემლი.

ბავშვობის წლები სიზმრებში ღუმან,
მიფრინავს ჟამი... მე და შენ ასე —
მზის სიყვარულში ვბერდებით ჩუმად
და ემატება სიცოცხლეს ფასი.

ადრე თუ გვიან, ძვირფასო, გესმის? —
ვიტყვი ჩემს სათქმელს, ვით აღსარებას;
და, ვით ტაძარში, ჩემს სულში კვნესენ
ჩვენი ბავშვობის თეთრი ზარები.

მე მაინც გელი

სძინა-ს მთელ ქალაქს, მე ვფხიზლობ ისევ,
შენობებს ღამე ლოდივით აწევს,
და ჟირაფივით იგრძელებს კისერს
ჩემს ფანჯარასთან დამღვარი ამწე.

მაღულად მისდევს წამები წამებს,
მოგონების და ფიქრების მიღმა.

კართან ძაღლივით წევს შავი ღამე
და ზანტად იხდის მწუხარე ნიღაბს.

და კვდება ღამე მეშვიდე, მერვე,
ალბათ ეცემა ყველა შენს ფერხთით;
ფერთა სიშავეს გაფანტავს მერე —
მოგონებათა ღიმილი თეთრი.

და აყეფდება უეტრად ძაღლი,
დარეკავს წუთი სიამის მგვრელი,
მივაყურადებ ქუჩიდან ძახილს,
ვიცი არ მოხვალ და მაინც გელი.





სილვან სუკუა ეოზენკე ქაიხუჯიაძე

მოთხრობა

ყოველ დილით, ინათებს თუ არა, ჩვენს ეზოში ნაგვის მანქანა შემოგრი-
ალებდა. შოფრის გვერდით გამოჩგი-
მული ბენო კაბინიდან საყვირს გადმო-
ყოფს და ჭარისკაცულ სალაშქრო
მარშს ააჭყვიტინებს. შემდეგ გაღიმი-
ბული მანქანის ძარაში ადის, ქალებს
რიგრიგობით ნაგვით სავსე ჭურჭელს
გამოართმევს, მანქანაში სცლის და უკან-
ვე უბრუნებს.

ქალები ელაზნანდარებიან და დას-
ცინიან, თვითონაც ვალში არა რჩება
და ყველას გაკრავს ხოლმე კბილს.

ბენო პატარა ტანისაა, სახედამან-
ჭული. ახალგაზრდული სიმკვირცხლე
მაინც შერჩენია. თუ შეეკითხებით რამ-
დენი წლისა ხარო, წარბს არ შეიხრის
ისე გიპასუხებთ, ოცდახუთისო. მარტო-
ხელა კაცია, ქალაქის განაპირას ცხოვ-
რობს, იქ, სადაც დასახლება მთავრდე-
ბა და ყვავილოვანი მდელი იწყება.

ბენოს დონ ყუანის სახელი აქვს გა-
ვარდნილი. ეს სახელი მან იმ დროიდან
დაიძვედრა, როცა ჩვენი მშობლები
ახალგაზრდები იყვნენ. მაშინ ბენო მათ-
თან მეგობრობდა, მაგრამ ისინი დაო-
ჯახდნენ, ათასი საქმე და საზრუნავი
გაუჩნდათ, ხანში შევიდნენ. ბენო კი

მაინც ახალგაზრდა კაცს ჩამოკვავს. იგი
ახლა ჩვენი მეგობარია და, ალბათ, მო-
მავალში ჩვენს შვილებს დაუმეგობრ-
დება.

ვინ მოთვლის, ბენოს ქალების გული-
სათვის რა არ გადახდენია თავს! ღამის
თორმეტ საათზე რამდენჯერ მდგარა თა-
იგულით ქალაქის სხვადასხვა უბანში.
გოგოებმა იციან ბენოს სუსტი ხასია-
თი და პაემანს ყოველთვის შუალამისას
უნიშნავენ, ისიც ძალზე გამოსაჩენ და
მოუხერხებელ ადგილას. ბენო სიტყ-
ვის კაცია და არასოდეს გააცდენს ასეთ
პაემანს, სულ ერთია, ზამთარი იქნება
თუ შემოდგომა, წვიმა თუ ქარი. ყო-
ველთვის მოტყუებული კი რჩება, მაგ-
რამ სამაგიეროდ იმ ქალიშვილს, ვინც
ერთხელ მოატყუა, თავის დღეში ახლოს
აღარ გაეკარება და უსათუოდ სხვა
სატრფოს მოძებნის ხოლმე.

ჩამოუგდებენ თუ არა სიტყვას რო-
მელიმე გოგოზე, ბენო ჯერ იმას იკი-
თხავს, ქალიშვილია თუ არაო. გათხო-
ვილებსა და ცუდი ყოფაქცევის ქალებს
ახლოსაც არ ეკარება.

აი ახლაც, მე, ზურაბი და ვაჟა მის
წინააღმდეგ შეთქმულებას ვხლართავთ.

— ბენო, შენ ერთ გოგოს მოსწონ-

ხარ, გიჟდება შენი გულისთვის, მაგრამ თქმას ვერ გიბედავს. გოგოა, პირველად ის ხომ არ აგისხის საყვარულს? — ისეთნაირად ეუბნება ვაჟა, ლამის მეც დავიჯერო.

ბენოს კმაყოფილებით ეღიმება და გვეკითხება: — ქალიშვილია?

— ეგ რა საკითხავია?

— ლამაზია?

— ძალიან.

— მე არ მინახავს?

— როგორ არ გინახავს, აგერ, ჩვენს პირდაპირ, მეხუთე სართულზე რომ ცხოვრობს, ისაა! — ეუბნება ზურაბი და უკადრისა ლიას ფანჯარაზე უთითებს.

ჩვენ ყველას ლიას ჯავრი გვჭირს, რადგან არცერთ ჩვენებულ ბიჭს არ ესალმება.

— ააა, ინჟინრის ქალიშვილი? მეც არა ვთქვი, ვიზე მეუბნებოდით. მამამისს ვიცნობ.

— ხო, იმ დღეს მამამისი გაქებდა, ნამდვილი ვაჟკაცი კაციო. ნეტავი იმ ოჯახს, ვისი სიძეც ბენო გახდებაო, — ამბობს ვაჟა.

— არაა? შენი ყურით მოისმინე, ინჟინერი რომ მაქებდა? — კითხულობს ცოტა არ იყოს დაუკვებული და თან ნა-სიამოვნები ბენო.

— რა თქმა უნდა, ერთად ვსვამდით, — უდასტურებს ვაჟა.

— ის საიდანაა გაიგე, რომ გოგოს ვუყვარვარ?

— თითონ მითხრა: ვგიჟდები, მაგრამ რა ვქნა; ბენო ვერ მამჩნევსო...

— საწყალი! — იცოდებს ბენო უიმედოდ შეყვარებულ ქალიშვილს და ვაჟას ეუბნება: დავწერ ბარათს და პაემანს დავუნიშნავ. გადასცემ?

— არა, ბარათები არ იყოს. რაზან მამამისს იცნობ, სჯობია პირდაპირ ოჯახში მიხვიდე და ქალიშვილის ხელი სთხოვო. ვაჟკაცი კაცი ხარ და ვაჟკაცურად უნდა მოიქცე. ბარათების გაგზავნა მაიმუნობაა.

ბენო ეჭვით ათვალეერებს ვაჟას, შემდეგ ზურაბს.

ბოლოს მე მაქებრდება.

თითოეული ჩვენგანის სახეზე გულწრფელობისა და პატიოსნების გარდა, მათ რაფერს ამოიკითხავთ.

— კარგი, მაგრამ რომ მცემონ?

ადრე ბენოს ამღაგვარი კითხვა არ მოუვიდოდა თავში, მაგრამ მას შემდეგ, რაც სულელმა ვანომ თავის საცოლესა და ბენოზე იეჭვიანა და ბენო მაგრად მიტყება, ჩვენს ღონ უჟანს ნამეტანი სიფრთხილე დასჩემდა.

— რას ამბობ? მაგას ვინ გაგიბედავს? თუ არადა აბა ერთი სცადონ, ხომ გახსოვს, ვანოს რა დღე ვაყარეთ? — ეუბნება ზურაბი.

— როგორ არა, მახსოვს! — ამბობს სახეგაბადრული ბენო, — კარგი, ავალ. ახლავე ავიდე?

— არა, საღამოს, ცხრა საათისათვის ყველანი შინ იქნებიან, — არიგებს ვაჟა.

ჩვენი გეგმა ასეთია: ყოველ საღამოს, ცხრა საათზე, ღია და მისი დღე-მამა აივანზე ვახშობენ. ჩვენ ავალთ ვაჟას დეიდასთან, რომელიც ლიას გვერდით ცხოვრობს, საბაზანო ოთახის ფანჯარას გამოვადებთ და ყველაფერს, რაც ლიას აივანზე მოხდება, ჩვენი ყურით მოვისმენთ.

დანიშნულ დროს მართლაც დათქმულ ადგილას ვიყრით თავს და სეირის მოსასმენად ვემზადებით, მაგრამ ეტყობა ჩვენს გეგმას ისე განხორციელება არ უწყრია, როგორც ჩავიფიქრეთ: ცხრას რომ რაღაც წუთები აკლია, ღია ამხანაგთან ერთად კინოში მიდის. გვინდა „სასიძო“ გავაფრთხილოთ, მაგრამ ვერ ვასწრებთ, რადგან ცოტა ხნის შემდეგ საქორწილოდ გამოპრანქული ბენო უკვე სასიამაჰროს კართან არის ატუზული.

ეს ასე გავიგეთ: ზურაბმა უკვე დააპირა კიბეებზე დაშვება, ბენოს შესასვლელში დახვდებით, რომ ამ დროს ლიას დედა აივანზე გამოდის და ქმარს ეუბნება: — გიორგი, ბენო გვესტუმრა, შენ გკითხულობს.

— რომელი ბენო? — რბილი სავარ-

ძლიდან წამოიწია გიორგი და გაზეთი განზე გადადო.

— აი, ის... ნავის მანქანას რომ დაყვება, დონ ქუანი.

— ჰოო, — ეცინება გიორგის, — უთხარი, შემოვიდეს.

ლიას დედა გაღის და ცოტა ხნის შემდეგ აივანზე მომღიმარი ბენო გამოჩნდება, თვალები ეშმაკურად უციმციმებს.

— ძმაცას სიცოცხლე! — შემოსვლისთანავე ეუბნება იგი ინჟინერს.

— ოო, ბენოს გაუმარჯოს. მოდი, აქ დაბრძანდი. — მხიარულად ეგებება გიორგი სტუმარს და თავის გვერდით სკამზე მიუთითებს. ბენო ჯდება.

— რას გვიბრძანებ? — ეკითხება გიორგი.

ბენო გაჩუმებულია, ეტყობა სიტყვებს ეძებს. შემდეგ კი სერიოზულ სახეს იღებს და მალაღფარდოვნად ამბობს:

— მე, ჩემო გიორგი, მოვედი, რომ ჩემი თავი და თქვენი ოჯახი გავაბედნიერო...

— რაა? — ეკითხება გიორგი, რომელიც უცბად ვერ მიხვდა ნათქვამის აზრს.

სამაგიეროდ, როგორც ქალებს სჩვევიათ, ლიას დედა მაშინვე იგებს ბენოს მოსვლის მიზანს და გულიანად კისკისებს.

— რა და შენს ქალიშვილს ვეყარებივარ და მინდა ცოლად შევირთო, — აუხსნა ბენომ გაოცებულ გიორგის.

— ჰოო, — მხოლოდ ახლა მიხვდა ინჟინერი და გაეღიმა, — საიდან იცი რომ უყვარხარ?

ჩვენ სული გავნაბეთ. მოველით, რომ ბენო გავცემს, მაგრამ მიხვდა, რა სისულელეა! წამოროშა და სწრაფად „ასწორებს“:

— არავინაც არ მითხრა, მე თითონ შეგატყვე თვალბეში.

ინჟინერს კვლავ ეღიმება.

— შეატყვე, არა? აი, თურმე რავგორ ყოფილა საქმე.. ქალო, — ეუბნება იგი ცოლს, — მოიტა, გვაჭამე რამე.

— ოთახში შევიდეთ, იქ გავშლი სუფრას, — უპასუხებს ცოლი და სამივენი ოთახში შედიან.

სეირი დამთავრდა. იძულებული ვართ სათვალთვალო პუნქტი დავტოვოთ.

ორი საათის შემდეგ კი კვლავ ვხვდებით შეზარხოშებულ და გამხიარულბულ ბენოს.

— რა მოხდა, რა გითხრა სასიამომომ, რატომ დიღვიანე ასე? — ზედზედ აყრის კითხვებს ვაჟა.

— რა მოხდა და კარგად ვიქეიფეთ.

— გოგო? გატანენ?

— არა, ბიჭო, საქმე ცოტა სხვანაირად ყოფილა: მაგ გოგოს ადრე ერთი ბიჭი ჰყვარებია. მერე მე შეეყვარებოვარ და ის ბიჭი მიუტოვებია. ახლა თურმე ის ბიჭი თავს იკლავს. მე ასეთ რამეს არ ვიკისრებ, მურმანი ხომ არა ვარ, სხვას წავართვა შეყვარებულნი? რაღა ის საწყალი გავაუბედურო, მაგისთანა გოგონებს რანდენსაც მინდა იმდენს ვიპოვი! — თავდაჯერებულად ამბობს ბენო და ამაყად იღიმება.

სამივეს გვეცინება.

— ვინ გითხრა ეს ამბავი? — ეკითხები.

— ვინ და მამამისმა. თუ არა გჯერა, მიდი და ჰკითხე.—მეუბნება ბენო, გვემშვიდობება და სწრაფი, ახალგაზრდული მსუბუქი ნაბიჯით მიდის შინისაკენ, რომ არხეინად გაიმოტოს მარტოხელა კაცის საწოლზე და ზმანებებს მისცეს თავი. ძილში კვლავ ნახავს ცისფერ ტბაში მობანავე ქალიშვილებს. ქალიშვილები სათითაოდ ჩაიკრავენ თავიანთ მბრძანებელს თეთრ, ქათქათა მკერდში, რათა დილით იგი დასვენებული და ხალისით სავსე შეუდგეს თავის ჩვეულებრივ სამუშაოს.





გოგონა

მოთხრობა

ნაშუადღევს, როცა ვერტმფრენი მზად იყო ასაფრენად, თოვლში სახელდახელოდ გაკვალულ ბილიკზე აეროპორტის მორიგე გამოჩნდა. გვიანი შემოდგომის უფერული დღე იყო. ციოდა. ცას პირი შეეკრა და ტყვიისფრად მოქუფრული იწვა ჰორიზონტზე.

მორიგემ აუჩქარებლად გადაჭრა მინდორი და ვერტმფრენთან მივიდა. ხელში საგულდაგულოდ შეხვეული ფუთა ეჭირა.

— მოიტანეს?

პილოტი კაბინიდან გადმოიხარა და მორიგეს ფუთა გამოართვა.

— როგორ მოიდრუბლა, ეს ოხერი. შენც რომ სადმე ჩარჩე, ხვალ ერთი მარშრუტი უნდა მოეხსნათ, — თქვა მორიგემ, პაპიროსის ნაშუვი ფესხაცმლის წვერით გასრისა და მოედანს გახედა.

— გიორგი ხომ არ დავინახავს?

აეროპორტის უფროსი თბილისში მიმავალი „ილ-12“-ის ეკიპაჟთან იყო.

— ბატონო გიორგი, ვილაც მგზავრი გიცდით.

— ვინ მგზავრია?

— სამგზავრო თვითმფრინავზე დაავიანდა. გაუგია, რომ ვერტმფრენს ვაგზავნით და თქვენ გელოდებით.

— რატომ, აცდევინებთ? ვერ უთხარი, რომ უფლება არა გვაქვს საგანგებო დანიშნულების მანქანას მგზავრი გავყოლოთ?!

— ვუთხარი, მაგრამ არ დაიშალა და ხევით ავიდა, უფროსს მოვუტელიო.

— დაუძახე ერთი, ვინ არის.

ორი წუთის შემდეგ მორიგე უკან მობრუნდა. გვერდით უბრალოდ ჩაცმული ჭალარა მამაკაცი მოყვებოდა, ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა.

აეროპორტის უფროსი შვეულმფრენის პილოტთან იდგა. ფეხის ხმაზე დინჯად შემობრუნდა, ინტერესით აათვალიერა უცნობი. ერთბაშად ენა ველარ მოაბრუნა უარის სათქმელად; ქუდი მოიხადა და თმაზე გადაისვა ხელი.

— ჩვენი ვერტმფრენი არხოტის წყალზე მიდის, ჯიშლაში. გინდათ იქით წასვლა? — ჰკითხა მისალმების შემდეგ.

— მთავარია ქედზე გადამიყვანოთ. ჯიშლაში ცხენს ვიშოვი და დაბინდებამდე შინ ვიქნები.

— რა გაეწყობა... მხოლოდ იცოდეთ, სხვა დროს მეორე დღემდე მოგიწევთ მოცდა.

მერე კაბინასთან მდგომ მფრინავს გადახედა:

— არხოტზე რომ გადახვალ, ჩამოსვი. იქიდან ფეხითაც ჩავა. უცნობმა ღიმილით დაუკრა თავი.

— დიდი მადლობა, გმადლობთ!

— რისი მადლობა! თქვენზე იქნება, — სიცილით დაუმატა უფროსმა.

მფრინავი და უცნობი ვერტმფრენში ავიდნენ.

მორიგემ უკანასკნელად გახედა ჩამობნელებულ ზეცას და გასვლის ნიშანი მისცა.

ვეება ხრახნები ადგილზე შეტორტმანდნენ და წრე მოხაზეს. მერე თანდათან უმატეს ტრიალს. ერთ წამში ვერტმფრენის ირგვლივ ქარი აზუზუნდა, ასფალტიდან წინადღის თოვლი ახვეტა, ჰაერში აიტაცა, კორიანტელი დააყენა...

— აბა, ყოჩაღად... კეთილი მგზავრობა!

შვეულმფრენი მსუბუქად მოწყდა ადგილს, მალა წავიდა და პირი კავკასიონისაკენ იბრუნა.

მგზავრი აეროპორტში ლოდინს გადაეღალა. ნებიერად გადაწვა სავარძელზე. ძილი მოერია. მორიგის მიტანილი ბოხა განზე გასწია, სავარძელში მოხერხებულად ჩაჯდა და ფეხები გაშალა...

უეცრად შვეულმფრენი „ძაბრში“ აღმოჩნდა, წონასწორობა დაკარგა და შეირყა. მგზავრი მძიმედ შეტოკდა სავარძელზე. ფუთა გაცურდა და სახელურს მიეჯახა.

მფრინავი მგზავრისაკენ შემობრუნდა:

— თუ შეიძლება ყურადღება მიაქციეთ. არ გადმოვარდეს და უკან არ მოგვიხდეს გაბრუნება.

უცნობი ვერ მიუხედა, ინტერესით გადახედა ფუთას.

— ?

— დაკონსერვებული სისხლია. მონადირე დაშავებულა ამ დილით არხოტზე. უცნობმა ახლოს მიიწია ფუთა. ხელით მოსინჯა და ზონარში ცერი გაუყარა.

— თქვენ სად მიიჩქარით, ხატობა ხომ არ არის მარტინისკენ?

— არა, მინდოდა დროზე ჩავსული-

ყავი ოჯახში... ბავშვის დაბადების დღეა და მელოდებიან.

მფრინავმა გაზის საკორექციო სახელური თავისკენ მოსწია — სიჩქარეს მოუმატა.

მგზავრმა სარკმელთან გადაინაცვლა.

— ამინდი, მე მგონი, არც ისე ცუდი ჩანს.

— ჯერ ვინ იცის. მეცხვარის ანდაზა ხომ გაგიგონიათ? მთავარი წინ არის — კავკასიონი...

კავკასიონზე რძისფერი ჯანღის ტბა ბოლავდა. ღრუბლებიდან აქა-იქ ამოწვერილიყვანენ თოვლიანი გოლიათები და პირქუშად გაჰყურებდნენ უნაპირო სივრცეს.

მფრინავი ამწე ხრახნის სახელურს მისწვდა. შვეულმფრენი მალა წავიდა და ზემოდან მოექცა მთის დაბეჭკილ ხერხემალს.

— დიდი ხანია ქალაქში მუშაობთ? — ჰკითხა პილოტმა.

— გაზაფხულზე მეოთხე წელი შესრულდება.

სარკმელში მყინვარწვევრის პროფილი გამოჩნდა.

— ალბათ ხშირად გიხდებათ აქეთ ფრენა.

— ხშირად...

უცნობმა თვალი ველარ მოსწყვიტა მყინვარის მაღალ შუბლს.

შვეულმფრენმა მარჯვნივ იბრუნა პირი და მთის ხერხემალს აღმოსავლეთით გაჰყვა.

კავკასიონის გადაღმა ნისლმა იმატა. ნისლი ბოლქვებად მოიწვევდა მალა და ცას აბნელებდა. ძრავის რიტმულ გუგუნს ხრინწი შეერია და თანდათან გაბმულ ხროტინად იქცა. კაბინის კედლებზე წვეთავდა. ერთი წუთის შემდეგ გვერდითი მინები ყინულის თხელი ქურქით დაიფარა.

მფრინავმა შემოყინვის საწინააღმდეგო ბერკეტი მოაბრუნა. ხმაურმა სწრაფად იკლო — ამწე ხრახნის ფრუტუნნი და ხველა ისევ თანაბარმა გუგუნმა

შეცვალა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ იგივე განმეორდა. მერე გულის გამაწვრილებელი ჭრიალი მოისმა, თითქოს რაღაც მოედო და ძალით აჩერებდა ვება ნიჩბებს...

მოულოდნელად ხროტინი სულ შეწყდა. შეველმფრენი შეტორტმანდა, ძირს დაქანდა... მგზავრის ჩემოდანი იატაკს დაენარცხა. საბედნიეროდ გუგუნი იმავ წამს განახლდა და ვერტმფრენი კვლავ გასწორდა ჰაერში...

მფრინავმა უკმაყოფილოდ გაიქინია თავი. უცნობი მიუხვდა.

— დაბრუნებას მაინც ვერ მოვასწრებდით.

მფრინავს არაფერი უთქვამს, მხოლოდ სახის ნაკეთები შეურბილდა.

— მალა რომ ავიდეთ?

— მეტი რა გზაა, კიდევ უნდა გვალოდო.

მფრინავი საჭეს მოეშვა და ამწე ხრახნის სახელური მოსწია. ნისლიან ცაში, ამაყად ატყორცნილი ვერცხლისფერი მწვერვალების პირისპირ, შეველმფრენი ციებიანივით აძიგძიგდა. პილოტმა ბოლომდე გადასწია გამშვები ბერკეტი, მაგრამ ძრავამ სული ვერ მოითქვა — ზევიდან ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხროტინი მოისმა, მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა...

სადაც, ძირს, კლდოვანი ტინებით დასერილი კავკასიონი გამოჩნდა. მგზავრმა შიშით გახედა სიმაღლის მზომს. მხოლოდ ასი მეტრილა აშორებოთ მიწას, ოთხმოცდათხუთმეტი, ორმოცდაათი... მერე ისევ ახმაურდა ძრავა.

უცნობის თვალწინ გორაკებით დასერილი ტაფობი ვიშალა, მაგრამ ზევიდან კვლავ გულის გამაწვრილებელი ჭრიალი მოისმის...

პილოტმა ყურმილები მოირგო:

— ენგური, ენგური! მე ალაზანი ვარ, ენგური!

— ჯდები?

ჰკითხა მგზავრმა. მფრინავმა პასუხი ვერ მოასწრო — ყურმილებიდან შიშინი მოისმა.

— ალაზანი ვარ! ამხანაგო ლეიტენან-

ტო, ხუთი-ექვსი კილომეტრი დაგერჩა... ხრახნი გაიყინა. იძულებულად დაეჯდებოდა.

შეველმფრენი ტორტმანებს და ისე მიიწვეს წინ, მაგრამ აშკარაა რომ შორს ვერ წავა — მანძილი მიწამდე ყოველ წამს მცირდება.

ორი წუთის შემდეგ ვერტმფრენი თოვლზე იჯდა. მფრინავმა მართვის სახელური დაუშვა და ჩაიციანა:

— ესეც ასე; მოვედით!

მერე კაბინის კარი გამოაღო და ხრახნებს გახედა.

— თითის სისქეზე აქვს ყინული გადაკრული. ეს ამინდიც იმისი ბედი იყო?!

კარი მიხურა და სავარძელზე გადაწვა.

— თვითმფრინავი რომ გამოავაზებონ?

მფრინავმა ფუთას თვალი მოარიდა, უკმაყოფილოდ ჩაიქინია ხელი:

— ნისლი სამხრეთით იწვეს. ალბათ ჩვენამდეც ვეღარ მოაღწევენ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— სადა ვართ ახლა, შორია სოფლამდე? — იკითხა უცნობმა.

მფრინავმა ტოპოგრაფიულ რუკას დახედა.

სადაც ამ კვადრატში უნდა იყოს.

მგზავრი ახლოს მივიდა რუკასთან. ნაჩვენები წერტილის ჩრდილოეთით არხოტის მთიანეთის მთავარი ქედი გაწოლილა, მარცხნივ, დაახლოებით სანტიმეტრნახევარზე, სოფელი არხოტი მოჩანს, მარჯვნივ, მეორე კვადრატის საზღვართან — ჯიმლა.

— ფეხით რომ წავიდე?

— მე მგონი აჯობებს, არხოტამდე სამი კილომეტრი თუ იქნება.

— არხოტში არა. ეს რომ წავილომეთქი ჯიმლაში. თქვენ ხომ ვერ დატოვებთ მანქანას.

მფრინავმა კვლავ რუკას დახედა.

— შეძლებთ?

— რაც არ უნდა იყოს, აქა ვარ გაზრდილი.

— კი მაგრამ... ამ ბოლო დროს თუ გივლიათ მთებში?

მგზავრმა თავი გააქნია.

— სხვა გზა რომ არ არის?

მფრინავმა საქმიანად აათვლიერა უცნობის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები.

— რა ზომასა ხმარობთ?

— ორმოცს, ორმოცდაერთს...

პილოტმა ბეწვისყელიანი ჩექმა გაიხადა.

— ცოტა დიდი მოგივათ, მაგრამ უკეთესია, თბილად იქნებით. ჩაიცვით, ჩაიცვით... შეიძლება მუხლამდე თოვლში მოგიწიოთ სიარული.

მგზავრი ჩამოჯდა და ფეხსაცმელზე ზონარი შეიხსნა.

— თქვენ აქ უნდა გაათოთ ღამე?

— თუ საღამომდე ნისლი არ გაიფანტა, სხვა რა გზაა.

— ამას სულ წაიღებთ, თუ ნაწილი დავიტოვო?

— დაიტოვეთ, რაც არ უნდა იყოს, მთა არის.

მფრინავმა ბოხჩა გახსნა, რამდენიმე ქილა ამოიღო, გულდასმით შეახვია და უცნობს მიაწოდა.

— თქვენი სახელი მაინც მითხარით. იქნებ კიდევ შეგხვდეთ ერთმანეთს.

უცნობმა გაიღიმა და ხელი გაუწოდა.

— ვახტანგ თამარაძელი.

— თენგიზ მჭედლიშვილი.

შვეულმფრენის წინ უკანასკნელად შედგნენ.

— რომელი საათია?

— ხუთის ნახევარი.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად. ყოველი შემთხვევისათვის რაიონშიც შევატყობინებ, იქნებ ვინმე გამოაგზავნონ თქვენს შესახებდრად.

ვახტანგი მარტო გაჰყვა ხეობას. მსუბუქად მიდიოდა, პაპიროსს აბოლებდა და მოჭუტული თვალებით სივრცეს გაჰყურებდა.

ფერდობი მარდად აიარა, შედგა და უკანასკნელად მოხედა ვერტმფრენს... პილოტი ისევ კაბინასთან იდგა, ხელს უქნევდა. მანაც დაუქნია ხელი. ერთი წუთის შემდეგ ვერტმფრენი ტაფობში ჩაიმალა.

პირველად ყველაფერი ზღაპარს წაა-

გავდა. თოვლიანი მთები, თეთრად მოჩადრული ვეება ლოდები, სტალკტონების დებივით ამართული ყინულის ლოდები...

მთებმა ახალგაზრდობა გაახსენა ვახტანგს. თითქოს დიდი ხნის განშორების შემდეგ ძველი, ბავშვობის მეგობარი ნახა. ხალხით მიბაძეებდა მუხლებამდე ნამქერში და ხმალაბლა ბუტბუტებდა.

წამით ერთ ხესთან შედგა — პატარა, კანდაშაშრული იელი ოთხად მოეკეცა თოვლის სიმძიმეს. ვახტანგი ბილიკიდან გადავიდა, მცენარეს ფეხი წაჰკრა და შებერტყა, თუმცა იელი ისევ მოხრილი დარჩა.

ვახტანგი დაიღალა. მუხლი აღარ ემორჩილებოდა. სუნთქვა უჭირდა. ფერდობი აათავა და შიშველ თხემზე სულის მოსათქმელად შედგა. „ეტყობა წლებს მაინც თავისი გააქვთ, უწინ მთელ დღეს მივლია და ასე არ მომნატრებია მუხლის ჩახრა“.

იდგა და ჩაფიქრებული გასცქეროდა დათოვლილ ხეობას. მოულოდნელად უცნაურმა გრგვინვამ შეძრა იქაურობა. გაღმა ფერდობზე საშინელი ზათქითა და ხრიალით მოექანებოდა თოვლისა და ღორღის უზარმაზარი გროვა.

ვახტანგი მონუსხულივით გაჰყურებდა არხოტის ფრიალო კალთას, ვიდრე ზევაი გრიალით არ ჩაჰწვა ხევში და ისევ სიჩუმემ არ დაისადგურა. მერე პაპიროსის ნამწვი შორს ისროლა, ფუთა ილიაში ამოიღო და წავიდა.

მზის ჩასვლისას ნიავმა დაუბერა, ნიავმა თანდათან იმძლავრა, მთებზე შეფენილი ნისლები აწეწა. გაძნელდა სიარული. ნახევარი საათია წელამდე თოვლს მიარღვევს; არ იქნა და არ გამოჩნდა სოფელი.

ბოლოს მაღალმა წარაფმა გადაუღობა გზა. ციცაბო კალთას მხოლოდ ერთი, ძნელად შესამჩნევი ღარი აჩნდა. „აღბათ აქედან თუ ადიან ხოლმე მონადირეები“...

ვახტანგი მძიმედ აპყვა წვიმის წყლებით ირიაზად გაჭრილ ღარს, ფრჩხილებით ეჭიდებოდა კლდის გამოწვევებს და ფრთხილად მიიწვედა თხემისაკენ. შუამდე იქნებოდა მისული, რომ ფეხი დაუცდა, თავი ვერ შეიკავა და ტყვია-ნაკრავით მოწყდა ადგილს...

ტკივილმა გამოათხიზლა. მხრებში სტეხდა. ყინვა ტანში გასჯდომოდა და გონებას უნისლავდა. წამოდგა. ისევ მოიკრიბა ძალა და ფორთხვით აპყვა თავის ნაკვალევს. ორჯერ შეისვენა, ვიღრე თხემს მიაღწევდა, შედგა, მკერდში სისხლის გამყინავი სიცარიელე იგრძნო — ირგვლივ თოვლიანი ქედების უსასღვრო ერთფეროვნება გაშლილიყო; სოფელი არსად ჩანდა — გზა არეოდა.

ფიქრის დრო არ იყო. ბინდებოდა, რუხი ჯანლი მხრებამდე ჩამოსწოლოდა კავკასიონს და ახლა უფრო ქვევით მოიწვედა.

ვახტანგი გამოერკვა; იქაურობა მოათვალიერა, ხელი ჩაიქნია და თავქვე დაეშვა.



ყინვა გაძლიერდა. თოვლიანი კილომეტრები ავბედიდად იხლართებოდნენ არხოტის კალთებზე.

— ალბათ იმათაც გადაიწყვიტეს ჩემი იმედი. ამდენხანს აბასოდეს დამიგვიანია, თანაც რა დროს.

ვახტანგს ყურებამდე ჩამოეთხატა ქული, გამწარებული მიიკვლევდა გზას მუხლებამდე ნამქერში და თვითმფრინავზე დაგვიანებისთვის ხმამაღლა ლანძღავდა თავის თავს.

— რაღა ფასი ექნება დილით ჩასვლას? შუადღისას ხომ უნდა გამოვბრუნდე კიდეც... არა, ვიცოდე მაინც ვინ არის, რა კაცია.

გამეტებით გაჰკრა ფეხი ბექობზე წამოყუდებულ ტინს და ხრიალით გადაუშვა ხევში.

„ნეტავი თივის ჩამოტანა თუ მოასწერეს. შარშან მთაში დარჩათ ნახევარი და კინაღამ დაეშვათ საქონელი. ვერ იქნა და ვერ მოვახერხე, ორი-სამი

დღით ჩამოვსულიყავი და ხელი წამებ-
მარებინა მოხუცებისათვის... ისევ ნე-
კომ თუ არ იყოჩაღა, არაფერი გამოვიყენებ
გაიარა კიდეც ერთმა საათმა. ჩამობ-
ნელდა. მგზავრი წვალეებით მიიკვლევდა
გზას, ცდილობდა არაფერზე აღარ ეფი-
ქრა. გაოგნებული იყო. ქარის ზუზუნში
ძლივს გაიგო ვიღაცის ხმა.

— ექვ-ჰე-ჰეი!

ვახტანგი გამოერკვა, აიხედა და... გულზე მოეშვა. შორს სერზე ვიღაც იდგა, ხელს უქნევდა და რაღაცას ანიშნებდა. მის უკან, ფერდობზე, მოზრდილი სოფელი გაშლილიყო.

ნაბიჯს უმატა. დამზღვური ვეება, ჩასხმული ხევსური აღმოჩნდა, ჭრელი შინაქსოვი ჩოხა ეცვა, წელზე მამა-პაპური ხანჯალი ერტყა.

— გამარჯობა!

— ღმერთმა გაგიმარჯოს!

— ის რა სოფელია, მთაზე, ძმობი-
ლო.

— ახიელს ეძახიან. შენ საით მიდი-
დი?

— ჯიმაღში მივდიოდი, მაგრამ გზა
დამეხანა.

— ისიც აქავა, არხოტის წყალს გალ-
მა. ჯიმაღში რა საქმე გაქვ?

— შენი სახელი?

— ხადილას მემძახიან, არაბულთ გვა-
რიდან.

— სისხლი მიმაქვს, ჩემო ხადილა, საავადმყოფოში. ქალაქში დარეკეს, ვიღაც მონადირე დაუგლეჯია ნადირს. იქნებ იცნობდე.

— უთურგას ვინ არ იცნობს: თემჩა ერთი ყანწ არაყ არ შაისმის, რომ მაგის სადღეგრძელოც არა თქვას ვოყებმა. აქეთ საით მოხვდი?

— ვერტმფრენი გაგვიფუჭდა და ფეხით გადმოვედი მოკლევზე. სოფელში მიმყევი, იქნება ცხენი მაშოვნინო და კიდეც ჩავუსწრო.

— რაი თხოვნა გინდა? ცხენსაც გინახავთ და მანქანასაც.

ხევსურმა გულისყურით აათვალიერა უცნობის სველი ტანსაცმელი.

— მერედა ამ კლდე-ღრეში საით გად-

შოხვედი შენი ხნის კაცი. უფრო ჯეელი
ველარავინ ნახეს?

— მე რითი ვარ იმათზე ნაკლები?

— ნაკლები რას მიქვია, მაგრამ მთა
უნდაო. კაცის სახე კი აღარ ვადევს და...
ხადილამ პაპიროსი ამოიღო.

— არ მოსწევ?

— არა. შენ საით მიდიოდი, ჩემო ხა-
დილა.

— აქვე, სოფელში. პატარა პურობა
აქეთ ბიძაშვილთა — ვაჟი შეიძინათ.

ფერდობი ჩაიარეს და გაივაცეს.

— არ ვიწყენენ, რომ დაიგვიანებ?

— რაისთვინ მიწყენენ. საკაცო საქმე-
ზე ვარ, საავკაცოს ხომ არაფერს ვიქ.
აქეთ წავივლით, გიორგისთან მივივლით
საბჭოში.

ქუჩა გაიარეს და ლურჯ აივნიან შე-
ნობას მიადგნენ. ხადილამ კიბე აირბინა
და კარი შეაღო.

გიორგი შუახნის ჭადარა ხევსური აღ-
მოჩნდა. ვახტანგს შეეგება, ხელი ჩამო-
ართვა.

— სატვირთოთი მოგიხდებოდა წასვლა;
„კოლხოზნიკს“ საბურავები შემოგვიცე-
და და სანდობი არ არის ასეთ ამინდში.

მერე არაბულს მიუბრუნდა:

— ბალიაურებთან გადაირბინე, ხადი-
ლა, უთხარი მანქანა გვკვირდება-თქო.

ვეება ხევსური მძიმედ დაეშვა კიბე-
ზე.

— გივიას უთხარ, არ იწყინოს, საქმე
არ იცდის-თქო.

მერე ისევ ვახტანგს მიუბრუნდა:

— ქალს ათხოვებენ ვალმა სოფელში
და იმათ მივეციტ მანქანა. მაინც თქვენ-
სკენა აქეთ გზა, ჯიმაზე უნდა გაიარონ.

— ჯერ რომ მე წავეყვანე? ლხინს
ხომ არ ჩავამწარებ იმ ხალხს.

— იქნება ეგრეთა სჯობს, მაგრამ გაწ-
ვალდება ბიჭი. ჩვენც წავივლით, თორემ
ვინ იცის, როდის აიშლებიან, ავაჩქა-
როთ.

შუკა გადაჭრეს და ქვის ძველებურ,
ორსართულიან სახლს მიადგნენ, საიდა-
ნაც მთვრალეების ხორბოცი და სიმღერა
ისმოდა. იქვე საბურავებზე ჯაჭვებდახ-
ვეული „გაზ-50“ იდგა.

სტუმრებს მოხუცი სახლის პატრო-
ნი ჩამოეგებათ. ცალ თვალზე ლიბო
გადაპკვროდა.

ვახტანგმაც მოუბოდიშა მოხუცს, ბე-
დნიერ დღეს ავაფორიაქეთო.

— რა ვაქვს საბოდიშო, შეილო. სალ-
ვთო საქმეზე დგახართ. ჩვენ უნდა გვა-
პატიო, რომ ვაგვიანებთ.

ქალებმა პატარა მაგიდა ჩამოიტანეს
ეზოში. შინახანი არაყი, პური და ძრო-
ხის ცივად მოხარშული ხორცი დადგეს
ხონჩებით. მერე გარმონის ჭყვიტინიც
გაისმა და ნეფე-პატარძალს ქვის ვიწ-
რო კიბეზე მდლდ და ეჯიბი ჩამოუძღვ-
ნენ.

ეზოში გაშლილი ხევსურები ყიყინით
შეეგებნენ ახალშეუღლებულებს. ყვე-
ლამ მაგიდასთან მოიყარა თავი. ოჯახის
უფროსმა ყანწი შეავსო და თავად მი-
ართვა საპატიო სტუმრებს.

ვახტანგმა მადლობა მოახსენა, კერა
დაულოცა და ნეფე-დედოფალი ადღე-
გრძელა; სულმოუთქმელად გამოცალა
ყანწი. ტანში სასიამოვნო სითბომ დაუ-
არა. მერე ერბოში გამოიქცვარ ლავაშ-
სა და მეკრდის ნაჭერს მისწვდა.

ერთ წამს მასაც გადააეიწყდა, რომ
გზაზე იდგა. ირგვლივ მთვრალეების ყა-
ყანი ისმოდა. ხელიდან ხელში გადადიო-
და ჩქიფზე ავსებული პატარა ყანწები.
მალალი, ქერა ხევსური, რომელიც მდა-
დეს გვერდით იდგა, უნიათოდ აპარპა-
ლებდა არყით მორღვეულ ჩხია თვა-
ლებს და დაბალი, ხრინწიანი ხმით თა-
ვისთვის დუღუნებდა.

ვახტანგმა წასვლა შეაჩვენა სახლის
პატრონს. ახმაურდნენ ბალიაურები.
მოხუც დედაკაცს კაბინაში დაუთმეს
ადგილი, დანარჩენი ქალები ძარაში მო-
თავსდნენ. კაცთაგან კი არავინ დაძრუ-
ლა ადგილიდან. სტუმრები ხელდახელ
სცილიდნენ სავსე ყანწებს, ალავერდს
გადადიოდნენ ერთმანეთთან.

ახლა გიორგი მივიდა მასპინძელთან.
თამადამ სიტყვა არ დააცალა, ყანწი შე-
ავება. მერე ჩხიათვალეებიანმა ხევსურმა
იდროვა, მკლავეზე ჩამოეკიდა და სიმღე-
რაში აიყოლია.

გიორგის თავად აელო სასმისი, ახალ-
გაზრდების სადღეგრძელოს სვამდა.

—ვაჟის მაყრებო, მუდამ ვაჟის მაყ-
რებიმც იქნებით. ღმერთმა გაგიმარჯოთ!
ქალის მაყრებო, დღეს დის მაყრები
ხართ, ხვალ ვაჟის მაყრებიმც იქნებით!—
გადაჰკრა და ამაყად გადაისვა ხელი ულ-
ვაშზე. მერე ისევ შეავსო ყანწი, საპატოო
სტუმარს მიართვა — ახალგაზრდებს გზა
დაულოცეო.

ბოლოს, როგორც იქნა, ავიდნენ მან-
ქანაზე. უკანასკნელი ხვევნა-კოცნა, თო-
ფების გრიალი და დაიძრნენ კიდევაც.

მოხუცი ხვესურები დედოფლის მშო-
ბლებთან ჩამოსხდნენ კიღობანზე. ვა-
ჟის მაყრებით გარემომორტყმული პა-
ტარძალი ღიმილით შეათვალიერეს.

— აჰუ, თქვენს საქმესა, ახიელენო,
რა ქალი წაგვართვეს! — ველარ მოითმი-
ნა მოხუცმა ბერდიამ.

— აჰით უკეთესებს წამავიყვანთ, ძიავ.
გული არ გაიტეხო.

— ლელაია რაა. ისეთ ქალშავას ქორ-
წილი გაჰამო.

ერთმა დედაკაცმა მკერდში ჩაიკრა
მჯალი:

— ჰაი დედასა, ვინ გამოზარდა და
ახლა ვინ ურჩევნია თავსა!

— რას იზამ, ჩემო მხისავ, განგებას
ასე დაუწერია ქვეყანა. შენც ასე იყავ
და სხვაც ასე იქნები! — გადმოსძახა
შუახნის მამაკაცმა. მერე ჩანგურს მის-

წვდა, ჩაჰკრა ერთი-ორი, ჩაჰკრა და და-
სძახა:

უყურე ქალაშავასა, ქმარი ირჩივა მამასა.
რისთვი გაგზარდა დედამა, ვირწევდა
აკავანასა.

არც გავუზრდივარ დედასა, არცად მეტყოდა
ნანასა,

მიმაგდის ბნელო კუთხეში, თავად
ჩაუწვის მამასა.

„ნუ სტირი, შვილო, ნუ სტირი“, იქით
მეტყოლის ამასა.

საერთო სიცილსა და ხარხარში საპა-
ტარძლოს დედამ კარგა გვარიანი მუჯ-
ღუგუნე უთავაზა მეჩანგურეს, რომელ-
მაც კიდევ მოიმარჯვა ჩანგური და მთი-
ულურზე გადავიდა.

მთვრალი მაყრები წრეში გადაეშენენ.
დანარჩენებმა ტაში დასცხეს და სიმღე-
რა ააყოლეს.

მანქანამ თანდათან უმატა სისწრაფეს,
გაყინული ქარი შემოაგება მგზავრებს.
ვახტანგმა თვალემაძე ჩამოიფხატა ქუ-
დი, პალტოს საყელო წამოიწია და ჩათ-
ბა.

მაყრები არ ცხრებოდნენ, ცდილობ-
დნენ წრეში გადაეტყუებინათ ერთ-
ერთი ქალიშვილი.

„გაზ-50“ გუგუნით მიაპობდა ხეობაში
ჩაწოლილ სიბნელეს. უსტვენდა ქარი.
ფარების სინათლეზე თეთრი ფანტელე-
ბი ცეკვავდნენ.



თეიმურაზ ოქადაშვილი

ა რ ს ე ნ ა ს

წისლივით მთა-მთა ვიარე
და მივატოვე შორეთი,
შენი ძახილი მესმოდა,
შენს ნასახლარზე მოვედი.
ხავსიან კედლებს ვემთხვიე,
ზეცას გავენდე მარაბდის,
ჩვენს ბუღეს მკერდში ჩავეკარ,
ვაჟკაცი ცრემლებს ვმალავდი:
გახსოვს, რომ დაგვაწიოკეს,
წელში ვერ გავიმართენით,
დავიფანტენით ვინ საით,
ბუღემოშლილი მართვენი,
ვინ კახეთს ეძმო, ვინ ქართლში
ეპოვეთ ცხოვრების სახსარი,
მათი ხმლის ელვას მოვყავარ,
ნერგი ვარ მათი ნასხლავი,
შენი კერიის ნაცრიდან
ღველფი ვარ თვალაჩენილი,
ფოთოლი — გვარის ბერმუხის,
ქარიშხალს გადარჩენილი;

კენჭი ვარ შენი საძირკვლის
ქვას დაბჯენილი ფუძითა,
ყლორტი ვარ ამონაზარდი
წაქცეულ მუხის კუნძიდან.
ნამგზავრს და ღამენათევარს,
მოდი, მომხურე ნაბადი,
მხარზე დამადე მარჯვენა
მიმეჭირგადანახადი.
შემაჯანჯლარე, შემაკრთე,
ცხენს არ შემეწყდეს ალვირი,
მომმადლე შენი სიუხვე
კაცობით, პურით და ღვინით.
მიმაგდე ტალღას, გაგივალ,
ოლონდ, მზე სხივებს მიშენდეს,
თუ ჩავიმუხლე მორევში,
მარჯვენას გამომიშვერდე;
წამომართულო კლდესავით,
შუბლი არ მოგენისლება,
მშობელი მიწის ღალა ხარ,
მაშვრალი კაცის ღირსება.



ნეგზარ სარქველი



მოთხრობა

მანქანა ტალახიან ვიწროზე გავიდა, ბარდებში ჩახლართულ იელის ბუჩქებს შემოუარა და გაჩერდა.

— თოხები გადმოყარე! — კაბინიდან ამომძახა მამაჩემმა.

სასუქით საცხე ძარიდან ჩაის პლანტაციამდე აბიზინებულ ყანებს გავხედე; არ ვიცოდი, რომელი იყო მამაჩემის ნაკვეთი და კაბინასთან მივედი.

— იქ დამიცადე, — მამაჩემმა სადრენაჟო არხის ნაპირზე ამოსული ჩქოლები დამანახა, — სასუქს ჩამოვარიგებთ და...

— კარგად იყავი, — ვეუბნები მძლოლს და მივდივარ. ბილიკი შავად მიიკლაკნება სიმინდში. ნამიანი ფურცლები მასველებს. ფესსაცმელს მიწა ეკვრის. ღამით იწვიმა და ვინ იფიქრებდა, თუ ასეთი დილა გათენდებოდა. ცა მოწმენდილია, კრიალა; ქარი არ ქრის, მიწის სუნი დგას და საცაა მზეც ამოვა. თითქოს ხალისიანად უნდა ვიყო იმ ამბის შემდეგ, მაგრამ ძილი... ქუთუთოები დამიმძიმდა, სიზმარივით მახსენდება გაშლილი სუფრა, წვიმის წვეთებით შემძივებული ფანჯრები და გაჩახჩახებული ჭალი...

ძლივს მივლასლასდი ჩქოლებთან, თოხის ტარზე ჩამოვჯექი და...

— ჰე! — ჩახველა ვილაცამ და რული გამიფრთხო... მამაჩემი წამომდგომოდა თავზე.

— საიდან გაჩნდა? — ძილღვიძილში ვაცეცებდი თვალებს და ვერ მივმხვდარიყავ.

— აქედან დავიწყით! — მამაჩემმა თხმელას ტოტი ჩამოატეხა, საგზლით საცხე აბგა ჩამოჰკიდა, ხალათი გაიხადა, თავზე გადაიფარა და, სიმინდს ფესვი არ დაეუზიანო, ფრთხილად შეაპარა. თოხი. მერე უფრო თამამად მიჰყვა.

ოფლი ღვარად ჩამომდის. სიმინდის მახვილი ფურცლები ყელზე მეხვევა და მსუბუქად მკაწრავს. მუშაობას გადაჩვეული კუნთები მეწვის. ერთი სული მაქვს, ბოლომდე როდის ვავიტან და მოვისვენებ, მაგრამ სვრელი ისე დაგრძელდა, ისე გოჯი-გოჯ მივიწვევ წინ, აღარ მგონია, საშველი თუ დაადგება.

ხანდახან მამაჩემის მზერას წვაფყლდები, — საოცრად მეტყველ მზერას; დაღლა წამსვე მავიწყდება და მიწას ჯიქურ ვაწყდები, იქნებ არ შემაჩეროს, იქნებ არაფერი მკითხოხ-მეთქი... დილით დღას უჯავრდებოდა: გააღვიძე, შუალამე-

დე ლობე-ლობე რომ დაწანწალებს, ახლა ყანაში მომეხმაროსო.

— უი, რას ამბობ! — შეიცხადა დედამ, — ვინ იყო, თუ იცი?

— რა ვიცი, ვინ იყო! — უქმებად უბასუხა. მერე მანაც წაიდუღუნა. დედა აჩურჩულდა და ვერაფერი გავიგონე.

ირბი სხივები ძალას იკრებს. მიწას ორთქლი ავარდა, მლე ვაშრა და მარგვლაც გაადვილდა. თოხის პირი თავი-სუფლად დასრიალებს, მიწა აღარ ეკვრება, აღარც ფეხსაცემის ეკვრება მიწა, მაგრამ ქანცგამწყდარი ლამის ჩაეჭდე.

შუადღისას ისე ჩამოცხა, სული შემეხუთა. დაწყებული სვრელი ძლივს გავიტანე.

...კარვისკენ მიმავალ ბილიკს დავადექით. მამაჩემი წინ მიდიოდა, გაფიცებულ ბილიკზე თავდაჭერებული მიიჩქაროდა, დაღლა არ ეტყობოდა.

„კარავში მეტყვის!“ — ვფიქრობდი და მამის ზურგს ეჭვით ვათვალიერებდი. დაჭაობებულ ადგილებში ამოსულ ჩქოლნარს მიეუახლოვდით. იქვე, პატარა ბუჩქობთან, წყარო ამოდიოდა. თითქოს სიტხეს ემალეობო, ჩქოლების ჩრდილში შეგუბებულოყო. გახურებულ სახეზე წყალი შევისხი და კარავს მივაშურე. კარავი ძველი იყო, იელის წყნელით ამოწნულ ფარდალა კედლებში ნიავი მოძვრებოდა. სიგრილე სალმუნით მომედო სხეულზე, სახსრები მომიშალა. სკამლოგინზე მიწოლა და ძილი ყველაფერს მერჩიენა, მაგრამ მამასთან საუბარს ველოდი და ვფხიზლობდი.

— დაჯექი, — მითხრა მამაჩემმა და საგზალი ამოაწყო. სკამლოგინის კიდეზე უხერხულად ჩამოვჯექი, მეგონა, მომჩერებოდა და ნელა გვაპარე ხელი, ხმაიანს მივატეხე.

უხმოდ დავნაყრდით.

მამაჩემი კარვის მიღმა იყურებოდა.

— იცანი? — მოულოდნელად მკითხა და მეზობელ ნაკვეთზე მანიშნა. ყანაში წახრილ ზურგს მოვკარი თვალი. სახეს გვიმრისაგან გაკეთებული გვირგვინი უფარავდა, სიმინდს სასუქს აყრიდა.

— არა... — ვთქვი და თვალი მოვარიდე.

მამაჩემს გაეცინა, საგზლის ნარჩენებში აბგაში ჩააბრუნა, ერთხელ კიდევ გახედა ყანას, თავი გადააქინა, ხმამაღლა დაამთქნარა და სკამლოგინზე გაწვა.

„რატომ არაფერი მითხრა?!“

ხმელ, გატრუსულ მიწაზე გავიშოტი და ხელები თავქვეშ შემოვიწყვე, დროდარო თავს წამოვწვედი, იმ კაცს ვაკვირდებოდი.

„ვინ არის ნეტავ? ვინ უნდა იყოს?“ მერე ცნობის წადილი თანდათან გამინელდა.

ძილში რალაცამ მიკბინა. ხალათი გავიძვერე და დავფერთხე, ჭიანჭველები დამსეოდნენ. საოცარი ჭიანჭველები იყვნენ, — შავ-შავი და ღიანი; გატრუსულ მიწაზე ჯგროდ დაცოცაიდნენ. ნაკბენი წყაროს წყლით მოვიბანე და კარავში შევბრუნდი. მამა გაღვიძებული დამხვდა.

— მზე გადახრილა, — თქვა და წამოდგა.

მოჭრილი ბალახი დამჭკნარიყო. მიწას ზული ასდიოდა. ხვინჯაზე თოხები აწკრიოდა. მამაჩემმა არ გამასწროს-მეთქი, დავიძაბე, მხარდამხარ მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ ამაოდ, — მუყაითად დაასრიალებდა თოხს. დაწვეა მიძნელებოდა, ბევრგან ვტოვებდი მოუჭრელ ბალახს, დავეწიე და მერეც ვიცუღულუტე. შემამჩინა, უკმაყოფილოდ გადმომხედა, ჩემი დატოვებული გლერტა ამოძირკვა და მზის გულზე დააგდო.

საკმაოდ გრძელი სვრელი გავიტანეთ. მეგონა ახალს დავადგებოდი, მაგრამ თოხი გამომართვა, არსზე გადახლართულ ბარდებში შეაცურა.

— ცოტა კიდევ გვემარგლა, — გული მწყედებოდა, რომ იმ „ამბავზე“ არაფერი მითხრა.

— ჩაიში უნდა წავიდე, — ჩაილაპარაკა და თავისი თოხიც დამალა.

— ხვალაც წამოვალთ?

— კი, ხვალ მოვთავებთ, — მითხრა და იქით გაიხედა, საითკენაც უნდა წასულიყო. მერე გზას დააკვირდა. სასუქს



რომ აყრიდა, ის კაცი შინ მიდიოდა. მამამ ჩახველა, შემსუბუქებული აბგა მომაჩეჩა და წავიდა.

სამანქანო გზა აღარ იყო ტალახიანი. მივდიოდი და ქვესავით კოლბოხებზე კისერს ვიტეხდი. არც წინ მიმავალი კაცი ჩანდა წელგამართული. მოთენთილ სნეულს ძლივს იმაგრებდა. მიხდოდა წამოვწეოდი, იქნებ მეცნო ვინ იყო, მაგრამ აჩქარების თავი აღარ მქონდა და ვბრაზობდი. ვბრაზობდი ყველაფერზე და ყველაზე. მამაჩემსაც ვუბრაზდებოდი, იმ კაცსაც და... უეცრად გადაუხვია ყანიდან, თოვი დაითრია, თოკს კისერგადადრეკილი, ენაგადმოგდებული ძროხა გამოჰყვა.

— მომეხმარე, ბიძი, დაარტყი ამ სამგლეს!

„სანდრო“, — გავიფიქრე და ძლივს მოვახერხე, რომ ძროხისათვის დამერტყა.

— ყანაში შესულა? — გვიან წავილულლულე.

— შესულა, — მახლობელ ჩქოლასთან ბორძიკ-ბორძიკით მიიყვანა და მიაბა. — ყანა სხვა კოლექტივისაა, მაგრამ სიმინდი სიმინდია!

ძროხა აალოზე ისე მიებათ, რომ სიმინდს ვერ მიწვდენოდა. პალო ალბათ დამპალი იყო და აღვილად მოუტეხია.

— ვისია, თუ იცი! — ძროხაზე მანიშნა, — აჰ, შენ არ გეცოდინება. ამბაკოს ბიჭი ხარ, ხომ?

— კი ბატონო.

— გამარჯობა შენი! — ხელი ჩამომართვა, დაყოჩილი თითები მაგრა მომიჭირა, — ამბაკო სადაა?

— ჩაიში წავიდა.

— ჰოო, — ცხვირსახოცი ამოიღო, სახე შეიმშრალა, — სასუქი მოვაყარე და... შენ როდის ჩამოდი, ბიძი? — მკითხა და გზა განაგრძო. მერე უხმოდ მივდიოდი. ხანდახან გადავხედავდი, ხომ არაფერი იცის-მეთქი, მაგრამ „საიმისოს“ ვერაფერს ვატყობდი. ხილზე რომ გადავედი, აგრილდა. ორღობეში კი უფრო ხალვათად ვიგრძენით თავი. აქეთ-იქიდან ეზოს ძაღლები გვიყეფდნენ. თვალსაწიერზე არავინ ჩანდა.

ჭიშკარს მივუხლოვდი.

— ჩამოუხევი, ბიძი!
— აჰ, არა ბატონო! — ვიუხუხუხებოდა რამ არ გამივიდა, ხელი ჩამავლო.

— შემოდი, შე კაცო, უცხო ხომ არა ვართ, მე და მამაშენი... — ხელს არ მიშვებდა, მეწეოდა. არც ის გამივიდა, რომ წუხანდელი ნაჭიფიარი ვიყავი და ღვივნის დაღვევა არ შემემძლო.

აივანზე ცირა გამოჩნდა, კიბეები სწრაფად ჩამოირბინა, ერთი კი შეგვაულო თვალი და სამზადის კარებში შეფრთხილდა. გული შემეიტოკდა...

ქასთან შევჩერდი და პირზე წყალი შევისხი, რომ მოძალებული სიწითლე გადამსვლოდა. სანდრომ ნარდი გამოიტანა და დაფნების ჩრდილში, ქვის შავიდაზე გაშალა. ცირა ცეცხლს ანთებდა, მთელი ყურადღება იქითკენ მქონდა და უგულოდ ვთამაშობდი. სანდრო ზედოზედ მიგებდა, ზედოზედ მოსდიოდა კამათელი, თვალდახელშეუა კარს ჩამიკეტავდა, „მოკლულ“ ქვას ხელში შემატოვებდა.

ცირამ შუაცეცხლზე კეცი გადაადგა, ცარიელ ვედროს წამოავლო ხელი და ჭისკენ წამოვიდა. როცა მოახლოვდა, შევნიშნე, რომ სახეზე მასაც სიწითლე მოსდებოდა.

— გააგორე, ბიძი! — ჩამესმა შორიდან სანდროს ხმა. შეცბუნებული მივტრიალდი.

ცირამ ქვის მაგიდას სუფრა გადააფხრა, მორცხვად შემოაწყო ცხელ-ცხილი ხაჭაპურები. მალე ქათამსაც მოგართმევთო, წაჩურჩულა.

— წუხილის მაგრა დალიეთ, ბიძი? — მკითხა სანდრომ.

მე თავი დავუქნიე.

— ამისთანა ღვინოს მაინც ვერ დალევი! — შეინამული დოქიდან ქარვისფერი ღვინო ჩამოასხა.

ვიტრუე, ბოლომდე ვსვამდი-მეთქი, თუმცა ჩვენი ამბავი ყველამ იცოდა და ღვინოს არც მაძალებდნენ. შუა სმაში იყინენ, როცა გამოვიპარეთ, ღელესთან მამაჩემი შემოგვეფეთა...

ცირას შევხედე, ოდნავ შემკრთალი,

თავჩაღუნული იჯდა. სახეზე დავაკვირ-
დი, კოცნის კვალი ხომ არ ატყვია-მეთქი.
სახეზე არ აჩნდა, მაგრამ ყელზე... ყელ-
ზე ხილაბანდი შემოეხვია. ჩემს ცქერაზე
გაწითლდა, წარბები შეჰხარა, ნუ მიყუ-
რებო, მანიშნა და მამისკენ გააბარა მზე-
რა. ის ვერც გვაჩინებდა. მადიანად ილ-
უქმებოდა.

გამეცინა, ღვინოს მივეძაღე.

ღრო შეუმჩნევლად მიიპარებოდა,
ღვინო თავში ამივარდა, სუფრაზე ველა-
რაფერს ვხედავდი. ცირას ლაპარაკი გა-
ვუბი.

— ჭკუით იყავი, ბიძი! — უეცრად მო-
მესმა და მოვბრუნდი.

ღვინომორეული გრძელ შარას ბარ-
ბაცით გავყვევი. „იციან, ყველაფერი იც-

იან“, — ვფიქრობდი და კანში ვერ ვე-
ტეოდი.

მანქანა წამომეწია.


— ამბაკო, შენი ბიჭი! — ახმიანდნენ
ძარაზე; ჩაიდან მომავალი ხალხი თუ
იყო, — გააჩერე, კაცო, გააჩერე! —
მძლოლი გვიან მიუხვდა და გააჩერა.

— სად იყავი? — მკითხა მამაჩემმა.

— ...!

— სიმამრს დაუთვრია! — თქვა ვილა-
ცამ და მხარზე ხელი დამკრა.

— სასიმამროს... გავუსწორე მე და
ვილაცას ჩავეხვით. გვიან მივხვდი, ვინც
იყო; თუნუქის ღილაკზე ხელი მომიხვდა
და მამაჩემის ომიდან ჩამოყოლილი ხა-
ლათი მეცნაურა.



ჯაგჯი შხოველი

მოლალურები

საარაკოზე თქრიალებს წვიმა,
მოლალურებმა სივრცე მოძებნეს.
მინაწილებენ ისინი იმედს,
მამშვიდებენ და სხედან ბოძებზე.
მდინარე არხებს ქარაფის კედლებს,
ბროლისფერ შოლტებს იქნევს მდინარე...
და მიფრინავენ ჩიტები შემდეგ,
და წვეთებივით მზეზე ბრწყინავენ.
თითქოს ქარებით, თითქოს წვიმებით
შეკრთნენ და ფრთებით სივრცე მოძებნეს...
ისინი იმედს მინაწილებენ
და ეშვებიან ისევ ბოძებზე.

* * *

ადიდებული და წვიმით სავესე
გმშვიდდები —
თითქოს ნაბიჯებს ვითვლი...
შენმა დღეებმა გატეხეს ნავსი
ფიქრის, რომელიც მინდოდა სხვისთვის.
შენმა დღეებმა გატეხეს ნავსი,
შენმა დღეებმა აწეწეს სული...
და შენ მოხვედი,
და მთვარე გასვი
ჯამით და მუქით, ყანწით და სურით.
და შენ დაგითმე დუმილით სავესე
ცა...
და მოვდივარ, და წუთებს ვითვლი;
შენმა დღეებმა გატეხეს ნავსი
ფიქრის, რომელიც მინდოდა სხვისთვის.



შოთა ქავთარაძე

მე მიხარია...

მე მიხარია, რომ ვარ ცოცხალი,
რომ შემიძლია ამ ხეებსაც მოვეაღერსო
და შევიყვარო ის, რაც შორს არის,
და მზე ვადიდო უმხურვალესი.

მინდა ამ ქედებს ჰქონდეთ მშვიდობა,
და არვინ ჰყავდეს ცას მომჩივანი,
მზის მობრუნება მიხარია და წყალდიდობა,
ნამიან მიწის სურნელება და ოხშივარი.

მაისის სითბო სიყვარულის დღეებს მთავაზობს,
და გაზაფხულის მოზღვავებას გულით შევხარია.
მე მიხარია, მიხარია, ცაო, ლამაზო,
ეს გაზაფხული და... ეს მერცხალი.

ჩამოდის თოვლი

ჩამოდის თოვლი ფთილად და ფთილად,
თოვლში ფართხალებს დაჭრილი ქორი;
ფიფქებში ბრწყინავს იანვრის დილა,
თეთრი ბილიკით მოვდივართ ორნი.

თეთრი გზა, თეთრი მთები და გორა,
თეთრი ირმების თეთრი საფარი...
და ისე, როგორც დაჭრილი ქორი,
სულში ფართხალებს თეთრი ზღაპარი.





ხვასი

მოთხრობა

ძნელი სათქმელია, აქ თუ ოდესმე ყოფილა წვიმა. ტრამალი ჰორიზონტამდე ფერფლისფერია. აქა-იქ შემორჩენილი ბალახი უმოწყალოდ შეუტრუსავს მზეს.

მზეს ცის მთელი თაღი დაუკავებია. ახლა მხოლოდ მზეა, ხვატი და თაკარა.

ტრაქტორის ფხვიერ ნაკვალევში მიაბიჭებენ ორნი, — მაღალი და დაბალი. ძლივს მიათრევენ ზურგჩანთებსა და სქელლანჩიან მძიმე ფეხსაცმელებს...

— ნავთის მეტი ყველაფერია ამ დაწყვილილ ტრამალებში! — ბუზღუნებს დაბალი და ზურგჩანთის თასმას ისწორებს, — ქვასავით დამძიმდა ეს ოხერი, — თასმამ წყალული გაუჩინა მხარზე. ჯერ სტიკოდა, ახლა ტკივილი გაუყუჩდა. სხვა საზრუნავმა გაუყუჩა...

— არც წყალი გვინახავს, გიზო-ბატონო! — როდის-როდის პასუხობს მაღალი.

დაბალმა უცბად ვერ გადაწყვიტა „წყალზე“ იფიქროს, თუ „გიზო-ბატონზე“.

თუ გინდა გაცოფდე, ახლა წყალზე უნდა იფიქრო.

„ერთი დამაყენა ახლა ლადიდის წყლებთან და მერე მომკლა!“ — ნატ-

რობს გუნებაში გიზო. მაღალს კი გესლიანად ეუბნება:

— შესულიყავი ისტორიულზე, თენგიზ-ბატონო, იქნებოდი ახლა მუზეუმის გრილ დარბაზში და ექსკურსანტებს უამბობდი მამონტის ეშვის ისტორიას. არ გინდოდა? ბრძანებდოდე ახლა გეოლოგი და ეთრიე აღმა-დაღმა.

„აღმა-დაღმა, — გუნებაში გაიმეორა თენგიზმა, — სადაა ან აღმართი, ან დაღმართი. სულ ვაკე, ვაკე... გადართულება ტრამალი და დაგვალული ბორცვები. მე მოვკვდე, თუ ამას უსახელო მწვერვალზე ბლოტიალი არ ჯობდეს“...

„ამისი იმედი უნდა გქონდეს კაცს?“ — გაიფიქრა თენგიზის ღმეილით გაბრაზებულმა გიზომ და უცებ საოცრად მოუნდა ქეთინოსთან ყოფნა.

ზის ახლა ქეთინო უშველებელი ხის ჩრდილში და მუხლებზე დადებულ წიგნს უგულოდ ფურცლავს. იგი გიზოზე ფიქრობს, ასე შორს რომაა და ასე იხრუკება ცალკე მზით, ცალკე...

„იქნებ სულაც არ ფიქრობს ჩემზე“, — გიზო ნაღვლიანად უყურებს ზოლს, სადაც ცა და მიწა ერთდება. მიდინხარ, მიდინხარ და ის ზოლიც უნთან ერთად ინ-

აცვლებს. სულ ფიქრობ: აი, იმ ბორცვ-
თან რომ მივალ, დავინახავ რალაც ახალს,
„სხვას“. მიხვალ, გაიხედავ: ისევ ის
ფერფლისფერი ტრამალი და მზედქექეუ-
ლი ცა...

თენგიზი გულგრილად მიალაგებს. მას
სულაც არ აინტერესებს, რა არის
ბორცვს იქით...

გიზოს ეეჭვება, მას საერთოდ თუ მი-
აქვს რაიმე გულთან ახლოს. ორ საათ-
ში ერთ წინადადებას ამბობს. ამდენი ხა-
ნია, ერთად დადინ, არც თვითონ უთ-
ქვამს რაიმე საკუთარ თავზე და არც გი-
ზოსათვის უკითხავს. უნივერსიტეტში
შორიდან იცნობდა; იყენენ ასე: „გამარ-
ჯობა-გაგიმარჯოს“...

ახლა აღარ გამოდის „გამარჯობა-გაგი-
მარჯოს“, რალაც მეტია საჭირო.

— მომსპო ამ ზურგჩანთამ, — შეს-
ჩივლა მოულოდნელად.

— დაგეტოვებინა ბანაკში, — ეუბნე-
ბა თენგიზი.

„ა, ასეა ყოველთვის. რა პასუხია „და-
გეტოვებინა“, ვითომ ხუმრობს“, — სა-
სოწარკვეთილი ფიქრობს გიზო, — „უწ-
ყლობას უფრო აიტანს კაცი, ვიდრე...
ვიდრე ამ ტიპთან გატარებულ დღეებს
და ღამეებს... როგორც უნდოდეს, იყოს,
ბატონო, „გამარჯობა-გაგიმარჯოს“, უკე-
თესიცაა“...

ჭილის ქულის კიდზე თეთრზე თეთრი
ღრუბლის ქულა ჰკიდია...

ზის ახლა ქეთინო და უაზროდ უჭი-
რავს გადაშლილი წიგნი. იქნებ მეოცედ
კითხულობს გიზოს მოთხრობას, ქეთი-
ნოს რომ მიუძღვნა. ყურნალში მოთხ-
რობა დაბეჭდეს, მაგრამ მიძღვნა ამოი-
დეს. სამაგიეროდ თავისი ხელით წააწე-
რა უკვე დაბეჭდილს: „...ავტორისაგან“.

შეიძლება ახლა ქეთინო მოთხრობას
კი არა, იმ ხელით წაწერილს ჩაჰყუ-
რებს...

კვლავ მოეძალა გიზოს ქეთინოსთან
ყოფნის სურვილი და უეცრად შეაერთო
ღრმე და მანძილმა, მათ რომ ამორებდა.
ახლა შეიძლება, მაგალითად, ერთად
მსხდარყვენენ ბიჭვინთაში, ზღვისპირას
მიგდებულ ფიჭვის გადანაჭერზე და არა-

ფერზე ელაპარაკათ, არაფერზე ეფიქ-
რათ. გადახვევდა ხელს მხარზე და შეხე-
დავდა ზღვას. ქეთინო ჯერ ლოყას დაა-
დებდა ხელის ზურგზე, მერე ფრთხილად
აკოცებდა.

გიზოს გულზე თბილი ნაკადი დაუე-
ლიდა და ეგონებოდა, ეს ზღვაც მისი
იყო, ეს ცაც და მზეც... ქეთინო ხომ იყო
და იყო.

გიზომ არ იცის, ლამაზია თუ არა ქე-
თინო. ჰოც და არაც. დათო ეუბნებოდა,
„რას ჰგავსო“... ყოველ შემთხვევაში,
ულაზათო გოგო როდია.

შეიძლება ახლაც ერთად ყოფილიყვ-
ნენ, რომ არ ემეტირბა და ეს ექსპედი-
ცია არ აეჩემებინა. „მწერალმა ყველა-
ფერი უნდა გამოსცადოს“, — უმტი-
ცებდა ქეთინოს.

„მწერალმა რა თქმა უნდა“, — ორაზ-
როვნად ამბობდა ქეთინო.

გიზო ყურადღებას არ აქცევდა ქეთი-
ნოს ირონიას. თუ მწერალი არა ვარ, აბა
რატომ მეწერებო, ფიქრობდა. თანაც
დათო დღენიადავ ჩასჩიჩინებდა: ნიჭიე-
რი ხარ, ბიჭო, დანაშაული იქნება, შენ
რომ არ წერო. ბოლოსდაბოლოს, მარ-
თლა მიჰყო ხელი წერას, დათოს კი ჩა-
მოსცილდა...

ადვილად შეიძინა და ძნელად დაშორ-
და. წვრილმანზე დაცვილდითო, ამბობს
დათო. ვინ იცის, რა არის წვრილმანი და
რა არა. მეგობრებს შორის წვრილმანი
არ არსებობს, ყველაფერი მნიშვნელო-
ვანია. თუ ორ ვაშლში მეგობარი უდი-
დესს აირჩევს, ის მეგობარი აღარ არის,
ასეა ეს.

დათოს სჭირდებოდა გიზო. გიზო ამას
გვიან მიხვდა და შეურაცხყოფილი დარ-
ჩა.

„შენ შენთვის, მე ჩემთვის“, — ასე
უთხრა.

„არ მინდა ძმაცაცი! — გადაწყვიტა
თავისთვის, — ვიქნები ასე, საკუთარ
თავთან, ვწერ და ვიკითხავ“.

მალე დარწმუნდა გიზო, ყოველთვის
რომ ვერ „წერ და ვერ იკითხავ“. სხვაც
ჭირდება ადამიანს თურმე.

დათოს ადგილი თანდათან დაიკავა



ქეთინომ, მაგრამ სადღაც, გულის კუნ-
ჭულში, მაინც იყო სიცარიელე...

საკვირველია, ამ გულგამომშრალ ვე-
ლზე როგორ ხარობს ხე. თუმცა ეს რა
ხეა, ბუჩქს უფრო ჰგავს: ნაცრისფერი,
წვრილ-წვრილ ფოთლებიანი და ტანდა-
ლრეკილი. ასეა თუ ისე, მაინც ხე ჰქვია
და პატარა ჩრდილიც აქვს.

— ჩამოვჯდეთ! — თქვა თენგიზმა,
ზურგჩანთა მოიხსნა და ხის ძირას დადო.
მერე პერანგი გაიხადა.

გიზომაც გაიძრო ოფლისაგან დასვე-
ლებული პერანგი და ქვებზე გაფინა გა-
საშრობად. მერე დაჯდა, ხის ტანს მიეყ-
რდნო, ფეხები გაშალა, თასმისაგან გახე-
ხილ მხარზე ხელი მოისვა და დაიჭყანა;
თენგიზმა გაიზმორა, ლამაზი კუნთები
დაჭიმა.

„მეგას სულაც არ აწუხებს ჩემი მხა-
რი, — გაიფიქრა გიზომ, — ალბათ უსაზ-
ღვროდ შეყვარებულია საკუთარ სხე-
ულზე. თუმცა საკუთარი სხეული არა-
ვის ეზიზნება...“

პერანგი სწრაფად გაშრა. გიზომ მი-
წაზე დააფინა, ზედ დაწვა და ზურგჩან-
თა თავქვეშ ამოიღო. სახეზე ჭილის ქუ-
დი დაიფარა...

ხანდახან ეჩვენებოდა, რომ უქმად
კარგავდა დროს.

ამ ხნის განმავლობაში რამდენ რამეს
დაწერდა და წაიკითხავდა ქალაქში. მუ-
დამ ცდილობდა, არაფერი გამორჩენო-
და, ყველაფერი მოესწრო. ერთდროულ-
ლად კითხულობდა რამდენიმე წიგნს,
ეურნალს, რადიოსაც უსმენდა, მაგნი-
ტოფონსაც, კინოშიაც დადიოდა, თეატ-
რშიც და ყოველთვის წუხდა, რომ დრო
ასე ცოტაა და ასე სწრაფად გარბის. აქ
კი ამდენი დრო იფლანგება.

ახლა ქაღალდი რომ ჰქონოდა და ფან-
ქარი, დაუყოვნებლივ დაიწყებდა მოთხ-
რობას, აი, ამ მზის ქვეშ, ამ უდაბნოში.

„მოთხრობას სიზმრით დავიწყებ, წუ-
ხელ რომ ვნახე: რუსთაველის პროსპექ-
ტზე, ლალიძის წყლებთან ვდგავარ და
პირდაპირ ჭადრიდან გადმომდინარე სი-
რობიან ცივ წყალს ვსვამ... მოიცა, მოი-
ცა, სიზმრით კი არა...“



ქუჩა ზედ პროსპექტზე იწყება ღრუ-
ვით-ზევით მიდის. როცა ზემოდან ქვე-
მოდან მოვდივარ, ეს აღმართი დაღმართაა
და ზედ პროსპექტთან თავდება. სხვისი
არ ვიცი და მე კი ეს ქუჩა მიყვარს, რო-
გორც აღმართი.

აღმართი შეუმჩნეველად შეიპარება
ხევში, რომლის ფერდობებზე პაწაწინა
ეზოებია. მე ერთ-ერთ ეზოში შევალ. ამ
ეზოში შუშაბანდიანი სახლი დგას. რამ-
დენი ოთახია, არ ვიცი, მაგრამ შიგ ბარე
ხუთი ოჯახი ცხოვრობს. ჩემი ღრმა
რწმენით, ისინი უსახლოდაც იოლად გა-
ვლენ, ვინაიდან ოცდაოთხი საათი გარეთ
სხედან. ამ სახლის პირდაპირ ფერდობზე
მიჭყლეტილი ქონია. იქ ერთი გოგო
ცხოვრობს, ქეთინო... არა მას ქალღმერ-
თის სახელი — დალი ჰქვია და ქალ-
ღმერთივით ლამაზია.

მე შუშაბანდიან სახლს გულგრილად
ჩაუვული და სწორედ ფერდობზე სოკო-
სავით ამოსულ იმ ხუხულასთან მივალ,
კარზე დავაკაკუნებ:

— შეიძლება?

— შემოდო! — გამომძახებს შიგნიდან
დალი.

დალი გატაცებულია საკუჭნაოში შბა-
ლერის გაკვრის იდეით და მის სამფლო-
ბელოში ფეხის დასადგმელი ადგილიც
არ არის.

აღმფთოებული, ალბათ, მეთათვისვე
ვამბობ:

— დიდი ღორობაა იასონის მხრიდან,
ოც მანეთს რომ გლლეტს ამ სოროში!
ხელი რომ არ შეგიშალო, ლოგინზე წა-
მოვწვები.

— გთხოვთ!...

ჭერი ფანტასტიკურად დაბალია. დარ-
დის გასაქარვებლად სიგარეტს ვუკიდებ.

— აბოლდი? — თანაგრძნობით მე-
კითხება დალი.

— ვდარდობ.

— რა მიზეზია?

მე ოხვრით ვანიშნებ შბალერზე და
ჩემს თავთან კედელზე ჩამოკიდებულ
ორი მსოფლიო ომის მომსწრე რადიომი-
მლების ჩართვას ვცდილობ. მიმღები ტო...

კიოსა და ლონდონს მშვენივრად იჭერს, თბილისის მიღებაზე კი ჭირვეულობს. ხრიალსა და ღმუთილში მახვილი ყურა ფანდურის ხმას და მეაბრეშუმე გოგოს მოძახილს გააჩრევს:

„მე რომ ერთი ბიჭი მიყვარს
იმას ვენაცვალუბო...
მე რომ შეგხედავ, იწვება,
შემომხედავს დავდენილი!“

„დაღნობას ისევ დაწვა სჯობს, — ვფიქრობ ჩემთვის, — თუმცა მაგის დამტკიცება ძნელია“...

— წებოს მომზადება თუ იცი? — მეკითხება დალი.

— დედაჩემმა იცის.

— ბებიათ თუ იცოდან?

— ახლაც იცის. წამოადღელებთ წყალს და ნელ-ნელა ჩაყრით ფქვილს. მიიღებთ თეთრი ან შავი ფერის (ეს ფქვილს გააჩნია) მოსკო სითხეს. ამ სითხეს აიღებთ და წასტეხებთ შპალერის ქაღალდს. ყოველივე ამის შემდეგ...

— მაგ ყბედობას ის გირჩევენია, ერთი ჩაიდანნი წყალი შემომიტანო.

— მე რა მიჩვენენია, ეს შენზე უკეთ ვიცი. წყალზე გაგზავნას რა ხანია შინაც ვერ მიბედავენ. მოიტა ჭურჭელი, ჩემი სურვილით მივდივარ, მწყურია და იმიტომ.

ეზოში მეზობლების მუღმივი გამოფენაა. აქ ყველაფერი უკუღმა ხდება: გამოფენას მე კი არ ვათვლიერებ, თვითონ გამოფენა მათვლიერებს მე. ისე მაკვირდებიან, თითქოს ზოობარკიდან ახალგამოქცეული ნადირი ვიყო. ბუნებით მორცხვი არა ვარ, მაგრამ მაინც თავჩაღუნული მივდივარ ონკანთან და ჭირის ოფლში ვიწურებ, მანამ უძირო ჩაიდანნი წყლით აივსება. სასოწარკვეთილი ვფიქრობ უკან დასაბრუნებელ გზაზე. ბოლოსდაბოლოს, ეს განსაცდელიც გადატანილია; ათასგზის დაწუნებული ოთახი ზღაპრულ ოაზისად მეჩვენება, ნატახტრის წყალი — უკვდავების წყაროდ.

— თამაზ, რა წესია ჩაიდანთ დაღევა! — მიწყრება დალი...

ჩვეულებას ვერსად გაექცევი.

— ასე უფრო გემრიელია, — ვარწმუნებ დალი.

— წყალი წყალია.

— კარგი, ახლა ეს მითხარი: უბრალო ღვინის ჭიქით და მაღალფენიანი ბროლის ჭიქით დაღეული შამპანური ერთია?

დალი ხვდება რამხელა შეცდომა მოუვიდა და პატიებას მთხოვს.

— ეს ერთხელაც მიპატიებია, — დიდსულოვნად ვუთხნები და ვთიშავ რადიომიმღებს, რაც საერთო კმაყოფილებას იწვევს.

დალი ელექტროქურასთან ჩაცუქვულა და კოვზით ურევს სითხეს პატარა ქვაბში. ხანდახან სითხეს ამოიღებს და უკანვე წურწურით უშვებს.

— როგორია? — მეკითხება.

მე არ მაინტერესებს როგორია სითხე. საესე მუხლისთავებზე დალის ლამის ასკდება კაბა. დალი თავისუფალი ხელით წამოაუწუმ ქაჩავს კაბის კალთას და ნერვები ეშვება. ბოლოს იგი თვლის, რომ წებო მზად არის და იატაკზე დაფენილ შპალერს უკანა მხრიდან უსვამს აღმადამა. მერე ფრთხილად იღებს წებო-წასმულ შპალერს და საკუქნაოს ჭერს აზომებს. ვხედავ, რომ უჭირს, ვბრაზდები: რომ მოკვდეს, არ გეტყვის, მომეხმარეო. მაინც ვერ ვითმენ და სხვათაშორის ვეკითხები:

— მოხმარება ხომ არ გჭირდება?

— რას ბრძანებთ, პირიქით.

ეს „პირიქით“ მსპობს.

მაინც ვდგები.

— აი, აქ მოკიდე ხელი, — მიმითითებს დალი.

მე დალის მხრებს ზემოდან გადაწვდილი ხელებით მიჭირავს შპალერის კიდე და რაც ძალი და ღონე მაქვს, ვაჭერ კედელს. ნიკაპი ჩარგული მაქვს დალის ომაში და ვგრძნობ მისი სხეულის სიღბოს.

— რა რიცხვია დღეს? — ჩურჩულით ვეკითხები.

— ცხრა, — ცივად მპასუხობს დალი.

— რა თვეა ახლან?

— მაგას ზუსტად გეტყვი: მაისი.



— სწორია! თუ დროზე მორჩები მაგ წილადობილას, ავიყვან კომკავშირის ხეივანში და საგანგებოდ შენთვის მოვაწყობ სალუტს.

ერთბაშად ნელდება დალის აღზნებული ცნობისმოყვარეობა:

— რა მესალუტება!

— თხუთმეტი წელიწადია სალუტი არ მინახავს, გამიწიე ანგარიში.

— მე შარშან გუყუტე და უნდა მოგახსენო, ძალიანაც უკმაყოფილო დავრჩი. თბილისური სალუტი რა სალუტია. ორ მაშხალას მახათაზე გაისვრიან, ხუთს მთაწმინდაზე და სამს კომკავშირის ხეივანში.

მე მორიდებით შევნიშნავ, რომ მისი მსჯელობა მოკლებულია საფუძველს: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თბილისურის გარდა მას არცერთი სხვა სალუტი არ უნახავს. თავის მხრივ დალი თავაზიანად მახსენებს, რომ ადამიანმა კარგა ხანია შექმნა ისეთი საკვირველება, როგორიც არის კინო, ხოლო კინო ყველა რიგითი ადამიანისათვის ხელმისაწვდომია.

მე პატივებს ვითხოვ.

— ეს ერთხელაც მიპატიებია, — ამბობს დალი.

მისი დიდსულოვნებით გულაჩუყებულ კოცნის ნებართვას ვთხოვ და უნებართვოდ ვკოცნი.

ასეთ შემთხვევაში ჩემი სიტყვა და საქმე ერთია. ნებართვას მართლა თუ უცადე, ვინ იცის, როდის ეღირსები.

გაშაალიერების პირველი ეტაპი დამთავრდა. დალი ელექტროქურას უბრუნდება. მე კვლავ ტახტზე ვიმოტები.

— მე მგონი, ფეხსაცმელებით არ წვებიან ტახტზე, — ეუბნება ქვაბს დალი.

— ნუ იქნები პედანტი, დალი. იცი, რა თქვა ბაბუაჩემმა სიკვდილამდე ორი წლით ადრე და ჩემი დაბადებიდან ოთხი წლის შემდეგ? ჩემი შვილიშვილი დისერტაციას დაიცავს და დოცენტი გახდებაო...

— ახია შენზე!

— მაინცადამაინც დოცენტი. პროფესორები თვალში არ მოსდიოდა.

— კიდევ კარგი ცოცხალი აღარაა საწყალი ბაბუაშენი. ვერ აიტანდა ამხელა იმედგაცრუებას და შენ იქნებოდი მისი სიკვდილის მიზეზი.

— შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, — შევლადადებ ჭერს.

— მღვდელი თქვენ ბრძანდებით? — ზრდილობიანად მეკითხება დალი და ცალი ხელით კაბას ქაჩავს მუხლისთავებზე.

— ანდაზაა ეს, შე სულელო... მამაო ზეციერო, სალუტი დაიწყო. „ქალაქის თავზე მეტეორებით აიჭრენ ნაირფერი მაშხალები“... — ახლა თბილისში ყველა შეგნებული ბავშვი სახლის სახურავზე იმყოფება და სალუტს შესცქერის. მიიხედე, შპალერი ჩამოიშალა! გულგახეთქილი დალი მყისვე უკან იხედება.

მე ორი წლის ბაყბაყ-დევევით ვიცინი.

— ჰე, ჰე...

— ჰე, ჰე კი არა, მაგ შპალერს მართლა რამე რომ მოუვიდეს, თავს მოვიკლა! — ხმამალა მიცხადებს დალი.

მე ისევ ვუბრუნდები ბავშვებისა და სალუტის უწყინარ თემას:

— რატომ უყვარს ბავშვს სალუტი?

— ბავშვს ნაყინი უყვარს.

— შენ არ გესმის სალუტის იდილია. მე რომ ბავშვი ვიყავი... სხვათაშორის ყველა მოზრდილი ადამიანი თავის დროზე ბავშვი იყო...

დალი აღტაცებულია.

— სამწუხაროდ, ეს ჩემი აღმოჩენა არ არის. მე მტკიცედ მჯერა, რომ თვით იასონმა, შენი ბინის პატრონმა, გაიარა ბავშვობის ოქროს ხანა.

— მაგას ვერ დაგიჯერებ. — ეჭვით მიყურებს დალი.

— გეთანხმები, რომ ძნელი დასაჯერებელია. საერთოდ, რომ არ გემეტიჩრა და სტუდენტალაქში გეცხოვრა, შენს უდიდებულესობას ღირსება არ მოაკლდებოდა. გაშაალიერების მტკიცენული პროცესიც აგცდებოდა.

— ვერ ვიტან, როცა ჩემს ოთახში სხვასაც სძინავს.

— ვიშუამდგომლებდი უნივერსიტეტის რექტორთან და მოვაციმინებდი

ერთობიანი ბინას სამზარეულოთი, აბა-
ზანით, ლოჯით და სხვა აუცილებელი
სათავსოებით. შიგ იქნებოდა მაცივარი,
რადიომიმღები (სუფთად რომ დაიჭერს
თბილისს), მაგნიტოფონი „მელოდია“...

- მელოდია ძვირია; „დნეპრი“ იყოს.
- ნათქვამია: ნაჩუქარ ცხენსო...
- კარგი, თანახმა ვარ!
- ძალიან უნებისყოფო ხარ, დალი,
ეგ ადამიანის ყველაზე ცუდი თვისებაა.
- თუკი მაგნიტოფონზეა ლაპარაკი?
არ ავიღო?

— აიღე, მაგნიტოფონზე ვერც მე ვიტ-
ყოდი უარს. მაგნიტოფონი დიდებული
რამეა, შიგ ზის ჯრი სკოტი, ბელაფონ-
ტე, ფრენკ სინატრა და ნანი ბრეგვაძე.

- შალიაპინი თუ ჩაეტევა?
- შალიაპინიც, იოვანაც, ენრიკო კა-
რუზოც და „ლა-სკალას“ მთელი ორკეს-
ტრიც...

— თამაზ, ნამეტანი ხომ არ მოგდის...

— აბა რა გგონია, შენ იქნებოდი ყო-
ველივე ზემოხსენებულის სრულუფლე-
ბიანი მაესტრო, შენ არ იცი, რა არის მა-
გნიტოფონი. მაგნიტოფონზე ჩაწერ სა-
კუთარ ხმას და არ დაუჯერებ საკუთარ
ყურებს. საკუთარი ხმა რომ ესმოდეთ,
ადამიანები შეგნებულად დამუწდებოდ-
ნენ...

- შენს პირს შაქარი.
- თავი ხომ არ მოგაბზერეთ, იქნებ
ჩემს მიმართ გაქვთ რაიმე პრეტენზია?
- რექტორის მიმართ მაქვს. ვტოვებ
ისონს და საცხოვრებლად გადავდივარ
სტუდენტალაქში.

— უკვე გვიანაა. რაკი გაშალიერების
ებოქა დამთვარდა, რექტორის შეწუხე-
ბას არავითარი აზრი აღარა აქვს.

— შენი ხათრით ამსაც ვიჯერებ,
ვცვლი გადაწყვეტილებას და კვლავ
ვრჩები ისონთან...

— შენი წონა ოქრო ხარ, დალი, თუ
მოხვალ, ხელზე გემთხვევი.

— ჯერჯერობით სარკეზე რომ სურა-
თია, იმით დაკმაყოფილდი, — საქმიან-
ად მეუბნება დალი, — ხომ ხედავ, აქა-
ურება დასალაგებელია და მე დასაბანი
ვარ... ჭუჭყიანი ქალი, გავიგია?

თემის ასე მოულოდნელი შეტროლი
ბა ფილოსოფიურ განწყობილებამ
ყენებს.

— ჭუჭყი ბოროტებაა, იგი იწვევს ში-
ზოფრენიას...

დალიმ პირში შემატოვა სიტყვა და გა-
რეთ გავიდა.

მე ცუდად ვხდები, დაწყებული აზრი
თუ არ დავამთავრე.

„ცოტ-ცოტა ყველას აწეწილი გვაქვს
ნერვები. შინ ხმაური, ქუჩაში ხმაური,
სამსახურში ხმაური. რა იქნება, უცებ
სიჩუმე რომ ჩამოწვეს? რა დიდებულია
სიჩუმე“.

- დალი, წავიდეთ სოფელში!
- მოიცა, ჯერ ხელ-პირს შევიმშრა-
ლებ...

„საიდან აქვს ამ პატარა გოგოს ამბე-
ლა ირონია... არა, სოფელს მაინც ვერ
შეველევი“.

— ბებიჩემი დავითობს სამზად
სახლს. ფიცრის ტახტი და სამფეხა ჯორ-
კოები გვექნება. შავი ჯაჭვით კერიას
თავზე ზამთარ-ზაფხულ იქნება დაკიდუ-
ლი თუჯის მძიმე ქებაი. ამ ქებაში მოხარ-
შავ ლობიოს, ჩაზელ ღომს, ააღულებ
ჩაის და რძეს. რძეს მოგვეცემს ძროხა,
ძროხას — ბებია, ბებია მყავს. ჩვენ ვიც-
ხოვრებთ როგორც პოლი და ვირჟინი.
თქვენი აზრი?

— მე ყოველთვის მეჯავრებოდა სენ-
ტიმენტალობა, — სარკეს ელაპარაკება
დალი.

— ლიტერატურაში?

— ცხოვრებაშიც. შენს მიერ ასე მიმ-
ზიდველად დახატული იდილიური სურა-
თი. როგორც წესი, ერთ კვირას გრძელ-
დება. მერვე დამეს დაგეისომრება რუს-
თაველის პროსპექტი, გაგიჩნდება ას-
ფალტზე ფეხის დაბიჯების დაუძლეველი
სურვილი...

„მოგენატრება ხმაური, — გუნებაში
ვარძელვებ დალის მონოლოგს, — ტე-
ლეფონ-ავტომატი და ბენზინის სუნი...
ცოტ-ცოტა ყველას რალაც გვაკლია...“

- დალი, ადექი და ჩაიცვი.
- მე გგონი, ჩაცმული ვარ...
- მწვანე კაბა ჩაიცვი, მოკლესახე-

ლოებიანი, თეთრი ჩუსტებიც ჩაიცვი. ჩავიდეთ და ვნახოთ, როგორ ხმაურობს ქალაქი.

დალი კარადას ალებს და ყოყმანობს.

— იქით მიიხედე! — ამბობს ხმადაბლა.

მე თვალეზზე ხელს ვიფარებ.

— იქით მიიხედე! — იმეორებს დალი.

— აჰა, მეტი რა გინდა!

— შუქს ჩაეაქრობ!

— იყოს, რა...

დალი აქრობს შუქს და ბუზღუნით იცვლის კაბას. გარედან შემოსულ მკრთალ სინათლეზე მაინც ყველაფერს ვხედავ.

— დალი, ჩემს მემუარებში დიდ ადგილს დაგითმობ. იმასაც დავწერ, როგორ აკრავდი შპალერს და ამზადებდი წებოს. არცერთი სიტყვა ინტიმურობაზე. შთამომავლობისათვის ბნელით მოცული დარჩება ის დიდი სიყვარული, რომლითაც შენ მე გიყვარდი.

— სულელი! — ეცინება დალის, — აბრძანდით, ახლა, ბატონო საზოგადო მოღვაწევ და წამიყვანეთ ქალაქში.

მე მიმყავს მწვანეკაბიანი გოგო გრძელი, დაკიდული ქუჩით, მას ქალღმერთის სახელი — დალი ჰქვია და ქალღმერთივით ლამაზია; ჩავალთ პროსპექტზე და ვნახავთ, როგორ ხმაურობს ქალაქი.

„როგორ ხმაურობს ქალაქი, ან როცა ხმაურობს ქალაქი; სათაურსაც ასე და-

ვარქმევ“, — გაიფიქრა გიზომ და შე-
მოღვა. ნატკენი მხარი უბეუოდა და ეწ-
ვოდა. მხარზე ხელი მოისვა და გააძვირდა.
ტებულმა ზურგანთას გადახედა.

თენგიზი ჩატუტქულიყო და თავის ზურგანთას ხსნიდა. გიზომ მზით გათანგულ სივრცეს გახედა და უსასრულო მოეჩვენა ტრამალი. მერე იმ ლოკოკინას შეადარა თავი, რომელიც სამყაროს უსასრულობაში თივის ზვინის შემოვლას შემდეგ დარწმუნდა.

გაეცინა და ზურგანთის ასალებად დაიხარა.

ზურგანთა ადგილზე არ დახვდა.

თენგიზი კონსერვის ქილებსა და ინსტრუმენტებს იღებდა გიზოს ზურგანთიდან და თავისაში ალაგებდა.


ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გიზომ კარგახანს ხმა ვერ ამოიღო. თენგიზმა თავი მოუკრა ზურგანთას, აიკი-
და და უკანმოუხედავად შეალაჯა მზე-
ში...

„ამასთან ძმაცაცობა შეიძლება“, — გაიფიქრა გიზომ. მან პირველად იგრძნო სიხარული, რომ არ დაუჯერა ქეთინოს და ექსპედიციაში წამოვიდა.

ტრამალი ფერფლისფერია ჰორიზონტამდე. ბალახი დაყვითილებულია და შეტრუსული.

ტრაქტორის ფხვიერ ნაკვალევში მიაბიჯებენ ორნი.





პაქე ჯანდიაჩი

გომორბა

ალექსანდრე კორძაძე, სამოცდარი წლის თმამევერცხილი კაცი, მაგიდასთან ზის, საანგარიშოს აჩხაკუნებს და რიცხვებს ქალღმერთს იწერს. საწერი მაგიდა ფართოა, დაბალი, ზემოდან მწვანე ხავერდია გადაკრული; ხავერდზე ალაგ-ალაგ მელნის ლაქები დარჩენილა. მაგიდა ძველებურია და თითქოს შეზრდია იატაკს. ერთი წლის წინ დაწესებულებამ ახალი მაგიდები მიიღო, ყველას გამოუცვალეს, კორძაძე კი ვერ შეეღობა თავის მაგიდას. ოცი წელი მუშაობდა ამ მაგიდასთან და ისე მიეჩვია, მისი გამოცვლა ვერ წარმოედგინა.

ოთახში, კორძაძის გარდა, კიდევ სამი სხედან: მოადგილე, მოანგარიშე და მოლაპარაკე. მოადგილე — კორძაძის პირდაპირ ზის და ისიც რაღაცას ანგარიშობს. მოანგარიშე და მოლაპარაკე ფანჯარასთან დგანან და ჭორაობენ.

ოთახში განყოფილების გამგე შემოდის, კორძაძის მაგიდასთან ჩერდება და უცდის, როდის მიაქცევს ყურადღებას მთავარი ბუღალტერი. კორძაძე ვერ ამჩნევს შემოსულს, რადგან ციფრებშია ჩაფლული. გამგე ერთხანს მაგიდასთან დგას, მერე უხერხულად ახველებს. კორძაძე ანგარიშს წყვეტს, სათვალეს ქვე-

მოთ იწევს და შუშებს ზემოდან უყურებს შემოსულს.

— ხვალ ხელფასი იქნება, ბატონო ალექსანდრე? — ეკითხება განყოფილების გამგე.

— აუცილებლად! — პასუხობს კორძაძე, სათვალეს ისწორებს და ანგარიშს განაგრძობს.

„აუცილებლად“ მისი საყვარელი სიტყვაა და ხშირად ხმარობს. საერთოდ კი გულჩათხრობილი კაცია, დღეში რამდენიმე სიტყვას თუ იტყვის, დანარჩენ დროს ჩუმად ზის და მუშაობს ან კროსვორდს ჩაჰკირკიტებს.

კროსვორდი კორძაძის პირველი სიყვარულია. ყოველ კვირას, ფოსტალიონს „ოგონიოკის“ ახალი ნომერი მოაქვს. კორძაძე მაშინვე ჟურნალის ბოლო გვერდს შლის, თუ კროსვორდს ვერ პოულობს, გული წყდება და მთელი დღე ცუდ ხასიათზეა.

მთავარი ბუღალტრის მეორე სიყვარული რკინის პატარა სეიფია, რომელიც ხელმარცხნივ, ოთახის კუთხეში უდგან. სეიფში წლიურ ბალანსებს, ბეჭედს და ჭერ კიდევ ამოუხსნელ კროსვორდებს ინახავს. სეიფის გასაღები, რომელსაც მეტისმეტად უცნაური ფორმის დაკბი-

ლული ენა აქვს, კორძაძის ჯიბეში ინახება. „ყოველთვის ერთსა და იმავეს მეკითხება“, — ფიქრობს კორძაძე, ქალაქებს უჯრაში ინახავს, ჯიბიდან გასაღებს იღებს, სეიფს აღებს და ყურნალს მაგიდაზე დებს. სეიფს ისევ ჰკეტავს, ბოლოდადებული ფანჯარს იღებს და კროსგორდის ამოხსნას იწყებს.

როცა ძნელი სიტყვა ხვდება, ფანჯრის ბოლოს პირში იჩრის და ლეჭავს. როცა საჭირო სიტყვას დიდხანს ვერ პოულობს, მოადგილეს ეკითხება ხოლმე. მოადგილე არ არის კროსგორდის მოყვარული და თავს აქნევს, კორძაძე კი ისევ ფიქრობს. თუ რომელიმე სიტყვა ვერ გამოიძნო, ეს ამბავი მთელი დღე აწუხებს, სამუშაოს გულს ვერ უღებს, რადგან სიტყვა მოსვენებას არ აძლევს. შინაც ამ სიტყვაზე ფიქრობს. როცა პოულობს, ასოებს ლამაზად წერს უჯრებში და უხარია.

აი, ახლაც კროსგორდი თითქმის ამოხსნილია, მხოლოდ ერთი ვერტიკალური ხაზია შესავსები: ქალაქი გერმანიაში.

„ნეტავი, რა ქალაქი უნდა იყოს? თერთმეტი ასოსაგან შემდგარი... ბერლინი... ბერლინი. არა, აქ შვიდი ასოა. იქნებ ნიურნბერგი? ნი-ურ-ნ-ბ-ე-რ-გ-ი. არც ეს. თერთმეტი ასოსაგან შემდგარი... მეხუთე ასო ნ უნდა იყოს“.

— ქალაქი გერმანიაში?! — ამბობს კორძაძე ხმაშლით და მოადგილეს უყურებს, — შენ ხომ არ იცი?

— რა ვიცი! — ამბობს მოადგილე და ფიქრობს, მერე ახსენდება: — ფრანკფურტი!

— თერთმეტი ასო უნდა იყოს, — ამბობს კორძაძე და კროსგორდს უყურებს, მოადგილე მხრებს იჩიჩავს და მუშაობას განაგრძობს.

ორი საათი ჩაჰკირკიტებს კროსგორდს, თერთმეტი უჯრა ჯერ კიდევ ცარიელია. „ნეტავი რა ქალაქი უნდა იყოს“, — ფიქრობს და უცბად პატარა, გაყვითლებული ქალაქი აგონდება. ის რაც ქალაქზე წერია — ზეპირად ახსოვს: „დაიკარგა უკვალოდ, ქალაქ რეგენსბურგთან ბრძოლების დროს“. ეს

ზეპირად ახსოვს და არასდროს არ დაავიწყდება. „რეგენსბურგი, რეგენსბურგი...“ ეს სიტყვა მოსვენებას არ მერე პატარა, სამკუთხა წერილები აგონდება. წერილებზე მისამართის მაგივრად რიცხვები წერია. ბევრი სამკუთხა წერილი, მერე კი პატარა გაყვითლებული ქალაქი, რომელიც ყველაფერს წერტილს უსვამს. იგი თვალებს ხუჭავს და ხედავს ტყეს, ტყის პირას — პატარა გორაკს. გორაკი მწვანე ბალახითაა დაფარული, ფერდობზე კი ყვავილები იზრდება, პატარა, თეთრი ყვავილები. ერთ ადგილას არ არის ბალახი, არც ყვავილი. ხის ჯვარი თითქოს პირდაპირ მიიწიდან ამოსულა: ჯარისკაცის ხელით გათლილი ორი გადაჯვარედინებული ხის ტოტი; შუაში კი ერთი დაყანგული ლურსმანი. „რეგენსბურგი, რეგენსბურგი...“ სიტყვა მოსვენებას არ აძლევს, მერე ისევ კროსგორდს უყურებს. ვერტიკალური და ჰორიზონტალური თეთრი ხაზები ფონზე ერთმანეთს კვეთენ. ახლა ის ველარ ხედავს უჯრებს და ასოებს. კაცი ხედავს მხოლოდ ჯვრებს, რომლებიც ყურნალის გვერდიდან უყურებენ. უამრავი ჯვარი უცნაურ ნახაზში შეერთებულია და გამოუვალ ლაბირინთს ქმნის. მერე ფიქრიდან ერკვევა, სათვალეს იხსნის და მხოლოდ ახლა ამჩნევს, რომ ოთახში მარტოა. ის დგება, ყურნალს სეიფში ინახავს და ქუჩაში გამოდის... ოთახში ჩუმად შედის და მაგიდასთან ჯდება.

— მოხვედი? — ესმის სამზარეულოდან ცოლის ხმა.

— ჰო.

— ახლავე გაქმევი.

კორძაძე სადილობს, მერე აივანზე გადის და შვილზე ფიქრობს. მალე ისევ ოთახში ბრუნდება, საწერი მაგიდის უჯრას აღებს და სამკუთხა წერილების დასტას ეძებს.

— რას ეძებს? — ცოლი ტელევიზორს უყურებს.

— არაფერს... მაკრატელი სად არის? — მას არ უნდა, ცოლს დაღუპული შვილი გაახსენოს.

-- მან რა უნდა მაკრატელს, აი, იქ ნახე! — ცოლი კაოადაზე ანიშნებს.

კაცი ფრჩხილებს იჭრის, თან ცოლს უყურებს და ეჩვენება, რომ ქალი ყველაფერს მიხვდა. მერე სახეზე აკვირდება, მაგრამ ქალი მშვიდად ზის, ცისფერ ეკრანს უყურებს და კაციც მშვიდდება.

კორძაძე მეორე ოთახში გადის, იხდის და წვება. სიბნელეში დიდხანს წევს თვალგახელილი და ცოლის დაძინებას უცდის. მერე ჩუმად დგება, ფეხაკრეფით გადის ოთახიდან, მაგიდის ნათურას ანთებს და დიდხანს იქეჭება უჯრაში. ბოლოს პოულობს რეზინით შეკრულ წერილების დასტას, გულმოდგინედ ათვალიერებს. ყველაზე ბოლოს კი პატარა, გაყვითლებულ ქაღალდს იღებს, თვალებთან ახლოს მიაქვს და თავისთვის ჩურჩულებს: — დაიკარგა უკვალოდ, ქალაქ რეგენსბურგთან ბრძოლების დროს. მერე რეზინით კრავს დასტას, უჯრაში ინახავს, სინათლეს აქრობს და ფრთხილად გადის მეორე ოთახში.

— ცუდად ხომ არა ხარ? — ცოლი იცის, რომ ქმარი არასდროს არ ადგებოდა ღამე.


— არა... ცოტა თავი მტკივა და წამალი დავლიე.

„მიხვდა ნეტავი?... ნამდვილად მიხვდებოდა. სინათლე რომ ავანთე, ალბათ მაშინ გაიღვიძა. კარი უნდა მიმეხურა. ნამდვილად მიხვდებოდა...“ — ფიქრობს და ვერ იძინებს.

„ნეტავი რატომ ადგა? — ფიქრობს ქალი, — თუ წამალი უნდოდა, წამალი კარადაში დევს. მაგიდის უჯრა რატომ გააღო?“ — მერე იძინებს და არაფერზე აღარ ფიქრობს.

კაცი კი დიდხანს წევს თვალგახელილი, შვილზე ფიქრობს და იმ ქალაქის სახელი უტრიალებს თავში. მერე იძინებს და ესიზმრება უცხო ქვეყანა, ტყე, მწვანე გორაკი და ჭვარი, რომელიც თითქოს პირდაპირ მიწიდან ამოსულა. ორი გადაჯვარედინებული ხის ტოტი, შუაში კი ერთი დაქანგული ლურსმანი და... მეტი არაფერი.





ბრუნო ტრავენის საიდუმლო

ბრუნო ტრავენის სახელი იდუმალებით არის მოცული მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მისი წიგნები კი მრავალ ენაზე ითარგმნა და მილიონობით ტირაჟით გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ომის წინა ხანებში რუსულად გამოქვეყნდა მისი რომანები: „მკვდართა ხომალდი“, „ბამბის მკრეფავეები“, „სიერა-მადრეს საგანძური“, „მექსიკური ურემი“, „ჩამომხრჩვალთა აჯანყება“. 1959 წელს კი გამოვიდა მისი წიგნი — „ლაშქრობა ჭაობის ქვეყანაში“.

1848 წელს ერთი ამერიკული ჟურნალი ჯილდოდ ხუთი ათას დოლარს ჰპირდებოდა იმას, ვინც ცნობილი გერმანელი მწერლის ბრუნო ტრავენის ადგილსამყოფელს აღმოაჩენდა. ეს ბრუნო ტრავენის ვინაობის გარკვევის პირველი ცდა როდი იყო. 1948 წლამდე და მის შემდეგაც მრავალი მკვლევარი ამაოდ დაშვრა „ბ. ტრავენის“ ნამდვილი გვარის გამოსაცნობად.

1929 წელს ტრავენი წერდა: „მხოლოდ ჩემს ნაწარმოებს აქვს ფასი, თორემ მე ისევე უმნიშვნელო პიროვნება ვარ, როგორც მეწაღე, რომლის საქმეც მხოლოდ ისაა, ადამიანს გემრიელად სასმარი ფეხსაცმელი შეუკეროს... მე არ მინდა განვუდგე ცხოვრებას უბრალო ადამიანისა, თავისთვის შეუმჩნეველად რომ ცხოვრობს ადამიანებს შორის. მეც მსურს ვიბრძოლო, რომ აღარ იყვნენ ავტორიტეტები, აღარავინ უხრიდეს ქედს მათ, რომ ყოველ ადამიანს საზოგადოების საპატიო და აუცილებელ წევრად მიაჩნდეს თავი. მიუხედავად ტრავენის ცდისა — იდუმალებით ყოფილიყო მოსილი მისი სახელი, მრავალი ქვეყნის ლიტერატურათმცოდნენი კვლავ განაგრძობდნენ ამ იდუმალებით მოცული მწერლის პიროვნების კვლევას. ახლა უკვე ცნობილია, რომ ბრუნო ტრავენის ფსევდონიმს ეფარებოდა რევოლუციური ჟურნალ „ციგელბრენერის“ გამომცემელი რეტ მარუტი. ეს ჟურნალი მიუნჰენში გამოდიოდა 1917 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე. 1919 წლის მაისში დაარბიეს ბაუარიის რესპუბლიკა. რეტ მარუტი კი სხვა რევოლუციონერებთან ერთად დააპატიმრეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ გაქცევით უშველა თავს. ამ დღიდან მისი ასავალ-დასავალი აღარავინ იცის, ხოლო ჟურნალი „ციგელბრენერი“ რამდენიმე ხანს კვლავ გამოდიოდა არალეგალურად.

მაგრამ ტრავენი და რექ მარუტი ერთი და იმავე პიროვნებადაც რომ მივიჩნიოთ, საიდუმლო საიდუმლოდვე რჩება: რექ მარუტიც ფსევდონიმია.

არავინ იცის, ცოცხალია თუ არა ტრავენ-მარუტი. 1939 წლის შემდეგ მას ახალი წიგნი აღარ დაუწერია. მართალია, 1960 წელს დასავლეთ გერმანიაში გამოქვეყნდა ტრავენის თითქოს ახალი რომანი — „ასლან ნორვალი“, მაგრამ ეს სიყალბე იყო, რაც მაშინვე აღმოაჩინეს „ტრავენიადით“ დაინტერესებულმა ლიტერატურათმცოდნეებმა.

ტრავენის პირველი რომანები გამოჩნდა ოციანი წლების დასაწყისში და დიდი წარმატებაც ხვდათ წილად. ეს რომანები გერმანულადაა დაწერილი, მაგრამ ფაშინის წლებში გერმანიაში არ გამოცემულა.

ტრავენი სოციალისტი მწერალია. იგი თავის რომანებში ილაშქრებს საზოგადოებრივი უსამართლობის, ექსპლოატაციისა და თვითნებობის წინააღმდეგ, დასცინის რელიგიურ დოგმებს, პირფერობასა და გონებაშეზღუდულობას, „წმინდა სასწაულთა“ სიყალბეს. ბრუნო ტრავენის შემოქმედება (თითქმის ყველა ნაწარმოებში ასახულია მექსიკა და მექსიკელი ხალხის ცხოვრება) ძლიერია, უპირველეს ყოვლისა, თავისი კრიტიკული დამოკიდებულებით მოვლენებისადმი, ღრმა ადამიანური განცდებითა და ჩაგრული ხალხებისადმი სოლიდარობით.

„არც ერთ მექსიკელს, არც ერთ უცხოელს არ აუსახავს მექსიკის სინამდვილე ასეთი სიმართლით“, — წერდა მექსიკის ჟურნალი ტრავენის შემოქმედებაზე.

მოთხრობა — „ქექა-ქუსილის ქალღმერთი“ ამოღებულია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოქვეყნებული ტრავენის კრებულიდან „ბანდიტების დოქტორი“.

რუსულად მოთხრობა დაბეჭდილია ჟურნალ „მოლოდაია გვარდიას“ 1965 წლის მეცხრე ნომერში. წინასიტყვაობა ეკუთვნის გ. მურავინს.

* * *

ინდიელთა ერთი სოფლის მოძღვარი შტატის დედაქალაქში საეკლესიო კრებაზე მიემგზავრებოდა. ქალაქს რკინიგზა არ უდგებოდა და მოძღვარს სხვა რაგზა ჰქონდა, ჯორჯე ამხედრებულს უნდა ევლო. რომ არ დალილიყო, გადაწყვიტა, ყოველ სოფელში შეესვენა. იცოდა, ყველგან პატივით დაუხვდებოდნენ. თავის სამწყსოში მოქანცველი შრომის შემდეგ ეს მგზავრობა სახალისოდაც კი მიაჩნდა. ქალაქში ოთხი-ხუთი კვირა მაინც უნდა დარჩენილიყო და წასვლის ხანს მოიხზო თავისი კრავნი, დალოცა, რათა ეშმაკის კერძნი არ გამხდარიყვნენ (ეს მეტად საშიში გახლდათ) ან ინდიელ ღმერთებს, რომელთა საქმეთაც უწყოდა ყველა, თავი არ აეშვათ. მსახურს უხმო და მიანდო ტაძარიცა და კრავნიც მისნი.

ეკლესიის მსახური კიპრიანო, შეშისმურელი და მენახშირე, ტოლს არავის უდებდა სოფელში. ხშირად იკვებინდა კიდეც. ამ ქვეყანაზე მხოლოდ ორი გა-

მოჩენილი კაცი ეცხოვრობთ: მოძღვარი და მეო. მე მოძღვრის მარჯვენა ხელი ვარ და ჩემი თანამდებობაც ისევე საპატიოა, როგორც მოძღვრისაო. ახლო მეგობრებს კი საიდუმლოდ გადაუკრავდა, მე უფრო დიდი კაცი ვახლავართ, ვიდრე ისაო, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ ვაგიგრძელებდათ, რადგან ღვთის საგმობ საქმედ მიაჩნდა. ისიც უნდა ითქვას. მლოცველნი დიდ პატივს სცემდნენ მოძღვარს, მაგრამ მოძღვარზე უფრო მეტად ეშინოდათ და ეკრძალებოდათ კიპრიანოსი.

მოძღვარი მეტისი იყო, მის ძარღვებში არ ჩქეფდა ინდიელთა სისხლი, კიპრიანო კი წმინდა სისხლის ინდიელი ვახლდათ. თავის თანამემამულეებში მას ექიმბაშის სახელიც კი ჰქონდა გავარდნილი. ეს არც არავის უკვირდა, რადგან ისევე ახლოს იდგა ღმერთებთან როგორც მოძღვარი; ისევე კარგად იცოდა რელიგიის ყველა საიდუმლოება, თავისუფლად შე-

დიოდა ხოლმე წმიდათა წმიდა ადგილებში. ლოცვაც შეეძლო და ღვთისმსახურებაც მოძღვარზე უკეთ. მოძღვარს ზოგჯერ ეშლებოდა და იძულებული იყო, წირვისას ლოცვანში ჩაეხედა.

კიბრიანო აგერ ოცდაათი წელია ეკლესიის მსახური იყო. სამი მოძღვარი გამოიკვალა. მრავალი წელი ღვთისმომიშობით სწავლობდა საეკლესიო საქმეებს: კარგად იცნობდა წმინდანთა ყოველ შუშის სამკაულს, თაბაშირის ყოველ ორნამენტს და ყოველ ნაყმს ხეზე. სულ ზებირად იცოდა ყველა საეკლესიო დღესასწაული და წმინდანის დღე. მლოცველ ინდიელებს, განსაკუთრებით ბავშვებსა და ყმაწვილებს, სჯეროდათ, რომ კიბრიანოს უფრო მეტი გაეგებოდა საეკლესიო წეს-ჩვეულებებისა, ვიდრე მოძღვარს.

სანამ საყვარელ ღმერთს შეაწუხებდნენ და რაიმეს შესთხოვდნენ, ინდიელები ჯერ წმინდანებს მიმართავდნენ ხოლმე. სწორედ ასევე, ადგილობრივი მკვიდრნი, თუ მოძღვართან საქმე ჰქონდათ, პირველად ყოველთვის კიბრიანოს გაუზიარებდნენ. ჯვრისწერა იყო, ნათლობა თუ მკვდრის დამარბვა, ჯერ კიბრიანოს ჰკითხავდნენ რჩევას.

მაშინაც კი, როცა ყმაწვილები და ქალიშვილები აღსარების სათქმელად მიდიოდნენ, ჯერ კიბრიანოს ინახულებდნენ, რომ გაეგოთ: სულის წაწყმენდა ხომ არ იქნებოდა, თუკი რამე დაავიწყდებოდათ ან ზედმეტს იტყოდნენ.

კიბრიანოს შეეძლო ყოველნაირი რჩევა მიეცა, ყველას დახმარებოდა. მლოცველები მას მოძღვარზე მეტად ენდობოდნენ. ამის წყალობით იყო, რომ კიბრიანოს საქმეები კარგად მიდიოდა. ხან ვარიას მიუყვანდნენ, ხან მამალს, ხან რამდენიმე გროშს ჩაუჩხრიალებდნენ; ხოლო მისი სახელის დღეს ისე აავსებდნენ ხორავით, მერე კარგა ხანს არხენიანდ ცხოვრობდა.

გასამგზავრებლად რომ მოემზადა, მოძღვარმა დაუბარა:

— ეკლესიის ზარი როდის დასრეო, შენც კარგად იცი, მე ვერას გასწავლი. დღისით, ჩვეულებისამებრ, ტაძარი ღია

იყოს, ღამით კი კარგად დაკეტე. ^{შაბათს} საღამოს და კვირა დღით, როცა მლოცველები მოაწყდებიან, შენ სწორედ ^{საღამოს} სწავლი, რა ფსალმუნები და ^{საღამოს} ლოცვანი დაგკირდება. შენ ხომ ყველა ზებირად იცი. ნაკურთხი წყლით ჭურჭლების აგება არ დაგავიწყდეს, როცა დაცარიელდება. ამასთან, ერთი დიდი საქმეც მინდა დაგვალო. ქალაქში წადი და ოქროსფერი საღებავი იყიდე. მტკერი მთაშორე ყველა წმინდანს, ჩამორეცხე ჩიტების სკინტლი. რა საცოდავად გამოიყურება წმინდანთა ანდრიანტები. საცა საღებავი გადასცლია, ხელახლა წაუსვი. მხოლოდ საკურთხეველთან მდგარ წმინდა ქალწულს ნუ შეღებავ. ერთი კარგად გადარეცხე და ლაქი გადაუსვი. ლაქი ქალაქის აფთიაქში იყიდება. თუმცა, ქალაქში წამოყე, ვიყიდი და გამოგატან. გზაში გასწავლი კიდევ, როგორ იხმარო საღებავები. რომ დავბრუნდები, ტაძარი ისე დამახვედრე, სულ ლაპლაპი გაუდიოდეს.

იმაზე დიდი პატივი რაღა იქნებოდა, ტაძარი დაეწკრილებინა, ყველა წმინდანის ანდრიანტი შეეღება. სიხარულისაგან ღამის ცაში ეფრინა, როცა წმინდამამამ ალუთქვა, რვა პესოს ვადაგისხდი, ოღონდ ტყეში ნუღარ იმუშავებ და მთელი ეს ხანი ტაძრის გამშვენიერებას მონადომეო.

მეორე დღეს კიბრიანო მოძღვარს ქალაქში გაჰყვა, იქიდან საღებავები ჩამოიტანა, თან ისწავლა კიდევ, როგორ ეხმარა.

მერე ცოცა გადაჰკრა, რომ მხიარულ გუნებაზე დამდგარიყო და ამქვეყნად ყველაფრით მეტისმეტად კმაყოფილი ვირზე შეჯდა და აუჩქარებლად შინისაკენ გაემართა.

მწუხრისას რეკდნენ; სოფლამდე რომ მიადწია. ბიჭებმა სწორედ მაშინ შემოჰკრეს ეკლესიის ზარებს, როცა კიბრიანო სოფლის განაპირა სახლებს გაუსწორდა.

მეორე დღეს კიბრიანო ტაძრის შეღებვას შეუდგა. თუმცა ასეთი რამ არასოდეს ეკეთებინა, დიდ საზრიანობას იჩენდა: ფრთხილად რეცხავდა მოხატულ

წმინდანებს, რომ ძალიან ბევრი საღებავი არ მოეშორებინა. ახალი საღებავი არცთუ ბლომად ჰქონდა, თანაც უნდა ესინჯა, როგორ ედებოდა საღებავი, რადგან ვაჭარმა ისე, ზერელედ ასწავლა. ამიტომ იყო, კიბრიანო ჯერ იუდა ისკარიოტელის გაკონტაგვებას შეუდგა. იგი ნახევრად წმინდანად ითვლებოდა და ჯერ კარგად არც კი იყო დარწმუნებული, მართლა ვაჭყიდა თუ არა ქრისტე. ერთნი ამბობდნენ, მან უღალატა და ვაჭყიდაო ღვთის შეილი, ამიტომაც, ორი ათასი წელია კუბრში ხარშავენო; სხვები, ვინც ლამის ზეპირად იცოდა წმინდა სახარება, პირიქით, ლალდებდნენ, იუდა ისკარიოტელმა მამა ღმერთის ბრძანებით გაყიდა მაცხოვარიო. იმას რომ არ გაეყიდა ქრისტე, ჯვარზეც ვერ გააკრავდნენ და უფალიც ვერ იტვირთავდა ამქვეყნიურ ცოდვებს და არ მოკვდებოდა, რათა უბედური ხალხისათვის კეთილი ექმნათ. რადგან ღმერთს იარაღად სჭირდებოდა იუდა, რომლის დახმარებითაც მოხდა გარდამოხსნის სასწაული, ინდიელებს იგი ნახევრად წმინდანად მიაჩნდათ, ისევე როგორც ის ჯვარცმული ნახევრად წმინდანი, ზოგჯერ ცაში ტანჯულ ინდიელს რომ გამოეხარჩლებოდა ხოლმე. დიდი უგუთნურებაა, მტრად ჩათვალო ის, ვისი სახელიც ბიბლიაში ან ლეგენდებშია ნახსენები, რადგან, ვინ იცის, იქნებ იარაღადაც კი გამოიყენა ღმერთმა.

იუდა ისკარიოტელი დამნაშავე მოწაფესავით, ყველასაგან შეუმჩნევლად, ტაძრის ბნელ კუთხეში იდგა ხოლმე. საბრალო მთელი წელი იყო ასე. მხოლოდ წმინდა კვირაში — სემანა სანტაში — გამოითანდნენ კუთხიდან, მტვერი მოაცილებდნენ, ცოტათი შელამაზებდნენ და საღამოს სერობის სუფრასთან მოათავსებდნენ ხოლმე, რომელიც ასეთი შემთხვევისათვის იდგმებოდა ტაძარში. იუდა აუცილებლად უნდა იდგეს ამ სუფრასთან, თუნდაც სულ არ იყვნენ სხვა წმინდანები. ზოგჯერ, თორმეტნი ან ცამეტნი რომ გამხდარიყვნენ, მაგიდას რომელიმე წმინდანის ანდრიანტს მიუდგამდნენ ხოლმე, თუნდაც სახარების მიხედ-

ვით მას არ რკებოდა პატივი მონაწილეობა მიეღო წმინდა ანტონის ან წმინდა იერონიმის ისტორიულ სერობაში. საც საიდუმლო სერობა ეწოდა.

კიბრიანომ იცოდა, რომ თავისი ნიჭის გამოსაცდელად იუდა ისკარიოტელზე შესაფერის წმინდანს ვერ იპოვიდა. სწორედ იუდა გამომადგება საცდელადო, — ფიქრობდა გულში. რა ფერადაც მოესურვებოდა, ისე შეეღებავდა, მერე ლაქსაც გადაუსვამდა და ნახავდა, დრო და უამისვან დაკრკილული ხე როგორ მიიღებდა საღებავს. თუ კარგად არ გამოუვიდოდა, დიდ ცოდვადაც არ ჩაუთვლიდნენ ზეცაში. საღებავს ჩამოაცლიდა, ხელახლა შეღებავდა და ისევ ბნელ კუთხეში მიდგამდა. სემანა სანტამდე კი ნახევარ წელზე მეტი იყო. წმინდა კვირის დადგომამდე იუდას ისევ მტვერი დააცვივებოდა და კიბრიანოს ხელოვნების განსჯა შეუძლებელი გახდებოდა. მთავარი ის იყო, წვერი და ფულით სავსე ქისა კარგად გამოეკვთა, რომ მიმხვდარიყვნენ, ვინ იყო, თორემ იქნებ წმინდა იოსებშიც კი არეოდათ. მიეჩვეოდნენ წმინდა იოსების საკურთხეველს, იქ აღაკვლენდნენ ლოცვას, სანთლებს დაანთებდნენ და შესაწირავსაც იმას შესწირავდნენ. კიბრიანო დიდი გულმოდგინებით მოკრძალებით უტრიალებდა ანდრიანტს. აქ ბრინჯაოს საღებავი წასცხო, იქ ვერცხლისა, მერე სინგურის ლაქით დაფარა და ერთი-ორი მწვანე და ყავისფერი ზოლიც კი გაუსვა.

ეკლესიის მსახური მეტად ჩააფიქრა იმან, რომ იუდა ისკარიოტელი რაღაც უჩვეულოდ ლამაზი და ღვთაებრივი გამოუხედა. რაც არ უნდა იყოს, იგი ხომ ნახევრად წმინდანი იყო და ისევ კუთხეში უნდა დაედგა, სადაც ვერავინ შენიშნავდა კიბრიანოს ხელოვნებას. რა სამწუხაროა, რომ მოსყიდულმა იუდამ უღალატა მაცხოვარს; ასე რომ არ მოქცეულიყო, ახლა ხომ წინა პლანზე წამოდგამდა ამ მშვენიერ ქმნილებას. მაგრამ აბა რას ვააწყობდა, როცა ბიბლიაში ყველაფერი ეწერა, კიბრიანო კი მხოლოდ იმისათვის, რომ იუდა ისკარიოტე-

ლი ტაძრის გასასვლელთან, ნაკურთხ წყლიანი ჭურჭლის გვერდით დაედგა, სადაც ხალხს განაცვიფრებდა მისი ხელოვნება, ცოდვას ვერ ჩაიდენდა და ბიბლიას ვერ დაამახინჯებდა. ერთხანს იმასაც კი ფიქრობდა, იუდას წვერი და ქისა ხომ არ მოვაშოროო. ქისა შეეძლო წმინდა იოსებისათვის მიეცა ხელში და წვერიც ისე შეეკრიჭა, რომ იუდას დამსგავსებოდა. მაშინ კი შეძლებდა იუდა იოსებად ექცია და წინ წამოედგა, საცა ყველა დატყბებოდა იმისი ცქერით. მაგრამ ვერ გაბედა, შეეშინდა, ვითუ მიმიხვდნენო. მლოცველები კარგად იცნობდნენ იუდას მოღუშული სახის ნაკეთებს. ინდიელს საკმაოდ ფხიზელი თვალი აქვს, მაშინვე შენიშნავს.

თუ რატომ ფიქრობდა კიბრიანო, იუდა თავისდაუნებურად იოსებად ექცია, ამისი მიხვედრა ძნელი არ არის, რადგან, როგორც ყოველმა მხატვარმა, იმანაც კარგად იცოდა, მეორე ასეთ ქმნილებას ვეღარ შექმნიდა. იმის გასაგებად, ვარგოდა თუ არა, ყველა საღებავი იუდა ისკარიოტელს შეაღია. სხვა წმინდანებზე ამას ვერ გაბედა და არც საღებავი ეყოფოდა. ერთს ყავისფერი უნდა მეტი, მეორეს — ყვითელი, მესამეს — მწვანე, მეოთხეს — წითელი, ოქროსა და ვერცხლისფერზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რადგან ოქროსა და ვერცხლისფერი ცოტ-ცოტა ყველას სჭირდება. მთავარი კი ის იყო, ყველა ანდრიანტი წინანდებურად შეეღება, თორემ მლოცველები ვეღარ იცნობდნენ; ის კი არა, იქნებ თვით მოძღვარსაც ვეღარ ეცნო. იუდა ისკარიოტელზე არავინ ჩაუდგებოდა კრიქაში. ამიტომ იყო, კიბრიანომ თავისი ნიჭი მასზე გამოიჩინა. უფლება არ ჰქონდა დანარჩენებისათვის, განსაკუთრებით კი მაცხოვრისა და წმინდა ქალწულისათვის, ოდნავ შეეცვალა ფერი.

ბოლოს გულდამძიმებულმა კიბრიანომ თავისი მშვენიერი ანდრიანტი ბნელ კუთხეში მიდგა, სადაც ისკარიოტელი დევნილობაში იმყოფებოდა. კიბრიანო მზრუნველად ევლებოდა თავს სხვა ან-

რიანტებსაც, მაგრამ მაინც მის მიერ შექმნილ მშვენიერ ქმნილებებზე ფიქრობდა. წმინდა ანას ლებავდა, წმინდა მარკელის თუ წმინდა ფრანცისკას, მისი ფიქრები მაინც იუდა ისკარიოტელს დასტრიალებდა.

ღღესავით ნათელი იყო, ახლა კიბრიანო ცბიერების ბედში გაება და ექვიც არვის უნდა შეჰპარვოდა, რომ ამაში ეშვავის ხელი ერია. სატანამ ისარგებლა მოძღვრის არყოფნით და გადაწყვიტა, თავის მახეში გაება ეკლესიის ერთგული მსახური. კიბრიანოს ფიქრები სულ იუდას დასტრიალებდა. ამიტომ იყო, რომ გაუფრთხილებლად მოიქცა, რაც შემდეგ სანანებლად გაუხდა. რაც მერე მოხდა, ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა მოხერხებულად მოქმედებს ეშვაკი ანტიქრისტეს სახელმწიფოს შესაქმნელად.

ახლა კიბრიანო ყველაზე სანუკვარ საქმეს უნდა შესდგომოდა: გაესუფთავებინა და გაელამაზებინა საკურთხევის მშვენება — წმინდა ქალწულის ანდრიანტი. კიბრიანოს სწამდა, რომ ამაზე წმინდა მოვალეობა არ არსებობდა ამქვეყნად.

ქრისტეს ანდრიანტებს (ჯვარცმულსა თუ დასისხლიანებულ მხრებით ჯვარს რომ მიათარედა, ან კლდის ნამსხვრევებზე მწოლარეს) კიბრიანო ისევე თავისუფლად ექცეოდა, როგორც წმინდანებისას. დიდად ვერც კი ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, მაგრამ წმინდა ქალწული თვით ყოვლისშემძლე ღმერთზე წმინდანი იყო. იგი თვით იდეისა და რწმენის განსახიერება გახლდათ.

სანამ წმინდა ქალწულს მაღალი კვარცხლბეკიდან გადმოიღებდა, მუხლებზე დაემხო და ერთი ასჯერ მაინც გაიმეორა „აჲე“, პირჯვარი გადაისახა და მხოლოდ შემდეგ ჩამოხსნა, მაგრამ ტაძრის ქეფენილზე არ დაუშვია, ქვეშ თავისი ანაფორა გაუფინა.

თითქოს ჩვილ ბავშვს ბანსო, ისე ფრთხილად შეუდგა მის განწმენდას. ჯერ ტანსაცმელი განძარცვა, რათა მტვერი ჩამოეცილებინა. წმინდა ქალწული შიშ-

ველი მაინც არ დარჩებოდა, თუნდაც ქსოვილის სამოსელი მოეცილებინა, მისი სხეული ხეზე ამოკვეთილი საბურველით იყო შემოსილი. ასე რომ, თვით ყველაზე უსირცხვილო მამაკაციც კი ვერას ჰკიდებდა თვალს ისეთს, რაც ღვთისმშობელს გააწითლებდა. ანდრიანტს მტვერი მოაცილა, მერე ტაძრის ქვაფენილზე პატარა ცეცხლი გააჩაღა, რათა განსაბანად წყალი გაეთბო და დახეთქილი ხის დასაწებებლად წებო გაელღო.

ღვთისმშობლის ტანსაცმელი გასაშრობად ეკლესიის ბაღში ბუჩქებზე გაჭფინა, თვითონ კი ცეცხლთან ჩაცუცქდა, ყავა და შეჭამანდი ვაიცხელა, რადგან შინ წასვლა-მოსვლაზე არ უნდოდა დრო დაეკარვა. ყავა გამოსცალა თუ არა და ჩილის წიწკით შეზავებული შეჭამანდი მიირთვა, ეკლესიის ბაღში გავიდა, რომ ენახა, მზეზე გაფენილი ტანსაცმელი გაშრა თუ არაო. ამის ცქერაში სიგარეტი შეახვია და გააბოლა.

მზე მხოლოდ წმინდა ქალწულის ტანსაცმელს კი არ აშრობდა, მთელ ბაღს კისარტყელასავით ნაირფერ სხივებს აფრქვევდა. ფერთა ამ ლივლივმა მისი ფიქრები მის მიერ შექმნილი ქმნილების, მშვენივრად აღდგენილი იუდა ისკარიოტელისაკენ გადააფრინა. ვინ იცის, იქნებ თვით მოძღვარსაც კი მოსწონებოდა. მაშინ იუდას თუ ყველაზე საპატიოს არა, უფრო შესაფერის ადგილს მაინც მოუძებნიდნენ.

ფიქრებმა ისე გაიტაცა, რომ ბოლოს იმ დასკვნამდეც მივიდა, იუდას უსამართლოდ მოექცნენო. ორი ათასი წელია სტანჯავენ იმისათვის, რომ ერთხელ მოინდომა ოცდაათი ვერცხლი ეშოვნა. ვინ იცის, იქნებ ამ ოცდაათი ვერცხლით ავადმყოფი ბავშვისათვის წამალი უნდა ეყიდა. ეს კი არსად არ არის ნახსენები, რის გამოც იუდას საქციელი კიდევ უფრო საზიზღრად წარმოგვიდგება. იუდას მეტად უსამართლოდ მოექცნენ, სამუდამოდ მოუსპეს საშუალება, ცოდვა გამოესყიდა. წმინდა პედროს კი აპატიეს ყველაფერი, ის კი არა, ცის აღსავლის გასაღებიც ჩააბარეს.

იმაზე დაძაბულ ფიქრში, თუ რა სხვა დასხვა საწყაოთი წყავდნენ ციურს საქმეებს, კიპრიანოს ჩასთვლიდა. ცოტა ხნის შემდეგ მაგრად ჩაეძინა. საქმე მაინც არაფერი ჰქონდა. მზეს ხომ ვერ მიეშველებოდა ღვთისმშობლის ტანსაცმლის გაშრობაში. კიპრიანოს მოეჩვენა, თითქოს იმან გამოაღვიძა, რომ სიზმარში ცხადლივ ნახა მამაკაცისა და ღედაკაცის ურთიერთობა. თუმცა ეს მოძღვარსა და სენიორა ელვირას არ ეხებოდა. სინამდვილეში ძაღლის ყეფამ გამოაღვიძა. ტაძრის კარი ღია დაეტოვებინა, ფიქრობდა, ბაღში ცოტა ხანს დავრჩები და სიგარეტს გავაბოლებო. მაგრამ სანამ ეძინა, ტაძრის ღიად დარჩენილ კარში ძაღლები შევარდნილიყვნენ და ერთმანეთს უღრენდნენ შეჭამანდისათვის, კიპრიანოს ნასუფრალისათვის.

ნამძინარევი კიპრიანო შევიდა თუ არა ტაძარში, ძაღლებმა მოკურცხლეს.

კაშკაშა მზის სხივებს შეჩვეული კიპრიანოს თვალები სიბნელეში ვერას ხედავდნენ. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მიხვდა, რა ხდებოდა ტაძარში. ღვთისმშობლის ფიგურას რომ მიუახლოვდა, შიშისავან გული გადაუტრიალდა, რამდენჯერმე გაახილა და დახუჭა თვალები, სანამ არ დარწმუნდა, რასაც ხედავდა.

ერთმანეთის ღრენაში ძაღლებს ღვთისმშობლის ანდრიანტი წაეჭკიათ და ახლა იგი ხის უბრალო ნაჭერივით უმწეოდ ეგდო ცეცხლში. ძაღლებმა აბა რა იცოდნენ, რა წააქციეს, ამიტომ ვერც დადანაშაულებდით. კიპრიანო მაშინვე მიხვდა, ძაღლები ეშმაკს გამოეგზავნა მისთვის უბედურების დასატეხად.

ამჯერად ერთი ფსალმუნიც კი არ წაუკითხავს, საჩქაროდ ამოიღო განმწმენდავი ცეცხლიდან ღვთისმშობლის ანდრიანტი.

წმინდა ქალწულს მარცხენა ხელი მკერდზე ჰქონდა მიკრული, საიდანაც ოქროსფერ-ბრინჯაოსფერი სხივები გამოკრთოდა. ლოცვად აღმართული მარჯვენა ხელი მლოცველებისაკენ კი არ მიემართა, როგორც დამწყალობებისას აკე-

თებენ, პირამდე ჰქონდა მიტანილი ხელისგულით დაბლა. მთლად დანახშირებულ ხელს მაინც შეენარჩუნებინა თავისი ფორმა. მარჯვენა გვერდიც ცოტა დასწვოდა.

კიბრიანომ აბოლებულ ხეს ყავის ნარჩენი გადასხა, მაგრამ ისე ცოტა იყო, აბა რას უშველიდა და ფურთხით სცადა ჩაქრობა. იმაზე კი აღარ დაფიქრებულა, თუ რა ცოდვას სჩადიოდა. თუმცა ქრისტიანულად იყო აღზრდილი, სასტიკმა აუცილებლობამ წარმართ ინდიელად აქცია. ნამდვილი წარმართი მაშინ გახდა, როცა ჩაფიქრდა, რა უნდა ექნა. აღარც კი ახსოვდა, რომ ხელში უბრალო ხის ნაჭერი კი არ ეკავა, არამედ ღვთისმშობლის ანდრიანტი, რომელსაც ცოცხალი ღვთისმშობელივით სცემდნენ პატივს.

ჯერ კართან მივიარდა და ჩავეტა, რომ ტაძარში არავინ შესულიყო და მომხდარი უბედურების მოწმე არ გამხდარიყო. კიბრიანო დარწმუნებული იყო, თავს ვერაფრით იმართლებდა. თუმცა გულს იმით იმშვიდებდა, რომ ძაღლები ბოროტების იარაღნი იყვნენ და თვითონაც დაუფიქრებლობით გაუიოლა ეშმაკს საქმე.

იმას კიდევ შეურიგდებოდა, რომ ამ უბედურების შემდეგ თანამდებობას დაჰკარგავდა, ეს ადგილი მაინცადამაინც დიდ შემოსავალს ვერ აძლევდა: ხუთ ან ათ სენტავოს—ნათელისას, ოცდახუთს—„ყველაზე მდიდრულ“ ქორწილში. თუ ღარიბული ქორწილი იყო, ორ ან ხუთ სენტავოს მიიღებდა, ზოგჯერ სულაც არაფერს. მეკდრის დამარხვა ხომ რაღა სახსენებელი იყო. სოფელში ერთი ღონიერი ოჯახიც კი არ მოიძებნებოდა. იმასაც ვერ იტყოდით, მოძღვრის მოუკალათნია თბილ ადგილასო. ეს მცირედი შემოსავალი მხოლოდ იმაზე ჰყოფნიდა, რომ მისი სული ზორცს არ გაჰყროდა. ხალხი დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, ამისათვის ცაში ოდესმე გულუხვად დააჯილდოებდნენ და მოძღვარიც აუცილებლად სჭირდებოდა, რათა ღმერთისათვის მზე და წვიმა გამოეთხოვა, სულაც უარს იტყოდა მის შენახვაზე.

შემოსავლიანი ადგილის დაკარგვას არ

ნაღვლობდა კიბრიანო. მის ის აღარცებოდა, რომ მთელი მრევლის პატივისცემას კარგავდა. მომხდარი ამბავი რომ გაჩემდებოდა, ის აღარ იქნებოდა რჩეული, რომელიც ახლოს იდგა მოძღვართან და მასთან ერთად წმინდა საქმეებს განაგებდა. მოძღვრის არყოფნაში ვედარ წაიკითხავდა ლოცვანსა და ფსალმუნს, მლოცველთა სახელით ვედარ ანთებდა სანთლებს, მოძღვარს ფეხთბანისათვის ვედარ მიაწოდებდა ჭურჭელს, ხელსაწმენდსა და ლოცვანს, ვედარ მიეშველებოდა წირვისას ტანსაცმლის ჩაცმასა და გახდაში. აღარავის აღარ დასჭირდებდა მისი რჩევა, დაბადების დღეზე აღარ მიუყვანდნენ არც წიწილას, არც მამალს, მთელი წლის განმავლობაში აღარავინ გამოიჩენდა მისადმი ყურადღებას: ხან ჭიქა შარბათს რომ მიაართმევდნენ, ხან გარეული ფუტკრის თაფლში მოხარშულ გოგრას. ცხოვრებას აღარ ექნებოდა ფასი. ეს ოცდაათი წელია, კიბრიანო ისე მიეჩვია ეკლესიასა და საეკლესიო სამსახურს, ვერც ერთ მლოცველს ვედარ წარმოედგინა ეკლესია უიმისოდ. ახალგაზრდობას ვერავინ დააჯერებდა, რომ მას როდესმე ვინმე შეცვლიდა. იქნებ სჯობდა მხურვალედ ელოცა, რომ დიდი სასწაული მომხდარიყო და ღვთისმშობელს ხელი გამოზმოდა. მაგრამ იგი ასეთი მორწმუნე არ გახლდათ. ნამდვილი ინდიელი იყო და იცოდა, გამხმარი ხე ყლორტებს ვერ გამოიღებდა, თუნდაც მრავალი ლოცვა ადევლინა ცად.

იგი ერთადერთ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რაც მხოლოდ ასეთ სასოწარკვეთილ მღვდმარეობაში ჩავარდნილ კაცს შეიძლებოდა მიეღო: მოდი, ღვთისმშობელს დანახშირებულ ხელს მოვახერხავ, ხისაგან ახალს გამოვთლი და მხარზე მივაწებებ. მერე სქლად გადავუსვამ საღებავს და წმინდა ქალწულს ისევ საკურთხეველთან დავდგამო. აბა ვინ შენიშნავდა დაზიანებულ ხელს. ახალი ხელის გამოთლას რამდენიმე დღე მაინც მოუწდებოდა, მანამდე კი ღვთისმშობელი, რაღა თქმა უნდა, თავის წინანდელ

ადგილას უნდა მდგარიყო, თორემ მლოცველნი მაშინვე შენიშნავდნენ. ღვთისმშობლის გარეშე ლოცვას კი აბა რა ძალა ექნებოდა. ინდიელს საკუთარი თვალით უნდა დაენახა ის, ვისადმიც ლოცვას აღავლენდა, თორემ ლოცვად ვერ განეწყობოდა და იმის მაგივრად სიმიინდზე, თხებზე ან ცხვრებზე იფიქრებდა. ეს კი ეშმაკის წისქვილზე წყლის მიშვებას ნიშნავდა.

კიპრიანომ კვლავ შემოსა ღვთისმშობელი და მერე წმინდა ქალწული თავის ადგილას დადგა საკურთხეველთან. სანთლები ისე განალაგა, რომ ტაძარში გამოფეტულ ბინდ-ბუნდში თუ საკურთხეველთან ახლოს არ მივიდოდა, მომწვარი ხელი თვალში არ ეცემოდა მლოცველს. თან ტანსაცმლის ნაოჭი ისე გაანაწილა, რომ ხელი სანახევროდ დაფარა. წმინდა ქალწულს ტანსაცმელიც მუქლურჯი ეცვა და დაზიანებულ ადგილს ადვილად ვერ შენიშნავდა კაცი. მოძღვრის დაბრუნებამდე ხელსაც მიაწებებდა. თუმცა კიპრიანომ კარგად იცოდა, ცოდვას სჩადიოდა, მაინც გადაწყვიტა, მოძღვრისათვის დაემალა, თუ რა გაუფრთხილებლად მოიქცა. მოდი, ვითომ დამავიწყდაო, და რაც კაცს არ ახსოვს, აბა იმაზე აღსარებას ვინ მოსთხოვს. ინდიელი რომ ყველაფერში გამოსტყუდობოდა, რა ცოდვაც ჩაიდინა, თვით ყველაზე კეთილად განწყობილი სულიერი მამაც კი არ მიუტევებდა ცოდვებს, ყველაზე დიდი მოძღვარიც ჯერ საფუძვლიანად ასწონ-დანსწონიდა, შეეძლო თუ არა ასეთი აღსარების შემდეგ მიეტევიებინა ცოდვა.

უკეთესი იყო მოძღვარს ხელი აეღო ინდიელების გარდაქმნაზე და შერიგებოდა იმ ხვედრს, რაც ამ ხალხს მოელოდა. ამაში ალბათ თვით მამა-უფალიც კი დაეთანხმებოდა.

ღვთისმშობელი თავის ადგილას იდგა. დადამდა. კიპრიანომ კარი გამოადლო და რამდენიმე ქალი შევიდა ტაძარში, რათა მხურვალე ლოცვაში სულიერი სიმშვიდე ეპოვა.

როცა ტაძრის დაკეტვის დრო დადგა, კიპრიანომ კარი დაკეტა და გულდამშვი-

დებული შინისაკენ გაეშურა; დარწმუნებული იყო, იმ დამეს ვერავინ ვერაფერს გაიგებდა.

თავის ქოხში რომ შევიდა, შესაფერისი ხის ნაჭერი მოძებნა და ლამპის მკრთალ შუქზე ხელის გამოთლას შეუდგა. შელამაზებით კი, გადაწყვიტა, დილით შეელამაზებინა. დარწმუნებული იყო, ამ საქმეს მეორე დღეს შუადღემდე მორჩებოდა. ანდრიანტი მხოლოდ დილის ლოცვაზე იქნებოდა უხელოჯ.

საქმე უფრო უკეთ გამოუდიოდა, ვიდრე ფიქრობდა. შეუღამისას, როცა კიპრიანო გულმოდგინედ ჩარხავდა ღვთისმშობლის ხელს, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ცა თითქოს ჩამოინგრაო, ჭექა-ქუხდა. ცას ელვა ჰკვეთდა და ჩაბნელებულ დამეს ლაპლაპა ნაფლეთებად გლეჯდა.

კიპრიანოს ადგილას სხვა უფრო ღვთისმომშივი კაცი ცის რისხვას ამ შელანძღულ ღვთისმშობელს დაუკავშირებდა. მოძღვარი უეჭველად ეტყოდა: „ეს რა ჩაიდინე, კიპრიანო! ღმერთმა ცოდვა მოგივლინა, მოინანიე ცოდვა და სთხოვე მოწყალეობა უფალს“.

კიპრიანო, რაღა თქმა უნდა, ღვთისმომშივი კაცი იყო. მაგრამ არც იმდენად, რომ დაეჯერებინა, თითქოს ეს ქარიშხალი მისი გაუფრთხილებლობის წყალობით ამოვარდა. იგი დიდი გულმოდგინებით აკვირდებოდა ბუნებას და არც ისე ბავშვით გულუბრყვილო ვახლდათ. ნაშუადღევსვე შენიშნა, ჰორიზონტზე საავდრო ღრუბლები იკრიბებოდა და მატეოსა და პანფილოს უთხრა კიდევც, როცა ისინი ეკლესიის ბაღში სეირნობდნენ: „დაიმახსოვრეთ, ამაღამ ისეთი ნიაღვარი წამოვა, კარგა ხანია რომ არ გვიანახავს. ვინ იცის, ვის ქოხს შთანთქავს ცეცხლი“.

ეს ერთი საათით ადრე უთხრა, სანამ ღვთისმშობელს ხელი მოეწვებოდა.

მოძღვარს ისე კარგად იცნობდა კიპრიანო, იცოდა, უეჭველად ასე ეტყოდა: „რაც მოხდა, ღვთისმშობელმა განჭვრიტა და ამიტომ წინასწარ ამოავდო ქარიშხალი“.

ამაზე კიბრიანო, ჩვეულებსამებრ უპასუხებდა: „სი პადრე, დიახ, ასეა“. მოძღვართან შეკამათება არ შეიძლება — ეს იმას ნიშნავს, რწმენას უღალატო. თავის გულში კი ასე იტყოდა და რასაც გულში იტყვიან, ის ხომ სენიორ პადრეს არ ესმის! დიახ, გულში იტყოდა: „თუ ღვთისმშობელმა ეს წინასწარ იცოდა, — და ალბათ იცოდა, რადგან მოძღვარი ასე ამბობს, — ისიც ეცოდინებოდა, რომ ბინძური ეზოს ძაღლები ცეცხლში ჩააგდებდნენ ანდრიანტს. ღვთისმშობელი ამას არ გააკეთებდა თუნდაც იმიტომ, რომ შესიამოვნება არ შემგვედროდა“. ამაში ცდომად იყო დარწმუნებული. მაგრამ ყველაფერს მაინც ისა სჯობდა, არაფერი მომხდარიყო.

კიბრიანომ თამბაქო შეახვია და გააბოლა. თავიც არ შეუწყუხებია, რომ ლოცვა აღველინა უფლისადმი, რათა ქარიშხალი ჩამდგარიყო და სოფლისათვის რაიმე ზიანი არ მიეყენებინა. დაცდილი ჰქონდა, ეს ვერას შეგლოდა. უმჯობესი იყო, ქარიშხალი ნებაზე მიეშვა, ებობოქრა, რომ თავისთავად ჩამდგარიყო. კიბრიანოს ახსოვს, მსურვალე ლოცვისას როგორ მოკლა მეხმა მოჩიანუს ცოლი პაჩუ ლეზკანო. ახლა ის ერჩივნა, სიგარეტი გაებოლებინა და ქოხის ღია კარიდან ეცქირა გაათრებულ ბუნებისათვის.

იმ წუთში, როცა დაინახა, ცა იწმინდებოდა და ერთგან ვარსკვლავებიც კი გამოჩნდა, მის თავს ზემოთ საშინელი გრიალი გაისმა. კიბრიანო შეკრთა და, რომ არ დაცემულიყო, კარის წირთხლს წაეტანა. სწორედ იმ წუთას ელვის სქელი ისარი ჩამოიჭრა ციდან და კიბრიანომ ნათლად გაარჩია, როგორ დაეცა პირდაპირ ტაძრის სახურავს. ესმოდა, როგორ სკდებოდა კრამიტები და ყოველ წუთს მოელოდა, რომ მთელი ტაძარი ლაბლაპა ცეცხლის ენებით აენთებოდა.

მაგრამ ეს არ მომხდარა. ტაძარი კვლავ სიბნელემ შთანთქა. ქარიშხალი ჩადგა. მხოლოდ ხანდახან გაკრთებოდა ელვა.

კოკისპირული წვიმა წამოვიდა. ნახევარი საათის შემდეგ სიბნელეში მხო-

ლოდ ჰორიზონტზე გაიელვებდა დროდადრო.

კიბრიანო თავისი ქოხის ზღმუნდებდა იდგა. ორი მამაკაცი მოვარდა მის ქოხთან და უთხრა:

— დაინახე, კიბრიანო, მეხი რომ დაეცა ტაძარს? ვასაღები წამოიღე და ტაძრის კარი გააღე. სანამ ჩაქრობა კიდევ შეიძლება, მოდი, ვნახოთ, რაიმე ხომ არ იწვის.

ტაძართან უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მოდიოდნენ და მოდიოდნენ — მამაკაცები, ქალები, ბავშვები. ზოგს ხელში ანთებული ნაძვის ტოტები ეჭირა. ზოგს ჩაბუტული ლამპები. ყველამ დაინახა, როგორ დაეცა მეხი ტაძარს. ყველას უნდოდა ენახა, რაიმე უბედურება ხომ არ მოიტანა მეხმა.

კიბრიანომ ტაძრის კარი გამოაღო და მამაკაცებმა თვალიერება დაიწყეს, სადმე რაიმე ხომ არ იწვოდა. მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ეტყობოდა, ცივი ელვა იყო. სანამ კიბრიანო კარს დახურავდა, მამაკაცებმა ერთხელ კიდევ მოათვალიერეს ყველაფერი. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ საშიშროება არ ელოდათ და ყველა შინისაკენ გაეშურა დასაძინებლად.

მზე ამოიწვინა თუ არა, კიბრიანომ ტაძრის კარი გააღო. ბიჭებმა დილის ზარი შემოჰკრეს. კიბრიანომ სანთლები აანთო. გამოჩნდნენ პირველი მლოცველებიც. ყველანი ქალები იყვნენ, ზოგს თან ბავშვებიც წამოეყვანა.

ორი ქალი საკურთხეველს მიუახლოვდა, უნდოდათ საგანგებო ლოცვა აღველინათ ღვთისმშობლისადმი.

კიბრიანო კართან მივიდა, რომ ჭურჭელი ნაკურთხი წყლით აეგისო.

უცებ საკურთხეველთან ქალებმა ყურისწამლებად იყვირეს და გაცხარებით დაიწყეს პირჯვრის წერა. კიბრიანო შემოტრიალდა და შიშისაგან აცხაცხადა. მანაც პირჯვარი გადაისახა და წაიბურტყუნა: „ავე მარია“. დარწმუნებული იყო. ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. სხვა რა გზა ჰქონდა, მოთმინებით უნდა ელოდნა მოძღვრის დაბრუნებამდე, რომ იმას შეერცხვნა და გაეგლო.

ქალებმა თანდათან უმატეს გოდებას საკურთხეველთან. ტაძარში მყოფი სხვა ქალებიც მოცვივდნენ, რომ გაეგოთ, რა მოხდა. ისინიც მუხლებზე დაეცნენ და პირჯვრის წერას მოჰყვნენ.

ტაძარი პატარა იყო და კიბრიანოს გარკვევით ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ საკურთხეველთან ასე ვაცხარებით.

არ უნდოდა ყური დაეგდო. ეგონა, საკურთხარი ყურით მოისმენდა თავის შერცხვენას. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები მაინც ესმოდა და ერთმანეთს უკავშირებდა.

— უნ მილაგრო! უნ გრ-ა-ა-ან მილაგრო ლე პასო! პორ სანტა პურისიმა! ვირ-ქენსიტა ნოსტრა! ო, წმინდანთა წმინდანო! ო, წმინდა ქალწულო! რა სასწაული მოხდა! დიდი სასწაული!

ქალები მიუტრიალდნენ ნაკურთხი წყლის ჭურჭელთან გაშეშებულ კიბრიანოს. ღეთისმსახურმა აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. სჯობდა, შინ გაქცეულიყო, საწოლში ჩაწოლილიყო და მოეგონებინა, ვკვდებიო.

მაგრამ ქალებმა მოფიქრებაც აღარ დააცადეს, საკურთხეველთან მიათრიეს. ახლა კიბრიანოსათვის ყველაფერი სულ ერთი იყო.

ქალებმა ხელი სტაცეს და ყველამ ერთად იყვირა:

— ვერ ხედავ, კიბრიანო? განა ვერა ხედავ, რა სასწაული მოხდა? ღამით მეხი დაეცა ტაძარს. ხედავ მაღლა გატეხილ კრამიტს?

კიბრიანო ზევით იყურებოდა და თავს უქნევდა.

— სასწაული! დიდი სასწაული მოგვევლინა! წმინდა ქალწულმა ხელით დაიჭირა მეხი. წმინდა ქალწულმა ხელი შესწირა, რათა დაეცვა მაცხოვრის წმინდა სხეული და ტაძარი ხანძრისაგან. სასწაული! უნ გრან მილაგრო!

სამი დღეც არ გასულა, რომ ტაძარს უამრავი ხალხი მოაწყდა: ინდიელები, მეტისები, თეოტკანიანები.


კიბრიანოს უკვე აღარ შეეძლო მოვლენათა მსვლელობა შეეცვალა. სულ ის ფიქრი უტრიალებდა, იქნებ მართლა არსებობს რაღაც ზებუნებრივი ძალა, ამქვეყნიურ საქმეებს რომ განაგებს.

ამ დღიდან ტაძარი შემოსავლიან ადგილად იქცა.

წმინდა ადამიანური თვალსაზრისით გასაგები იყო კიბრიანოს საქციელი. როგორ გაუბედავდა უბრალო, წერა-კითხვის უტოდინარი ინდიელი აქ ლოცვების აღსავლენად მოსულ ეპისკოპოსსა და სხვა სულიერ მამებს, გაუგებრობა მოხდაო. ისინი მოუსმენდნენ და იტყოდნენ, ხედავთ, სიბერეს როგორ გამოუჩერჩეტებიაო. კიბრიანოს შეეძლო კრინტიც არ დაეძრა იქ, სადაც აუცილებელი არ იყო ლაპარაკი, მაგრამ აღიარებაც ვერაფერ სარგებლობას მოუტანდა. იმაზე ბევრად უფრო მაღალი სასულიერო პირნიც ხომ ამას ქადაგებდნენ. კიბრიანო აბა რაღად გაუტრუებდა მათ რწმენას. სიცოცხლისადმი ჯანსაღი, ინდიური დამოკიდებულება აფიქრებინებდა, რომ სწორად იქცეოდა... იმას ხომ ვერ იტყოდა, რამდენი უსიამოვნება შეხვდა ამ დუმბილისათვის. ეკლესიის მსახური გაცილებით უკეთ ცხოვრობს ასეთ შემოსავლიან ადგილას, ვიდრე ინდიელების ღარიბ სოფელში. ახლა აღარ დასჭირდებოდა შეშის ჩეხვა ან ნახშირის დაწვა. აღარ წაეჩხუბებოდა ნახშირის მუშტრებსაც. ზოგჯერ რომ ატყუებდნენ: ჯერ ააწონინებდნენ ნახშირს, მერე კი ფანს უკლებდნენ.

ყველა წმინდანს არ გაუთქვამს სახელი ამგვარი ან მსგავსი გზით, მაგრამ ამის გამო ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს ამ ამბის უტყუარობაში, ისევე, როგორც სისულელეა მუსლიმანს ელაო, მუჰამედს წინასწარმეტყველების ნიჭი არ გააჩნდაო.

თარგმანა ნონა კალანდარიშვილმა.





ზაქარია შვანიძე

ლენინი პროლეტარული პარტიის წინამორბედთა შესახებ

„თქვენ ცდებით, მე რომ შემეძლოს კვლავ დავუბრუნდე აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლას, ბოლშევიკებთან ვიქნებოდი“. ეს სიტყვები ეკუთვნის რევოლუციონერი რაზნოჩინელების საუკეთესო წარმომადგენელს ვერა ნიკოლოზის ასულ ფიგნერს, რომელსაც ერთ-ერთი საჯარო დისკუსიის დროს ესერების ლიდერმა განუცხადა — „თქვენ ჩვენთან ხართო“ (ეჟურნ. „სსრკ ისტორია“, 1963 წელი, № 4, გვ. 184).

ვერა ფიგნერის სიტყვები მიუთითებს იმ დიდ სიმპათიაზე, რომლითაც 60—70-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის მრავალი წარმომადგენელი ვანიმსკვალა ლენინის მიერ შექმნილი პროლეტარული პარტიის მიმართ.

60—70-იანი წლების რევოლუციონერებმა დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათი, როგორც რუსეთში პროლეტარული პარტიის წინამორბედთა, შეფასება მეტად რთული თეორიული საკითხია. ეს სირთულე თვით 60—70-იანი წლების განმთავისუფლებელი მოძრაობის ბუნების მრავალმხრივობაშია.

60—70-იანი წლების რევოლუციონერთა მოღვაწეობა მცენიერულად გაა-

ანალიზა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. ლენინის ნაშრომების გარეშე შეუძლებელია მშრომელთა განთავისუფლების საქმეში პროლეტარული პარტიის წინამორბედთა როლის განსაზღვრა.

ლენინმა პირველმა მოგვცა რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია და მიუთითა სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე რევოლუციონერთა თაობებს შორის მემკვიდრეობითი კავშირის არსებობაზე. „დეკაბრისტებმა, — წერს ლენინი, — გამოავლინეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.“

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა რაზნოჩინელებმა (ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნია ვოლის“ გამირებით დამთავრებული). უფრო გაფართოვდა მეზობლობა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“ — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუღდა მათ სათავეში და პირველად დარა-

ზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ. IV გამოც., ტ. 18, გვ. 19).

რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე თაობის რევოლუციონერთა გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე, მათი თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება და პრაქტიკულ-რევოლუციური ბრძოლის დაწყება უშუალო და ბუნებრივი შედეგი იყო იმ სოციალური და ეკონომიური ვითარებისა, რომელიც შეიქმნა რუსეთში 1861 წლის საგლეხო რეფორმის გამოცხადების შემდეგ. მართალია, რუს რაზნოჩინელთა რევოლუციური შეხედულებები ადრევე ჩაისახა, მაგრამ რაზნოჩინელობის, როგორც საზოგადოებრივ-რევოლუციური ბრძოლის წამყვანი მიმართულების, წარმოშობა 60-იანი წლების დამდეგთანაა დაკავშირებული. ლენინი გვასწავლის, რომ საგლეხო რეფორმის მძარცველურმა ხასიათმა განაპირობა რაზნოჩინელობის გაჩენა. რაზნოჩინელობის შინაარსის კონკრეტული გამოხატულება ხალხსნობა იყო. ამდენად, ბატონყმობის გაუქმებიდან პროლეტარული მოძრაობის დაწყებამდე არსებული პერიოდი, სავსებით კანონზომიერად ითვლება ხალხსნური მოძრაობის პერიოდად. ლენინი ამ პერიოდს დაახლოებით 1861—1895 წლებით განსაზღვრავს.

მაშასადამე, როდესაც ვმსჯელობთ რუსეთში პროლეტარული პარტიის წინამორბედთა ანუ „მემკვიდრეობის“ საკითხის შესახებ, სავსებით ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ ტერმინებს — რევოლუციონერი რაზნოჩინელისა და რევოლუციონერი ხალხსნის ერთი და იმავე შინაარსით ხმარება.

მაგრამ მიუტევებელი შეცდომა იქნება თუ ვილაპარაკებთ 60—90-იანი წლების ხალხსნობაზე, როგორც ერთიან ნაყადზე და არ შევამჩნევთ მასში ერთმანეთისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ორ მიმდინარეობას — რევოლუციურსა და ლიბერალურს.

ლენინი გვასწავლის, რომ 60—70-იანი წლებისა და 80-იანი წლების დამდე-

ვის ხალხსნები ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისზე იდგნენ. ამ პერიოდის რევოლუციონერთათა საერთო იდეური საფუძველი იყო ნ. ჩერნიშევსკის მიერ შემუშავებული „რუსული გლეხური სოციალიზმის“ თეორია, რომელმაც „წამყვანი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში რეფორმის შემდგომ პირველ ათეულ წლებში“. აქედან გამომდინარე, ხალხსანთა შეფასებისას არ შეიძლება შემოვიფარგლოთ ხალხსნობის დამახასიათებელი საყოველთაოდ ცნობილი სამი ნიშნით, რომლებიც ჩამოთვლილია ლენინის ნაშრომში — „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“

1) „კაპიტალიზმის აღიარება რუსეთში დაცემულობად. რეგრესად...“ 2) „აღიარება საერთოდ რუსეთის ეკონომიური წყობის თვითმყოფობისა...“ 3) უგულებელყოფა... „ინტელიგენციისა“ და იურიდიულ-პოლიტიკურ დაწესებულებათა კავშირისა განსაზღვრულ საზოგადებრივ კლასთა მატერიალურ ინტერესებთან“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამოც., ტ. II, გვ. 639). ეს სამი ნიშანი წლების განმავლობაში აღიარებული იყო საერთოდ ხალხსნობის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის, დახასიათების საზომად. მკვლევარები არ ითვალისწინებდნენ იმ გარემოებას, რომ ამ სამი ნიშნის ქვეშ ლენინი გულისხმობდა არა რევოლუციურ ხალხსნობას, არამედ ლიბერალურს. რადგანაც ნაშრომში „რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ — ლენინი ილაშქრებდა სწორედ ლიბერალური ანუ „თანამედროვე ხალხსნობის“ წინააღმდეგ. რაც შეეხება რევოლუციურ ხალხსნობას, ლენინი ნაშრომში „წვრილბურჯუაზიული და პროლეტარული სოციალიზმი“ მას ახასიათებს არა სამი, არამედ ოთხი ნიშნით. აქედან მეოთხე ნიშანი მითითებს იმაზე, რაც რევოლუციონერი ხალხსნებისათვის იყო დამახასიათებ-

ლი: ერთბაშად სოციალისტური გადატ-
რიალების ქადაგება (ვ. ი. ლენინი, თხზ.,
IV გამოც. ტ. 9, გვ. 539), რუსეთში
„გლებთა რევოლუციის“ გზით ცარიზ-
მის დამხობისა და გლებური თემის —
„ობშინის“ საფუძველზე სოციალიზმის
დამყარების იდეის ქადაგება. ამრიგად,
ეს მეოთხე ნიშანი რევოლუციურ შინა-
არსს აძლევს ცნობილ სამ ნიშანს და რე-
ვოლუციურ ხალხსნობას პრინციპულ-
ად ანსხვავებს ლიბერალურისაგან.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერული სო-
ციალიზმის ფუძემდებლებიც, განსაზღვ-
რულ პირობებში არ უარყოფენ რუსეთ-
ში არსებული მიწის თემური საკუთრე-
ბის ფორმიდან კომუნისტური მიწათ-
მფლობელობის ფორმაზე გადასვლის
შესაძლებლობას: „თუ რუსეთის რევო-
ლუცია განდება სიგნალი პროლეტარუ-
ლი რევოლუციისა დასავლეთში, ისე
რომ ორივე ერთმანეთს შეავსებს, მაშინ
დღევანდელი რუსეთის მიწის საკუთრე-
ბა შეიძლება გადაიქცეს კომუნისტური
განვითარების ამომავალ წერტილად.
(ვ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიწერ-მო-
წერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან,
თბ. 1955, გვ. 13). მარქსისა და ენგელ-
სის ამ მოსაზრებას ენგელსი კვლავ დას-
ტურებს 1893 წელს ხალხოსან ნ. დანი-
ელსონისადმი გაგზავნილ წერილში.

60—70-იანი წლების ხალხსნები პრი-
ციპულად იმითაც განსხვავდებოდნენ
ლიბერალური ხალხსნებისაგან და სო-
ციალ-დემოკრატიას იმითაც ენათესავებ-
ოდნენ, რომ გამსჭვალულნი იყვნენ ინ-
ტერნაციონალური მოვალეობის შეგნე-
ბით, ისწრაფვოდნენ გაენათავისუფლები-
ნათ რუსეთი თვითმპყრობელობისაგან,
რომელიც ყირიმის ომში დამარცხების
შემდეგ კვლავ „გაერთიანებული ევრო-
პული დესპოტიზმის ხერხემლად რჩე-
ბოდა“. ამ მხრივ მათ იდეურ წყაროს
პირველი ინტერნაციონალისა და ევრო-
პის მუშათა კლასის ბრძოლის გამოცდი-
ლება წარმოადგენდა.

უახლეს მარქსისტულ-ლენინურ ლი-
ტერატურაში სავესებით აღიარებულია,
რომ ნ. ჩერნიშევსკის მიერ შემუშავე-

ბულ „რუსული გლებური სოციალიზ-
მის“ თეორიაში, რომელიც 60—70-იანი
წლების ყველა რევოლუციონერულ-
ხოსნის შეხედულებათა საფუძველი იყო,
გარკვეული ცვლილება შეიტანეს ბაკუ-
ნინმა, ლავროვმა და ტაჩოვმა, მაგრამ
ამ გარემოებას არ გამოუწვევია 60—70-
იანი წლების რევოლუციონერთა ერთმა-
ნეთისადმი იდეური დაპირისპირება. ამ
ეპოქის რევოლუციონერთა საერთო სტი-
მულად კვლავაც რჩებოდა იმის სურვი-
ლი, რომ შეეცნოთ ხალხი, გარკვეულიყ-
ვნენ მის მისწრაფებებსა და იმედებში.

60-იანი წლების რევოლუციონერ-დე-
მოკრატიისა და 70-იანი წლების რევოლუ-
ციონერ-ხალხოსანთა შორის არსებულ
შეხედულებათა სხვადასხვაობა მხოლოდ
მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლის ტა-
ქტიკის სფეროს ეხებოდა, ძირითადი იდე-
ური თვალსაზრისით კი 70-იანი წლების
რევოლუციონერთა „ახალი თაობა აგრ-
ძელებდა და ამტკიცებდა თავიანთ წინა-
მორბედთა ტრადიციებს („საბჭოთა კავ-
შირის კომ. პარტიის ისტორია“. ტ. I,
გვ. 42, 43).

ეს პირველ რიგში ეხება რაზნოჩინელ-
რევოლუციონერთა ძირითად თეორიულ
დებულებას კაპიტალიზმზე გვერდის ავ-
ლით სოციალიზმის რელსებზე რუსეთის
გადაყვანის შესახებ. ამ საკითხს 70-იანი
წლების რევოლუციონერთა მსოფლმხე-
დველობაში არსებითი ცვლილება არ გა-
ნუცდია. ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი
და რევოლუციური დემოკრატიის სხვა
ფუძემდებლები კაპიტალიზმის პრობლე-
მას განიხილავდნენ უპირატესად თეო-
რიის სფეროში, 60-იანი წლების დასას-
რულისა და 70-იანი წლების რევოლუ-
ციონერებისათვის კი ეს იქცა რევოლუ-
ციური პრაქტიკის საქმედ.

სწორედ 60—70-იანი წლების რევო-
ლუციონერები, რომელთა არა მარტო
პრაქტიკული მოღვაწეობა, არამედ თე-
ორიაც „თავის დროზე პროგრესული და
რევოლუციური თეორია იყო“, იყვნენ
რუსეთში პროლეტარული პარტიის წი-
ნამორბედები.

მართლაც, ლენინი ნაშრომში — „რა

მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ ასახელებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედებს და მიუთითებს „60—70-იანი წლების მემკვიდრეობაზე“, ხოლო წიგნში „რა ვაკეთოთ?“ ახასიათებდა რა რევოლუციურ მოძრაობაში მოწინავე თეორიის მნიშვნელობას სამაგალითოდ მიუთითებდა 60—70-იანი წლების რევოლუციონერთა შეხედულებებზე: „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს. ხოლო რამდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს... გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლევად“ (ვ. ლენინი. თხზ., IV გამოცემა, ტ. V, გვ. 461—462).

60—70-იანი წლების ხალხოსნებმა უანგარო რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეობით დაიმსახურეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედთა საპატიო წოდება. „ხალხში და ხალხისათვის მუშაობის მისწრაფება, ბატონყმობისა და მეფის აბსოლუტიზმისათვის შეურთიგებელი და უკომპრომისო მტრობა, ბურჟუაზიულ-მონარქისტულ ლიბერალიზმთან კავშირის გაწყვეტა — აი, მსხვერპლისა და სისხლის ფასად შექმნილი ის იდეური მონაპოვარი, რომელიც შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მემკვიდრეობაში“ (საბჭოთა კავშირის კომ. პარტიის ისტორია“, ტ. I, გვ. 90).

რუსმა მარქსისტებმა კრიტიკულად შეაფასეს 60—70-იანი წლების რაზნოჩინელთა იდეურ-რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება. აიღეს მისგან კარგი და პროგრესული და უკუაგდეს ის, რაც ახალ ისტორიულ პირობებში ვეღარ უპასუხებდა ცხოვრების მიერ დასმულ მოთხოვნებს.

60—70-იანი წლების რევოლუციონერებისაგან იდეური შეხედულებებითა და პრაქტიკული საქმიანობით პრინციპულად

ლად განსხვავდებოდნენ 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების ხალხოსნები, რომელთაც ხელი აიღეს რევოლუციის მოთხოვნაზე და ცარიზმთან შეთანხმების გზას დაადგნენ.

მართალია, რწმენა სასოფლო თემის საშუალებით რუსეთის არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობისა ორივე პერიოდის ხალხოსნებისათვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ იმ პრინციპული განსხვავებით, რომ 60-70-იანი წლების ხალხოსნები ამის გარანტიად რევოლუციას თვლიდნენ, ლიბერალური ხალხოსნები კი — ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებსა და სხვადასხვა ასოციაციების შექმნას.

რევოლუციონერი ხალხოსნების ოცნებას კაპიტალიზმის გაუვლელად, გლეხთა რევოლუციის გზით სოციალიზმში რუსეთის გადასვლის შესაძლებლობის შესახებ საფუძველს აძლევდა იმდროინდელი რუსეთის სოციალ-ეკონომიური განვითარების დონე. 60—70-იანი წლებში რუსეთში კაპიტალიზმი სუსტად იყო განვითარებული და არც პროლეტარიატი წარმოადგენდა რევოლუციურად დარაზმულ კლასს. მუშათა მოძრაობა მაშინ თითქმის არც ჩანდა გლეხთა ფართო მღელვარების ფონზე. მაშინდელ რუსეთში არ იყო მომწიფებული პირობები „უტოპიური სოციალიზმიდან მეცნიერულზე“ გადასასვლელად; რევოლუციურ ახალგაზრდობას კი „არ სურდა და არც შეეძლო“ კაპიტალიზმის განვითარების ლოდინი და „უმოქმედოდ ყოფნა“ (საბჭოთა კავშირის კომ. პარტიის ისტორია, ტ. I, გვ. 50). მათ გლეხობაში დაინახეს რევოლუციური ძალა და მათზე აიღეს ორიენტაცია. ეს სავესებით გამართლებული ნაბიჯი იყო. ლიბერალური ხალხოსნების მოქმედებას კი რაიმე გამართლება არ ჰქონდა.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლებისათვის რუსეთში უკვე კარგად იყო განვითარებული კაპიტალიზმი და მუშათა კლასიც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა. მოროზოვის გაფიცვის ორგანიზებულად ჩატარებით რუსეთის ახა-

ლგაზრდა პროლეტარიატმა სერიოზული განაცხადი გააკეთა რევოლუციაში თავისი ჰეგემონობის სასარგებლოდ. რუსეთში ვრცელდება პროლეტარიატის რევოლუციური იდეოლოგია — მარქსიზმი. ამ ვითარებაში ლიბერალური ხალხოსნების მიერ რუსეთში კაპიტალიზმისა და მუშათა კლასის შეუმჩნელობას, გლახა რევოლუციის მოთხოვნაზე ხელის აღებას და მუშათა მოძრაობის უგულვებელყოფას არავითარი გამართლება არ ჰქონდა. ლიბერალური ხალხოსნები ქადაგებდნენ, რომ თითქოს მხოლოდ „კულტურული საზოგადოების“ შექმნისა და მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებით შეიძლებოდა რუსეთის განვითარება სოციალიზმის გზით. მათ მოძღვრებას დაბნეულობა შეჰქონდა მშრომელთა რიგებში. ამიტომ რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის აუცილებელი იყო ლიბერალური ხალხოსნების იდეური განადგურება, რაც წილად ხვდა ლენინს. მაშასადამე, ლიბერალური ხალხოსნები არ ყოფილან და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი.

ლიბერალური ხალხოსნები არც ხალხოსანთა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებებიდან მომდინარე დემოკრატიული ხაზის განმგრძობნი იყვნენ. ეს ხაზი მხოლოდ რუსმა მარქსისტებმა — „მოწაფეებმა“ გააგრძელეს. 90-იანი წლების ხალხოსნები „თავიანთ სატკივარს სხვას ახვევენ თავს“, როცა რუს „მოწაფეებს“ უსაყვედურებენ „დემოკრატიული ძაფის“ გაწყვეტას რუსი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის „საუკეთესო ტრადიციებთან“, — წერდა ლენინი. ლენინი თანმიმდევრულად ასაბუთებს, რომ „დემოკრატიული ძაფი“ გაწყვეტეს არა რუსმა მარქსისტებმა — „მოწაფეებმა“, არამედ თვით ლიბერალურმა ხალხოსნებმა.

60—70-იანი წლების რევოლუციონერებსა და რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას შორის იდეურ-რევოლუციური მემკვიდრეობის აღიარებამ არ უნდა მიგვიყვანოს მეორე უკიდურესობამდე—

რევოლუციური ხალხოსნების გაიდგალებამდე. ჩვენ შეგვიძლია და ახალი მასალების მოშველიებით უნდა დავსაზუსტოთ თით კიდევ საერთო თვალსაზრისის არსებობა რევოლუციური ხალხოსნობისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თეორიულ შეხედულებებს შორის. მაგრამ ასევე უნდა დავიცვათ ობიექტურობა და გადაუჭარბებლად მივუთითოთ იმ წინააღმდეგობებზეც, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ თეორიებს შორის. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიისათვის საზოგადოების ისტორიის შესწავლის საფუძველია ისტორიული მატერიალიზმი, ხოლო რევოლუციონერი ხალხოსნებისათვის (ალარაფერს ვამბობთ ლიბერალურზე) — იდეალიზმი. ამ მხრივ ისინი პრინციპულად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგანან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არა თუ საერთოდ ხალხოსნები, არამედ თვით ჩერნიშევსკიც კი, რომელიც ბუნების შემცენებას მატერიალისტურად უღებობდა, ისტორიის გავებაში ბოლომდე იდეალისტად დარჩა. იგი ვერ ამალდა (იმ ისტორიულ პირობებში არც შეეძლო ამალმეულიყო) ისტორიული მატერიალიზმის დონემდე.

მაშასადამე, რევოლუციური ხალხოსნობისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თეორიულ შეხედულებათა ურთიერთდამოკიდებულება უნდა შეფასდეს არა ცალმხრივად — მისი დადებითობის ან უარყოფითობის თვალსაზრისით, არამედ მთლიანობაში. „მემკვიდრეობის“ შეფასებისადმი მხოლოდ პირუთვნელი, მეცნიერული მიდგომით შეიძლება ამ თეორიებს შორის როგორც ერთმანეთის საწინააღმდეგო მისწრაფებების, ისე საერთო საფუძვლის დანახვა. ამის ბრწყინვალე მაგალითია თვით ლენინის მიერ ხალხოსანთა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულების შეფასება. ლენინი, ერთი მხრივ, მკაცრად აკრიტიკებს ხალხოსნური თეორიის უტოპიურობას, ხოლო მეორე მხრივ, გარკვევით მიუთითებს იმაზე, რაც მას ანათესავებს სოციალ-დემოკრატიის თეორიასთან. ლენინი სტატიაში „ვეხის შესა-

ხებ“ წერს: „ნაროდნიკობასა და მარქსიზმს საერთო აქვთ, — ეს არის მათ მიერ დემოკრატიის დაცვა მასებისადმი მემართვის გზით“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამოც. ტ. XVI, გვ. 151—152).

საერთოდ, ხალხოსნობა და, კერძოდ, რევოლუციური ხალხოსნობაც რთული და მრავალმხრივი მოვლენა იყო. იგწვირილი მწარმოებლის ინტერესებს გამხსატავდა. ამიტომ მისთვის დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიული მერყეობა პროგრესულსა და რეგრესულს შორის. ხალხოსნობის ბუნების მეცნიერული პირუთვნელობით შეფასებისათვის აუცილებელია საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვა. ლენინი ვგასწავლის, რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამოც. ტ. II, გვ. 217). ლენინის ეს მითითება „მემკვიდრეობის“ ობიექტურად შეფასების გასაღებია.

ამრიგად, რევოლუციური ხალხოსნობა იმდომ გახდა პროლეტარული პარტიის წინამორბედი, რომ იგი რუსეთში ყველაზე რევოლუციური კლასის — გლეხობის იდეოლოგიას წარმოადგენდა. ლენინი „ქმედითი ნაროდნიკობის“ ანუ რევოლუციური ხალხოსნობის ერთ-ერთ „რეალურ შინაარსად“ „გლეხთა დემოკრატიას“ მიიჩნევდა (ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამოც., ტ. XVIII, გვ. 637—638). გლეხობა კი, როგორც ვიცით, პროგრესული რევოლუციური ძალაა. იგი პროლეტარიატის რევოლუციური მოკავშირეა, მასსადაამე, გლეხობის იდეოლოგიაც რევოლუციური იდეოლოგია იყო, როგორც სამართლიანად აღინიშნა ხალხოსნობის შესახებ მოსკოვში გამართულ საკავშირო კონფერენციაზე ლენინის დამოკიდებულება რევოლუციურ ხალხოსნობასთან — ესაა პროლეტარიატის რე-

ვოლუციური იდეოლოგიის დამოკიდებულება გლეხური რევოლუციის იდეოლოგიასთან. ხოლო რამდენადაც პროლეტარიატი და გლეხობა არ წარმოადგენდნენ ანტაგონისტურ კლასებს, ამდენად სამართლიანი არ იქნება მათი იდეოლოგიების ხელაღებით მიჩნევა ერთმანეთისადმი ანტაგონისტურ და მტრულ იდეოლოგიებად. მართალია, რევოლუციური ხალხოსნობისა და სოციალ-დემოკრატიის თეორიებს შორის წინააღმდეგობათა არარსებობაზე ლაპარაკი გაუმართლებელია, მაგრამ ასევე გაუმართლებელია მათ შორის ჩინური კედლის აღმართვაც.

რევოლუციური ხალხოსნობის ობიექტური შეფასება ვერ შეძლეს მენშევიკებმა. ხალხოსნობის კრიტიკისას ისინი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ — მათ მხედველობიდან გამორჩათ რევოლუციური ხალხოსნობის ისტორიულად პროგრესული ხასიათი. ლენინი სასტიკად აკრიტიკებს მენშევიკებს, რომლებმაც ვერ შეამჩნიეს რევოლუციონერ-ხალხოსანთა იდეურ-რევოლუციური მოღვაწეობის პროგრესული შინაარსი. „ემომბოდნენ რა ნაროდნიკობას, როგორც სოციალიზმის არასწორ დოქტრინას, — წერს ლენინი, — მენშევიკებს დოქტრინიორულად გამორჩათ, გამოეპარათ ისტორიულად რეალური და პროგრესული ისტორიული შინაარსისი ნაროდნიკობისა, როგორც ლიბერალურ-მემამულური კაპიტალიზმის წინააღმდეგ დემოკრატიული კაპიტალიზმის... მასობრივი წვირბუჟუაზიული ბრძოლის თეორიისა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., IV გამოც., ტ. XIV, გვ. 140).

ლენინური მითითებების განუხრელად დაცვა არის ერთადერთი რეალური გარანტია იმისა, რომ პროლეტარული პარტიის წინამორბედთა საკითხის გარკვევის დროს 60—70-იანი წლების ხალხოსანთა რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებების შეფასებაში თავიდან ავიცილოთ შეცდომები.





გიორგი დონიძე:

ვნახოთ, დავპინდეს მანჯარო!

საუბარი სახალხო კომიტთან

— გთხოვთ გვიპასუხოთ: საიდან იღებს სათავეს თქვენი პოეტური სიტყვა?
— მე სიტყვას ფიზიკურად განვიცდი. ყნოსვით ვიგებ რომელ სიტყვას უღ-
ვას სისხლი, რომელია უსისხლო, მომჟკნარი. არის, მაგალითად, სიტყვები, რომ-
ლებიც არასოდეს მიხმარია. ეს სიტყვები არ მიყვარს და ვერც იპოვით ჩემს
ლექსებში.

უნდა დავძინო, რომ ჩემი სიტყვის მთავარი წყარო ჯერ ხალხის ცოცხალი
მეტყველებაა და მერე ენა ძველი ძეგლებისა. შეიძლება ბევრმა არც იცოდეს,
რომ ქართულ მეტყველებაში მე შემოვიტანე სიტყვები: „ხანძარი“, „მოოქროვი-
ლი“, „ნახმევი“ და სხვები.

მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც ხალხის სიტყვაა, ხალხური მეტყველება, იგი
ჩემი პოეზიის საზრდო.

— მიგაჩნიათ თუ არა თქვენი შემოქმედება რომელიმე ქართველი მწერლის
ან ლიტერატურული სკოლის ტრადიციათა გაგრძელებად?

— რა თქმა უნდა, ვსწავლობ ჩვენი კლასიკოსებისაგან. შოთაზე რომ არაფე-
რი ვთქვათ, მე გაცეხული ვარ „ვისრამიანი“, სულხან-საბასა და მერჩულის
პროზით, დავით აღმაშენებლისა და თამარის ისტორიკოსთა და ჟამთააღმწერლის
მატიანეებით. ჟამთააღმწერელი მე მიმაჩნია უდიდეს პოეტად და მას ხშირად სი-
ამოვნებით ვკითხულობ.

— რამდენადაა დამოკიდებული პოეტის შემოქმედება მის პირად ცხოვრება-
ზე, შეიძლება თუ არა თქვენი ლირიკული ლექსების ავტობიოგრაფიულ ნაწარ-
მოებებად მიჩნევა?

— ჩემი აზრით, პოეტის პირად ცხოვრებაზე ბევრია დამოკიდებული, იგი
შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ჩემი ლექსების უმრავლესობა ავ-
ტობიოგრაფიულია, სხვანაირად ვერც წარმომიდგენია.

— ხომ არ განვიცდიათ როდესმე შემოქმედებითი კრიზისი?

— მე არა ერთხელ მქონია შემოქმედებითი კრიზისი. ვფიქრობ, ეს ყველა
პოეტისათვის ბუნებრივია.



— ვინ არიან თქვენი საყვარელი ქართველი პოეტები?

— ჩემთვის პაერივით აუცილებელია — შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა. ძველ პოეტთაგან მიყვარს აგრეთვე შავთელი, ბესიკი, იოსებ ლელი.

— ხელოვნების დარგებიდან, პოეზიის გარდა, რა გიზიდავთ ყველაზე მეტად?

— პირველი ლექსი, კარგად მახსოვს, 1909 წლის გაზაფხულზე დავწერე, მანამ კი, თუმცა პოეზიით ვიყავი გატაცებული, მხატვრობასაც მივძევდი. ჩემი ბავშვური სუსტი ფანქრით ვხატავდი პორტრეტებს. შესაძლოა, ამიტომაც მხატვრობის საყვარელი დღემდე შემომჩნა.

მხატვრებს შორის ყველაზე მეტად ნიკო ფიროსმანიშვილი მიყვარს. მეტიც, მასთან რაღაც სულიერ ნათესაობასაც ვგრძნობ.

სხვათა შორის, 1915—1916 წლებში ფიროსმანს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, რადგან ვცხოვრობდი ავჭალის (ახლანდელი საბჭოს) ქუჩაზე. ფიროსმანიც იქვე ახლოს, მაშინდელ მალაკინს ქუჩაზე ცხოვრობდა.

ჩვენი სახლის ალაყაფის კარიდანაც ხშირად დამინახავს ფიროსმანი მეპურეებთან, მედროვეებთან, მეწაღეებთან მოსაუბრე. არ დამავიწყდება მისი მომღიმარი სახე, დარბაისლობა. იგი მაღალი იყო, ხელოსნის სუფთა ტანისამოსი ეცვა.

ღიახ, მე ფიროსმანი არა ერთხელ შემხვედრია იმ ქუჩაზე, რომელსაც თავის „პროსპექტს“ ეძახდა თურმე. მაგრამ არ ვიცოდი, თუ სწორედ ის იყო შემოქმედი ნახატებისა, რომლითაც გამოეჭედათ ჩვენი ქუჩის სარდაფები, საბარკმახეროები, თონეები, საწვრილმანო ღუქნები, სახარაზოები. ის რომ ნიკო ფიროსმანიშვილი ყოფილა, მხოლოდ 1922 წელს გავიგე, როცა შევუდექი მასზე ბიოგრაფიული მასალების შეგროვებას და მოგონებების ჩაწერას. ერთხელ მიმასწავლეს ფიროსმანის ერთ მგვობართან — „ჰინკა“ მეწაღესთან, რომელიც ჩვენს უბანში ცხოვრობდა. ჩემს შეკითხვაზე, როგორი გარეგნობისა იყო ფიროსმანიშვილი და რა ვახსოვს მის შესახებ-მეთქი, მან გაკვირვებით შემომხედა:

— ვაჰ, ისე შეკითხები, თითქოს არ გენახოს! რამდენჯერ შესწრებხარ აქ, ჩემთან! — და მომაგონა რამდენიმე შემთხვევა.

მე უცებ ერთად განვიცადე ფიროსმანიშვილის ნაცნობობით გამოწვეული დიდი სიხარული და სინანული, რომ თავის დროზე არ ვიცოდი, ვინ იყო იგი. ხომ შემძლო მასთან მებაასა. მაშინ ჩემი ლექსები უკვე იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში...

— ახალგაზრდა პოეტთა და პროზაიკოსთაგან ვინ მიიქცია თქვენი ყურადღება და რა თვისებებით?

— ჩვენ მრავალი საინტერესო ახალგაზრდა ოსტატი გვყავს, მათი ჩამოთვლა შორს წავგიყვანდა.

თანამედროვე მწერლობას უმთავრესად ისინი უძღვებიან და ასეც უნდა იყოს. ახალი თაობა ის კი არ არის, ვინც ახალგაზრდაა ასაკით, არამედ ის, ვინც ახალ რამეს შემოიტანს ლიტერატურაში (ილია). ჩვენს ახალგაზრდებს მართლაც ზოგი რამ ახალი და საინტერესო შემოაქვთ მწერლობაში, მაგრამ ჩვენ მეტს მოველით.

პირადად დასახელებას მაინც მოვერიდები: თანაც ჯერ კიდევ ადრეა. დავუცადოთ, ვნახოთ, დაღვინდეს მაჭარი!

— თქვენი წერილებისა და გამოკვლევების უმრავლესობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას ეხება. თანამედროვე ლიტერატურის საკითხებზეც ხომ არ აპირებთ აზრის გამოთქმას?

— ღიახ, გარდასულ მწერლებზე ბევრი მიწერია და ვრცელი გამოკვლევებიც მაქვს. რაც შეეხება თანამედროვე ქართველ ოსტატებს, მათზე თითქმის არაფერი

მაქვს დაწერილი. ვაპირებ კი დაეწერო. თანამედროვეთა შორის არა ერთი და
ორი მწერალი მიყვარს და მათზე წერა, ცხადია, ჩემთვის სასიამოვნო და საპასუხ-
ნისმგებლო საქმეა.

— ხომ არ გამოყოფდით ქართული პოეზიის მაგისტრალურ ხაზს რუსთავე-
ლიდან ჩვენს საუკუნემდე. რომელ მწერალთა შემოქმედებას თვლით ამ ხაზის თვი-
სობრივ გაგრძელებად?

— ქართული მწერლობის მაგისტრალური ხაზი ჩემთვის არის: რუსთაველი.
გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა.

— რა მიგაჩნიათ ადამიანის ბედნიერებად?

— საკუთარი შრომისა და მიღწევის სიხარული და, რაც მთავარია, სიყვარუ-
ლი, ურომლისოდაც არაფერს არა აქვს აზრი და ურომლისოდაც შეუძლებელია
რაიმეს მიღწევა!

— თქვენი აზრით, რა ნაკლი აქვს თანამედროვე ქართულ პოეზიას?

— თუ ნაკლზე ჩამოვარდება ლაპარაკი, უნდა ითქვას, რომ ცოტა გეყავს
ინდივიდუალური პოეტი, ჩვენს პოეზიაში შესამჩნევია ცივი სიტყვების სიჭარბე.
პოეზიაში კი მთავარია სულის სიმდიდრე, სულის აღსარება და დიდი პოეტური
გულწრფელობა. დიდ პოეზიას ქმნის შემოქმედის სულის სიძლიერე.

— რა ხასიათის პოეტი გიყვართ?

— ძნელია თქმა, პოეზიაში ზოგი სმენის მხატვარია, ზოგი თვალის მხატვა-
რი! ყველა საყვარელია, თუ თავისი შემოქმედებით ებრძვის ბნელ სტიქიას, თუ
თავის გულისნათქვამს გადმოგვცემს. პოეზია ხომ გულის დიალოგია.

— ზოგიერთის აზრით, თანამედროვე ქართველი პოეტების უმრავლესობას
რამდენადმე ახასიათებს რომანტიკული პათოსისა და წმინდა ემოციური მომენტის
სიჭარბე, სადაც ნაკლებად იგრძნობა ჩვენი საუკუნისათვის ნიშანდობლივი ანალი-
ზის სულისკვეთება. რით შეიძლება ამის ახსნა და ითვლება თუ არა იგი პოეზიის
ღირსებად?

— არ არის სწორი, თითქოს ჩვენი პოეტების უმრავლესობისათვის რომან-
ტიკული პათოსი და წმინდა ემოციური მომენტის სიჭარბე იყოს დამახასიათებ-
ელი. ეს განსაზღვრა ცალმხრივია. ჩვენი პოეზია ყოველთვის იყო და არის ანალი-
ტიკურიც.

— უპასუხებს თუ არა თანამედროვე ქართული ლიტერატურა ქართველი კა-
ცის სულიერ მოთხოვნილებებს?

— ქართველი კაცი ჩვენს ლიტერატურაში დღეს პოულობს პასუხს ბევრ
ამაღლეველ და საჭირობოროტო კითხვაზე, მაგრამ ცხოვრება ძალზე რთულია.
მწერლის ვალია, არ ჩამორჩეს ცხოვრებას და უპასუხოს ერის სულისკვეთებას.

— როგორც ვიცით, მიმდინარე წელს ჩატარდება მწერალთა რესპუბლიკური
და საკავშირო ყრილობები, რას მოელოთ ამ ყრილობებისაგან?

— ეს ყრილობები, ალბათ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში დაამყარებს
სასურველ ატმოსფეროს ჭეშმარიტი ტალანტების განსავითარებლად ანუ რო-
გორც გრიგოლ ორბელიანი იტყოდა: მიეცით ნიჟსა გზა ფართო, თავისუფლება
ღირსებას!

ცხადია, მას შემდეგ, რაც ეს ითქვა, დიდად შეიცვალა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი
ლიტერატურა და, საერთოდ, შემოქმედებისადმი დამოკიდებულება. მაგრამ
ხშირად ჩვენ ლიტერატურას ვუყურებთ ერთგვარი ადმინისტრაციული თვალსაზ-
რისით, ვცდილობთ მის წინასწარ დაგეგმვას, თითოეული მისი ნაბიჯის წარმართ-
ვას, რაღაც „საშუალო სტატისტიკური“ მაჩვენებლების გამოყვანას.

მეტად უნდა ვენდოთ ტალანტს. ხანდახან გვაფიქვდება ის უბრალო ჭეშმა-
რიტება, რომ ნამდვილი ტალანტი, ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის ხალხთან
არის.

აი, მაგალითად, ახლახან ესენინის იუბილე ნამდვილ სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. მაგრამ ხომ გახსოვთ, იყო დრო, არც ასე შორეული, როცა ემიწონოდით ესენინის დიდი ტირაქით გამოცემა, როცა ექვობდნენ: მოუტანდა თუ არა სარგებლობას მისი შემოქმედება ახალი ქვეყნის მშენებლებს.

ამავე დროს რამდენი პოეტი იყო, რომელთაც სწორ გზაზე მოსიარულეს უწოდებდნენ, რომელნიც თავის თავს „პროლეტარულ პოეტებად“ თვლიდნენ. ისინი დიდი ხანია დავიწყებას მიეცნენ, ხოლო ესენინი ცოცხლობს ხალხში და ახალ-ახალ მკითხველებს იპყრობს. ასეთივე ანალოგიები ჩვენი მწერლობიდანაც შეგვიძლია მოვიტანოთ.

მთელი ისტორია საბჭოთა ლიტერატურისა მოწმობს, რომ იგი ყოველთვის ხალხთან იყო.

ხალხის ცხოვრება მდიდარია, რთული, მრავალმხრივი და სხვადასხვა ხასიათებისა და ტემპერამენტის პოეტები გამოხატავენ მის გულისთქმას.

პოეზიაში, როგორც საერთოდ ლიტერატურაში, უნდა გვემიწოდეს იმ „საშუალოსი“, რომელიც მოდის წიგნური ნიმუშებიდან და წარმოდგენებიდან და არა თვით ცხოვრებიდან.

— რა აზრისა ხართ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაზე?

— მე მგონია, რომ ღირსეული პრინციპული კრიტიკა დღეს არ გაგვაჩნია, რაც დიდად აბრკოლებს ლიტერატურის განვითარებას.

— რას გვეტყვიან პოეტური ფორმის თაობაზე?

— ჩვენი კრიტიკა ხშირად ვერ ხედავს განსხვავებას იმ მწერალთა შორის, ვინც იბრძვის ფორმისათვის, პოეტური სტრიქონისათვის, ლექსის კულტურისათვის, ლექსის რითმისა და მუსიკისათვის და ვინც თითქმის სრულიად უგულვებელყოფს ფორმას.

პოეტისათვის აუცილებელია დიდი მუშაობა საკუთარი ხმის მისაგებად, თავისი საკუთარი მონეტის მოსაჭრელად. ცხადია, ასეთ მუშაობასა და შიშველ ფორმალისმს შორის დიდი ზღვარია.

ფორმის სრულყოფაზე ზრუნვის გარეშე ხელოვნება კვდება.

— რა იყო თქვენი ლიტერატურული მოღვაწეობის სტიმული და როდის დაიწყეთ ლექსების წერა?

— პირველი ლექსი, როგორც მოგახსენეთ, 1909 წელს დავწერე. ჩემს პირად არქივში შენახულია ჩემი დის ევგენიას პატარა ალბომი, რომელშიც ჩამიწერია რაღაც პროზაულ-ლექსისებური ამონაკვეთი ილიას სიკვდილის გამო 1907 წელს, ე. ი. შვიდი წლისას უკვე მიგრძენია ტკივილი წიწამურის ტყვიისა. ეს არც არის გასაკვირი, მაშაჩემი ნიკო ლეონიძე ლიტერატორი იყო, გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, მწერლობით გატაცებული, თანაც ავტორი პატარა მოთხრობებისა. „ივერიის“ გარდა იგი წერდა „დროებაში“ და ივანე კერესელიძის სამეურნეო გაზეთ „ციკარში“. ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ სხვისი არქივების ჭირისუფალმა მამის არქივს ვერ მოვუარე. მე მახსოვს 10—12 ბარათი ივანე კერესელიძის მიერ მაშაჩემისადმი მიწერილი. ეს ბარათები უპატრონობით დაიღუპა მაშაჩემის სხვა მეგობარი მწერლების ბარათებთან ერთად. მახსოვს აგრეთვე ბაჩანას, იოსებ დავითაშვილის მისალაცი წერილები.

მამა ადრე გარდაამცვალა, მაგრამ დარჩა მისი მშვენიერი ბიბლიოთეკა და, ეტყობა, ამ ბიბლიოთეკამ თავისი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ისიც უნდა დაუშვათ: დედაჩემი დიდი მოყვარული იყო მწერლობისა, ისევე როგორც დედაჩემი მაიკო მათეაშვილი და ჩემი მამიდები მარიამ და ტასო ლეონიძეები, რომელნიც ცოტ-ცოტას თვითონაც მწერლობდნენ. შიო არავგისპირელს ერთ მოთხრობაში დეიდა მაიკოს დღიური გამოუყენებია.

ბიძაჩემი ალექსანდრე ლეონიძე ახლო მეგობარი ყოფილა ჩვენი ცნობილი მწერლებისა და მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონია. იგი წერდა ქართულ და რუსულ გაზეთებში.

ხოლო ბიძები დედის მხრივ — ალექსი, შაქრო, იერემია გულისაშვილები ცნობილი არიან თავიანთი მწერლობით. ალექსის არა ერთი წერილია დაბეჭდილი „დროებაში“, „ივერიაში“. შაქრო ცნობილია როგორც ხალხოსანი ბელეტრისტი, ხოლო იერემია, როგორც დრამატურგი. მისი პიესების წიგნი დაიბეჭდა 1896 წელს.

რატომ გავაგრძელე სიტყვა! იმიტომ რომ ჩვენს ოჯახში, ჩემს ახლო ნათესავთა ოჯახებში, სუფევდა ლიტერატურული ატმოსფერო და, ალბათ, იქიდან მეც გადამედო მწერლობის სიყვარული.

ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ...

— გაქვთ თუ არა უეჭველად რეჟიმით განსაზღვრული სამუშაო დრო ან რა დროს წერთ?

— არავითარი რეჟიმი არ გამაჩნია! როცა განწყობილებაზე ვარ, მაშინ ვმუშაობ. წერით უმეტესად ღამით ვწერ, მოცლილი საზოგადოებრივი და სამსახურებრივი საქმიანობიდან. ჩემი მუშაობის უამია უმეტესად ღამის 12—3 საათებში. ახალგაზრდობაში კი ყოფილა შემთხვევა, ბურანშიც დამიწერია ლექსი ან ძილიდან ამყოლია სტრიქონები. ახლა კი ვერიდები ღამის გატეხვას ჯანმრთელობის გამო. ექიმები მიკრძალავენ.

— თქვენი მოთხრობების რომელი გმირი გიყვართ?

— მე 1962 წელს „ნაკადულის“ თხოვნით დავწერე ნოველების წიგნი „ნატვრისხე“. მაგრამ რაკი მეკითხებით, ამ „ნატვრისხის“ ყველა გმირი მიყვარს, განსაკუთრებით ღვინჯუა.

— ხომ არ ფიქრობთ რომანის დაწერას და, თუ ფიქრობთ, რა თემაზე?

— „ნატვრისხის“ წერის დროს მე დავიწყე რომანი. სამ თაბახზე მეტი დავწერე, მაგრამ მერე თავი დავანებე. ჯერ ერთი, არა მაქვს იმედი გავუძღვე მას იმ მასშტაბით, როგორც მქონდა განზრახული, მეორე კი, რომანის დასაწერად საჭირო დრო, მრავალ საზოგადოებრივ საქმიანობაში გართულს, არა მაქვს.

— თქვენი ლექსებიდან რომელი გიყვართ ყველაზე მეტად?

— ძნელია თქმა. უფრო სიჭაბუკის დროისა, რადგან როგორც ერთ ადრინდელ ლექსში ვთქვი: სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთი ჩუქურთმაში გამოყვანლი.

— გაქვთ თუ არა გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები?

— მაქვს დაუბეჭდავი ლირიკული ლექსები და ორი პოემა: „ფიროსმანი“ და „შიო მღვიმელი“ (უკანასკნელის ნაწყვეტები გამოგაქვეყნე მხოლოდ). ასევე გამოკვლევები: ანთიმოზ ივერიელი, გაბრიელ-მაიორი — ქართული თეატრის დამფუძნებელი, პიშინ „აღსდგე-გმირთა გმირო“, მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველი დიპლომატი პოლონეთში და ზოგი სხვა რამ.



კიდევან დავიხრებინ...

ინტერვიუ იუბილეს შემდეგ

— უბირველეს ყოვლისა, ნება გვიბოძეთ ჩვენი ჟურნალის მთელი კოლექტივის, ჩვენი მკითხველების მრავალრიცხოვანი არმიის სახელით სულითა და გულით მოგილოცოთ ახალი წელი და დაბადების 60 წლისთავი. რა თქმა უნდა, მოგეხსენებათ, რომ მთელ ქართველ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, თქვენ უყვარხართ, როგორც დიდი მსახიობი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე.

— მადლობის მეტი რა მეთქმის. დიდი მადლობა.

— რას იტყვით თქვენს იუბილეზე, რომელიც ასე დიდებულად და გულითადად ჩატარდა?

— ტრაბახად ნუ ჩამითვლით და... ეს იყო, ჩემი კი არა, ჩვენი თეატრის დღესასწაული.

— განსაკუთრებით რა მოგეწონათ?

— ჩვენი სამაგალითო ახალგაზრდების დამოკიდებულება ჩემდამი. თუმცა აქვე შევიტან შესწორებას: ყველა ახალგაზრდას არ ვგულისხმობ. სამწუხაროდ, კიდევ არიან ზოგიერთები, რომლებიც გვარცხვენენ. მას, ვინც გვარცხვენს, მადლსაც არ მოახსენებენ ხოლმე.

— თქვენ აუარებელი სამახსოვრო საჩუქარი მიიღეთ იუბილეს დღეებში. რა იყო თქვენთვის მოულოდნელი და სასიხარულო?

— ყველა ერთნაირად სასიხარულო იყო, მაგრამ რაკი კონკრეტულად მეკითხებით, მეც კონკრეტულად გიპასუხებთ: ქართველი მწერლების საჩუქარი — ილია ჭავჭავაძის სურათი: პირდაპირ ჩემს სულში ისხდნენ... ტყუილად კი არ ეძახიან სულის ინჟინრებს!

— თქვენი საიუბილეო გამოსვლიდან თუ გაიმეორებდით რამეს?

— სამადლობელი. აღმზრდელი მშობლის, ჩემი მასწავლებლების, ჩემი თეატრის და ჩემი ხალხის სამადლობელს.

— გვანტერესებს, თავდაპირველად როგორ მოხვდით თეატრში?

— უხილავი ძალით.

— შემოქმედებით გზაზე ვის თვლით თქვენს მასწავლებლებად?

— კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახმეტელს და ვასო ყუშიტაშვილს.

— თქვენი რომელი მასწავლებლის რა სიტყვები გახსოვთ ყოველთვის?

— სანდრო ახმეტელის სიტყვები: მე იმ ქართველ მსახიობს რა ვუთხრა, რომელმაც ნაბღის წამოსხმა, მოღზე დაფენა და ზედ წამოწოლა არ იცისო.

— თქვენს მიერ განსახიერებული როლებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე სრულყოფილად?

— მსახიობს მსახიობობა უყვარს. მსახიობობა კი მრავალსახეობას გულისხმობს. მეც ჩემი როლები მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით ლუარსაბ ათქარიძეს ვეთაყვანები.

— თქვენი ჟურნალის მკითხველებს ერთ ჩემს პირად საიდუმლოს გავუმჟღავნებ. ფიქრი იმაზე, რომ ჩემს საუკეთესო როლს მომავალში განვასახიერებ, არც ერთი პრემიერის შემდეგ არ შემიწყვეტია.

— ხედავთ თუ არა რაიმე განსხვავებას კინოსა და თეატრის მსახიობს შორის?

— ნამდვილი ტალანტი სცენაზე გამოიცილება. კინო იმით სცოდავს, რამდენადაც ატრში უჩინარსა და უსახელოს საჩინოსა და სახელოვანს ხდის ზოლმე, თუმცა მცირე ხნით. ეკრანზე გამოჩენა ზოგჯერ მსახიობური ტალანტის გარეშეც შეიძლება, სცენაზე კი შეუძლებელია.

— რა ადგილი უჭირავს ესტრადას თქვენს შემოქმედებაში?

— დიდი.

— როგორა გაქვთ წარმოდგენილი მსახიობის ამბლუა?

— მსახიობმა უნდა იპოვოს საკუთარი ამბლუა, მაგრამ კიდევ უკეთესი, თუ მსახიობის ნიჭი ჩარჩოში ვერ ჩაეტევა. ეს მეტად სასურველი და სახარბიელო გარემოება არც რეჟისორს უნდა გამოეპაროს.

— რას თვლით მსახიობისათვის ყველაზე დიდ უბედურებად?

— აუდიტორიის დაკარგვას.

— რა მიგაჩნიათ მსახიობის წარმატებათა საწინდრად?

— ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტება: ტალანტი და შრომა.

— რა როლზე მუშაობთ ახლა?

— ამჟამად ვმუშაობ კოლხეთის მეფის აიეტის სახეზე (ე. კანდელაკის „ოქროს საწმისი“). მეფე აიეტის შემდეგ გლახა ჭრიაშვილზე (ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ვახტანგ ტაბლიაშვილის ინსცენირებით) დავიწყებ მუშაობას. მგლოდება შეილოკი (შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“). იმედი მაქვს, ვითამაშო ედმუნდ კინი სარტრის ამავე სახელწოდების პიესაში.

— რა სიახლით გაახარებთ ჩვენი ესტრადის მაყურებელს?

— ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით ოთარ ეგაძესთან ერთად ვამზადებ, თუ შეიძლება ასე ითქვას, საესტრადო ნომერს. აქ იქნება კინოს, თეატრის ელემენტები; რადიოსაც გამოვიყენებ... ამას მე სინთეზურ ნომერს ვეძახი.

— დღევანდელ მსახიობთა შორის განსაკუთრებით მკაფიოდ თქვენ გადმონცემთ ძველი თბილისის კოლორიტს. ეს უბრალოდ რეპერტუარის მრავალფეროვნების გამო თუ?..

— დიდი სიყვარულის გამო.

— მუშაობის დამთავრების შემდეგ რა შეგრძნებები გაქვთ?

— ცვალებადი — ხან კმაყოფილება, ხან უკმაყოფილება. უცვლელად კი ერთი ფიქრი მიტრიალებს მუდამ: რატომ გავაკეთე ეს ასე და არა ისე.

— ვის თვლით თქვენს საყვარელ მწერლებად?

— მიყვარს ყოველი მწერალი და მოაზროვნე, რომლის შემოქმედებაში იგრძნობა თავისი ქვეყნის სიყვარული. ასევე ის ახალგაზრდები, რომლებიც ამ ნიშნით გამოირჩევიან.

— ვინ არიან თქვენი საყვარელი მხატვრები?

— ფიროსმანი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი...

— თუ შეხვედრიხართ ფიროსმანს?

— შეხვედრივარ. ჩემი და მალაკნების ქუჩაზე ცხოვრობდა (ახლანდელი ფიროსმანის ქუჩა), მასთან ხშირად დავდიოდი. ნიკო ფიროსმანი სწორედ იმ ეზოში ცხოვრობდა... კიბის ქვეშ. მე მაშინ პატარა ვიყავი და მისი ფასი არც ვიცოდი, ახლა კი...

— ვინაა თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— მუსიკა იმდენად მიყვარს, რომ ყოველი ეროვნული თვითმყოფადობით გამორჩეული ნაწარმოების ავტორი ჩემი საყვარელი კომპოზიტორია.

- რა გაძლევთ იმპულსს მუშაობაში?
- ყოველ საქმეში მშობლიური მიწისა და თეატრის სიყვარული მამოქმედებს.
- რა აზრისა ხართ თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე?
- მისი იმედი ყოველთვის მქონდა. პირადი აქტიორული კმაყოფილებით ვიგონებ ლევან გოთუას „ერეკლე მეფეს“, აქესენტი ცაგარელის პიესას „რაც ვინახავს, ვეღარ ნახავ“, სანდრო შანშიაშვილის „ანზორს“, „ყამირს“, კარლო კალაძის „ლალის“, მიხეილ მრეველიშვილის „ხარატანთ კერას“, როგორც დამდგმელი — იონა ვაეკელის „აბრასუნე ჭიმჭიმელს“.
- ხშირად გვესმის საყვედური ჩვენი დრამატურგების მიმართ. რა მიგაჩნიათ ჩვენი ახლანდელი დრამატურგიის ნაკლად?
- ნაკლი ბევრია, თვალში საცემი კი ერთი: უცხოელებს ბაძავენ და თავიანთ საკუთარს, ეროვნულს კარგავენ. გამარჯვება სიძნელეში, სირთულეში უნდა ვეძებოთ. ბრმად მიმბაძველობა და უნიჭობა ერთი და იგივეა.
- რას იტყვით თეატრის ტრადიციულობაზე?
- ვისაც თავისი წარსული არ უყვარს, ის კაცად არ ვარგავ; როგორც შემოქმედზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.
- როგორა გაქვთ წარმოდგენილი თეატრის მომავალი?
- თეატრი არასოდეს მოკვდება და ვერც მისი მკვლეელი დაიბადება.
- როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდა მსახიობი?
- ისეთივე, როგორიც იყო ძველი, მაგრამ კიდევ უკეთესი.
- რა ნაკლი აქვთ ჩვენს ახალგაზრდა მსახიობებს?
- ესტრადას გაურბიან, ვოდვეილებს უარყოფენ. ძალიან დიდს ებოტინებთან და არკი გამოუდით. მთავარია ხალხთან ახლო მისვლა, მასთან დაახლოება, წინ წასვლა გამოზომილი ნაბიჯით. მოსამზადებელი, სავალდებულო სამუშაოს გარეშე დიდი ვერასოდეს გახდები. ნაადრევად გადახტომა დაცემის ნიშანია. რა თქმა უნდა, ყველას ერთ ტაფაში ვერ მოვაქცევთ.
- ახალგაზრდა მსახიობებიდან და რეჟისორებიდან ვისზე ამყარებთ იმედს?
- კიდევაც დაიზრდებიან...
- რა ურთიერთობაშია მსახიობი და მასურებელი?
- მასურებელს უყვარს კარგი მსახიობი. მსახიობს უყვარს კარგი მასურებელი. კარგად ყურება და მოსმენა კი თავისებური ხელოვნებაა. შემთხვევით არ უთქვამს შოთას: „ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.
- რას მიიჩნევთ პერიფერიებში მომუშავე მსახიობების შემოქმედებითი ზრდის აუცილებელ პირობად?
- მეტ სიმტკიცესა და მომთხონელობას საკუთარი თავის მიმართ.
- რა აზრისა ხართ რუსთაველის სახელობის თეატრისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაობის ახლანდელ სტილზე?
- ძალიან გამახარებდა, რომ დედაქალაქში ორი თეატრის მაგიერად სამი გვექონოდა, მაგრამ ერთმანეთისგან ისე განსხვავდებოდნენ, როგორც მოსკოვის მცირე თეატრი სამხატვრო თეატრისაგან და ორივე ვახტანგოვის ან მეიერჰოლდის სახელობის თეატრებისაგან.
- თქვენი აზრით, რა ურთიერთობაში უნდა იყოს თეატრი და მწერლობა?
- ორივეს ერთმანეთის სიყვარული უნდა ასულდგმულებდეს.
- რას იტყვით სახალხო თეატრზე?
- სახალხო თეატრი თავის დროზე დიდ როლს თამაშობდა ერის თვითშეგნების, ენის შენარჩუნების საქმეში. ჩვენი დიდი მსახიობები სახალხო თეატრებიდან მოვიდნენ. სახალხო თეატრს დღესაც კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. მაგ-

რამ ერთი საოცარი ნაკლი აქვს — შეუძლებელს ეპოტინება, კაცო, შეუძლებელს ეს „ჰამლეტიო“, ეს ისაო. აი, რაც მათი რეპერტუარისათვის არის განკუთვნილი ის რომ დადგან, მაშინ... ალბათ, სხვანაირად ვიტყვოდი.

— თქვენ როგორ გესმით დიდი მსახიობის დამოკიდებულება თეატრთან?

— მე ისე მესმის, როგორც ჩემს იუბილეზე გამოვცდი: ყოველთვის კოლექტივთან ერთად. უპარტნიორო მსახიობი და უთოფო მონადირე ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. კოლექტივთან, ყოველთვის კოლექტივთან ერთად.

— ხშირად დიდ ხელოვანს ეკითხებიან ხოლმე, რომელი ყვავილი მოგწონთო. ჩვენ კი გეკითხებით: რომელი მცენარე მოგწონთ?

— ვაზი. ჩვენს სიყვარულთან, ჩვენს ტანჯვასთან, ჩვენს წარსულ უბედურებასთან არის დაკავშირებული. დიდ შრომას მოითხოვს და დიდადაც ამიტომ გვიყვარს. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი რესპუბლიკის გერბს მსმობიარე ვაზი ახატია. გაიხსენეთ, „ვაზო, შეილივით ნაზარდო“ ან ილიას სიტყვები: „ვაზის მტერი ერის მტერიაო“. დაილოცოს მრუდე ვაზი!

— რა გავლენას ახდენს თქვენზე რეცენზიები?

— ბელინსკისა და ილია ჭავჭავაძის რეცენზიები თაობებს ზრდის.

— ღმერთმა დაგვიფაროს, ჯერ ადრეა, მაგრამ პენსიაში რომ გახვალთ, დაწერთ მემუარებს?

— მემუარები შეიძლება დღესვე დავიწყო, მაგრამ პენსიაში გასვლაზე რა მოგახსენოთ. არ დაგავიწყდეთ, იაბლოჩკინა ას წელს იყო მიტანებული და თეატრში იყო მაინც. როცა გულ-ხელი დამეკრიფება, მაშინ გავალ პენსიაში.

— ხართ თუ არა კმაყოფილი 1965 წლით?

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 1965 წელს გაიმართა ჩემი იუბილე. ეს წელი უფრო იმიტომ არის ღირსასხოვარი, რომ ჩვენმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა უზარმაზარ წარმატებას მიღწიეს ყველა დარგში. მე მინდა ჩემთვის ყველაზე ახლობლებს — მევენახეებს მივულოცო წარმატება. წელანაც ვამბობდი, ვაზი ჩემი საყვარელი მცენარეა-მეთქი. ამიტომ ჯერ მევენახეები გამახსენდა, მერე მეჩაიეები, მეციტრუსეები და ყველა — მარჯვენადალოცვილი, ჩემი სათაყვანებელი, ჩემი დამფასებელი ხალხი...

— ახალ წელს რას უსურვებდით „ცისკრის“ მკითხველებს?

— კახურ ნუნუსს, ტკბილ გოზინაყს, კაკლის მურაბასა და ვაყინობას. ტკბილსა და ბედნიერ წელიწადს!



ისეგასუკუნი პოზსკუსი

ერყინული
ზინლირთუქა

გვიმორ ხეხეულიძე

ანა კალანდაძე

თავისებური იყო ანა კალანდაძის შე-
მოსვლა ქართულ პოეზიაში. მისი ლექ-
სების ხელნაწერები ხელიდან ხელში გა-
დადიოდა და დაბეჭდვამდე ბევრად აღ-
რე აღიარა მკითხველმა. ა. კალანდაძას
პოეზია უაღრესად ფაქიზი, უაღრესად
ქალურია, მაგრამ მას ვაჟკაცური შემარ-
თებაც ამშვენებს.

პოეტ ქალთა სახელები ძველთაგან
ცნობილია საქართველოში.

დღესდღეობით ძირითადად მაინც შე-
სწავლილია ძველი ქართველი პოეტი ქა-
ლბის ვინაობა და სამწერლო დვაწლი,
დადგენილია მათი პოეზიის მთავარი მო-
ტივები.

მკვლევარი ლევან ასათიანი შენიშნავ-
და, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე
ნახევრის პოეტ ქალთა ლექსების თემა-
ტიკაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეჭ-
ირა ერეკლე მეფის სახეს. იმ დროის
ცნობილმა პოეტებმა მანანამ, სალომემ,
მაია გაბაშვილმა არა ერთი ნაწარმოები
უძღვნეს პატარა კახის გმირულ საქმე-
ებს. პოეტი ქალების შემოქმედება ამ
მხრივ ორგანულად ერწყმის ქართული
დამწერლობითი თუ ხალხური პოეზიის

იმ ნაკადს, რომელიც ერეკლე მეორის
პატრიოტულ საქმიანობას ასახავს.

საგულისხმოა, რომ ა. კალანდაძე თა-
ვისებური, შესანიშნავი ფერებით ამდი-
დრებს ერეკლესადმი მიძღვნილ პოე-
ტურ სახეებს. მისი ცნობილი ლექსი „ას-
ეთი დარი თუ იყო მაშინ“ ერთ-ერთი სა-
უკეთესოა აღნიშნულ თემაზე შექმნილ
ნაწარმოებთა შორის. ამ პატარა ლექსში
უაღრესად კონდენსირებული მხატვრუ-
ლი მეტყველებით, გამოკვეთილი და
ღრმად შთამბეჭდავი სახეებით გამოწ-
ვეულია თბილისის იმ საბედისწერო
დღეების ასოციაცია, როცა ალა მაჰმად
ხანი ცეცხლითა და მახვილით შემოესია
ჩვენს დედაქალაქს:

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იღგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მოაშურეს ლილისფერ მათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოღეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

თუმცა ა. კალანდაძის პოეზიაში ის-
ტორიულ თემატიკას მნიშვნელოვანი

ადგილი უჭირავს, მაგრამ ძველი საქართველოს ლირიკური წარმოსახვა მის ლექსებში ნაკარნახევია არა წარსულში ჩაძირვის სურვილით, არამედ ისტორიული სინამდვილის აქტიური აღქმის მიზნით.

ამ მხრივ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ორ ისეთ ნაწარმოებზე, როგორც არის „ქეთევან დედოფალი“ და „შორია თამარ...“ საინტერესოა, როგორ შეიგრძნო თანამედროვე პოეტმა ქალმა სახელოვანი წინაპრების ცხოვრება. პოეტი წარმოგვისახავს ქეთევანის გმირულ აღსასრულს, რითაც მან მოწამის გვირგვინი დაიდგა. დედოფლის სულის სიმტკიცეს პოეტი ხატავს ფერწერული ხერხებით, ლირიკული გმირის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებებისა და მძაფრი სიტუაციის ჩვენებით: „ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა, ქროდა ქარი...“ ლექსის ფინალი კი მისი შეუღარეკლობის ცხადი დადასტურებაა: „ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ დედოფალსა, უდრეკ იყო დედოფალი!“.

„შორია თამარ...“ ლირიკული პოემის ნიშნებით აღჭურვილი ნაწარმოებია. მასში ასახულია კარგად ცნობილი ამბავი ჩვენი ისტორიისა, როცა ქართველმა ხალხმა დაამარცხა თურქეთის მოძალადე სულთანი — ნუქარდინი. წმინდა ლირიკულ თხრობაში აქა-იქ მაინც გამოკრთის ეპიკური სახეები, რაც მას სიმტკიცეს მატებს. თამარის სახე დახატულია რბილ და მსუბუქ ტონებში, რომლებშიც უფრო მზიური ფერები ქარბობს. ასეთი ხერხით პოეტი ძალდაუტანებლად ქმნის საზეიმო განწყობილებას.

აუ, ნუქარდინ, ახლახან მხოლოდ
იცვამს მზექალი მზეახსნულ ქოშებს.
და ანანავებს ვარძიის ქარი
საქართველოს უძლველ დროშებს.

არა მარტო ამ ლექსში, არამედ საერთოდ ა. კალანდაძის პოეზიაში ხშირად შეგვხვდებით ისეთ ადგილებს, სადაც უნაზღეს ქალურობასთან შეხამებულია ვაჟკაცური შემართება. ეს მისი პოეტური

სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ზემოთქმული თვისებით ავტორისა და მის ლექსები ორგანულად აგრძელებს ქართველი ქალის სულიერი სიმდიდრისა და რაინდული ბუნების ასახვის დამკვიდრებულ ტრადიციას.

თავისი ფაქიზი გრძნობებისა და განწყობილებების გადმოსაცემად პოეტი ქალი არაიშვიათად მიმართავს მეტყველების ზეაწეულ ტონს და იყენებს ისეთ მხატვრულ ხერხებს, რომლებიც იწვევენ სასურველ ეფექტს. მაგალითად: „მე გადმოვიკიდე ჩემი ციხიდან ზავის ალამი...“ ცხადია, ეს პოეტური სახე მრავალგვარი ასოციაციის აღმძვრელია. ვაჟკაცური ფრაზეოლოგიის ნიმუშია ტაეპიცი: „ჩვენთან მუღამ გათენების დარია, ჩვენი ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენებინ“. ეს გახლავთ სიტყვები ცნობილი ლექსიდან „კარში ვამო, ჭია-ჭია მარია“, რომელიც დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრების სიხარულს გამოხატავს.

ლექსში „დამლოცეთ, ძმებო“ ორგანულადაა შეზავებული სისათუთე, დაწმენდილი გრძნობა და რაინდული ელფერი, რაც ასე დამახასიათებელია მისი ავტორის პოეზიისათვის მთლიანად:

აკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმობილი ქვეერი...
ღვინიანი კობე...

პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარ-მიდამო ჩემი
დამილოცეთ, ძმებო!

ამ სტროფებშიც საცნაურია ლირიკული გმირის სწრაფვა შეაფერადოს თავისი სათქმელი ვაჟკაცური ძარღვიანი ლექსიკით.

თითქმის მთლიანად ვაჟკაცური ტონითაა დაწერილი ლექსი „ამ სურით სვამენ“, რომელშიც კარგადაა გაგებული და ახსნილი დიდი პოეტის — ომარ ხაიამის რომანტიკული ბურუსით მოცული სახე, მისი პოეზიის ნამდვილი შინაარსი.

ლირიკული გმირის მრავალფეროვანი

სულიერი სამყარო შეადგენს ა. კალანდაძის პოეტური შემოქმედების შინაარსს. ასევე მრავალფეროვანია ამ შინაარსის წარმოსახვის ფორმები, იმის მიხედვით, თუ რა გრძნობას, რა განწყობილებას გამოხატავს ავტორი. ყოველ გარკვეულ შემთხვევაში ესა თუ ის განცდა თავისი შესატყვისი ფორმით გადმოიცემა.

თვით ისეთი მარადიული გრძნობა, როგორცაა სიყვარული, მრავალგვარ მხატვრულ ასპექტში ისახება ა. კალანდაძის პოეტური მეტყველების მოქნილი მოდულაციის წყალობით. ზოგჯერ ეს მოტივი სუფთა ემოციურ-გრძნობელობით საძირკველს ემყარება, ხოლო ზოგჯერ ფილოსოფიურ-განსჯით ხასიათს ავლენს. თუმცა ამ შემთხვევაშიც პოეტური მედიტაცია არ არის მშრალი და კონკრეტული განცდისაგან დაცლილი. სატრფიალო გრძნობის ეს ორივე მომენტი საკმაოდ ხელშესახებადაა გამოვლენილი ა. კალანდაძის პოეზიაში. ისეთ ლექსებში, როგორცაა: „გასაოებ ისევ...“, „ვინ ჩამიურჩულვს...“, „შეყვარებულნი ოდეს ქარები...“, „მე მივსდევ შენს ხმას...“ და სხვა, ძნელი არ არის შევამჩნიოთ გონების პრიმატი. აქ ინტიმური ურთიერთობის ხაზი გამართულია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო ფხიზელი მსჯელობის პლანში, როცა გონება კონტროლს უწყევს გრძნობას. ოღონდ, ამასთან ერთად, მათში მაინც სასეხებით გარკვეულია ლექსის წარმოშობის გრძნობადკონკრეტული საფუძველი. სხვანაირად ხომ არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან გრძნობას მოკლებული ნაწარმოები, არც არის მხატვრული ქმნილება.

მაგრამ ა. კალანდაძეს აქვს ისეთი სატრფიალო ლექსებიც, რომლებშიც ორივე ამ ფაქტორის (გრძნობისა და გონების) სრულ შერწყმა-პარამონიასთან გვაქვს საქმე, სადაც გრძნობა არ არის შეზღუდული და მთელი თავისი უფლებით მოქმედებს. ასეთ შემთხვევებში, რუსთაველისა არ იყო, „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ და ერთი სურვილით არიან აღძრული. ეს ხაზი, ეს

თვისება უფრო დამახასიათებელია ა. კალანდაძის პოეტური ბუნებისათვის.

ა. კალანდაძის სატრფიალო ლექსებში წაითხვისას გეუფლებათ სიწმინდის შეგრძნება, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ხიზვისა და უხერხულობისაგან, იგი სუფთაა, როგორც ქართველი ქალის სინდის-ნამუსი და მშობლიური ცის თავანი, ეს არის დიდი და ფაქიზი სიყვარულის საგალობელი, რომელიც მახლობელი და გასაგებია ყოველი ჭეშმარიტი ადამიანისათვის:

მე შენ დაგხურო ლამაზ ვიორკვინს
და მით მივირს
ჩემს საიდუმლოს გაზიარებ, ო, ფიქრთა ჩემთა.
მე ავამლდები შენს ლურჯ ცაზე, შენთვის
ვიბრწყინებ.

ალღინთები და დაფრტები შენდა!

ანა კალანდაძე ჩუმი, მოკრძალებული და ფაქიზი სულის ადამიანია, არ უყვარს თავისი სურვილების სხვებისათვის თავზე მოხვევა, ოდნავ გულჩათხრობილია და ზომიერ მეტად უთქმელი. თანაც ამჯობინებს თავისი გრძნობები თუ ფიქრები ლექსებით გაგვიზიაროს, რადგან ეს ფორმა მიაჩნია ადამიანის სულის უმაღლეს გამოხატულებად. მას საკუთარ ნაწარმოებებზე უბრალოდ სიტყვაც არ წამოსცდება არსად და არავისთან. თავის ლექსებზე ლაპარაკს ისე გაუბრბის, თითქოს ეზინია მის მიერ შექმნილი და უკვე ხალხის კუთვნილებად ქცეული შემოქმედებითი სიცოცხლის აფორიაციებისა. მახლობელთადმი ანა ძალზე ყურადღებიანია, არასოდეს ავიწყდება მეგობარი და ყოველთვის მზადაა ხელი გაუწოდოს მას, მცირე რამ ძალზე ახარებს და უბრალო შემთხვევამ შეიძლება დიდად ატკინოს გული.

ადამიანებთან დამოკიდებულებაში ანა წინდახედულებასა და ზომიერებას იჩენს, მაგრამ თუ ვინმეს გული გადაუხსნა და შეეთვისა, უსაზღვროდ მიენდობა. ყველაზე დიდი სიხარული მისთვის ამ ნდობის გამართლებას მიუნიჭებია, ხოლო ყველაზე დიდი წყენა იმედის გაცრუების შედეგად განუცდია.

ანა კალანდაძეს ახასიათებს ერთი შე-

ხედვით მეტად უცნაური თვისებაც. მას აგრერივად არ უყვარს ლექსების გამოქვეყნება, თავის ნაწარმოებებს დასაბეჭდად ძნელად შეეღწევა ხოლმე, ისიც მხოლოდ დაჟინებითი თხოვნის შემდეგ ასე მოხდა მისი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე, ასე ხდება მისი თითქმის ყოველი ლექსის გამოშვებობა. როგორც ყოველ ჭეშმარიტ პოეტს, ა. კალანდაძეს მიაჩნია, რომ ლექსი ავტორის სულისა და ხორცის ნაწილია, ამიტომ ყოველ თავის ნაწარმოებს საკუთარ პირმშოსავით უყურებს, მოამაგე მშობელივით თავს დასტრიალებს და შორს გასაგზავნად თუ გასაძიძვებლად არ ემეტება. ბოლოსდაბოლოს შვილიც ხომ საკუთარ გზაზე უნდა გამოვიდეს და... ანა ირჩევს ლექსები ხალხს გააცნოს კრებულის ან ერთიანი ციკლის სახით, რადგანაც მაშინ, მისი აზრით, თავიდან იქნება აცილებული განცდათა დანაწევრების ის შეგრძნება, რაც შეიძლება ცალკეული ნაწარმოების კითხვის დროს წარმოიშვას. წიგნი უფრო სრულად, უფრო მრავალმხრივ წარმოვედგინს ავტორის ფიქრებისა და გრძნობების სამყაროს, უფრო სრული და მთლიანი სახით დაგვანახვებს პოეტის შემოქმედებითი წვის ნაყოფს.

მთავარი არ დაგვავიწყდეს. ანა კალანდაძე უაღრესად თანამედროვე ადამიანია. მის არსებას დღევანდელი დროის ფიზიკური შეგრძნება წარმართავს. იგი შეუნელებელი ყურადღებით აკვირდება გარემო-სინამდვილის მოვლენებს და ხუთივე გრძნობითაა ჩართული დიდი სიცოცხლის ფერხულში. მოგზაურობაც ძალიან უყვარს. ფიზიკური მოვლია მთელი საქართველო, ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქი უნახავს. უმოგზაურია საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში. ვინ იცის, რამდენი სასარგებლო შთაბეჭდილება მიუღია ამ მოგზაურობიდან და რამდენ ლექსად თუ პოეტურ სახედ ჩამოუყალიბებია იგი? გავიხსენოთ ფშავ-ხევსურული, სვანური, აგრეთვე ჩეხოსლოვაკური ლექსების ციკლები. ამ ნაწარმოებებში მკითხველს იზიდავს ავტორის უმურველად გადაშლილი გრძნობათა სამ-

ყარო, პირადული და საზოგადოებრივი მისწრაფებების შეზავება, მხატვრული ფორმათა სიცხადე და სინტიზის

როცა ანა კალანდაძემ თავისი სიცოცხლის აზრად პოეტის ძნელი ხვედრი ირჩია, მაშინ ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომი მძვინვარებდა. მის ლექსებში მძაფრი და ფართო გამოხატულება ჰპოვა ომის ამბებმა და გამარჯვების დღით გამოწვეულმა სიხარულმა. ამ თემას ა. კალანდაძემ რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნა. გავიხსენოთ ლექსები „ქარში გამო, ჭია-ჭია მარია“, „მუჭუმეარათული ყველას გულში დგახარ, ტანია“ (ზოია კოსმოდეშინასკიას), „ვერ წაიღეს, ვერა...“ და სხვ. ომის დროის მძაფრი შთაბეჭდილებებით აიხსნება ისიც, რომ მის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მშვიდობისა და ხალხთა სოლიდარობის თემას. ლექსები: „ლენინის ქუდი“, „გაზაფხული და სიცილი შენი“, „ნაზიმ ჰიქმეთს“, „თავისუფალ ჰიქმეთს“, „სად არის შენი შვილი“ შთაგონებულია მშვიდობიანი სიცოცხლის დიდი სიყვარულით და ჰუმანიზმით.

ა. კალანდაძის ლექსი „ტყვია არ წავა ვიეტნამისკენ“ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს ეძღვნება. ლექსში „თავისუფალ ჰიქმეთს“ პოეტი მშვიდობისათვის დიდ მოძრაობაში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა გაერთიანების იდეას განამტკიცებს.

სულ უკანასკნელ ხანს ა. კალანდაძემ გამოაქვეყნა პოლონეთისადმი მიძღვნილი ლექსი: „კვლავ ამაყი იყავ, ჩემო პოლონეთო!“, სადაც მოძვე ხალხის ახლო წარსულის მიძიმე დღეების გახსენება დღევანდელი ბედნიერი აღმშენებლობის სიმაღლეებიდან ხდება.

ა. კალანდაძის პოეზიის სავსებით თანამედროვე ხასიათზე ნათლად მეტყველებს მხატვრული ფორმის სიახლისაკენ მისი სწრაფვა. ახალი და თავისთავადი შინაარსი მოითხოვს შესაფერის ფორმას, რომელთა მთლიანობაც იწვევს სასურველ შემოქმედებით ეფექტს. ფორმისა და შინაარსის ასეთი მთლიანობა

თვალნათლივ შეინიშნება ა. კალანდაძის ლექსებში.

ა. კალანდაძის ლირიკის მხატვრული ენა სიახლის უტყუარი იერით არის აღბეჭდილი. თავისი განწყობილებებისა და ემოციების გადმოსაცემად პოეტი იყენებს სალექსო მეტყველების თავისებურ მანერას, რაც ქართული პოეზიის ტრადიციას ემყარება. როცა ვისმენთ ასეთ სტრიქონებს „მზეი დაცხრა, ყვა-ვილების ქარია, ჩურჩულებენ მოღვინაირფერები“, უკვე ვხვდებით, რომ მათი ავტორი ანა კალანდაძეა, რადგან ამგვარი პოეტური სინტაქსი, ოდნავი არქაული იერით შეფერილი მხატვრული მეტყველება მან დამკვიდრა ჩვენს დღევანდელ პოეზიაში. ასევე, მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი ნათელ გრძნობათა ისეთი მიმოქცევა და სიტყვათა იმგვარი შეხამება, როგორიც მოცემულია ლექსში „რა ვარ? სტიერი ვარ!“ „მზე ჩამჩურჩულებს ლელიანის ტევრში შობილსა, იმდერეო, პატარა ქალო! შთამბერე ქარო, ნახონ ძალო ჩემი გრძნობისა“, ეს არის განცდათა მხოლოდ ანასტული სამყარო.

ა. კალანდაძის პოეზიის მხატვრულ სახეთა მარაგი არაა შემოფარგლული რაიმე ვარკვეული რეცეპტურით ან სამყაროს მოვლენათა რომელიმე განსაზღვრული მასალით. მას ერთნაირად ავსებს როგორც სიმშვიდისა და სინაზის, ისე მღელვარებისა და აღტაცების ხმები და ფერები, ბუნების მრავალფეროვნება თავისი შუქ-ჩრდილითა და მთელი თავისი საოცრებით.

მხატვრული სახე საერთოდ საგნისათვის მოვლენის სისრულით წარმოდგენას ემსახურება. და რაც არ უნდა რთული იყოს იგი, მაინც სიცხადე უნდა შეჰქონდეს სურათის წარმოსახვაში. „შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგებ ენით ნათქვამი“, ამბობს ერთგან სიმონ ჩიქოვანი. მხატვრულობის ამ აზრს ემყარება ა. კალანდაძის პოეტურ სახეთა სისტემაც. ერთი შეხედვით რთულად წარმოსადგენ სურათად მოგვეჩვენება, მაგალითად, ეს ნათქვამი: „ვხედავდი

ზღვაზე ნაღვლიან აფრებს — დაღლილ ანძების მკლავზე ეძინათ...“, მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ეს ნაღვლიანი ანძებიც და მათი მიძინებაც დაღლილი ანძების მკლავზე მისაბაძი სიცხადით გამოგვეცემს ზღვის ტალღებზე მშვიდად მოქანავე ხომალდს. ასევე რთული პლასტიკების შემცველი და ამავე დროს ცხადად წარმოსადგენი პოეტური სახეა: „ვით წყლის სული და მიწის სული მიფრინავს ცისკენ, ლურჯი კლდეებით“.

აქ უნებურად მახსენდება ვაჟას გენიალური: „ნისლი ფიქრია მთებისა“. ვაჟაფშაველას — მთის ამ უბადლო მომღერლის შემდეგ ქართველ მკითხველს ძნელია რაიმე გაუკვირდეს, მაგრამ ა. კალანდაძემ თავისებური ფერებით გაამდიდრა მთების წარმოსახვის პოეტიკა. თავისებურებაში ვგულისხმობთ სრულიად გარკვეულ მხატვრულ ხერხს, რითაც ცალ აზიდულ მთებს მინიჭებული აქვთ სივრცეში ქროლის თვისება: „ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები“ — ამბობს ერთგან პოეტი, სხვაგან კი „მთათ ორბის ფრთები მოისხეს“ ან კიდევ „ფრთავაშლილი მთები არი“. მხატვრულ სახეთა ამავე კატეგორიას განეკუთვნება სტრიქონები: „ღარ წვიმს, ლამაზი მხრები გაშალეს ლამაზმა მთებმა“ ან „ქედები მხარგაშლილები...“ როგორც ვხედავთ, ყველა ამ პოეტურ ნათქვამს აკავშირებს ერთი საერთო ნიშანი, რის გამოც ისინი სავსებით გარკვეულ მხატვრულ სტილს ქმნიან.

ალსანიშნავია ა. კალანდაძის შემოქმედებითი ძიებანი ქართული ლექსის ვერსიფიკაციული და კომპოზიციური გამრავალფეროვნების სფეროში. პოეტი რიგ შემთხვევაში გვერდს უხვევს ლექსის ტრადიციულ საზომებს და სტროფებში მეტრისა და რიტმის მონაცვლეობით ქმნის მხატვრული ნაწარმოების თავისებურ სახეობას. განსაკუთრებით შესამჩნევ წარმატებას აღწევს ა. კალანდაძე ლექსის კომპოზიციური წყობის განახლების საქმეში. ამ თვალსაზრისით, პირველყოფლისა, უნდა გავისცნოთ ლირიკული შედევრი „შენ ისე ღრმა

ხარ, ქართულო ცაო“ — ჩვენი პატრიო-
ტული პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი
ქმნილება:

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავენ ნახა,
ვერცა ოსმალმა, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...

შენი ღიღების მომღერალია
ოში და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

სრულიად თავისებურია ამ ლექ-
სის სტროფიკა და მეტრულ-რიტმული
სტრუქტურა. პირველი სტროფის სავსე-
ბით დასრულებულ შინაარსს თავისი სა-
ერთო გააზრებითა და სარიტმო ერთეუ-
ლით ორგანულად ერთვის და აგრძელებს
მეორე სტროფი. მაგრამ მეორე სტროფი
თავისთავად დამოუკიდებელ პოეტურ
კონტექსტს შეიცავს. მთავარი კი ის
არის, რომ სტროფების ასეთი ნაირგვარი
შედგენილობით, რიტმის ასეთი მონაცვ-
ლეობით და სხვადასხვა მარცვლოვან
სტრიქონთა შეთანხმებით შექმნილია
ერთი ფიქრითა და განწყობილებით შეკ-
რული, სანიმუშო მთლიანობის მხატვ-
რული ნაწარმოები. ორიგინალური მხა-
ტვრულ-კომპოზიციური წყობის საინ-
ტერესო მაგალითებია აგრეთვე ლექსე-
ბი: „როცა სხივი განსასვენად“, „თოვ-
ლი აჭარა-გურიის მთების“ და სხვ.

ორიგინალური მხატვრული ფორმის
ძიების დროს ა. კალანდაძე ყოველთვის
ვერ აღწევს ლექსის შინაგან მთლიანო-
ბას. ზოგ შემთხვევაში ნაწარმოების ცა-
ლკული ნაწილები და სარიტმო სტრი-
ქონები ერთმანეთს კარგად ვერ უკავ-
შირდება, რაც აძნელებს სურათისა თუ
იდეის ადვილად აღქმას. ასეთი ფაქტი
იშვიათად გვხვდება, მაგრამ მაინც შეუ-
ფერებლად მიგვაჩნია ა. კალანდაძის და-
ხვეწილი პოეზიისათვის.

ავტორის სახელის ხსენება გავრცე-
ლებული სტილური ხერხია, რომელიც
მეტ გულწრფელობასა და ინტიმის გა-

ნუმეორებელ ელფერს ანიჭებს პოეტის
ნაგრძნობსა და ნათქვამს. ქართულ კლასი-
კურ პოეზიაში ამ ხერხს მემართავდნენ
რუსთაველი, გურამიშვილი და საი-
ათნოვა, ხოლო ჩვენს ეპოქაში — გალაკ-
ტიონ ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბი-
ძე, გ. ლეონიძე, აშული იეთიმ-გურჯი-
ანა კალანდაძე ზომიერად გამოიყენა ეს
მხატვრული ნიუანსი, რომლის წყალო-
ბითაც მკითხველთა წინაშე მეტი გულ-
ლიობით წარმოსდგა. პოეტი ერთგან
ცხოვრების სიკეთით დატკობის წყურ-
ვილით აცხადებს: „ყაყაჩოს ღვინო „სა-
ლხინო“ როგორ არ შესვას ანამა?“, სხვა-
გან კი დაფიქრებით კითხულობს: „ყურს
რად მიუგდებს ანა მძიმე ურმების ქრი-
ალს?“ წამიერი ეჭვით შეპყრობილი ადა-
მიანის გულისტკივილია გამოთქმული
სიტყვებში: „სხვა გზით ჩახვედი არავ-
ზე: გულს მოუტლავდი ანახა“.

ხალხისა და ბუნების შვილი ა. კალან-
დაძე უხვად საზრდოობს მშობლიური
წილის მადლით და ასევე უშუაგვლად
უბრუნებს მას საკუთარი შთაგონების
ნაყოფს. მისი პოეტური სიტყვა ისევეა
აღბეჭდილი ეროვნული მშვენიერებით, რო-
გორც ქართული ხალხური ლექსები და
სიმღერები, როგორც ძველი ტაძრების
ფრესკები და ჩუქურთმები, როგორც
„თეთნულღზე თოვლი მარადი, ვენახ-
ზე — მზე და ბადასში“.

ადამიანური დაღონების წუთებში ბუ-
ნების მოვლენებთან სიახლოვე ასულდ-
გმულებს პოეტს: „ძეწნამ აღერსით ამა-
ვსო ეჭვებით ნაავადარი“. ასევე ყოველ
გითარებაში, ყოველ დროს ეს მოვლენე-
ბი მოუშორებლად თან ახლავან და სი-
ცოცხლეს უხალისებენ მას: „ლამის სახ-
ლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე
შემომვიდეს ხელი“ ანდა: „ჩემი გული
ვარდფურცლობის დარია, შრიალებენ,
გუგუნებენ თელები“. ბუნების საგნებ-
თან ასეთი ინტიმური კავშირი, როგორც
გხვდავთ, ასახულია მეტად თბილ ტო-
ნებში და პლასტიკური ხატვის მანერით.
ამგვარად, გარემომცველი ბუნება ა. კა-
ლანდაძის ლექსებში გვევლინება რო-
გორც ავტორის, თუ შეიძლება ასე თ-

ქვას, სულიერი პარტნიორი, როგორც მისი პოეზიის უფლებამოსილი ლირიკული გმირი.

ქეშმარიტი პოეზიის დანიშნულება ადამიანთა ცხოვრების გამდიდრება-გაღამაზებაა. ლექსი მკითხველს ხან სიხარულით აღავსებს და ხანაც ყოფიერების საჭირობოროტო საკითხებზე დააფიქრებს. ყოველივე ამას პოეტური ნაწარმოები მხატვრული ენის, ხალასი ემოციებისა და სიტყვათა მელოდიური შეთანხმების მეოხებით აღწევს; იგი რაც არ უნდა ღრმა აზრებსა და განცდებს გადმოსცემდეს, მაინც ჰაეროვანი და ადვილად აღსაქმელი უნდა იყოს. ეს თვისება ზედმიწევნით ახასიათებს ა. კალანდაძის პოეტურ მეტყველებას. მისი ფილოსოფიური ლირიკა თუ სხვა ხასიათის ლექსები გამოირჩევა ფორმის დახვეწილობით, გამჭვივრელობითა და მუსიკალობით. ამ მხრივ იგი გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული სტილის უშუალო გამგრძელებელიცაა და საკუთარი ინტონაციებითაც ამდიდრებს თანამედროვე ქართულ პოეზიას.

უკვე ვთქვი, რომ თავის თავზე და საკუთარ პოეზიაზე მსჯელობას ანა კალანდაძე საოცრად ერიდება. მე ეს კარგად ვიცოდი, ამიტომ დროდადრო, კერძო საუბარში ცოტა რამეს მაინც დაეტყუებდი ხოლმე. ამას წინათ მარჯვე დრო ვიხელთე და კარგახანს ვესაუბრე, სასურველად მიმაჩნია ჩვენი საუბრის შინაარსი მკითხველს გაეაცნო, რადგან იგი შეავსებს მის წარმოდგენას ანა კალანდაძეზე, როგორც შემოქმედსა და ადამიანზე.

მაშ ასე, სექტემბრის ერთ საღამოს ანა და მე ვსხედვართ ოთახში. პოეტის აზრიანი თვალეზი მაგიდაზე გადაშლილ წიგნს ჩასცქერიან.

ჩემმა მეუღლემ ყურძნითა და ატმით საავსე ლანგარი შემოგვიტანა.

ვეკითხები პოეტს:

— ანა, როგორ წერ ლექსს?

— ნაწარმოების თემა თუ საგანი ჩემში დიდი ხნით იბუდებს, თანდათანობით გარკვეულ სახეს ლებულობს და საბო-

ლოდ ცხადად იკვეთება. ის შთაბეჭდილება თუ მოვლენა, რომელიც განსაკუთრებული ძალით მიმიზიდავს ხოლმე, მზე წარუშლელ კვალს სტოვებს, არასოდეს მავწყდება, იგი უკვე ჩემი სულის ნაწილად იქცევა და თავისთავად ეძიებს და პოულობს გამოხატვის შესაფერ ფორმას, პოეტურ სახეებს. მე წინასწარ არ ვიცი, რაზე შევთხზავ ლექსს. შეიძლება ისეც მოხდეს, რომელიმე ძლიერ განცდასაც კი ვერ მივცე დამოუკიდებელი მხატვრული ნაწარმოების სახე, ოღონდ მისგან აღძრული განწყობილება თუ ცალკეული ფიგურალური თქმა სადღაც უმჯველად გამოანათებს. ასე თანდათან, ძალდაუტანებლად ჩემს სულიერ სამყაროში ინაკეთება და იქმნება სრულიად ახალი სიცოცხლე — დასრულებული და მთლიანი პოეტური ფაქტი. მზის სინათლეზე მის გამოტანას მე სრულიადაც არ ვჩქარობ. მხოლოდ გარკვეული დროის მერე ვკიდებ ხელს კალამს, რომ ჩემი ფიქრი და ემოცია ქაღალდზე გადავიტანო. ეს არის ჩემთვის ყველაზე უხალისო და უგემური საქმიანობა...

დაძაბული ვუსმენდი ჩემს მოკრძალებულ თანამოსაუბრეს, რომ მისი ნათქვამიდან მნიშვნელოვანი არაფერი გამომპარვოდა. ანა ლაპარაკობდა დინჯად. სვენებ-სვენებით. დროდადრო მხრების ნელი მოძრაობით თითქოს მისთვის უჩვეულო, ოდნავ გაგრძელებული საუბრით გამოწვეულ უხერხულობას ამქლავებდა.

უეცრად ანა ზეზე წამოდგა, თვალი გამისწორა და თითქოს ჩემს გულში იჭდა, პირდაპირ მითხრა:

— მე ვხვდები, რასაც შენ ახლა ფიქრობ და რისი კითხვაც გინდა. შენ ისევ და ისევ გაინტერესებს ჩემი, როგორც პოეტის, დამოკიდებულება უშუალო შთაბეჭდილებასთან, იგი ხომ ხელოვნების მასაზრდოებელი წყაროა! როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, გეტყვი, რომ უშუალო შთაბეჭდილება ან წამიერი განცდა მაშინვე არ აღძრავს ჩემში ლექსის შექმნის წყურვილს. მეშინია ისე არ გამიგო, თითქოს მისდამი გულგრილი ვი-

ყო. სრულებითაც არა. მე მაქვს წუთიერი შთაბეჭდილების შედეგად დაწერილი ლექსებიც, ასეთია, მაგალითად, „თუთა“, რომელიც ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნაწარმოებია.

— ვინ არის შენი ყველაზე უფრო საყვარელი პოეტი?

— ბარათაშვილი, — სულმოუთქმელად მომიგო მან — ბარათაშვილი ჩემთვის ყველაფერია. წარმოიდგინე, როცა მას ვკითხულობ, ერთდროულად მეუფლება სიმშვიდისა და მღელვარების განწყობილება, რაც ასე საოცრადაა შეხამებული მის უებრო პოეზიაში. ბარათაშვილი ჩემთვის სიბრძნის, სიწმინდის და სპეტაკი სიმაღლის განსახიერებაა.

— ხომ არ შეგიძლია საერთოდ დაასახელო ერთი რომელიმე ლექსი, რომელიც სხვებს გირჩევნია, უფრო მეტად მოგწონს?

— ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ძალზე გამიჭირდება. ჩემთვის ძალიან ძნელია უპირატესობა მივცე ბარათაშვილის რომელიმე ლექსს, რადგან თითოეულ მათგანს თავისი, დამოუკიდებელი, შესაფერისი ადგილი უჭირავს ჩემს სულიერ ცხოვრებაში. ასევე, იოლი როდია განსაკუთრებით გამოვარჩიო ჩემი საყვარელი პოეტების: ვერლენის, ბლოკისა და გალაკტიონის ცალკეული ლირიკული შედევრი და პირველობის ტიტული მივაკუთვნო მას. საერთოდ კი, როგორც ყოველთვის და ყველაფერში, ვერ ვიტან ლექსში სიყალბის ოდნავ გამოვლინებასაც კი.

— რა გიყვარს ცხოვრებაში ყველაზე მეტად?

— სიმშვიდე და მყუდროება, — დამარცვლა ანამ და უმალვე დასძინა, — გთხოვ, სწორად გამიგო. შენ კარგად მიცნობ და დარწმუნებული ვარ, ამას კარ-

ჩაკეტილობად და მიუყარებლობად ჩამომართმევ. შენ იცი, როგორ მსხვერპლს მეგობრებთან და საერთოდ ურთიერთობაში შეხვედრა, ბავშვებთან ყოფნა და გაართობა ხომ თავს მირჩევნია. როცა ვარეთ ვარ, მთელი არსებით ვარ ჩართული გარემომცველ სინამდვილეში, ჩემი ხალხის ცხოვრებით ვუსუნთქავ და ვცდილობ ყოველდღიურად ახალი რამით შევავსო საკუთარი ცოდნა. მთელი ეს უკიდვანო ქვეყანა, მშობლიური ბუნების მშვენიერება და სიკეთე მავსებს უამრავი განცდით, მავსებს შთაბეჭდილებებითა და სახეებით, რომლებთანაც განმარტოება აუცილებლად მჭირდება. უცნაურია, კარში ყოფნის დროს მე თითქოს ყოველივე ხილულის ბატონ-პატრონად ვგრძნობ თავს, ხოლო შინ, სიმარტოვეში, მისი მონა-მორჩილი ვარ, მთლიანად მასში ვარ ჩაძირული. აქედან იწყება ჩემი ნამდვილი შემოქმედებითი ურთიერთობა შეთვისებულ მასალასთან, რომელიც ჩემს შინაგან სამყაროში დიდი ხნის დუღილს, გარდასახვას განიცდის, რათა შემდეგ ლექსებად იქცეს. აი ამიტომ ვეტანები სიმშვიდესა და მყუდროებას, სიმშვიდეს არა უდრტვიწველს, არამედ სიცოცხლის ფერადოვნებით და ხშიერებით სავსეს, რომელიც დაძაბულ მდგომარეობაში მამყოფებს და სულიერად მამაღლებს.

მცირე ხანს დუმილი ჩამოვარდა. მიხვდი, რომ ანა მორჩა თავის სათქმელს.


— ახლა კი მეც უნდა გთხოვო ერთი რამ, — მომმართა მან.

— ბრძანე.

— დღევანდელი ჩვენი საუბარი მე და შენს შორის უნდა დარჩეს.

აღბათ ეს იქნება ერთადერთი შემთხვევა, როცა ძვირფას მეგობარსა და პოეტს თხოვნას ვერ შევუსრულებ.





პიოჩგი ჯიბლაქი

ფერთა როლი მსთეტიკურ ალჯრდაში

სამყარო მრავალფეროვანია, მაგრამ ფერთა მრავლობა მხოლოდ უსასრულობით შეიძლება გამოიხატოს. ეს იცოდა ჯერ კიდევ რუსთაველმა, რომლის ჭეყანა „უთვალავი ფერითა“ მარტოოდენ მხატვრული ჰიპერბოლა კი არ არის, აღიარებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ სამყარო ნამდვილად უთვალავ, ურიცხვ ფერთა განსახიერებას წარმოადგენს.

როგორც ყველა დიდი პოეტი, ჰომეროსიდან მოყოლებული ჩვენს დრომდე, რუსთაველიც ფერების ტრუბადურია და მისი პოემა ბუნების ამ საკვირველებსაც განაღმებს. პოეტი საგანთა თუ მოვლენათა გამოსახატავად მიმართავს ფერთა სიჭრელეს, ცალკე გამოიყენებს ხოლმე თითოეულ მათგანს, რაკი ბოლომდე ღრმად შეუთვისებია, რომ უფეროდ არაფერი არ არსებობს გრძნობად ჭეყანაში, რომლის განფენილობას ფეროვნება ყოველთვის თან ახლავს. „ვეფხის ტყაოსანში“ გვხვდება შავი, თეთრი, ყვითელი, შაქრისფერი, ამრტისფერი და მრავალი სხვა, როგორც ხილული სამყაროს განუშორებელი ატრიბუტები. და როცა დიდი პოეტის შემოქმედებას ამ კუთხითაც ვსწავლობთ, ჩვენ ვაღიარებთ იმ უცილობელ ჭეშმარიტებას, რომ ნამ-

დვილად „რუსთაველი უდიდესი ოსტატია ფერთა შეხამებისა“*

მაგრამ, თუ არსებობს ფერების პოეტური გაგება და წარმოსახვა, რისთვისაც თავისუფლად შეიძლებოდა „ფერების მეტაფიზიკა“ გვეწოდებინა, არსებობს აგრეთვე „ფერების ფიზიკა“, რომელიც მეცნიერულად სწავლობს ბუნების ამ საკვირველ ფენომენს. როგორც უძველესმა პოეტებმა განაღმდეს ფერთა სილამაზე, ისე უძველესმა ფილოსოფოსებმა თავიანთი დროის შესაძლებლობათა კალეიდოსკოპიდან განჭვრიტეს ფერთა არსება და სცადეს მათი საიდუმლოების ამოცნობა. მაგრამ ფერთა ნამდვილად მეცნიერული კვლევა-ძიება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ახალ საუკუნეებში, როცა ტექნიკის წყალობით ადამიანს საშუალება მიეცა ფერთა სიღრმეში ჩაეხედა.

* მოსე გოგიბერიძე, „რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები“ 1961 წ., გვ. 82. მოსე გოგიბერიძემ რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გააჩვენა.

რუსთაველის პოემას ფუნდამენტალური შრომები უძღვნა ცნობილმა რუსთაველოლოგმა ვიქტორ ნოზაძემ.

მე-18 საუკუნიდან მოყოლებული მეცნიერებამ დაადასტურა, რომ ადამიანის მხედველობას სამფეროვანი საფუძველი აქვს (ლომონოსოვი) და შეიძლება არსებობდეს მხედველობის სამკომპონენტოვანი თეორია (მაქსველი, მე-19 საუკუნის მიწურული). მაგრამ რამდენი ფერიც არ უნდა დაედოს საფუძვლად მხედველობას, ფერთა რიცხვი ისევე უთვალავია, როგორც საგანთა ფორმები ბუნებაში. თუ ჩვენ გავარჩევთ ძირითად ან მათგან წარმოქმნილ ფერებს, რომლებიც ადამიანზე მოქმედებენ და გრძობათა ორგანოებით აღვიქვამთ, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სხვა ფერები არ არსებობენ. ფერთა რიცხვის განსაზღვრა ისევე უნაყოფოა, როგორც მშვენიერების ფორმათა რაოდენობის დასადგენად წარმოებული ცდა.

ჩვენი ახალგაზრდა მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება მოკლედ გადმოვცეთ ზოგიერთი ცნობა, თუ როგორი იყო „ფერთა რაციონალური კლასიფიკაციის პირველი ცდები, საიდანაც განვითარდა თანამედროვე ფერთმცოდნობის ლექსიკონები“. ამ სიტყვების ავტორი თანამედროვე ფრანგი მეცნიერი მორის დერიბერე გვიმტკიცებს, რომ ფერთა აღბოძებში პირველად ფრანგებმა შეადგინეს. „ფერთა ერთდროულ კონტრასტსა“ და შევრვის „ატლასზე“ ადრე მსგავსი სამუშაოები შეასრულეს ლე ბლონმა 1735 წელს, დუ ფემ — 1737 წელს და ლამბერმა — 1772 წელს.* დაახლოებით საუკუნის შემდეგ (1884 წელს) ქვეყნდება როზანტელის ვრცელი შრომა, რომელსაც დერიბერე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. გადის კიდევ ხუთი წელი და ანრი ქმის „ქრომატიკულ წრეს“. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო 1890 წელს პარიზში გამოცემული ლიაკუტიურეს „ქრომატიკული რეპერტუარი“, რომელმაც „შესაძლებელი გახდა გარკვეული შიფრით აღნიშნულიყო სამი ფერის ყოველნაირი შენაერთი“.

* მორის დერიბერე — „ფერი ადამიანის მოღვაწეობაში“, 1964 წ., გვ. 15.

არსებობს კიდევ სეგიუს „ფერთა ნორმები“. 1930 წელს გამოვიდა რ. პოლისა და ა. მაერსის „ფერის ლექსიკონი“, ლონდონში დაბეჭდილი „ფერთა ლექსიკონი“, რომელშიც 378 ფერია წარმოდგენილი სამი სახის ქალაქზე და ა. შ. უმდიდრესმა მასალამ, რომელიც დერიბერემ გამოიყენა, მას შესაძლებლობა მისცა განეხილა ისეთი საკითხები, როგორცაა: ფერთა ფიზიკა, მხედველობის არე და სიკაშკაშის კონტრასტები, სინათლისა და ფერის კავშირი, ფერის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ზემოქმედება, ფერი სამრეწველო საწარმოებში, ფერადი სიგნალიზაცია საამქროებში, ფერი დაწესებულებებში. საცხოვრებელი სახლების ინტერიერებში, სკოლებში, შენობათა ფასადებზე, რესტორნებსა და სასტუმროებში, საავადმყოფოებში, აგრეთვე ფერთა გამოყენების მრავალი სხვა შემთხვევა (მაგალითად, ავიაციაში).

უდავოა, რომ თავისთავად ფერი ბუნების საოცრებათა წიგნში იმგვარივე ფენომენია, როგორც ნათელი და ბნელი, მშვენიერი და ამაღლებული. ასევე სრულიად უქვევლია ფერის ობიექტურად არსებობა, მაგრამ ადამიანი მას შეიგრძნობს სუბიექტურად. ამიტომ ადამიანისათვის ფერი ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთდაპირისპირების ფენომენალური შედეგია.

მაგრამ არსებობს სხვა განმარტებანიც. კერძოდ, მორის დერიბერე ფიქრობს, რომ თუ ერთისათვის (მხატვარი, ფეიქარი, მბეჭდავი) ფერი არის ნივთიერება, რომლითაც შედგება წარმოებს, მეორე (ფიზიკოსი) მას განიხილავს, როგორც თეთრი სინათლის დაშლის შედეგს. ნამდვილად კი ფერი არის „შედეგი ამ ორივე ელემენტის ფიზიოლოგიური ზემოქმედებისა თვალის ბაღურაზე. მასსადაამე, ფერი ეს არის შეგრძნება“.

ფეიქარი და მბეჭდავი პროფესიული თვალსაზრისით ფერს უყურებენ, როგორც ნივთიერებას, რომლითაც რაიმე საგანი იღებება, მაგრამ შეუძლებელია მათ წარმოედგინა არ ჰქონდეთ, რომ ფე-

რი და საღებავი ერთი და იგივე არ არის. განა ერთი ან მეორე საღებავს არ უწოდებს იმ ნივთიერებას, რითაც შეღებვას ახდენს? განა ისინი არ ამბობენ „წითელი ფერის საღებავი“, „შავი ფერის საღებავი“, „მწვანე ფერის საღებავი“ და ა. შ.? ან რომელი მხატვარი, ფერმწერი იტყვის, ფერი და საღებავი ერთი და იგივეაო? განა ფიზიკოსი, რომლისთვისაც ფერი, მეცნიერული გაგებით, ანალიტიკურად დაშლილი თეთრი სინათლის შედეგია, ფერში სხვას არაფერს ხედავს? დერიბერეს განმარტებაში არის ქემმარტების ელემენტები, მაგრამ არც ერთი განმარტება არ არის სრული და უხუსტი. სამაგიეროდ სანტერესა მის მიერ შეგროვილი ცნობები, თუ სადამდე წვდება ადამიანის უნარი ფერთა შეგრძნებაში. დერიბერე წერს: „თუ ჩვენ პრიზმის კარგად ცნობილი ცდის საშუალებით დავშლით თეთრი ფერის კონას და მოვახდენთ მის პროექცილებას თეთრ ეკრანზე, მივიღებთ სპექტრს. ჩვენი თვალი განასხვავებს არჩევის უნარის სხვადასხვა ხარისხის ფერებს 4000-დან 7600°A* ტალღების სიგრძით. როცა ვლაპარაკობთ ფერების დანახვის შესახებ, ჩვენ ვიცით, რომ 4000°A საზღვარია სპექტრის ხილულ იისფერსა და უხილავ ულტრაიისფერ ნაწილებს შორის, ხოლო 76000°A საზღვარია სპექტრის ხილულ მუქ-წითელ (რაც ჩანს იზოლირებულად და დიდი ინტენსივობის დროს) და უხილავ ინფრაწითელ ნაწილებს შორის... ამ საზღვრებს შორის დევს სპექტრის ცოტად თუ ბევრად თვითნებურად განსაზღვრული ფერები. ასე, მაგალითად, ბევრი სპექტრში ხედავს შვიდ

ფერს — იისფერს, ლურჯს, მტრედისფერს, მწვანეს, ყვითელს, ნარინჯისფერს, წითელს... უძველესი ხალხებმაც ზოგიერთი თანამედროვე ხალხი, რომლებიც დიდხანს იმყოფებოდნენ განვითარების დაბალ დონეზე და აქვთ ღარიბი ლექსიკონი, კმაყოფილებიან სპექტრის მხოლოდ სამი ფერის განსაზღვრით. ჩვენს ენაში ისინი ექვსი ფერია. ჩვენი თვალი ხედავს ბევრ შუალედურ ფერს და ადვილად არჩევს ნიუანსებს.

შემდეგ ავტორს მოაქვს ცხრილი, თუ რამდენ ანგსტრემს აწესებენ ფერთა საზღვრებისა და შუა ნაწილისათვის აბნეი, ლისტინგი (საზღვრები), რუდი, ფლერი (შუა ნაწილი). აღებულია წითელი, ნარინჯისფერ-წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელ-ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, მტრედისფერ-მწვანე, ცისფერ-ლურჯი, ცისფერი, ლილისფერი, იისფერი. სპექტრში მათი საზღვრები და შუა ნაწილები განსხვავებულ ანგსტრემებს შეიცავენ, მაგალითად, მწვანეს საზღვარია 5780, შუა ნაწილი 5130 (აბნეი), 5750-4920 (ლისტინგი).

მაგრამ რა განსაზღვრავს თვით ფერს? დერიბერე აღნიშნავს სამ ფიზიკურ კატეგორიას: 1) ტალღის დომინირებულ სიგრძეს, 2) სიწმინდეს, 3) სიკაშკაშეს, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს განასხვავოს ფერთა მრავლობა და ელფერი, ხოლო თვალს — ძალიან ზუსტ აპარატს, აღნიშნოს და შეაფასოს ისინი ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებში. საერთოდ, ფერის დამახასიათებელ სიდიდეებზე მსჯელობისას დერიბერეს მნიშვნელოვან პირობად მიაჩნია თვით ამ სიდიდეების ენერგეტიკული, ფოტომეტრული და კოლორიმეტრული ან ფსიქო-ფიზიოლოგიური ბუნების გამოვლენა. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით პირველი ორის შესახებ, რაც საგანგებო გამოკვლევის საგანია, რაც შეეხება მესამეს, შეიძლება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ, ვინაიდან ეს საკითხი არსებითად ფერთა შესწავლის ისტორიას განეკუთვნება.

ამჟამად ფერთა შესწავლაში არა ერთი პრობლემა გარკვეულია ოპტიკური ხელ-

* ამ ადგილას დერიბერე თვითონვე განმარტავს, თუ რას ნიშნავს °A. ეს არის ანგსტრემი — „გამოსხივების გასაზომი სიგრძის ერთეული. თუ მილიმეტრს გავყოფთ 1000-ზე, მივიღებთ მიკრონს. თუ მიკრონს გავყოფთ 1000-ზე, მივიღებთ მილიმიკრონს. ანგსტრემი — 1/10 მმ, ე. ი. °A — 1/1000000 მმ“ (გვ. 9). რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მხოლოდ მიახლოებითია აბსოლუტურთან, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანია ადამიანის მიერ ფერთა შეგრძნებაში ზღვრული უნარის დასადგენად.

საწყობების დახმარებით. მკვლევარს უკვე შეუძლია დაასკვნას, რომ „ყოველი სხეული, რომელიც თეთრი, რუხი ან შავი არ არის, ფერად სხეულად იწოდება“. მაგრამ აღრე ასე იოლად როდი წყდებოდა ფერთა არსობის საკითხი. მიუხედავად გენიალური აღმინების არაერთი ცდისა ახსნათ ფერი, როგორც ბუნების ფენომენი, ძალიან დიდი დრო დასჭირდა, რომ „კოლორიმეტრიას ანუ ფერთა მეტრულ სისტემას“ ჰქმნიდა მეცნიერული დასკვნები მიეღო და ფერის ნამდვილი საიდუმლოება იგაგო.

როდის გაჩნდა ან საიდან უნდა დავიწყოთ კოლორიმეტრიის ისტორია?

ამ საკითხზე ჭრჭერობით არ არის გარკვეული პასუხი, რომელსაც მეცნიერება უყოყმანოდ გაიზიარებდა.

„კოლორიმეტრიას საფუძვლები ჩაეყარა XVII საუკუნეში. საჭირო შეიქმნათიქმის სამი საუკუნე იმისათვის, რომ შექმნილიყო მეცნიერება. მაგრამ ეს მეცნიერება მოითხოვს კიდევ ახალ გამოკვლევებს, განსაკუთრებით კი თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მჭიდრო თანამშრომლობას“.

ასე ამბობს პ. მუყო თავის წიგნში „ფერთა შეფასება და განსაზღვრა“, რომელიც მას 1951 წელს გამოუქვეყნებია. მიუხედავად ავტორის ხანგრძლივი შრომისა ამ მიმართულებით, ვერ გავიზიარებთ მის დებულებას, თითქოს მე-17 საუკუნემდე კოლორიმეტრია არ არსებობდა. ჩვენ გვგონია, რომ კოლორიმეტრიას მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა ფერის შესახებ გაჩნდა ფილოსოფიური აზრი, ყოველ შემთხვევაში, ანტიკური მეცნიერება განვითარდა. განა ფერისა და ფერადოვნების გააზრება ბერძნულ ფილოსოფიაში კოლორიმეტრიისათვის საფუძვლების ჩაყრას არ წარმოადგენდა? ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ რა სიღრმით ეხებოდნენ ანტიკური ფილოზოფები ფერთა არსობას, მაგრამ არც ის უნდა დავმალოთ, რომ მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ბაროკოსა და როკოკოს სტილი, ბუნებრივად უწყობდა ხელს კოლორიმეტრიის განვითარებას.

ბერძნული და რომაული ანტიკური ტიანულმა მისტიკამ შეცვალა, ფერთა მეცნიერული (ფილოსოფიური) შესწავლა ფეოდალიზმის (შუა საუკუნეების) დროს გარკვეულ ჩიხში მოექცა. როგორც ცოცხალი ესთეტიკური აზრი, ისე ფერთა თეორია ვადაულახავ წინააღმდეგობათა ორბიტში აღმოჩნდა, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ბუნების ამ ფენომენის მეცნიერულ ანალიზზე. ფართოდ არის ცნობილი მეცნიერებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების უმძიმესი მდგომარეობა შუა საუკუნეებისა, განსაკუთრებით ინკვიზიციის ბატონობის დროიდან. ქრისტიანული ეკლესიის მესვეურები, მათი ყველაზე ავრესიული ნაწილი — ინკვიზიტორები ცეცხლითა და მახვილით დევნიდნენ ყოველგვარ ცოცხალ აზრს, რაც საეკლესიო დოქტრინას არ ეთანხმებოდა, „სადვოთ წიგნებიდან“ სულ ოდნავ გადახვევასაც კი ერესად აცხადებდნენ, კოცონზე წვადნენ იმდროინდელ მეცნიერებს, რომლებიც ხმას აღიმალებდნენ შუა საუკუნეების ბნელეთის წინააღმდეგ. ამ მდგომარეობამ დიდად შეაფერხა მეცნიერების განვითარება საერთოდ, კერძოდ კი ფერთა შესწავლა და რომ რენესანსი არ ყოფილიყო, ალბათ, დღეს სულ სხვა სურათი გვექნებოდა.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფერთა მეცნიერული შესწავლა შედარებით გვიან იწყება, ანტიკური ხანის შემდეგ. ფერი მეცნიერული თვალთახედვით ასევე ნაკლებად იყო შესწავლილი ძველ ქართულ მწერლობაში, თუმცა ძნელია ნახოთ ლიტერატურული ძეგლი, რომ იგი არ იხსენიებოდეს. რუსთაველმა ფერისა და ფერადოვნების მთელი გაშა შექმნა. თვით ისეთი განსწავლული ადამიანიც კი, როგორც სულხან-საბა ორბელიანი, თავის ლექსიკონში იძულებული ხდება მცირეს დასჯერდეს, თუმცა სხვა საგნებზე მას ვრცელი ცნობები მოაქვს. სულხან-საბა ორბელიანს ფერის შემდეგი განმარტებები აქვს მოცემული: „ფერადი სხვადასხვა ფერი“, „ფერად ფერად იგივე“, „ფერი თეთრი, წი-

თელი, შავი და მისთანა“, „ფერმიხ-
დილი ფერწასული“, „ფეროთეთრსა
და შავს საშუალი“, „თეთრი სპეტაკი,
გინა ვერცხლი“, „შავი ყორნის ფე-
რი“, „წითელი ცეცხლის ფერი“,
„მწუანე ბალახის ფერი“, „ლურ-
ჯი ცის ფერი“, „რუხა ყომრალ ჰრე-
ლი“, „მურა და ინდუშა შავ წითელი“,
„მრეში წითელ სისვი“, „ლიბრი
ლურჯ მოისფრო“, „ყვიქილი შავ მო-
ისფრო“, „სისვი შავთეთრ ნარევი“,
„ვექანა ლომისფერი“...

როგორც აღვნიშნეთ, თუ სხვა შემთხ-
ვევაში ჩვენი დიდი ლექსიკოლოგი დაწ-
ვრილებით ცნობებს იძლევა და ვრცელ
განმარტებებს გვთავაზობს, აქ იგი შედარ-
ებით ძუნწი და ლაკონურია სავსებით
გასაგები მიზეზის გამო. ეს მიზეზია კო-
ლორიმეტრიის დიდი ჩამორჩენილობა,
თუმცა ანტიკურ ფილოსოფიაში ფერი
ისევე ღრმა შესწავლის საგანი იყო, რო-
გორც პრობლემა სულისა და მატერიისა.

ჩვენ შევეცდებით მკითხველს გავაც-
ნოთ ფერის შესახებ ანტიკურ ფილოსო-
ფოსთა უმთავრესი მოსაზრებები, რომ-
ლებიც ჩვენამდე მოღწეულ წყაროებშია
გაბნეული. ანტიკურმა ფილოსოფიამ პი-
რველმა დაიწყო კაცობრიობის კულტუ-
რაში ფერთა პრობლემის სისტემატუ-
რი ანალიზი, და მიუხედავად ხანგრძლი-
ვი დროისა, რაც მისგან გვაშორებს, უძ-
ველეს მოაზროვნეთა შეხედულებებს ინ-
ტერესი ახლაც არ დაუკარგავს.

ფერის პრობლემას მიუძღვნა ნაშრომი
ატომისტური მატერიალიზმის დიღმა წა-
რმომადგენელმა დემოკრიტე აბდე-
რელმა (460-370 წლები ჩვ. წელთაღრი-
ცხვამდე). როგორც დიოგენე ლერტი
გადმოცემს, თრაზილეს მსგავსად, დე-
მოკრიტეც ტეტრალოგებს წერდა. ბუ-
ნების შესახებ ერთ-ერთი ტეტრალოგი-
ის მეორე წიგნი მას მიუძღვნია ფერის
პრობლემისათვის. წიგნის სახელწოდება
ყოფილა „ფერის შესახებ“. ამ წიგნს
ჩვენამდე არ მოუღწევია, პლატონის მი-
ერ დემოკრიტეს თხზულებათა განადგუ-
რებას ვერც ის გადარჩენია, მაგრამ რო-
გორც ძველი ავტორები, დემოკრიტენ

თანამედროვენი და შემდგომი დროის
მოღვაწეები გვიდასტურებენ, დიდ
დერელს მასში ფერის თეორია დაწვრი-
ლებით ჰქონია განხილული. ამ თეორიას
არისტოტელეს მოწაფე და ერთგული
მეგობარი თეოფრასტე (372—287 წწ.
ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ასე გადმოგვცემს:

„335. ფერებიდან კი იგი ოთხს უწო-
დებს მარტივ ფერს. თეთრი ფერი აქვთ
იმ საგნებს, რომლებიც (შედგებიან)
გლუვი (ატომებისაგან). მართლაც, ყვე-
ლაფერი, რაც ხორკლიანი არ არის, არც
ჩრდილს იწვევს და არც დაბრკოლებას
წარმოადგენს მოძრაობისათვის, ყოვე-
ლივე ამის მსგავსი ბრწყინავს...“

(74) შავი კი (შედგება) ურთიერთსა-
წინააღმდეგო (ფორმათაგან): ხორკლია-
ნი, უთანაბრო და არაერთგვაროვანი. მა-
რთლაც, ამის წყალობით მათ უნდა მოგ-
ვცენ ჩრდილი, და ფორები მათ ექნებათ
არა სწორი და არა ადვილად შეღწევადი.
გარდა ამისა, (მათგან) მომდინარე ნაკა-
დები ნელი და უწესრიგია. საქმე ის
არის, რომ (თეთრსა და შავ საგნებს) გან-
სხვავებული ნაკადი აქვთ, (ეს კი იმაში
გამოჩნდება, რომ ის) განსხვავებულია
წარმოდგენაში, ამასთან ცვლილება ხდე-
ბა (გარემომცველი) ჰაერის ზემოქმედ-
ბის შედეგად.

(75) წითელი კი (შედგება) ისეთივე
(ფორმებისაგან), როგორც თბილი, მხო-
ლოდ (ზომით) დიდებისაგან. თუ ატომე-
ბის შეერთება იქნება უფრო მნიშვნე-
ლოვანი (მათი) ფორმების ერთნაირო-
ბის დროს, მაშინ (გვექნება) უფრო მე-
ტად წითელი (ფერი)...

მომწვანო-მოყვითალო შედეგა მკვრი-
ვისა და ცარიელისაგან, იგი ორივეს შე-
ნარევია, ამასთან ფერის ნაირობანი იც-
ვლებიან (ატომების) განლაგებისა და
წესრიგის მიხედვით.

(76) მაშ, აი (ატომის) როგორი ფორ-
მები აქვთ მარტივ ფერებს. თვითუღი
(ფერი) მით უფრო სუფთაა, რაც უფრო
შეუარეველი (ფორმებისაგან) შედეგა...
(ყოველშემთხვევაში) დანარჩენი (ფერე-
ბი) ჩნდებიან ამ (მარტივი) ფერების შე-
რევისაგან. ასე, მაგალითად, ოქროსფე-

რი, სპილენძისფერი და ამგვარი ყოველივე (სხვა ფერი შედგება) თეთრისა და წითელისაგან...

(77) მეწამული (ფერი) შედგება თეთრის, შავისა და წითელისაგან...

(81) გარდა ამისა, შავი (ფერის) ახსნავანმარტება ადვილი არ არის გავიგოთ. სახელდობრ (მისი მოძღვრების მიხედვით) ჩრდილი არის რალაც შავი, რომელიც თეთრი (ფერს) ჰკეტავს. ამიტომ თეთრი უნდა იყოს პირველი თავისი ბუნებით. მაგრამ ამავე დროს (შავი ფერის) მიზეზად ის თვლის არა მარტო ჩრდილით დაფარვას, არამედ ჰაერის სისქესაც, აგრეთვე სიკარიელისაგან მეორეხარისხოვანი გასვლის სისქეს და (ბოლოს) თვალის ამღვრევას: ხდება კი (ყოველივე) ეს იმის შედეგად, რომ არ არის სრული გამჭვირვალობა, ან რაიმე სხვის შედეგად, და სახელდობრ რის შედეგად ის არ განმარტავს.

(82) შეუსაბამობაა აგრეთვე არ მისცე (განსაკუთრებული) ფორმა მწვანეს (ატომს), არამედ მხოლოდ გამოიყვანო იგი მკვირვისა და ცარიელისაგან. ეს უკანასკნელები ხომ საერთო (ელემენტები) იქნებიან ყველა (სხეულისათვის), რა ფორმებისგანაც ისინი არ უნდა შედგებოდნენ. საჭირო იყო მწვანეს მისცემოდა რაიმე განსაკუთრებული (ფორმა), როგორც დანარჩენ (ფერებს). და თუ ის წითლის საწინააღმდეგოა, როგორც შავი (საწინააღმდეგოა) თეთრისა, მაშინ მას უნდა ჰქონდეს (წითლის) საწინააღმდეგო ფორმაც. თუკი საწინააღმდეგო არ არის, მაშინ საოცარია უკვე ის, რომ იგი (დემოკრიტე — გ. ჯ.) ძირითად (ფერებს) არ თვლის ურთიერთსაწინააღმდეგოდ, აკი ასეთია საყოველთაო აზრი. განსაკუთრებით კი უნდა ყოფილიყო სიზუსტე იმაში, თუ ფერებიდან რომელია მარტივი და რატომაა, რომ ერთნი (ფერები) ნაერთნი არიან, მეორენი კი მარტივნი, ვინაიდან ყველაზე მეტ სიძნელეს წარმოადგენს განსაზღვრა, თუ რომელი ფერებია ძირითადი...“*

* Демокрит в его фрагментах и свидетельствах древности, 1935 წ., 83. 176—181.

ასე გადმოგვცა თეოფრასტემ დემოკრიტეს მოძღვრება ფერების შესახებ და სცადა მისი სუსტი ადგილების კრიტიკა.

თუ რამდენად სწორად არის აქ მოცემული დემოკრიტეს ფერთა თეორია, სხვა წყაროებითაც მტკიცდება. თვით თეოფრასტეს მასწავლებელი არისტოტელე შენიშნავს, რომ „...დემოკრიტე ამბობს, ფერი არ არსებობს (დამოუკიდებლად). საქმი ის არის, რომ (სხეულის) ფერი დამოკიდებულია (მისი შემადგენელი) ატომების მობრუნებაზე“. სხვა ადგილას დიდ სტაგირელს აღნიშნული აქვს: „თეთრი არის გლუვი, შავი არის ხორკლიანი, ამბობს (დემოკრიტე), ფორმებამდე კი (ატომებისა) მას დაჰყავს აგრეთვე გემოვნებიანი“. სხვა ავტორები, მაგალითად, აეციუსი ისევე გადმოგვცემენ დემოკრიტეს ფერთა თეორიას, როგორც იგი არისტოტელესა და თეოფრასტეს თხზულებებშია შემონახული. აეციუსიც მიუთითებს, რომ დემოკრიტესათვის, „არავითარი ფერი თავისი ბუნებით არ არსებობს. ვინაიდან (სტიქიის) ელემენტებს თვისებები არა აქვთ, ისინი სრულნი და ცარიელნი არიან. ხოლო იმას, რაც მათგან არის შემდგარი, აქვს ფერი (ატომთა)“, „შეხების, მოხაზულობისა და მობრუნების“ წყალობით, რომელთაგან (ტერმინებიდან) პირველი ნიშნავს წესრიგს, მეორე — ფორმას და მესამე — მდგომარეობას. ვინაიდან, გარდა ამისა (ყველა დანარჩენი) წარმოსახვის პროდუქტებია. ამავე წარმოსახვის პროდუქტის შემადგენელი ფერებიდან ოთხი ძირითადია: თეთრი, შავი, წითელი და მოყვითალო“.

მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელე და თეოფრასტე დემოკრიტეს თვლიდნენ ბუნების ცოდნაში ავტორიტეტად, პერიპათეტიკული ფილოსოფიური სკოლა დიდი აზღერელის მოძღვრებას ფერთა შესახებ საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებდა. საქმეს ვერ უშველა იმ ღირსებამაც, რითაც დემოკრიტე ჰერაკლიტესაგან განსხვავდებოდა: თუ მეორე ძნელად გასაგები იყო, რის გამოც მას „ბუნელი“ შეარქვეს, პირველი ყველგან გასაგები და ნა-

თელია. თუ ფერთა შესახებ მისი მოძღვრება ზოგჯერ ადვილად გასაგები არა ჩანს, ეს უნდა მიეწეროს თვით საგნის სირთულეს და არა დემოკრიტეს აზრების წყობას. ის, რაც დემოკრიტემ თქვა იმ დროს, როცა არავითარი ობიექტური ხელსაწყო არ არსებობდა, დღესაც დიდი ინტერესის შემცველია და ფერთა შესწავლის ისტორიაში უდიდესი მოვლენაა. დემოკრიტეზე უფრო ღრმად ფერების ანალიზი ანტიკურ სამყაროში არცერთ ფილოსოფოსს არ მოუხდენია და, ბუნებრივია, ამ დარგში არცერთს იმდენი კრიტიკული შენიშვნა არ დაუმსახურებია, რამდენიც ამ საოცარ ბღერელს. მან აზრთა გაღვიძებითა და კრიტიკის გაღვივებითაც ხელი შეუწყო ფერთა პრობლემატიკის დამუშავებას და, საერთოდ, ფერთა შესწავლის შემდგომ განვითარებას.

ფერების პრობლემას ვრცლად ეხება ეპიკურე (342—271 წლები ჩვ. წ. აღრიცხვამდე), რომელმაც არაერთი ფრიადმნიშვნელოვანი მოსაზრება წამოაყენა და მთელი მოძღვრება შეიმუშავა. ეს მოძღვრება ჩვენამდე მოღწეულია უმთავრესად მის სახელგანთქმულ წერილში პეროდოტესადმი, თუმცა უმკველია, რომ თავის თეორიას ეპიკურე უფრო დაწვრილებით ბუნების შესახებ დაწერილ თხზულებებში ანვითარებდა. ეს თხზულებები კი, როგორც ცნობილია, კაცობრიობას არ შემორჩენია, მხოლოდ უმცირესი ფრაგმენტები გადაურჩა დრო-ჟამის ქართველებს.

პეროდოტესადმი მიწერილ წერილში ეპიკურე, რომელიც საერთოდ დემოკრიტეს ფილოსოფიას ანვითარებდა, მიუხედავად მათ შორის არსებული ცნობილი განსხვავებისა,* ზოგჯერ იმეორებს დიდი აბღერელის მოსაზრებებს.

ეპიკურე სისულელედ მიიჩნევს სულის უსხეულოდ წარმოდგენას და შემდეგ დასაბუთებას იძლევა: „...რაც შეე-

ხება ფერებს, ფორმებს, სიდიდეს, სიძიმეს და ყველა დანარჩენს, რასაც მათ წერენ სხეულის მუდმივ თვისებებს, მლუბიც ეკუთვნიან (ახასიათებენ) ან ყველა სხეულს, ან ამ თვისებათა გრძობიერი აღქმის საშუალებით ხილულთა და შეცნობილთ, მაშინ არ უნდა ვივარაუდოთ (ვიფიქროთ) არც ის, რომ ეს თვისებანი არიან დამოუკიდებელი არსებანი (დამოუკიდებელი სუბსტანციები), — ეს ხომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, — არც ის, რომ ისინი საერთოდ არ არსებობენ, არც ის, რომ ისინი არიან რაღაც სხვა უსხეულო სუბსტანციები, რომლებიც სხეულის დამახასიათებელია, არც ის, რომ ისინი სხეულის ნაწილები არიან; არამედ საჭიროა ვივარაუდოთ (ვიფიქროთ), რომ მთელი სხეული, თუმცა მთლიანად (მთელ თავის შემადგენლობაში) თავისი მუდმივი არსებობით დევალებულია ყველა ამ თვისებისაგან, მაგრამ არა იმ აზრით, რომ იგი შედგენილია ამ თვისებათაგან, რომლებიც ერთად შეკავშირდნენ — მსგავსად იმისა, როგორც ხდება, მაგალითად, იმ დროს, როცა თვით მცირე ნაწილებისაგან შედგენა დიდი კრებადობისა, იქნება ეს პირველსაწყისები, თუ მთელის ნაწილები, ამ მთელზე მცირენი, როგორც არ უნდა იყოს იგი, — მაგრამ მხოლოდ, როგორც მე ვამბობ, ყველა ამ თვისებით სხეული დევალებულია, რომ იგი მუდმივად არსებობს. ყველა ამ თვისებას აქვს თავისი სპეციალური შესაძლებლობანი იყვნენ შეცნობილნი და განსხვავებულნი (ცალკე იმეცნებიან და განსხვავდებიან). თუ მხოლოდ მთელი თან ახლავთ მათ და არასოდეს არ შორდება, მაგრამ თვისებათა ერთობლივი წარმოდგენის შედეგად სხეულს აქვს თავისი სახელი“ (იხ. ლუკრეციუსი, II, 1947 წ., გვ. 221-223).

ეპიკურეს ამ თეორიულ შეხედულებებს, ისევე, როგორც დემოკრიტეს დასკვნებს, ანტიკურ ფილოსოფიაში დიდი კამათი გამოუწვევია. პერიპატეტიკულ სკოლას, მიუხედავად მატერიალისტური ელემენტებისა, არ გაუზიარებია დემოკ-

* ეს განსხვავება ბრწყინვალედ გვიჩვენა ახალგაზრდა მარკსმა შრომაში — „განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“.

რიტესა და ეპიკურეს შეხედულება. მაგრამ ვალში არც ეპიკურე დარჩენილა, კერძოდ, მას გაუკრიტიკებია თავისივე კრიტიკოსი თეოფრასტე. პლუტარქეს მოწმობით, თეოფრასტეს წინააღმდეგ ეპიკურეს უთქვამს: „...როგორ შეიძლება ამტიკო, რომ ამ საგნებს, რომლებიც სიბუნელში არიან, ფერი ჰქონდეთო“. ეს აზრი უცვლელად გაიმეორა ლუკრეციუსმა. მან ასევე მთლიანად გაიზიარა დებულება: რაც უფრო გრძელდება მზის მანძილი, იმდენად ფერის დაკარგვას იწვევსო.

ახლა შეიძლება გავეცნოთ თვით ლუკრეციუსს და ფერთა შესაბამის მოძღვრებას „საგანთა ბუნებაში“.

როგორც ვნახეთ, ფერის პრობლემას ჭერ კიდევ ანტიკური მოაზროვნეები ეხებოდნენ, მათ შორის ლევიპე, დემოკრიტე, ეპიკურე, ხოლო მატერიალისტმა ლუკრეციუსმა (I საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომელმაც ლევიპეს, დემოკრიტესა და ეპიკურეს ფილოსოფია გადმოგვცა „საგანთა ბუნებაში“, განავითარა მთელი თეორია, თუ რას წარმოადგენს ფერი, როგორ წარმოიშობა და რა არის მისი წყარო. ეს თეორია დალაგებულია პოემის მეორე წიგნში. შევეცდებით იგი დაწვრილებით გადმოვცეთ.

პირველი საკითხი, რომლითაც ლუკრეციუსი იწყებს ფერის თეორიულ ანალიზს, შემდეგია: ნუ ჩასთვლი, რომ ყველა თეთრი საგანი, რომლებიც ჩვენ ნათელი, ღია ფერის გვეჩვენება, თეთრი საწყისიდან იყოს წარმოშობილი, ან შავი საგანი შავი თესლის ნაყოფს წარმოადგენდეს; ერთი სიტყვით, ნუ იფიქრებ, თითქოს საგანს ესა თუ ის ელფერი იმიტომ გააჩნია, რომ მისი ნივთიერების პატარა სხეულები ასეთივე ფერით არაა შეღებილი. სხეულებს არავითარი ძირითადი ფერი არა აქვთ. თუ შენ ფიქრობ, რომ ასეთი სხეულები არ შეიძლება გონებით განჭვრიტო, მაშინ შემცდარი ხარ. ვინაიდან, თუ დაბადებითვე ბრმა, რომელსაც არასოდეს მზის სხივი არ უნახავს და რომლისთვისაც ბალღობიდან-

ვე ყოველგვარი ელფერი გამორიცხულია, საგნებს შეხებით შეიცნობს, მაშინ, ცხადია, ჩვენს გონებას სავეებთმეფეთა ღია თავისთვის შეიმუშავოს წარმოდგენა საგნებზე, რომლებიც არავითარი ფერით არ არიან შეღებილი. ჩვენც ხომ სიბუნელში, საგნებთან შეხებით არ შეგვიძლია შევიგებოთ, რომ მათ ელფერი აქვთ. არსებობენ აგრეთვე ისეთი სხეულები, რომლებსაც არავითარი ფერი არ გააჩნიათ. ყოველგვარ ფერს, როცა სხვაში გადადის და იცვლება, ყველაფრის უნარი აქვს; მაგრამ პირველ საწყისებს ასე მოქმედება არასგზით არ შეუძლიათ, ვინაიდან ყოველთვის უნდა იყოს დაუმსხვრეველი რალაც, რათა ყველაფერი სავსებით არ დაიღუპოს, როცა არაფრად გადაიქცევა. აჰი, რა წამსაც თავისი სახელებიდან რაიმე გამოდის, როცა იცვლება, ეს მითვე არის სიკვდილი იმისათვის, რაც ადრე ის იყო; ასე, რომ უფროსილდი საგანთა თესლებს შენ მისცე ელფერი, თორემ ყველა საგანი არაფრად გადაგექცევა (ლუკრეციუსი, საგანთა ბუნების შესახებ, 1946 წ., I, გვ. 115—117. რუს. გამ.).

ლუკრეციუსის თეორია აქ არ თავდება, ეს მხოლოდ შესავალია, მაგრამ უკვე წარმოადგენს გარკვეულ კონცეფციას, რომელიც მატერიალისტური მიდგომის სპირისპიროდ უარყოფს ფერის, როგორც ობიექტურად არსებული მატერიის თვისებას. სამაგიეროდ, თუ ფერი თავისთავად, როგორც ობიექტურად არსებული, გამოირცხულია, მისი წყარო ობიექტურად არსებობს. სწორედ ამ წყაროს მოქმედება ქმნის საგნის ელფერს, რასაც ჩვენ შევიგებობთ. თუ რა არის ეს წყარო, ამას ჩვენ მომდევნო მსჯელობიდან დავინახავთ.

თუ ვალიარბთ, — გვიმტკიცებს ლუკრეციუსი, — რომ ელფერი სრულებით არ არის დამახასიათებელი საგანთა პირველსაწყისთათვის, რომ ისინი მხოლოდ ფორმათა მიხედვით არიან განსხვავებულნი და მათგან წარმოშობენ და ცვლიან ფერებს, როგორც ნებავეთ, — რადგან ყოველთვის დიდი მნიშვნელობა აქვს

რანაირ და როგორ მდგომარეობაში შე-
ერთდებიან იგივე პირველსაწყისები და
როგორ იმოძრაებენ ისინი თანაზიარად, —
მაშინ არავითარი შრომა არ იქ-
ნება საჭირო, რათა გაიგო, როგორ ხდებ-
და, რომ საგანს, რომელიც ახლახან მხო-
ლოდ შავი იყო, შეუძლია უეცრად წარ-
მოვიდგეს ბრწყინვალე და თეთრი, რო-
გორც მარმარილო. ასე, მაგალითად, თუ
ქარიშხალი ზეღმართავს წყალთა ვაკე-
ებს, ზღვისა ტალღები ხდებიან ხოლმე
ისე თეთრი, ვით მარმარილო. საკმარისი
იქნება ვთქვათ, რომ საგანი, რომელიც
შავად წარმოგვიდგება, თუ მისი მატე-
რია სხვას შეერია და შეიცვალა მასში
საწყისთა განაწესი, და წაერთვა ან მოე-
მატა რაღაც, შეუძლია ჩვენს თვალებს
მოეჩვენოს ბრწყინვალე და თეთრი.
ზღვის ტალღები რომ ლავქარდოვანი
თესლებსაგან იყვნენ შემდგარნი, მაშინ
მათ გათეთრება არასჯობით არ შეეძლე-
ბოდათ, ვინაიდან როგორც გასურდეს
არიე შენ ლავქარდოვან ფერთა თესლი,
მაგრამ მათ ფერს არ შეუძლია მარმარი-
ლოსებრ-თეთრად შეიცვალოს. თუკი ის
თესლნი, ზღვებს რომ ერთიან ელფერს
აძლევენ, ერთმანეთისაგან განსხვავდები-
ან სხვადასხვა ფერით, — როგორც გან-
სხვავებული ფიგურებისაგან, რომლებიც
ფორმის მიხედვით სხვადასხვა გვარისანი
არიან, ხშირად შეიძლება მივიღოთ, მაგა-
ლითად, ერთიანი ფიგურის კვადრატნი.
მაშინ, როგორც ასეთ კვადრატში ვანსხ-
ვავებთ ჩვენ სხვადასხვა ფორმას, ასევე
შეგვეძლო გაგვეჩჩია ზღვის ზედაპირზე
ან რაც გნებავთ სხვაში, რასაც ერთიანი
ელფერი აქვს, სხვადასხვა ფერთა მრავ-
ლობა, რომლებიც ერთმანეთის მსგავსი
სრულებით არ არიან. მაგრამ, თუ ფიგურ-
რათა სხვადასხვაობა არავითარ დაბრკო-
ლებას არ წარმოადგენს, რომ მათგან
კვადრატის მოხაზულობანი იქმნებოდეს,
მაშინ არასოდეს არ იძლევა საშუალებას
საგანთა ფერადოვნების სხვადასხვაგა-
რობა მათ მთლიანად დაეუფლოთ ერ-
თიანთა და წმინდა ფერთა. შემდეგ,
დასკვნა, რომელიც ზოგჯერ გვაძლუ-
ნებს, გვაიძულებს რა საგანთა პირველ-

საწყისებს ფერი მივაწეროთ, იხსნება,
რადგან თეთრ საგანსაც უნარი არა აქვს
თეთრიდან წარმოიშვას, შავ საგანსაც
არა იმისგან, რაც შავია, არამედ, ფერით
სხვადასხვისაგან. მაგრამ ყველაზე უფ-
რო დასაჯერებელია, რომ ბრწყინვალე
თეთრი საგნები შეიძლება უმალ წარმო-
იშვან უფერო საწყისებიდან, ვიდრე შა-
ვიდან, ან რომელიც სხვებიდან, რომ-
ლებიც მათთვის ფერის მიხედვით სრუ-
ლიად უცხონი არიან. გარდა ამისა, იმი-
ტომ, რომ უსინათლოდ ფერები არ არ-
სებობენ, და რომ საგანთა საწყისთ არა-
სოდეს არ შეუძლიათ განათდენ, უნდა
ჩავთვალოთ, რომ ისინი არავითარი ფე-
რით შევლებილნი არ არიან, ვინაიდან
როგორღა ფერნი არიან შესაძლებელნი:
უკუნეთ სიბნელეში? მეტიც: თვით სი-
ნათლე ცვლის საგანთა ფერადოვნებას,
ეცემა რა მათ პირდაპირ ან ირიბად აშ-
უქებს. ამას ჩვენ ვხედავთ, როცა მზის
სხივებით ნათდება ხოლმე მტრედების
ბუმბული, რომელიც გვირგვინად გარს-
ტყემის კეფას და კისერს: ხან უმალ
წითლდება, ჩამოისხმება რა ბრწყინვალე
ბადაწმად, ხან აციმციმდება ისე, რომ
მოეჩვენება თითქოს ელვარე ლავქარდი
ქვა მწვანე ზურმუხტთა შორის იწვოდეს.
ასევე ფარშევანგთა კულები უხვი სინათ-
ლის სხივთა ქვეშ მობრუნებისას მუდმი-
ვად იცვლიან თავიანთ ფერადოვნებას.
თუკი ფერები დამოკიდებულნი არიან
სინათლის დაცემაზე, მაშინ ჩვენ უეჭვე-
ლად უნდა მივიჩნიოთ, რომ ისინი უიმი-
სოდ შეუძლებელნი არიან. და რაკი თვა-
ლის გუგა სხვადასხვაგვარ დარტყმებს
განიცდის ეგრეთწოდებული თეთრი ფე-
რის შეგრძნების დროს, შავისა ან სხვი-
სა, რომელიც გნებავთ, და თუ საერთოდ
ფერი კი არ არის მნიშვნელოვანი ჩვენს
მიერ ნაგრძნობი საგნებისა, არამედ, მხო-
ლოდ ის, თუ როგორი ფიგურა აქვთ სა-
გნებს, მაშინ ცხადია, რომ საწყისთათვის
იგი სრულიად არ არის საჭირო, მაგრამ
მათი ფორმების სხვადასხვაგვარობას
ჩვენ შევიგრძნობთ განსხვავებულად.
თუკი, გარდა ამისა, განსაკუთრებული
ფორმები არა აქვთ, აგრეთვე განსაკუთ-

რებული ფერები, თუ ყველა მოხაზულობათა საწყისებს შეუძლიათ წარმოგვიდგინენ ყოველთვის და რომელიც გნებავთ იერის ფეროვნებით, მაშინ რატომაა, რომ ყველაფერი, რაც მათგან წარმოიშობა, საგნების ყოველ თანრიგში არ ატარებს ყოველისმძლე ელფერს? ყვაეებს შენ მაშინ იხილავდი თეთრად შემოსილთ, ყველგან იფრენდნენ და იღვარებდნენ თეთრი იერი; მაშინ შავ გედებს წარმოშობდა თვით შავი თესლი. ფერადი თესლი — ფერადსა და ყოველგვარ იერს. ეგ არაფერი; თუ შენ საგნებს სულ უმცირეს ნაწილებად მეტად და მეტად ამსხვრევ, მაშინ ხედავ, როგორ თანდათან მათ ეკარგებათ ფერადოვნება და ბოლოს, სულ ჩაჰქრება. ასე ხდება, როცა ძოწეულს ნაფლეთებდა ხევ: მეწამული და თვით ფინიკიური მკვეთრი ფერებიც კი, თუ ქსოვილს ძაფებად დახვევ, მთლიანად ჰქრება. აქედან შეგიძლია გაიგო, რომ მცირე ნაწილები ფერებს ჰკარგავენ უფრო ადრე, ვიდრე ისინი საგანთა თესლებად დალაგდებოდნენ. და, ბოლოს, რაკი შენ არ თვლი, რომ ყოველგვარი სხეული სუნსა და ხმას გამოსცემს, მაშინ უშეველად ის გამოდის, რომ შეუძლებელია ყველაფერს ხმა და სუნი მივაწეროთ. აგრეთვე, რაკი ჩვენს შორს ყველაფერს თვალთ ვერ ვარჩევთ, მაშინ, ცხადია, არსებობენ სხეულები, რომლებსაც ფერი არა აქვთ, როგორც არსებობენ ისეთიც, ხმისა და სუნისათვის უცხონი რომ არიან; მაგრამ გამჭრიახი გონება შეიცნობს ხოლმე მათ არანაკლებ ნათლად, ვიდრე ჩასწვდება მას, რაშიც სხვებს თვისებები არ გააჩნიათ. მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ თავდაპირველი სხეულები მარტოოდნ ფერს არიან სულ მოკლებულნი: მათში არც არავითარი სითბოა, ისევე, როგორც მათ არ ახასიათებთ არც სიცივე, არც სიცხე გავარჯარებული; და მათ არც ხმა აქვთ და არც არავითარ გემოს არ ატარებენ. და არ გამოსცემენ ისინი აგრეთვე არავითარ განსაკუთრებულ სუნს... (ლუკრეციუსი, I, გვ. 117-121).

ასეთია ლუკრეციუსის ფერთა თეო-

რია, რომელიც ჩვენ მთლიანად და სრულად ვადმოვეცით.

ქველი ფილოსოფიის ეს უდაბლესი წინამომადგენელი, როგორც ვხედავთ, ბევრ შემთხვევაში გულუბრყვილოდ მსჯელობს, მართებულ შეხედულებებთან ერთად მცდარ მოსაზრებებს ანვითარებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ „ჰემარიტად რომელი პოეტი“ ღრმად განიხილავს ფერთა არსობას და მისი მოძღვრება დღესაც ვარკვეული ინტერესის შემცველია.

ანტიკური ფილოსოფიის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთგვარად ნელდება ფერთა ანალიზი. ქრისტიანობის მიერ წარმართული ფილოსოფიის დევნამ, წარმართული კულტურის განადგურებამ, პლატონისა და არისტოტელეს მიერ დაარსებული ფილოსოფიური სკოლების დახურვამ იმპერატორ იუსტინიანეს დროიდან (529 წლიდან), ფერთა მეცნიერული შესწავლაც ერთ წერტილზე გაყინა. მთელი შუა საუკუნეები ისე გადის, რომ არა გვაქვს არც ერთი ტრაქტატი, რომელიც ფერთა ანალიზის ცდას მოგვცემდა. ერთგვარი გამოცოცხლება მხოლოდ მაშინ იწყება, როცა რენესანსი მოდის და მოაქვს ახალი სიო, რომელიც ანტიკურს ზურგს კი არ აქცევს, პიროქით, ცდილობს მიხამოს და მისი ყველა დიდი მიღწევა გამოიყენოს. დაახლოებით 11—12 საუკუნოვანი სიძულვილი ანტიკურისადმი თითქოს თავის თავს ამოწურავს და თავისივე თავის რეაქციად იქცევა. იწყება შორეული წარსულისადმი პატივისცემა, რენესანსი თვალს უსწორებს ანტიკურს. როგორც ლამაზსა და იდეალურს.

რენესანსის ახალი სიო მოაქვს ფერთა თეორიაშიც. მისი დიდი თეორეტიკოსი ლონ-ბატისტა ალბერტი (1404-1472) თავის სახელგანთქმულ „სამ წიგნში ფერწერის შესახებ“ მთელი სისტემის სახით წარმოგვიდგენს მოძღვრებას, რომელიც გვიმტკიცებს, რომ „ფერებსა და სინათლებს შორის არსებობს მჭიდრო ნათესაობა“; „თუ არ არის განათება, მაშინ არ არის არც ფერი“; „ფერების შე-

რევისაგან წარმოიშობიან უთვალავი სხვა ფერები, მაგრამ ნამდვილი ფერი, როგორც სტიქიონები, ოთხია და მათგან იზადება ფერთა სხვა სახეების დიადი უმრავლესობა. ცეცხლის ფერი — წითელია, ჰაერის — ცისფერი-ლურჯი, წყლის — მწვანე, მიწის — რუხი და ნაცრისფერი. სხვა ფერები, როგორც მაგალითად, იასპი ან მეწამული, წარმოადგენენ ამ ფერების შერევას“. რენესანსის ერთნაირი ძალით ახასიათებდა პატივისცემა ანტიკური ხელოვნებისა (სილამაზე) და ბუნების მიჩნევა ხელოვნების დიდ მასწავლებლად (რეალიზმი). ყოველივე ეს თავისებურად ახდენდა გავლენას ფერთა რენესანსულ თეორიაზე, რამდენადაც ფერი წარმოდგენილი იყო, როგორც ბუნების ფენომენი. ამიტომ მიაჩნდა ალბერტის, რომ ძირითადი ოთხი ფერია, მსგავსად ბუნების ოთხი სტიქიონისა: წითელი (ცეცხლი), ცისფერი-ლურჯი (ჰაერი), მწვანე (წყალი), რუხი-ნაცრისფერი (მიწა). როგორც ვხედავთ, აქ სრულებით არ არის მოხსენიებული თეთრი და შავი, მაგრამ ალბერტის მიაჩნია, რომ „ვერასოდეს ვერ ნახავ ისეთ თეთრს ან შავს, რომელშიაც არ იყოს ზემოთ დასახელებული ოთხი ფერის შენარევი“. მაშასადამე, ფერი ისეთივე მოვლენაა ბუნებისა, როგორც მისი სტიქიონები, ამდენად, ფერი ობიექტურად არსებულია.

რენესანსის დროინდელი თითქმის ყველა ხელოვანი თავის აზრს გამოთქვამდა ფერთა შესახებ. ყველა მათგანის მოხსენიება ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია, ვინაიდან საკითხის თეორიას ვეხებით და არა ისტორიას. მაგრამ გვერდს ვერ ავუტოვებ ვენიალურ ლეონარდო და ვინჩის (1452-1519), რომლის მრავალრიცხოვან მანუსკრიპტებსა და „ტრაქტატიში ფერწერის შესახებ“ ხელოვნების კანონებთან ერთად გვხვდება ძვირფასი აზრები ფერთა რაობაზე. მართალია, ლეონარდო ფერწერაში მხატვრის დამსახურებად საღებავის სილამაზეს კი არ მიიჩნევს (საღებავის სილამაზეს თვით ბუნება ქმნის), არამედ მის იმეორად გამოყენე-

ბას, რომ მიღწეულ იქნას რელიეფურობა, როცა ფერი საგანს ან ნივთს, კედელზე მიხატულს, მოგვაჩვენებს მისგანმოსცილებულად. თუ რა მნიშვნელობა აქვს ფერს, ნათლად ჩანს ლეონარდოს იმ კლასიფიკაციიდან, რომელიც ტანსაცმელს გვიხასიათებს. ლეონარდომ დაადგინა, რომ შავი ტანსაცმელი ადამიანის სხეულს აჩენს უფრო თეთრად, თეთრი ტანსაცმელი — უფრო მუქად, ყვითელი — უფრო ფერადად, წითელი — უფრო ფერმიხდილად.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ ფერთა ანალიზს.

ფერთა შორის ერთიდან მეორე ფერადმე მრავალი გარდამავალი ფერია. მაგალითად, მწვანე ფერი, ვიდრე გათეთრდებოდეს ან თეთრი გაწითლდებოდეს უამრავ გარდამავალ ფერს ვლდებულობთ. მაგრამ ეს გარდამავალი ფერები თვითონვე შეიცავენ შიგა გარდამავალ ფერთა ურიცხვ რაოდენობას, რომელთა გრძნობიერი აღქმა ადამიანს ჩვეულებრივ პირობებში არ შეუძლია. სპეციალურ ობიექტურ აპარატურას, რომელიც დიდ დანებარებას გვიწევს, მხოლოდ მიახლოებით ძალუძს დაგვანახოს ეს გარდამავალი ფერები, ისიც უადრესად შეზღუდული სახით. ადამიანი ვერასოდეს ვერ შეიძლება გარდამავალ ფერთა სრული სამყაროს ხილვას, ვინაიდან ეს სამყარო ჩვენთვის ყველგან ისეთივე მანძილით იქნება დაშორებული, როგორც სუბიექტის მიერ ობიექტის აბსოლუტური შეცნობა. მაგრამ ჩვენ ყოველთვის შეგვეძლება დაუსრულებლივ ვამციროთ ეს მანძილი და ფერთა საიდუმლოების შეცნობაში ყოველი წარმატება ადამიანის საბედნიეროდ გამოვიყენოთ.

სრულიად უეჭველია, რომ თუ ფერი არა აქვს, საგანს ან ნივთს ვერ დავინახავთ. როცა ჩვეულებრივად ამბობენ, — უფერულია, ფერი არა აქვსო, — ეს ნიშნავს სხვასთან, იდეალურთან შედარებით ფერის ძლიერ ნაკლებობას და არა საერთოდ ფერის უქონლობას. უფერო საგანი ისევე არ არსებობს, როგორც უმეტერიო საგანი. უფერო სინათლე ისევე არ არსებობს, როგორც უსინათლო ფე-

რი. ზოგიერთისათვის კი, როგორც ლუკარეციუსთან ვნახეთ, სინათლე ფერის მხოლოდ წყაროა და არა თავისთავად ობიექტური მონაცემი. მაგრამ თანამედროვე მეცნიერება სავსებით ადასტურებს ფერის ობიექტურობას და მისი გამოყენების უსასრულო შესაძლებლობას.

მეცნიერთა დადასტურებულია, რომ „ფერი ადამიანის მიერ აღიქვება მრავალმხრივად, არა მარტო მხედველობით, არამედ ყველა გრძობის, მათ შორის სმენის, შეხების, ყნოსვის, გემოვნების მონაწილეობით... ფერისა და ბგერის ურთიერთკავშირის გამოკვლევას ამჟამად ზოგიერთი მკვლევარი მიჰყავს იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია (რამე ზომით) ვებრძოლოთ ხმაურს ფერის დახმარებით.“* **პრაქტიკულ ცხოვრებაში ფერთა გამოყენების იმდენი შესაძლებლობაა, რომ ახლა ძნელია ყველა მათგანის არა მარტო განსაზღვრა, არამედ წარმოდგენაც. ეჭვი არ გვეპარება, მომავალი ფერს ისევე მრავალმხრივად გამოიყენებს, როგორც ელექტრობას ან ატომის ენერჯიას.**

ავიღოთ რამდენიმე მაგალითი პრაქტიკული ცხოვრებიდან.

ბელგიელმა მკვლევარმა პიკარმა, რომელიც სტრატოსფეროში აფრინდა, გონდოლა განზრახ შეღება ერთ მხარეს თეთრად, ხოლო მეორე მხარეს შავად. მან კარგად იცოდა, რომ შავი ფერი ხარბად ნთქავს მზის სითბოს, ხოლო თეთრი — ძალიან ნაკლებად. როცა სითბო დასჭირდებოდა, პიკარს მზისკენ უნდა მიებრუნებინა გონდოლის შავად შეღებილი მხარე, ხოლო სიცივის საჭიროებისას — თეთრად შეღებილი. მაგრამ მოსაბრუნებელი აპარატი მწყობრიდან გამოვიდა, რის გამოც მას ერთხანს გონდოლის შავი მხრით მზის პირდაპირ დარჩენა მოუხდა. ამის შედეგად გონდოლაში სიცხემ ორმოც გრადუსს მიადწია ცელსიუსით. მეორე გაფრენის დროს პიკარმა

გონდოლა მარტო თეთრი ფერით შეღება. „შედგე სულ სხვა აღმოჩნდა,“ წერს პიკარი, — ვიდრე მიზანსახული: ასვლის დროს ჩვენ ვიტანჯებოდით სიცივისაგან; კაბინის ზედა ნაწილში ტემპერატურა იყო დაახლოებით 0°, ხოლო ქვედაში დაცვა — 10°-მდე ცელსიუსით“ (დერიბერეს იმავე წიგნიდან, გვ. 33).

ამ მაგალითიდანაც ნათლად ჩანს, რომ ფერი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ტექნიკაში. ამიტომაც, რომ ტექნიკური ეს თეტიკა ანალოგიურ პრობლემებს სწავლობს. მეცნიერთა დადასტურებული ურთიერთობა ფერისა და ადამიანისა საფუძვლად ედება სამედიცინო ობიექტების მოწყობას. ცნობილია, რომ თუ **გარემო**, სადაც მუშაობა გვიხდება, **სინათლის, ფერისა და სილამაზის** კანონებს ექვემდებარება, უფრო ლაღად ვგრძნობთ თავს, ნაკლებად ზანცივდით დაღლილობას, იშვიათად ვუშვებთ შეცდომებს, ენერგიულად ვეკიდებით მონდობილ საქმეს, თითქოსდა შეუძმნეულად, თავისთავად ვამაღლებთ შრომის ნაყოფიერებას. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სუსტი მხედველობის ადამიანს ძლიერი განათება ესაჭიროება, ხოლო ძლიერი მხედველობის მქონეს — სუსტი განათებაც აკმაყოფილებს. ეს „ინდივიდუალური ფაქტორი“ ყოველთვის გასათვალისწინებელია. ცალკე პიროვნების მიმართ, თუ მას უხდება მარტო, განცალკევებით მუშაობა, უფრო ადვილად დავიცავთ „ინდივიდუალური ფაქტორის“ მოთხოვნებს. მაგრამ კოლექტივშიც, როცა სხვებთან ერთად გვხდება მუშაობა, ხოლო გარემო ერთია, შეიძლება „ინდივიდუალური ფაქტორის“ პრინციპთა გამოყენება თვით კოლექტივის წევრთა პიროვნული თავისებურების გათვალისწინებითა და მათთვის პერსონალური საშუალებების გამოჩახვით. ცხადია, ადამიანის განწყობილებაზე, კარბად შინაგანი ფაქტორებისა, **ფერთან** და **სინათლესთან** ერთად გავლენას ახდენს **ხმაური**, სვანათა ფორმა, სითბო, სიცივე, ამიტომ ფერთა ზემოქმედების შესწავლა ყო-

*დერიბერეს — „ფერი ადამიანის მოღვაწეობაში“, იხ. ა. შინანოვის წინასიტყვაობა, 1964 წ., გვ. 4.

ველთვის უნდა ხდებოდეს კომპლექსურად, სხვა ფაქტორების ვათვალისწინებით, თუმცა ეს არ გამოორიქხავს კერძო შემთხვევებს ნორმალურ პირობებში.

თუ რამდენად ფართოა ფერთა გამოყენების არე ადამიანის ცხოვრებაში, საერთოდ, შეგვიძლია დავადგინოთ მედიცინის მუშაკთა მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების საშუალებით. სასიხარულოა, რომ მედიცინაში სინათლისა და ფერის გამოყენება თანდათან ფართო ხასიათს იღებს (განსაკუთრებით ნერვული ასტენიის მკურნალობის დროს, როგორც ეს დადასტურეს ე. უ. არის ექსპერიმენტებმა). დადგინდა, რომ ფერადი სინათლის აბაზანები კარგად მოქმედებენ ნევრასტენიით დავადებულ პირებზე. კერძოდ, წითელი ფერი, შატენისა და კარლის ცნობით, საუკეთესო აღმოჩნდა არა მარტო ტკივილის შეჩერების მხრივ, არამედ ორგანიზმში შეჭრის უნართაც (ეს ფაქტები დაწვრილებით გადმოსცა მ. დერიბერემ). დაკვირვებებით დადასტურდა, რომ წითელი ფერები „...აღვიძებდნენ ავადმყოფის ძალეს, უმატებდნენ რა მადას, აწესრიგებდნენ საჭმლის მონელებას და აღმოგონებდნენ ორგანიზმის საერთო კვებას“. დერიბერე აგრეთვე გადმოგვცემს, რომ ჯერ კიდევ 1876 წელს სეტჩიმ გამოაქვეყნა შედეგები იმ ცდებისა, რომლებიც მან ჩაატარა სულით ავადმყოფებზე. გამოყენებულ იქნა ფილტრირებული მზის სინათლე, რომლის დროსაც „სპექტრას იისფერ ნაწილს“ ყველაზე მეტად მიუქცევია ავადმყოფების ყურადღება. საერთოდ ცდებს კარგი შედეგები გამოუღია. სეტჩის ასე შეუჯამებია თავისი ექსპერიმენტები: „ამ იისფერში არის რაღაც მელანქოლიური, დებრესიული, რაც სულზე გავლენას ახდენს; ამიტომაც იყო, რომ პოეტები მელანქოლიას იისფერი ტანსაცმლით მოსავდნენ. შესაძლოა იისფერი სინათლე შეამკირებს შმაგი შემოღობების ნერვულ აღგზნებას... ცდებისათვის განკუთვნილი ოთახების კედლები უნდა შეიღებოს იმავე ფერით, რითაც სარკმლის მინები. მზის სინათლის

მოქმედების გაუმჯობესებისათვის ოთახში უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი სარკმელი, რათა პირდაპირი სინათლე მკურნავდებოდეს დღის სხვადასხვა საათზე. შემდეგ მე წინადადებას გაძლევთ შმაგი შემოღობები მოათავსოთ ერთი და იმავე ზომის ოთახებში, რომლებსაც ერთი ფერის სარკმლები და კედლები აქვთ, და ორიენტირებულნი არიან მზის ამოსვლასა და შუადღეზე“.

მორის დერიბერეს უკვე არაერთხელ ნახსენებ წიგნში შეხვედებით მრავალ ფაქტსა და მაგალითს იმის დასადასტურებლად, რომ ფერთა გავლენა მრავალმხრივი და თვალსაჩინოა. აქაც და შემდეგშიც ჩვენ ვსარგებლობთ ფერების ამ სპეციალისტის მიერ მოყვანილი ფაქტებითა და მაგალითებით, რომლებიც უთუოდ დააინტერესებს ქართველ მკითხველსაც:

დოქტორმა პონზამ სეტჩის მიხედვით დააყენა ცდები და შესანიშნავი შედეგები მიიღო. „წითელ ოთახში სამსაათიანი ყოფნის შემდეგ ავადმყოფი, რომელიც ჩუმი ფსიქოზით იყო დაავადებული, გამხიარულდა და გაღიმებაც სცადა. მეორე დღეს ავადმყოფმა, ყოველგვარ საჭმელზე უარს რომ აცხადებდა, ადგომისთანავე საუბრე მოითხოვა და განსაკვირვებელი სიხარბით შექაშა“. პონზას სხვა შემთხვევებშიც ძალიან კარგი შედეგები მიუღია, მაგალითად, ცისფერს მწიშენლოვნად დაუმშვიდებია შმაგი შემოღობი. იისფერს კი ერთი შემოღობი მოუჩრჩენია კიდევ.

ასევე სერიოზული დასკვნები მიუღია დოქტორ პოდოლსკის. მისი აზრით, მწვანე ფერი გავლენას ახდენს ნერვულ სისტემაზე, აცხრობს ტკივილს; ცისფერი ამცირებს დაჩირქებას და ეფექტურია ზოგიერთი რევმატული ტკივილის დროს; ნარინჯისფერი გავლენას არ ახდენს წნევაზე, თუმცა სტიმულს აძლევს გრძნობას და ოდნავ აჩქარებს სისხლის მოძრაობას; ყვითელი ფერი სტიმულს აძლევს გონებას, ასევე წითელი ფერი ეფექტურია მელანქოლიის დროს; იისფერი მოქმედებს გულზე, ფილტვებსა

და სისხლძარღვებზე. ყველა ამ ფერს მი-
ეწერება აგრეთვე ფიზიოლოგიური ზე-
მოქმედების ძალა.

მაგრამ ფერი ადამიანზე ფსიქოლოგი-
ურ გავლენასაც ახდენს. გაეისენიოთ ფე-
რთა ეს კლასიფიკაცია, რომელიც ასე თუ
ისე ცნობილია მეცნიერებისათვის.

დღემდე ფერებს ორ ჯგუფად ყოფენ.
ერთ ჯგუფს მიაკუთვნებენ „თბილ“ ფე-
რებს, ხოლო მეორეს — „ცივს“. „თბილს“
ჩვეულებრივად უწოდებენ ისეთ ფე-
რებს, როგორიცაა წითელი, ნარინჯის-
ფერი, ყვითელი, „ცივს — ცისფერს და
იისფერს. სინამდვილეში ისინი ქმნიან
ასეთ შეგრძნებას. ცნობილია შემთხვევა,
როცა მუშები უჩივიან სიცივეს საამქ-
როებში, რომლებიც შეღებილია თეთრი,
ცისფერი ან მწვანე ფერით. უკმაყოფი-
ლება მცირდება მის შემდეგ, როცა საამ-
ქროებს გადაღებავენ ყვითელ-წითელ.
ვარდისფერ ან ღია-ნარინჯისფერად“. ც-
დებმა საესებით დაადასტურეს, რომ
„...ადამიანს სითბოს ან სიცივის გრძნობა
შეიძლება გაუჩნდეს მის სხეულში ყო-
ველგვარი ნამდვილი სითბური ცვლილე-
ბის გარეშე, ე. ი. საქმე ეხება ფსიქოლო-
გიურ, და არა ფიზიოლოგიურ, ზემოქმე-
დებას“. ეს შესანიშნავად შეგვიძლია და-
ვინახოთ სინერამას მაგალითზეც. როცა
თოვლიან ველს ვიჩვენებენ, თქვენ სიცი-
ვეს იგრძნობთ, ხოლო, თუ ეკრანზე საპა-
რას ხედავთ, აუცილებლად სიცივე შეგა-
წუხებთ, მიუხედავად იმისა, რომ სით-
ბოს მხრივ დარბაზში არაფითარი ცვლი-
ლება არ მომხდარა. ყოველივე ეს, რო-
გორი გადაჭარბებაც არ უნდა იყოს, თა-
ვის თავში უთუოდ შეიცავს ჭეშმარიტე-
ბის ელემენტებს.

თუ პრაქტიკულად რა გავლენას ახ-
დენენ „თბილი“ და „ცივი“ ფერები
ადამიანზე და ზოგჯერ რა კატასტრო-
ფულ შედეგებს იწვევენ, შეგვიძლია
ცნობილი მაგალითებითაც დავინახოთ.

არ ვიცით, რამდენად მართალია, მაგ-
რამ ბერის ჰგონია, რომ ფერი თვით-
მკვლელობის შემთხვევებსაც კი ახში-
რებს. ასახელებენ კონკრეტულ ფაქტებს,
კერძოდ, ლონდონის ხიდს — ბლეკ-

ფრაისს. ეს ხიდი განთქმული იმით ყო-
ფილა, რომ თვითმკვლელობის ადგილს
წარმოადგენდა, ვიდრე იგი მშენებელი
შეღებილი. მაგრამ, როცა მწვანე ფერის
გადაუღებავთ, ხიდზე მომხდარ „თვით-
მკვლელობათა რაოდენობა ერთი მესა-
მედლი შემცირებულა“.

არანაკლებ საგულისხმოა ფერთა ფსი-
ქოლოგიური ზემოქმედების მეორე მაგა-
ლითი. ამერიკის ერთ-ერთ ქარხანაში
მძიმე შავი ყუთები მუშებს უფრო მსუ-
ბუქი მოეჩვენათ, როცა ღია-მწვანე ფე-
რით შეღებეს. მეორე ქარხანაში მუშები,
რომლებსაც მძიმე დეტალები გადაჰქონ-
დათ (შეღებილი ყოფილა მუქი ცისფერ-
რუხი ფერით), უჩიოდნენ წელის ტკი-
ვილს, მაგრამ მდგომარეობა გამოსწორე-
ბულა იმავე დეტალების ღია რუხ-მარგა-
ლიტისფერად შეღებვის შემდეგ.

ანალოგიური მაგალითები მრავლად
მოებოვება თანამედროვე მეცნიერებას.

საერთოდ, ადამიანის ფსიქიკასა და გა-
ნწყობილებაზე ფერთა გავლენა დიდი
ხანია პრაქტიკულად არის დამტკიცებუ-
ლი, სრულიად რეალური მოვლენაა. სამ-
რწმუნო ეს თეტიკამ დაადასტურა, რომ
გარკვეულ ფერთა შეხამება საამქროში
უშუალო გავლენას ახდენს შრომის ნა-
ყოფიერებაზე. ამას შემდეგი ფაქტიც
მოწმობს: ერთ-ერთი საბჭოთა ქარხნის
საამქროში დანადგარები შეღებეს, კედ-
ლები და ჭერი შეაფერადეს, განზრახ
სხვა არაფერი არ გაუკეთებიათ. მუშებ-
მაც არაფერი იცოდნენ. მეორე დღეს სა-
მუშაოზე მათ ნახეს ღამაზად შეღებილი
დაზგები, კედლები, ჭერი. ერთი თვის
მუშაობის შეჯამების შემდეგ გამოიკვია,
რომ საამქროში შრომის ნაყოფიერება 4
პროცენტით ამაღლდა.

რაც შეეხება სკოლას, ინტერესმოკ-
ლებული არ არის ვიცოდეთ შემდეგი
ფაქტი: „ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე-
თა სამედიცინო გამოკვლევამ გვიჩვენა,
რომ მათი დიდი ნაწილი დაავადებულია
შენეღვრობის ნაკლოვანებებით, ღირექ-
ტორმა ეს მიაწერა ცუდ განათებას და
მთლიანად გადაღება 21 კლასი. ჭერი და
კედლების ზედა ნაწილი შეღებეს თეთ-



რი ფერით, კედლების ქვედა ნაწილი კრემის ფერით, ავეჯი და იატაკი — ხის ფერით. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა განათება. რაც შეეხება მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ზემოქმედებას, ეს იყო სასეებით განმაცვიფრებელი! თქვენ თვითონ განსაჯეთ სამედიცინო გამოკვლევებითა სტატისტიკური მონაცემებით:

	შეღებ- ვამდე	შეღების შემდეგ
ახლომხედველობა და შორსმხედველობა	53 %	23 %
მხედველობის სხვა ნაკლოვანებანი	39 %	4 %
კუჭ-ნაწილის ტრაქტის დაავადებანი	71 %	40 %
ქრონიკული დაავადებანი	75 %	51 %

ამ განსაცვიფრებელი ფაქტებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ კარგი განათება მოქმედებს არა მარტო მხედველობაზე, არამედ მაღაზეც“.

ეს სრულიად უეჭველია, სინათლის სწორად გამოყენებას მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის. მაგრამ სინათლე ყოველთვის ფერს გულისხმობს, ფერი — სინათლეს. ამიტომ სკოლაში ფერთა გამოყენებას ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც სინათლეს.

როგორი ფერი უნდა ჰქონდეს აუდიტორიებს, საკლასო ოთახებს (იატაკს, ჭერს, კედლებს), სააქტო დარბაზს, დერფენებს, ინტერიერებს, რეკრეაციულ დარბაზებს? როგორი ფერის უნდა იყოს დაფა, რვეული, სახელმძღვანელო, საწერი მოწყობილობა? როგორი ფერის ტანსაცმელი უმჯობესია ეცვას მოსწავლეს?

ყველა ეს საკითხი ფართო ინტერესის შემცველია და მათ გონივრულ გადაწყვეტას, მეცნიერული დასკვნების პრაქტიკულ ცხოვრებაში დანერგვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდის წარმატებისათვის.

დოგმატური მიდგომა არც აქ შეიძლება, მაგრამ აუცილებელ დოგმად ის უნდა მივიღოთ, რომ საჭიროა მეცნიერული უქსპერიმენტებით დამტკიცებული ფერ-

თა ზემოქმედების უნარი ადამიანზე ყველა კონკრეტულ შემთხვევაში გავითვალისწინოთ. გვთავაზობენ უარი ვუთხრებოდეთ ფერთა ერთ წყებას, ხოლო მეორე უყრყმანოდ მივიღოთ. პირველ კატეგორიას მიაკუთვნებენ: „თეთრ ფერს, რომელსაც შეუძლია სიკაშკაშე გამოიწვიოს; მიხაკისფერს, სევდას რომ იწვევს; შავ ფერს. რომელიც მეტისმეტად ბევრ სინათლეს ნთქავს; წითელ ფერს — აღმზნებს; ვარდისფერს, რომელიც ძალიან „თბალია“. მეორე წყებას შეადგენენ ფერები, რომელთა გამოყენება სკოლის ცხოვრებაში ნებადართულია. მათ განეკუთვნებიან: „წლვისფერი, ციურ-ლაქვარდისფერი, რუხი-მარგალიტისფერი, მარჯნისფერი, თეთრი (მხოლოდ ჭერისათვის)“. აგრეთვე ითვალისწინებენ ფერთა ზემოქმედებას ბავშვის გონებაზე. მიაჩნიათ, რომ „წითელი სტიმულის მიმცემია, მაგრამ იწვევს ძლიერ გრძნობიერ რეაქციებს და გაღიზიანებებს, რაც მავნებელია ნერვიული ბავშვების ჯანმრთელობისათვის; ცისფერი — ცივია, მაგრამ დამამშვიდებელი; ნარინჯისფერი ბავშვს ამხიარულებს. თუ შავი ფერი გულს გვიმძიმებს. მაშინ მიხაკისფერი საგანგებო შენიშვნას იმსახურებს“. მიხაკისფერი „მძინარობის გარდა ძლიერ დებრესიას იწვევს“, იგი საერთოდ, უარყოფითად მოქმედებს ბავშვის განწყობილებაზე“.

მაგრამ, როცა სასწავლო აუდიტორიებისა თუ საკლასო ოთახების ფერსა და სინათლეზე (განათებაზე) ვლაპარაკობთ, თვით ფერთა ზემოქმედების უნარის გარდა, აუცილებლად უნდა ვითვალისწინებდეთ ქვეყანას, მხარეს, ქალაქს, სოფელს, ხალხის, მოსახლეობის წინებას, ხასიათს, ტრადიციას. თუ სილამაზის იდეალში ამ მხრივ ჩვენ ვხედავთ განსხვავებას, არანაკლები სხვაობა არსებობს ფერთა შეფასებაშიც (აღქმამიც). სამხრეთში ზოგჯერ შეიძლება ფერთა ერთი წყება გამოვიყენოთ, ხოლო ჩრდილოეთში — მეორე, მისგან განსხვავებული. ამ შემთხვევაშიც საერთო ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ განსხვავებას საკმა-

ოდ ვიგრძნობთ, თუ აღვიღებთ გეოგრაფიულ, კლიმატურ, ზნეობრივ პირობებს გავითვალისწინებთ და გამოვიყენებთ. სინათლის მხრივ ჩვენ ერთნაირი სურათი არა გვაქვს იქ, სადაც წლის განმავლობაში მეტი ბურუსია და იქ, სადაც მზე ყველაზე მეტად აცხუნებს დედამიწას. გვერდი აუარო და არ გავითვალისწინო ყოველივე ეს, როცა ფერთა შერჩევის ან პრაქტიკულად გამოყენების პრობლემას სწავებთ, ისეთივე დანაშაულია, როგორც ხალხის ადამ-ჩვევების არაღ ჩაგდება. ჩვენი ამოსავალი პრინციპი ამ შემთხვევაში შემდეგი უნდა იყოს: მეცნიერულად დადასტურებული ფერთა ზემოქმედების უნარი პლუს ადგილობრივი პირობები (გარემო, ზნეობა) პლუს გამოყენების ხასიათი (სწავლა, მუშაობის ხასიათი და სახეები). პოლიტიკომის საკითხიც ყოველთვის ამ პრინციპით უნდა წყდებოდეს.

როგორც ღერიბერეს მეტად საინტერესო წიგნიდან მოტანილი ფაქტები და მაგალითები გვიდასტურებენ, ფერს დიდი გამოყენება აქვს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში, თუმცა ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული იმის მინიმუმი, რაც მომავალში იქნება. დღეს ფერი გამოყენებულია რკინიგზების და ავიაციის, მიწისქვეშა ნავთობებში (მეტრო, გადასასვლელი, მადარობები), რეკლამებისა და ტრანსპორტების ეფექტურობის მისაღწევად, ფასადებისა და ინტერიერების გასაანათებლად. თეატრი, კინო, ფოტოგრაფია, მუზეუმები წარმოუდგენელია ფერისა და ფერადი განათების გამოყენებლად. ასფალტირებულ გზებზე თუ ცივილიზებული ქალაქების ქუჩებზე ნორმალური მოძრაობისათვის სულ უფრო აუცილებლად თვლიან ფერსა და ფერადი განათების გამოყენებას. ახლანდელ ზღვაოსნობას, კანალიზაციას ან მილგაყვანილობას განა ვინმე წარმოიდგენს ფერისა და ფერადოვნების გარეშე? აიღეთ ლაბორატორია, სასადილოები, დაწესებულებები, — ყველგან ცდილობენ, რაც შეიძლება ლამაზი ფერები ჰქონდეთ და

ასევე ლამაზი განათება მოაწყონ. ტერადი ნათურები სულ უფრო მეტად ინერგება ყოფა-ცხოვრებაში, ხელოვნური განათება სულ უფრო მეტად ემებს სასიამოვნო ფერებს. მედიცინაში მთელი დარგია ფერთარაპია, რომელიც ავადყოფების მკურნალობას ფერებით ცდილობს. ოთახების დასამშვენებლად ნაირნაირ ფერებს არჩევენ, წარმოებაში უსაფრთხოების მისაღწევად ფერებს მისარბავენ. როგორც სილამაზის ფორმა გავრცელებულია ბიკოლორისმი ანუ ორფეროვნება სახლების განათებაში. ფიზიკოსები, ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლები სულ უფრო ფართოდ ნერგავენ ფერს ადამიანის ცხოვრებაში, მაგრამ არის ერთი დარგი, სადაც ფერს ყველაზე ნაკლებ იყენებენ. ეს არის სწავლა-აღზრდა, კერძოდ, ესთეტიკური აღზრდა.

ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ ფერი ღრმად შეიჭრას სკოლის ცხოვრებაში, დაამშვენოს საკლასო ოთახები, კაბინეტები და ლაბორატორიები, სასწავლო მოწყობილობანი და სახელმძღვანელოები; ფერი უნდა გახდეს აღზრდის ისეთივე ფაქტორი, როგორცაა ხელოვნება და ლიტერატურა, წიგნი და ბუნების წიაღი.

როცა მუზეუმებსა და გამოფენებზე ბავშვს ფერწერულ ტილოს ვუჩვენებთ, მისი ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მარტო იდნას, შინაარსს, არამედ საღებავების ოსტატურად გამოყენებას, ფერთა გამას, საერთოდ იმას, რასაც ფერით წერა ეწოდება. მაგრამ ეს რომ გააკეთოს მასწავლებელმა, თვითონაც უნდა იცოდეს რა არის ფერი, რაში მდგომარეობს მისი ძალა და საიდუმლოება.

ყოველ ფერს, რომლის აღქმაც ადამიანს შეუძლია, აქვს თავისი მიმზიდველობა, მასასაღამე, მისთვის დამახასიათებელი სილამაზის გამომწვევი უნარი. ეს უნარი სილამაზის შექმნისა ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ბავშვის არსებაში მშვენიერების გრძნობის გაღვიძებისა და განვითარებისათვის. თითოეული ნივთი თუ საგანი, რომელსაც ბუნებრივი ფერი

აქვს, ან ჩვენს მიერ ნებისმიერადაა შეფერილი, ისევე უნდა გამოვიყენოთ ეს თეტიკური აღზრდისათვის, როგორც ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებებს ვიყენებთ ხოლმე. ბავშვები გულგრილნი არ არიან ფერისადმი, მათ უყვართ ფერადები, ფერადოვნება, სიჭრელე, სინათლე და ყოველთვის თვალისმომჭრელად, მიმზიდველად შეღებილ სათამაშოებს თხოულობენ. ბავშვთა ამ მისწრაფების გაღვივება და მისთვის შეგნებულობა, გააზრებულობა ხასიათის მიცემა საფუძვლად დაედება მოსწავლის შემდგომ გაძლიერებულ სიყვარულს ფერთა სამყაროსადმი, რომლის შეცნობა ისევე საჭიროა, როგორც ბუნების კანონებისა. ჩვენ უნდა შევძლოთ ფერმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, თუნდაც ძირითადი საფუძვლების მიხედვით, ყველასათვის ნაცნობი ვავხდეთ და ისევე ვასწავლოთ, როგორც ბუნებისმეტყველებას ან ნიადაგმცოდნეობას ვასწავლით.

ეს სწავლება სკოლაში პირველად უნდა დაიწყოს ხატვის მასწავლებელმა, რომელიც მოვალეა ბავშვს არა მარტო ჩანახატები გააკეთებინოს (რასაც ყველა შეძლებდა), არამედ გააცნოს ფერთა სამყარო ასაკობრივი პედაგოგიკის მიერ ნებადართული ფორმებითა და მეთოდებით. არც ერთ მასწავლებელს არ გააჩნია იმდენი შესაძლებლობა ბავშვებს ფერები შეაყვაროს, რამდენიც ხატვის მასწავლებელს, მას უნდა მოეთხოვოთ ფერმცოდნეობის ელემენტარული საფუძვლები მაინც გადასცეს მოსწავლეებს.

ჩვენი მოვალეობაა ბავშვები თავიდან

ვე შევაჩვიოთ ფერებს, ბუნებისადმი სიყვარულთან ერთად ფერების ტრეფიკული ვასწავლოთ, გავარკვიოთ არა მარტო ფერების სახელებში, არამედ მივცეთ ელემენტარული ცოდნაც კოლორიმეტრიასა და ოპტიკაში. კარგი იქნებოდა ვინმეს დაეწერა „ფერთა მოკლე სახელმძღვანელო“ მასწავლებლების დასახმარებლად და „ფერთა საკითხავი წიგნი“ — მოსწავლეთათვის.

მთელი ჩვენი ცხოვრება, ვშრომობთ თუ ვისვენებთ, ვიბრძვით თუ გვიძინავს, ფერთა გამაში მიმდინარეობს, ყველგან და ყოველთვის საქმე გვაქვს ფერთან. ყველაფერს ფერი აქვს, მაგრამ ჩვენ დღემდე მისთვის ღირსეული ადგილი არ მივციხნევია. ჩვენ ფერი მინიმალურადაც არა გვაქვს გამოყენებულნი, თუმცა ბუნებამ უხვად დაგვაჩილდოვა მრავალფეროვნებით.

ბუნების ფერებს პირველად ხელოვნებისა და ფილოსოფიის წარმომადგენლებმა მიაქციეს ყურადღება. დაგვანახეს მათი საკვირველებანი და სცადეს მოეცათ ახსნა-განმარტებანი. როგორი მარტივიც არ უნდა ყოფილიყო ეს განმარტებანი, კაცობრიობა ყოველთვის მადლიერი იქნება ფერთა პირველი დამფასებლებისა. ჩვენი ვალია, ფერი მთელი შესაძლებლობით ჩავაყენოთ ადამიანის სამსახურში, პრაქტიკულ ცხოვრებაში, მივუჩინოთ ღირსეული ადგილი სწავლა-აღზრდაში. ხელოვნებას, როგორც ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს, ამ მხრივ შეუძლია დიდი სამსახური გავვიწიოს.

რ ე ლ ა შ ც ი ი ს ა ბ ა ნ :

აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე სამართლიანად მიუთითებს ფერთა დიდ როლზე ესთეტიკური აღზრდის საქმეში. ნაშრომში აღძრული საკითხი იმდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია, რომ რედაქციას სასურველად მოაჩნია „ცისკრის“ ფურცლებზე თავიანთი მოსაზრებანი გამოთქვან ფიზიკოსებმა, ტექნიკურმა ესთეტიკოსებმა, ხუროთმოძღვრებმა, მშენებლებმა...

პასილ ღაგაზიძე

ნაქალაქარი ალვანის მინდორზე

ძველთა ხვედრი სხვადასხვაა ქვეყნად: არიან ძველნი, რომელნიც გამუდმებულად, მრავალი საუკუნის განმავლობაში აღელვებენ ადამიანთა გულებს, არიან ძველნი წაჩოქებულნი — ხელდარეულნი ღრო-ქამისაგან: მათ ძველი ელვარება შემოპკლებიათ, მაგრამ სიამაყე არ დაუკარგავთ; პარმონია დარღვევიათ, მაგრამ მშვენიერება მაინც ცოცხლობს გადარჩენილ ნაწილებში. არის ძველები, — ვინ უწყის, რამდენი ძველი! — რომელთაც ამ სახელით აღარ იხსენიებენ. გამვლენი ქვა-ღორღსა ხედავენ მხოლოდ ან ჯაგნარსა და ხასხასა მინდორს...

ადამიანი ყველაფერს ხედავს. მისი თვალი ატანს საუკუნეთა ბურუსში: ჯაგნარი ქრება, ბალახი აღარ ჩანს... აღმართულან ქალაქები, ამაყად დამდგარან ხელოვანთა მიერ შენგებული დიდებული ძველები.

ზემო და ქვემო ალვანს შორის არის ადგილი წოდებული ჯაგიანად, ნაწილიც კაკლიანად (თუმცა კაკლები იქ აღარ არის). თუმშა კოლმეურნეებმა სანაქებო ვენახები გააშენეს იქ — ვაზიანად აქციეს. ყველაფერი მინდორზე ხდებოდა, ჩვეულებრივ მინდორზე, არცა ვის ტაძარი დაუნგრევია იქ და არც პალატნი.

თვალნი ხომ ხედავდ მისცა ბუნება

„აჰ, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“...

ადამიანს: ამ ადგილებზე ადრეც დიოდა ხალხი; აქ იყო გზა მიმავალი სამების ტაძრისაკენ, რომელიც ამაყად აღმართულა ზემო ალვანის ბოლოს. ამ გზაზე მიმავალი ჩვენი სასიქადულო პოეტი და მეცნიერი რაფიელ ერისთავი წედან ნახსენებ ჯაგიან-კაკლიანში 1855 წლის გაზაფხულზე შეაჩერეს ასწლოვანმა კაკლებმა და რაღაც ნანგრევებმა. უფრო წინ დიდი ვახუშტი იყო აქ, ოდეს აღწერდა „სამეფოსა საქართველოსა“, შემდეგ ი. გიულდენშტედტმა მოინახულა კაკლები და პალატთა ნაშთები...

ჯაგიან მინდორზე ნელ-ნელა ისახება კონტურები ბაღებისა, სასახლეებისა... აგერ საბერძნეთის დიდი შვილები — სტრაბონი, პტოლემეოსი გვიმატებენ ახალ-ახალ ცნობებს. ბურუსში კიდევ გამოიკვეთა რაღაც — დიდ ქალაქში ფუსფუსებენ ალვანები...

— ვინ არიან ალვანები, რა კავშირი აქვთ მათ დღევანდელ ალვანთან?

— მოდით თავიდან დავიწყოთ ყველაფერი.

ალვანს სახელად ორი სოფელი ატარებს ახმეტის რაიონში. ახმეტიდან რვა კილომეტრის დაშორებით, ალაზნის პი-

რას მდებარეობს სოფელი ზემო ალვანი, აქედან ორ კილომეტრზე ალაზნის დინების მიმართულებით გაშენებულია ქვემო ალვანი.

საყურადღებო ჩანს თვით ალვანის ეტიმოლოგია, მისი წარმომავლობა.

არსებობს ალვანის ხალხური ეტიმოლოგიები. თუშურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია ასეთი გადმოცემა: ალვანის პირველი მოსახლე თუში ცისკო მთიდან მეორედ მიდიოდა ბარში გამოსაზამთრებლად. მთაში დარჩენილია თუშებმა შენატრეს თურმე: „ნეტავი შენ“ (ე. ი. ბედნიერობა, რომ საზამთროდ ბარში მიდიხარო). ამ გადმოცემით სახელწოდება ალვანი ამ ნატვირდიან — ალვაციჰთ მოდის. რათქმა უნდა, ეს ეტიმოლოგია ძალზე გულუბრყვილოა და შორს დგას ქეშმარიტებისაგან, რადგან ისტორიულ წყაროებში ალვანი თუშების ბარად ჩამოსახლებამდე გაცილებით ადრე იხსენიება ამ ადგილის სახელად.

გვაქვს ალვანის სხვანაირი ხალხური ეტიმოლოგიაც, რომელიც ალექსანდრე ხახანაშვილს თუშეთში მოგზაურობის დროს ჩაუწერია და 1888 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია. აი ისიც: „...თვით ალვანმა სახელი მიიღო ამ ომის შემდეგ. მინდორზე, სადაც შეტაკება მოხდა თუშებსა და თათრებს შორის, ავარდა სისხლის ალი და აქედამ წარმოსდგა სახელი ალვანი“ (ა. ხახანაშვილი, ბახტრიონის აღება, „ივერია“, 1888, № 220).

ცხადია, ტოპონიმ ალვანის წარმომავლობის გაგებისათვის არც ეს განმარტება გამოგვადგება: ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ თათრები ალვანის მინდორზე იყვნენ დაბანაკებულნი ბახტრიონთან და თუშებიც სწორედ ალვანის მინდვრისათვის იბრძოდნენ, რომელიც ზედიზედ გამოეცალათ თათართა ურდოების მიერ კახეთის დაპყრობის შემდეგ.

ერთ-ერთი ეტიმოლოგიით ალვანი წარმომდგარა ალ-ავი-დან, „ალა“ ბატონია და „ვი“ — არის (ქისტურად) — „ბატონი აქ არის, თამარ მეფე აქ ბრძანდება“.

ერთი ჩაჩნური გულუბრყვილო ეტიმოლოგიით ალვანი ალ-აჰს უკავშირდება. არსებობს ალვანის ხევსუბრყვილო ეტიმოლოგიაც, რომლის მიხედვითაც ალვანი ნიშნავს ნადავლს. თითქოს ამ ადგილს ეს სახელი ეწოდა მას შემდეგ, რაც იგი თუშებს ერგოთ ბახტრიონის ომში მონაწილეობისათვის. ვერც ეს ახსნა გამოგვადგება, რადგან სახელწოდება ალვანი ბახტრიონის ბრძოლაზე უფრო წინა ხნისაა. თუშები ალვანად წოდებულ ტერიტორიას ჯერ კიდევ ლევან მეფის (1520—1574 წწ.) დროს იყენებენ და იცნობენ სწორედ ამ სახელით. ლევან მეფის მიერ თუშებზე გაცილებით სიგელის სიხედვით ალვანის თუშების სიძუციით საზამთრო საძოვრებად (ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, თბილისი, 1913, გვ. 163).

მე-17 საუკუნის დასაწყისში, ირანის მიერ კახეთის დაპყრობის შემდეგ, თუშებს ხელიდან გამოეცალათ ალვანი, როგორც საზამთრო საძოვარი, და მხოლოდ 1659 წელს, თათართა ურდოების განდევნის შემდეგ, დაიბრუნეს უკანვე. ამრიგად, ტოპონიმ ალვანის არც ერთი ხალხური ახსნა არაა მართებული. მართალია, ამა თუ იმ მოვლენის ან ცალკეული სიტყვების ახსნაში ხალხური ზეპირსიტყვიერება და გადმოცემები ზოგჯერ საიმედო ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამიტომ ტოპონიმ ალვანის რაობისა და ეტიმოლოგიის გასარკვევად მივმართეთ ისტორიულ წყაროებს.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლებლად მიგვაჩნია ბერძნულ და ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებში ნახმარი ალბანიისა, ერთი მხრივ, და ალვანის, მეორე მხრივ, საერთო წარმომავლობა. ეს სახელები უნდა წარმოადგენდნენ ერთი სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტებს.

სტრაბონი თავისი გეოგრაფიის მეორე წიგნში წერს: „ეს ქვეყნები უჭირავთ სავრომატ მეოტებს და მათ, რომლებიც არიან პირკანისა და პონტოს შორის კა-

გვასიონამდე, იბერებამდე და ალბანებამდე“ („სტრაბონის გეოგრაფია“, თბილისი, 1957, გვ. 94).

როგორც ჩანს, იბერია და ალბანია მეზობელი ქვეყნებია. რომაელთა მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ამ მხარის საერთო მდგომარეობის შესახებ თავისი გეოგრაფიის მეექვსე წიგნში სტრაბონი წერს: „მთელი (ქვეყანა) ფაზისისა და ეფრატის შიგნით გარდა არაბეთის ზოგი (ნაწილისა), რომაელების გამგებლობაშია და (რომაელების) მიერ დაპყრული დინასტიების (ხელშია). არმეიდლები და კოლხიდის ზემოთ მცხოვრებნი, ალბანებიცა და იბერებიც“ (იქვე, გვ. 98). აქ ალბანია თითქოს უფრო კოლხეთის მეზობელ ქვეყნად ჩანს, ვიდრე იბერია, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ალბანია და იბერია მეზობელი ქვეყნებია და შესაძლოა მათ შორის მკვეთრი სახელმწიფო საზღვარიც არ არსებობდა. ალბანეთი — დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი — შიგნი კახეთის ტერიტორია უნდა ყოფილიყო. სტრაბონი ალბანიასა და იბერიას გეოგრაფიის სხვა თავებშიც მეზობელ ქვეყნებად იხსენიებს: „სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან; ხოლო ალბანთა და იბერთა ტომებს, რომელთაც უკავიათ უპირატესად მოხსენებული ყელი, და რომელთაც კავკასიური ეწოდებათ, აქვთ მდიდარი ქვეყანა და განსაკუთრებით ვარგისი კარგად დასასახლებლად“ (იქვე, გვ. 126-127).

მოხსენიებული ალბანია და იბერია თანამედროვე კახეთისა და საინგილოს ტერიტორიას მოიცავდა. მართალია, ალბანიამ თავისი უძველესი სახელწოდება დაკარგა, მაგრამ მისი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი, იტყობა, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში შევიდა და კახეთის საერისთაოს განუყოფელი ნაწილი გახდა IX-X საუკუნეებში, როდესაც კახეთი გაძლიერდა და ცალკე სამეფოდაც კი გადაიქცა, ხოლო საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების

შემდეგ, XI—XII საუკუნეებში, უმეტესად ლოდ საქართველოს ტერიტორიაში გაერთიანდა. ახლა შეიძლება დასასაზღვრებლად ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიაში შესულმა ალბანეთის დასავლეთმა ნაწილმა, ალბათ, შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახელწოდება და ალვანიის სახელწოდებით დარჩა კახეთის ტერიტორიაში. ალბანიის დანარჩენი ტერიტორია კი დღევანდელი აზერბაიჯანის სახელწოდებით გვხვდება. ალბანიის ასეთი დაშლა უნდა მომხდარიყო მახლობელი IV—VI საუკუნეებში და შემდეგ, VII—VIII საუკუნეებში, კავკასიაში არაბთა ექსპანსიის შემდეგად.

ჩვენი შეხედულების დასასაბუთებლად საჭიროდ მიგვაჩნია მივეთითოთ სტრაბონის ერთ ცნობაზეც. „ალბანთა ქვეყანაში შედის კასპიანე, კასპიის ტომის [მიხედვით] სახელდებული, ისევე როგორც ზღვაც; ეხლა (ეს ტომი) გაქრა. შესასვლელი იბერიიდან ალბანიაში არას უწყლო და ოდრო-ჩოდრო კამბიზენზე, რომელიც მდ. ალაზონისთან არის“ („სტრაბონის გეოგრაფია“, თბილისი, 1957, გვ. 133). იმალება აზრი, თუ სტრაბონის დროს კასპიის ტომი მოსპობილი იყო, მაშ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ალბანელები? ვფიქრობთ, ალბანელები იბერიულ-კავკასიური მოდგმის ქართველთა ახლო მონათესავე ტომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართველებთან შერწყმისა და ასიმილაციის პროცესში გაქრა როგორც ცალკე ეთნიკური ჯგუფი. ეს ვარაუდი მტკიცდება იმით, რომ იბერიიდან ალბანიაში გასასვლელი გზა კამბიზენზე გადის, კამბიზენი კი დღევანდელი ქიზიყია, ძველი კამბეჩოვანი, კერძოდ, ის ტერიტორია, სადაც ალაზანი გადიოდა და რომელიც კახეთის განუყოფელი ნაწილია უძველესი დროიდან.

სტრაბონის ცნობაში ყურადღებას იქცევს ალაზონია, რომლის დინების მიმართულებითაც გზა იბერიიდან ალბანიაში გადიოდა. ალაზონია დღევანდელი ალაზანია, რომელიც სტრაბონის წარმოდგენით მტკვართან შეერთებამდე იბ-



ქართული
ლიბრთეკა

ერიისა და ალბანიის ტერიტორიებზე გადიოდა. ალბანის მტკვართან შეერთებამდე მტკვარიც ხომ საქართველოს ტერიტორიაზე გევხდებდა, ხოლო ალბანთან შეერთების შემდეგ საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ვაივლის შირაქის მიდამოებში. მაშ, დასაშვებია აზრი, რომ ალბანიის ის ნაწილი, რომლის ტერიტორიაზეც ალბანნი გადიოდა, დროთა ვითარებაში უშუალოდ საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებში შევიდოდა, მისი ერთი ნაწილი კი შეინარჩუნებდა ალბანიის (ალვანიის) სახელწოდებას. პლატონ იოსელიანი წერს:

«Что касается до Камбизь или Иори, то Плиний и Помпоний Мела описывают её в Албании или части южной Кахетии» (Платон Иоселиани, «Путевые записки по Кахетии», Тифлис, 1846, გვ. 28).

აქ მოხსენიებული იორი ალბანის სამხრეთით კახეთში მიედინება, ძველად ნაწილობრივ ალბანიაში ვადიოდა თურმე, მაგრამ იორი ხომ უფრო ადრე უერთდება ალბანს, ვიდრე ალბანი მტკვარს. მაშ, აქაც ალბანიისა და იბერიას შორის რაიმე მკვეთრი საზღვრის გავლება ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს. ამ ორი მეზობელი ქვეყნის ტერიტორია ერთმანეთშია შერწყმული. ამრიგად, სტრაბონის მიხედვითაც სახელწოდება ალვანი ძველი ალბანიიდან ჩანს წარმომდგარი. იგი დღემდე ალვანის სახელწოდებითაა შენარჩუნებული კახეთის ტერიტორიაზე.

ალვანის ეტიმოლოგიის დასადგენად საჭიროდ მივაჩინია მოვიყვანოთ გეოგრაფ პტოლემეოსის საყურადღებო მონაცემები ალბანიისა და იბერიის შესახებ. იგი თავისი გეოგრაფიის სახელმძღვანელოს XI თავში ალბანიის შესახებ წერს:

«Албания граничит с севера описанной частью Сарматии; с запада Иверией по указанной линии, с юга частью Великой Армении, идущего от грани с Иверией до Иракского моря к устью реки Кира, который находится под 79° 40' — 44° 30'» (В. Латышев, «Известия древних писателей греческих и латин-

ских о скифах и Кавказе», Санкт-Петербург, 1893, გვ. 242).

პტოლემეოსის ალბანიის მოსაზღვრე ქვეყნების აღწერით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მაშინდელი ალბანიის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთი ნაწილი, ახლა შესულია საქართველოს საზღვრებში, ხოლო მისი აღმოსავლეთი ტერიტორიიდან წარმომდგარი თანამედროვე აზერბაიჯანი.

აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ალბანიის ის ნაწილი, რომელიც სამხრეთით ესაზღვრებოდა სომხეთის ტერიტორიას, ხოლო დასავლეთით — იბერიას, თანდათანობით შესულა საქართველოს საზღვრებში. მაშასადამე, პტოლემეოსის განსაზღვრიდან შეიძლება დავადგინოთ, რომ ძველი ალბანიის დასავლეთი ნაწილი ალბანეთის საერთო დაშლასთან დაკავშირებით (რის შედეგადაც გარკვეული ნაწილიდან შეიქმნა დაღესტანი და აზერბაიჯანი) შევიდოდა საქართველოს ტერიტორიაში. საქართველოს ტერიტორიაში შესული ნაწილი მიიღებდა ძველ სახელწოდებას — ალვანს, რომელიც დღემდე აქვს შენარჩუნებული. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის კურნალ-გაზეთებში თუში დავით ქადაგიძე ხშირად აქვეყნებდა წერილებს „ალბანელის“ ფსევდონიმით.

აქ უადგილო არ იქნება კიდევ ერთ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თეიმურაზ ბატონიშვილი თავის წიგნში „ისტორია ივერიისა“ აღნიშნავს, რომ „ალვანია ანუ კახეთი ივერიისა არის ერთი სამეფოთაგანი, რომლისაცა, სამთავრონი არიან შაქისი (ეს არს შუქი) აწ შაქად ხმობილი შარავანდი დიდი სამთავრო, რომელსა შირვანად სახელსდევს, ვიდრე ზღვამდე კასპიისა და დარუბანდიცა. მუნამდე არს ალვანია კახეთისა ნაწილი“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, „ისტორია ივერიისა“, 1848, გვ. 24).

მაშასადამე, ზემოთ მოტანილი ცნობის მიხედვით ალვანია კახეთის აღმოსავლეთით მოსაზღვრე ტერიტორიაა, რომე-

ლიც ზღვამდეა გადაჭიმული. თეიმურაზ ბატონიშვილის შეხედულებით, გამოდის, ალბანია კახეთთან ერთად ივერიის ნაწილს წარმოადგენს და მისი განუყოფელი ტერიტორიაა.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ისტორიკოს დ. ბაქრაძის შეხედულება ალბანიისა და ივერიის კავშირის შესახებ. იგი თავის შრომაში — „ისტორია საქართველოსი“ აღნიშნავს: „შესაძლებელია, რომ თვით ენა ალბანელებისა იყო შეკავშირებული ქართულის ენის ნათესაობასთან და თუ ეს ჰიპოთეზა შესაწყნარებელია, შეწყნარებული უნდა იყოს ის აზრიც, რომ თავ-და-პირველად ქართველების მეზობლად უტყობოვრით ალბანელებს“ (დ. ბაქრაძე, „ისტორია საქართველოსი“, თბილისი, 1889, გვ. 37). გამოდის, რომ ალბანელები არამც თუ მეზობელი ტომები ყოფილან ქართველებისა, არამედ შესაძლებელია მათ ენობრივი ნათესაობაც კი ჰქონდათ.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ალბანია და იბერია უძველესი პერიოდიდან მოსახლვრე ტერიტორიები იყო. დროთა ვითარებაში ისინი თანდათან ერთმანეთს ერწყმიან და გვიანდელი პერიოდის წყაროებში გვხვდებიან კახეთის სახელწოდებით, რომელშიც შესულია დასავლეთი ალბანეთი და იბერიის აღმოსავლეთი ნაწილი.

ჩვენი ვარაუდით, ტერმინი ალვანიც ალბანიდან არის წარმომდგარი და ისტორიულ წყაროებში XV საუკუნიდან გვხვდება. ხოლო თვით ალბანიის ტერიტორია კახეთის მთავრის გრაიგოლის დროს კახეთის შემადგენლობაში შევიდა.

XIX საუკუნის ზოგიერთ წყაროში ეს ადგილი იხსენიება კახეთის მეფის ლევან მეორის საზაფხულო რეზიდენციად. ამ საკითხს ჩვენი შიგნით შევხებით, ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ტოპონიმი ალვანი სხვა წყაროებშიც გვხვდება.

1627 წელს იტალიელმა მოგზაურმა პიეტრო დელა ვალემ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ რომის პაპს ურბანიუს VIII-ს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი.

პიეტრო დელა ვალე „უნეტარეს მამას“ საქართველოს შესახებ სწერს, რომ ქვეყანა, რომელსაც დღეს გეორგიანული ჰქვია, ხოლო ძველი ხალხები კოლხი-და-ს-და იბერი-ას უწოდებდნენ, მოიცავს ალვანიის ნაწილებსაც (მასალა საქართველოს ისტორიისათვის, „ივერია“, 1897, № 3, გვ. 29).

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ალვანია XVII საუკუნეში უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაში შემავალი ნაწილი ყოფილა. თუ XVII საუკუნეში ალვანი შედიოდა საქართველოს საზღვრებში და ისიც მის აღმოსავლეთ ნაწილში, მაშინ თანამედროვე ალვანის ძველი ალვანიიდან წარმოშობის ვარაუდი უდავო ხდება. ამ დროისათვის ძველ ალვანიას, მის ვრცელ ტერიტორიას დაუკარგავს თავისი პირვანდელი სახელი. სახელწოდება ალვანი შეუნარჩუნებია მხოლოდ იმ ტერიტორიის დასავლეთ ნაწილს, რომელიც კახეთის ტერიტორიაზეა მოქცეული.

ტოპონიმ ალვანთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ კიდევ ერთი დოკუმენტი. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ვაწყდებით ასეთ საყურადღებო და მნიშვნელოვან ცნობას: „ამა შიარსა არა იგი იტყვს: „გვინ (sic) ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს“. მაშინ ორნი ოსთა მეფენი და კახთა მეფე და ალვანთა მეფე, წანართა მეფე, სამნი ტაოცლთა მეფენი და სომეხთ მეფე და ტრაპიზონელნი და შარვან-შაჰენნი, ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგვეს და თორმეტნი დასხდეს, ოთხნი რად ვერ დაეტეოდეს?“ (ე. თაყაიშვილი, „ხელმწიფის კარის გარიგება“, ქართული ძეგლები, თბილისი, 1920, ტ. IV, გვ. 12).

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ კახეთისა და ალვანის მეფეთა ერთად მოხსენიება შემთხვევითი არა ჩანს. ალვანი და კახეთი მეზობელი ტერიტორიები უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, ეს ორი ერთმანეთის მეზობელი პატარა სამეფო საქართველოს ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერების შედეგად გაერთიანდა და თუ მთლიანად არა, ალვანიის ტერიტორიის ნაწილი მაინც შევიდა

საქართველოს სამეფოში. მაშინ აღვანიამ, როგორც ცალკე სამეფომ, დაკარგა თავისი სახელი და ტერიტორიულობა და მხოლოდ დასავლეთის მცირე ტერიტორიამ შეინარჩუნა თავისი პირვანდელი სახელი — ალვანი. საკითხის ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია უახლოესი ხანის ერთი საბუთის მოტანაც.

1832 წელს რუსეთის წინააღმდეგ ქართველ თავად-აზნაურთა შეთქმულების მონაწილე პოეტი ალექსანდრე ქავჭავაძე გადასახლეს ქ. ტამბოვში. პატიმრობისას მან რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ პირველს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ზოგადად დახასიათებულია საქართველოს მდგომარეობა რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801—1831 წწ.).

აღ. ქავჭავაძე თავის მოხსენებით ბარათში წერს: „იბერია ანუ საქართველო პტოლემეაიოსის ხანაში თავისი მოცულობით შედგებოდა: ალბანიისა, საკუთრივ იბერიისა და კოლხეთისაგან. ალბანიის ანუ ალვანიას ეჭირა კავკასიონის მთის აღმოსავლეთი თხემები დაწყებული დარუბანდით სამხრეთისაკენ, ვიდრე ალაზნამდე...“ (აღ. ქავჭავაძე, „თხზულებაანი“, თბილისი, 1940, გვ. 241).

მართალია, აღ. ქავჭავაძე თავის მოხსენებით ბარათში უკვე ცნობილ აზრს იმეორებს ალბანიის საქართველოს ტერიტორიისთან დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ მისი წერილის შინაარსი იმითაა საინტერესო, რომ ასახელებს ალვანიას, რომელიც დღევანდელი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. ამავე დროს ეს ტერიტორია განსაზღვრულია სამხრეთით ვიდრე ალაზნამდე, რომელიც კახეთის მდებარეობას არ სცილდება. ეს კი მიანლობით ის ტერიტორიაა, სადაც დღევანდელი ალვანია.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმი ალვანია და დღევანდელი ალვანი ერთი და იგივეა, ხოლო ალვანის ტერიტორია იმავე ძველი ალბანიის შემადგენელი ნაწილია.

ვახუშტი ბატონიშვილი აგვიწერს XV—XVI საუკუნეების კახეთის მიდამო-

ებს: „გარნა ალექსანდრესაცა ამ ქაშთა მოერთვა ბაზიერთ-აგან უცხოთა ფრინველთა მოსვლა ალონსა შინა: მსწრედა წარვიდა და იხილნა ფარშავანგნი, ინება შეპყრობა მათი ცოცხალთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, 1913, თბილისი, გვ. 167-8).

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ ნახსენები ალონი უდავოდ ალვანია, რომელიც ალექსანდრე მეორის სამეფოს ტერიტორიაში შედიოდა. მაშინ ალვანის მიდამოები, როგორც ხალხური გადმოცემები ამტკიცებენ, ტყითა და გაუვალი ჭაობებით ყოფილა დაფარული, სადაც ბევრი იქნებოდა გარეული ნადირი და ფრინველი. ასევე გამორიცხული არ არის ის ვარაუდები, რომ აქვე უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეორის საზაფხულო რეზიდენცია და ციხე-სიმაგრე, რომლის ნაშთები და ნანგრევები დღემდე შემორჩენილი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ალვანი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით წარმომდგარია ძველ ეთნონიმ ალბანიიდან.

XVII—XVIII საუკუნეების ქართულ წყაროებში ალვანი ოფიციალურად გვხვდება კახეთის ტერიტორიის აღწერაში. ასე მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ აგვიწერს საქართველოს ცალკეულ სამფლობელოებს: „დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავკვესურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოვლნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს ჰევს, პანკისის ჭეობას, საყდრიონს და ალონს“.

აქ ალონი, იგივე ალვანი, დასახელებულია კახეთის ტერიტორიის ნაწილად. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აქ მოხსენიებული საყდრიონი ჩვენ ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება. ეს სახელწოდება უძველეს პერიოდში არა

ჩანს, საყდრიონს ალვანის მეზობლად ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი. მართლაც, საყდრიონი სინამდვილეში ესაზღვრება ალვანს, იგი ალვანის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს შეადგენს. თუშები ზოგჯერ აიგივებენ ალვანსა და საყდრიონს, ალვანს საყდრიონსაც კი უწოდებენ.

XVIII საუკუნის ერთ დოკუმენტში სახელწოდება და ადგილმდებარეობა საყდრიონიც გვხვდება. თუშებს, ბარად ჩამოსასაღების შემდეგ, 1780 წლიდან, როგორც ჩანს, თავიანთი ტერიტორია გაუფართოვებიათ და დაუწყიათ ბარის სოფლებში თეთინებობა. ამის გამო საყდრიონის სოფლების მცხოვრებთ მეფე ერეკლე მეორესთან უჩივლიათ. მეფე ერეკლე იძულებული გამხდარა თუშეთის მოურავის დურმიშხან ჩოლოყაშვილისთვის ებრძანებინა თუშების ცხვრის საძოვრების განსაზღვრის თაობაზე. 1781 წლის სექტემბერში მეფე ერეკლე ბრძანებდა, თუშებს უფლება მიეცეთ „საყდრიონის სოფლებში თითო ფარის გამოზამთრებისა, ვინაიდან სოფლები ძალზე პატარებიაო“ (ЦГИА ГССР, фонд № 4, опись 2, дело 274, лист 15).

საყდრიონის დღევანდელ ტერიტორიაზე არც ერთი სოფელი არ მდებარეობს, მაშინ კი საყდრიონს ვრცელი ტერიტორია ეკავა და, როგორც ჩანს, მოიცავდა სოფლებს: ხორხელს, ქისტაურს, ალავერდს და კოდოთოს. ალბათ ამ სოფლების ბოლოებზე უთითებს თავის სიგელში მეფე ერეკლე მეორე, რომ თუშებმა გამოიყენონ ზამთარში თითო ფარის ჩასაყენებლად.

მეფე ერეკლე მეორის სიგელში მოხსენიებული საყდრიონი და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ კახეთში მოხსენიებული საყდრიონი ერთი და იგივე ტერიტორიაა და შიდა კახეთის მცირე ნაწილია. ვფიქრობთ, ეს ტერიტორია უშუალოდ ალვანის ტერიტორიას შეადგენდა, თუმცა ამჟამად სახელწოდება საყდრიონი აღარ იხმარება. ახლა საყდრიონს თუშები უწოდებენ ალვანის მცირე ნაწილს ალაზნის პირას.

პროფ. რ. მაგომედოვი შრომაში «Да-

лекое прошлое Дагестана» (Г. Махачкала, 1941, გვ. 7) აღნიშნავდა, თუშების საცხოვრებელი ტერიტორიის სახელწოდება ალვანი არაბულად სატახტო ქალაქს ნიშნავსო. მართლაც, ალვანის მინდორზე დღემდე შემორჩენილი ქალაქის ნანგრევები, მაგრამ ალვანის მაგომედოვისეული ეტიმოლოგია არაბული ენის მიხედვით მიუღებელი ჩანს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ვარაუდის გამო.

ალვანის აღმოსავლეთით მდინარე ფშაზე გადასასვლელს ახლა ტახტის ბოგირს ეძახიან, ისტორიულ წყაროებში კი გვხვდება სოფელი ტახტის ციხე. სახელწოდება ტახტის ბოგირი და სოფელი ტახტის ციხე მეფე ერეკლე მეორის სიგელბუთშიც გვხვდება. მართალია, დღეს ტახტის ციხის არსებობის არავითარი ნაშთი აღარაა დარჩენილი, მაგრამ ტახტის ბოგირი, რომლის აშენებას თამარ მეფეს მიაწერენ, დღემდე კარგადაა შემონახული. ტახტის ციხე შესაძლებელია ვესახებოდოდა ალვან ქალაქს, ისინი ერთიმეორისაგან დაცილებული იყვნენ დახლოებით ერთი-ორი კილომეტრით. ალვან ქალაქი მდებარეობდა დღევანდელ ზემო ალვანსა და ქვემო ალვანს შორის. ქალაქის ნანგრევები უნახავს ი. გიულდენშტედტსაც. იგი წერს: „ბატრიონიდან 1/2 საათის სავალზე აღმოსავლეთით 3-ოდე ვერსზე ალაზნის იმავე ნაპირზე დაბლობზე არის ნაშთები და განსაკუთრებით ეკლესია ქალაქ ალვანისა, რომელიც ძველად მეფის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.“ („გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 47).

რაც შეეხება ტახტის ციხეს, იგი მდებარეობდა დღევანდელ ქვემო ალვანსა და ლალისყურს შორის. ი. გიულდენშტედტს სოფელი ტახტის ციხეც უნახავს. იგი წერს: „1772 წლის 18 მარტს გავათენეთ სოფელ ლალისყურში... აქედან დასავლეთით 1/4 საათის სავალზე არის სოფელი ტახტიციხე, ხოლო იქიდან 1/4

საათის გზაზე დასავლეთით მალრაანის ციხე“, მდ. ფშას დასავლეთ ნაპირზე (იქვე, გვ. 35).

თუშების ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია გადმოცემა ლევან მეფის სასახლისა და ბაღის ნარჩენების შესახებ, რომელთა აღმნიშვნელი სიტყვები — ნასახლარები, კაკლიანი, საყდრიონი ალვანში დღემდეა შემორჩენილი.

რ. ერისთავმა 1855 წელს გაზეთ „კავკაზში“ გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნავდა: «Чтоб побывать на этом празднике, я нарочно поехал туда (აქ ლაპარაკია თუშების დღესასწაულზე — ნათლისმცემლობაზე). Проезжая Алванское поле или Алонское поле, временное местожительство Тушин, я вспомнил слова моего знакомого, который поле это называет историческим. И в самом деле, развалины палат царя Леона, огромные ореховые и другие фруктовые деревья, остатки бывшего здесь придворного сада и самая местность эта, носящая и теперь название дворца—Сасахле, не напоминают-ли о времени и лицах исторических?»

(Р. Эрстов, «Мои заметки», «Кавказ», 1855, № 33).


რ. ერისთავი აღნიშნულ წერილში მიგვითითებს, რომ ნასახლარები მაშინ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშთი ყოფილა. რ. ერისთავი გარკვევით აღწერს ამ ნასახლარებს და პირდაპირ ლაპარაკობს, ისინი ლევან მეფის სასახლისა და სასახლის ბაღის ნაშთებიაო.

სასახლის ბაღის ნაშთები — ვეშებოთელა კაკლები, რომლებიც ამჟამად მხოლოდ სპობილია, ზემო და ქვემო მცხოვრებ ბევრ თუშს ახლაც ახსოვს, ხოლო სასახლის ნანგრევები დღესაც შესამჩნევია.

1953 წელს 87 წლის მოხუცმა ციმო ბურაკიშვილმა გვიამბო შემდეგი: „ნასახლარებში, რომელსაც სხვანაირად კაკლიანსა და საყდრიონსაც უწოდებენ, მე მახსოვს, შემოდგომობით ცხვრის საპარსავი ბინები გვექონდა, რომ დაცხებოდა თითო კაკლის ქვეშ 1000 სულიანი ცხვრის ფარა თავსდებოდა“. საინტერესოა, ხალხური გადმოცემისა და რ. ერისთავის მიერ აღწერილი სასახლისა და ბაღის ნაშთები ნამდვილად ლევან მეფის სასახლე და საზაფხულო რეზიდენცია იყო თუ არა? შესაძლებელია, კახეთის მეფეს ლევანს მართლაც ჰქონდა ძველი ალვანის მიდამოებში დასასვენებელი სასახლე და კეთილმოწყობილი ბაღი.

შეიძლება დავასკვნათ: ალვანია, ალვანია და ალვანი საერთო წარმოშობის გეოგრაფიული სახელებია. თავდაპირველი ფორმა ალბანია მთელი სახელმწიფო ტერიტორიის სახელია, მის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს ალვანია (მდრ. იბერია — ივერია). ეს უკანასკნელი შედარებით გვიანდელ წყაროებში გვხვდება. საბოლოოდ რჩება ტოპონიმი ალვანი, რომელიც სულ რაღაც 15—20 კმ ტერიტორიის სახელადღა იხმარება, მის პარალელურად გამოიყენება ალვანის მინდორიც.





ჯუმაბაი ჭუმბურიძე

სალიტერატურო ენის საკითხები სამოციანი წლების ქართულ კრიტიკაში

იმ მრავალ საკითხს შორის, რომლებიც 60-იანი წლების ქართულმა კრიტიკამ წამოჭრა, სალიტერატურო ენის პრობლემებს მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა. ასეთი ინტერესი სალიტერატურო ენისადმი არ იყო შემთხვევითი და მას რამდენიმე გარემოება განსაზღვრავდა, უწინარეს ყოვლისა კი ის ფაქტი, რომ ახალ პოლიტიკურ სიტუაციაში ქართულმა ენამ სახელმწიფოებრივი ფუნქცია დაკარგა და ამიტომ დიდი საფრთხე ელოდა. სწორედ მწერლობისა და კრიტიკის მოწოდება იყო გაერკვია ენის პრობლემები და დაესახა განვითარების პერსპექტივა. ეს მით უფრო ევალდებოდა ქართულ კრიტიკას, რომ ჩვენში ენათმეცნიერება, როგორც გარკვეული დისციპლინა, ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამიტომ კრიტიკა კისრულობდა ენის უმთავრესი საკითხების გადაწყვეტას, თვით გრამატიკული ფორმების დაზუსტებამდეც.

ქართული კრიტიკის ერთი უმთავრესი დამსახურება გასულ საუკუნეში ისიც არის, რომ მან მოახერხა ეჩვენებინა ენის განვითარების ტენდენცია და მხარი დაუჭირა ერთიანი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებასა და დემოკრატიზაციას. ასეთი საკითხების გარკვევა მისი პირდაპირი დანიშნულება იყო და ქართული კრიტიკა მათ გვერდს ვერ აუვლიდა, რადგან „ლიტერატურის ისტორიის განვითარების მსვლელობა და ენის ისტორია შეიძლება პარალელურიც იყოს. მათი ურთიერთობა მდგომარეობს არა უბრალო ანალოგიაში, არამედ შესაბამისობა-

თა და გავლენათა მჭიდრო გადახლართვაში“ (მ. ვერლი).

სამოციანი წლების თითქმის ყველა მოღვაწე ეხება ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს და სავანგებოდ დაწერილ სტატიებსა თუ გაკვერთ გამოთქმულ შენიშვნებში ცდილობს გაარკვეოს მშობლიური ენის საკიბობოროტო მხარეები.

ილია ჭავჭავაძე თერგდალეულთაგან პირველი იყო, რომელმაც არა მარტო გაითვალისწინა წამოჭრილი პრობლემის მნიშვნელობა, არამედ მეცნიერულად გააშუქა და დააასაბუთა კიდევ ახალი ქართული სალიტერატურო ენის პრინციპები.

რა თქმა უნდა, წინა პერიოდის ქართულმა კრიტიკამ უკვე გაითვალისწინა მნიშვნელობა ერთიანი სალიტერატურო ენისა და სასაუბრო ენასთან მისი დაახლოებაც მოითხოვა. ისევე როგორც ენის სიწმინდის დაცვა მან ეროვნული მწერლობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიიჩნია. ამ მხრივ მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა და ყურნალმა „ციცკარმა“ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა, რადგან „ლიტერატურის პირველი ღირსება ის არის, რომ ცხოველს, სასაუბრო ენას დაუახლოვდებოდეს, რამდენათაც კი შეიძლება“.

ასე რომ, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს თერგდალეულებს და, კერძოდ, ი. ჭავჭავაძეს, პირველად მოუხდათ სალიტერატურო ენის საკითხებს შეხებოდნენ და მათ პირველად წამოჭრეს ენის დემოკრატიზაციის პრო-

ბლემი. ქართველ სამოციანელებს ამ მხრივ სასეხებით ყამორი ნიადაგი არ დახვედრიათ, რადგან 50-იან წლებში მწერალთა პროგრესულმა ნაწილმა შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა დროის მოთხოვნელებანი და თეორიულად და პრაქტიკულად შესაფერისი ნაბიჯი გადადგა. ამიტომ ძნელად გასაზიარებელია ისეთი მოსაზრება, რომ ილიამ 60-იან წლებში „...წერილი (მოხორცილი წერილი) ახალი ლიტერატურული ენით დაწერა. ამ მხრივ იგი როგორც იაზისი ისე გამოიყურება „ციკლის“ უდაბნოში“: აქ პირველად მოცემულია ხალხისათვის გასაგები, თავის დროისათვის უაღრესად გასაგები, მარტივი ენა“ (იხ. ი. ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1957, გვ. 238. იგულისხმება ილიას „ორიოდე სიტყვა“. დაყოფა ავტორისა).

რა თქმა უნდა, ეს არ არის ი. ჭავჭავაძის დამსახურება ენის სფეროში, რადგან 50-იანი წლების როგორც მწერლობამ (გ. ერისთავი, ლ. არდუზიანი, დ. ჭონქაძე და სხვ.), ასევე კრიტიკამაც ამ მხრივ უკვე მოგვეცეს სათანადო ნიმუშები. ცხადია, ილიას ენა, როგორც მხატვრული ფენომენი, როგორც ქართული ენის განვითარების ახალი საფეხური, დიდი მოვლენა იყო ეროვნული მწერლობის ისტორიაში. მაგრამ ეს სავესებით სხვა საკითხია. პრინციპულად კი, ახალი ქართულის თვალსაზრისით, აშკარაა, ილიას „ორიოდე სიტყვა“ არ იყო პირველი ნიმუში.

ილიას, როგორც კრიტიკოსის, დიდი დამსახურება ის არის, რომ მან სავესებით მეცნიერულად გადაჭრა ახალი ქართული ენის პრობლემები და თვალნათლად დასაბუთა, თუ რატომ უნდა ეფუძნებოდეს სალიტერატურო ენა ცოცხალ, ხალხურ მეტყველებას, როგორია ენის განვითარების ტენდენციები, კერძოდ კი ქართული ენის განვითარების პერსპექტივა. ილიამ სალიტერატურო ენის ძირითადი პრინციპები იმდაგვარად დასაბუთა, რომ ამის შემდეგ არც ებოძა შეუძლებელი იყო სხვაგვარი თვალსაზრისით ენის პრობლემების გაშუქება. ილიას მსჯელობით ფაქტიურად დამთავრდა ენის უმთავრესი საკითხები ის განხილვა და ამის შემდეგ მის მიერ დამკვიდრებულ დებულებებს არსებითი კორექტივი აღარ დასჭირვებია. ილიას მიერ უკვე 60-იან წლებში დასახული გზით წარიმართა ქართული ენის განვითარება და თუ დროაღადრო კამათი კვლავ წარმოებდა, ეს უპირატესად სალიტერატურო ენის ცალკეულ მხარეებს ეხებოდა, რამდენადაც ენის განვითარების პროცესში ყოველთვის წამოიჭრება ენის დახვეწისა და სრულყოფის საკითხი.

ჯერ კიდევ თავის პირველ სტატიაში „ორ-

იოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერთსთავის კასლოვის მიერ „შეშლილი“-ს თაობაზეა, რომელიც 1861 წელს გამოქვეყნდა ხდა „ციკლის“ ილიამ მკაცრად გააპროტიკა რევი. ეროსთავის თარგმანის ენა და ენობრივი-სტილისტური შეუსაბამობის შრავალი მაგალითი მოიყვანა. მაგრამ ცალკეული თარგმანის ენობრივი შეცდომების დასასათუბამ ენის ზოგად საკითხებზე მსჯელობის ხასიათი მიიღო. ილია, არასაპეცილისტო ენათმეცნიერი, ჩინებულად ერკვევა ლინგვისტიკის პრინციპულ საკითხებში. ილიას ამისაგალი დებულება ის არის, რომ „კაცის ენა კერძო პირისათვის იზრდება და ვითარდება; ამ ზრდამი იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდამი ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უფარგისნი არიან ხოლმე; იმითომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი ენა არ ჰგავს ძველ კაცსა“ (ი. ჭავჭავაძე, პასუხი, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1953, გვ. 40). მაშასადამე, ილია ენის განვითარების თვალსაზრისზე დგას; იგი აბტიკცებს, რომ ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა და მას თავისი შინაგანი განვითარების კანონები გააჩნია.

ილიას მეორე პრინციპული დებულება ენისა და ზრდების მიმართებას ეხება. ილია განმარტავს: „სადაც აზრი არ არის, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია; მერე მე არსად არ გამოვიდა, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“ (პასუხი, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 38).

ილიას მსჯელობის მესამე ძირითადი დებულება კი ის არის, რომ ერთიანი სალიტერატურო ენა და მისი განვითარება საერთო ხალხურ, ცოცხალ მეტყველებას უნდა ეფუძნებოდეს, „რადგან ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“. რა თქმა უნდა, საკითხი ისე გამაპროტიკებულად არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა: თითქმის ილიამ და, საერთოდ, სამოციანელებმა, „გვლავაცობის ენა“ გამოაცხადეს სალიტერატურო ენად და ილია და აკაკი არიან „ახალი ქართული ენის შემქმნელები“. ჯერ ერთი, არასდროს ერთი რომელიმე პიროვნება არ ყოფილა ენის შემქმნელი და არც შეიძლება ყოფილიყო. ეს გარემოება კარგად ესმოდა ჯერ კიდევ დ. ბაქრაძეს, — შეესანიშნავ ისტორიკოსსა და ფილოლოგს, — როდესაც 1860 წელს „ციკლის“ წერდა: „რაც უნდა გასაოცარის ნიჭით იყოს შემკული ერთი თუ ორი პირი. ის ენის განვითარებას ვერ შეიძლება; მთელის საზოგადოების საქმეა ანუ მთელის ხალხისა. კერძობითი პირი მხოლოდ შეთვისებს ენას მეტათ თუ ნაკლებად თვისის

ნიქოსაებრ... მამასადამე ცხადია ეს შემდეგი აზრით: საუბარს, რომლითაც არის დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ჩვენ მივაწერთ რუსთველს იმ მიზეზით, რომ ესაა წარმოდგენილი, შთამომავლობანი აღმოჩნდა იქნა და მათ საუბარს ჩვენამდე მოუწვევია მხოლოდ რუსთველის ქმნულგებაში“.

ილიამ და აკაკიმ ეპოქის მომწიფებული პირობებისა და თავიანთი ტალანტის მეოხებით სანაოლოდ გაარკვეეს ახალი ქართული ენის პრინციპები, მამასადამე, ახალსაფეხურზე აიყვანეს და დაამკვიდრეს კიდევ ის პროგრესული ტენდენცია, რომელმაც სალიტერატურო ენის სფეროში უფრო ადრე იჩინა თავი.

მეორედ, არც ერთი ჰემმარტი შემოქმედისათვის „გლეხკაცების ენა“ თავისი პირდაპირი სახით სალიტერატურო ენა არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ილიამ, უწინარეს ყოვლისა, საერთოდ კი ქართულმა სამოციანელებმა, „გლეხკაცების ენა“, ე. ი. ერის უდიდესი ნაწილის ცოცხალი მეტყველება, გამოაცხადეს ერთიანი სალიტერატურო ენის საფუძვლად, მის მასაზრდოებელ ნიადაგად, რადგან მათ კარგად ესმოდათ, რომ ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან მკიდრო კავშირის გარეშე სალიტერატურო ენა ვერასოდეს განვითარდება, იგი დღენაკული აღმოჩნდება. ეს არის ჩვენი სამოციანელების, კერძოდ კი ილიას ერთი უდიდესი დამსახურება, რადგან წინა პერიოდის კრიტიკოსებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ენის განვითარების თვალსაზრისზე იდგა, არ ესმოდათ სალიტერატურო ენისა და ხალხური მეტყველების ურთიერთკავშირის პრინციპული მნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ ისინიც უყოყმანოდ აცხადებდნენ: „დაბალი ანუ გლეხური ენა სათქმელი არ არისთ“ („ცისკარი“, 1860, № 8, გვ. 329).

ი. ჰავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა თეორიულად და პრაქტიკულად თანმიმდევრულად გაატარეს თავიანთი თვალსაზრისი და უკვე 60-იან წლებშივე ერთიანი სალიტერატურო ენის განვითარება ახალსაფეხურზე აიყვანეს.

აი ასეთი პრინციპებით მიუდგა ი. ჰავჭავაძე ენის კონკრეტული საკითხების გადაჭრას და სწორედ ამიტომ მოახერხა მან ქართული ენის მრავალი საკვირბოროტო ფაქტის გარკვევა.

როგორც ცნობილია, ერთი პირველი საკითხი, რომელმაც ლიტერატორთა ძველი კონსერვატიული თაობის აღშფოთება გამოიწვია, სწორედ ენის საკითხი იყო, კერძოდ კი მართლწერის გამარტივების მოთ-

ხოვნა. თავისი „ორიოდ სიტყვის“ დასაწყისშივე ილიამ განაცხადა:

— უ, უმ, ა, ჰ, კ — ეს ასოები მარია ჩვენს სტატიამ; თუ ვინც მათ, ეს ენის წინააღმდეგ მიჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არ ვხმარობთ“ (ი. ჰავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, III, გვ. 7, სქოლო).

ძველი თაობის წარმომადგენელთა შორის მრავალი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც ახალგაზრდა მწერლის ეს განცხადება „ენის წინააღმდეგ მიჩნდეს“, ამიტომ ილიას დასჯირად დავსაბუთებინა თავისი აზრი, რაც მან ბრწყინვალედ განახორციელა მომდევნო სტატიამ („პასუხი“).

ილია იცავს ენის განვითარების თვალსაზრისს და ამტკიცებს, რომ თანამედროვე ანბანისა და, საერთოდ, მართლწერის გამარტივება თვით ქართული ენის განვითარებით არის ნაკარნახევი. ილია ცალ-ცალკე განიხილავს თითოეულ სადავო ასოს და ასაბუთებს, რომ ასო ბგერის გრაფიკულ გამოხატულებაა, ხოლო ამკამინდელ მეტყველებაში აღნიშნული ბგერები აღარ იხმის, მამასადამე, დაკარგულია თვით სადავო ასოების ფუნქცია; ბ. ჯორჯაძის საპასუხოდ ილია დაბეჭდვით აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში თვით ენის ბუნებისა და მისი განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით, მხოლოდ ხალხის მეტყველებაზე დაყრდნობით შეიძლება გადაიჭრას სადავო საკითხები.

ილია მიუთითებს: „შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა“ ამკამალ შეიმჩნევა რუსეთსა და ევროპის ყველა ქვეყანაში, რადგან, საერთოდ, აქეთენ მიმართება ენის განვითარების ტენდენციათ.

ასეთი ანალოგიით ილიამ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა თავისი მსჯელობა და არსებითად გადაწყვიტა კიდევ მართლწერის გამარტივების საკითხი.

აქვე უნდა შევინიშნოთ, რომ დასაზუსტებელია გავრცელებული აზრი, თითქოს „...ილია იყო პირველი, რომელმაც ქართული ანბანიდან ზედმეტ ასოების განდევნის ხარჯზე მოითხოვა ქართული ენის გამარტივება“ (ა. ვაჩიჩილაძე, ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურაში, 1957, გვ. 38, შდრ. ა. კალანდიაძე — ილიამ „...პირველად წამოაყენა ქართული ორთოგრაფიის გამარტივების საკითხი“ („ი. ჰავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის“ დაარსება-შენარჩუნებისათვის“, 1957, გვ. 26).

თუ საკითხის ისტორიას გავითვალისწინებთ, მაშინ ვნახავთ, რომ ჯერ კიდევ 50-იან წლებში წამოიჭრა მართლწერის გამარტივების ტენდენცია და უკვე 1855 წელს პროფ.

დ. ჩუბინაშვილმა ამ მხრივ საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა თავისი თვალსაზრისის (დ. ჩუბინაშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა, პეტერბურგი, 1855, გვ. 2). ასეთსავე პოზიციას იცავს დ. ჩუბინაშვილი მომდევნო წლებშიც, მაგალითად, 1857 წ. იგი აცხადებს, რომ შეგნებულად წერს ჩვენ და არა ჩუჲნ და სხვ., — რადგან ეს უფრო მართებულად მიიჩნია (Ответ на отзыв о грузинской грамматике проф. Чубинова, Кавказ, 1857, № 48).

მაგრამ ფაქტია, რომ დ. ჩუბინაშვილის მაშინდელ განცხადებას თითქმის არავითარი გამოხმაურება არ ჰქონია, მას არ გამოუწვევია არამე რეაქცია ლიტერატურულ წრეებში, მაშასადამე, მართლწერის გამარტივების საკითხი წინანდებულად გადატურელი დარჩა. ი. ჭავჭავაძის მსჯელობის მეცნიერულმა ხასიათმა, წერილების შემტემა, მეგრძოლმა ტონმა კი არსებითად განსაზღვრა არა მარტო ორთოგრაფიის გამარტივების, არამედ, საერთოდ, ავტორის მიერ წამოჭრილი საკითხების რეზონანსი. უნდა დაწყებულყო ცხარე პოლემიკა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პრინციპები წამოთავსა ახალმა თაობამ, რომლის კატეგორიული მოთხოვნების მიმართ ლიტერატორთა ძველ თაობას აღარ შეეძლო გულგრილი დარჩენილიყო. გაიმარჯვებდა ის, ვინც თავისი დროის მეცნიერული აზროვნების სიმაღლეზე აღმოჩნდებოდა. და სწორედ ილიამ, თერგდალეულთა თავკაცმა, 60-იან წლებში ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა მართლწერის გამარტივების საკითხი, რადგან მან მეცნიერულად და აკადემიურად ის დებულებები, რომლებიც დ. ჩუბინაშვილმა უპირატესად ფაქტების აღნიშვნითა და მორიდებული სურვილის სახით წარუდგინა მკითხველს.

ილია თვლიდა, რომ ენის სიწმინდის დაცვა ქართული მწერლობის უპირველესი მოვალეობაა. ხოლო იმეამინდელ ქართულს რომ მიხედვა სჭირდებოდა, რომ „ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენასა“. მწერალი ამას არ მალავდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის ერთ უმთავრეს მიზეზად ილიას ფრანკის არაქართული კონსტრუქცია, არაბუნებრივი წყობა მიიჩნა. მაგრამ მას ავრთვე კარგად ესმოდა. რომ არანაკლებ სახიფათო იყო უცხოური ლექსიკის მოჭარბება, რაც ზარბარისშემების სახით მკვიდრდებოდა ჩვენში. ამიტომ ილია მკაცრად გამოხდა იმ მწერლებს, რომლებსაც „...რადღაც გარმიანული სიტყვები. მაგ. ზაღანა. ოსტროვები, ლინიები“ შემოჰქონდათ მშობლიურ ენაში. ამავე დროს, ითვალისწინებდა რა ენის განვითარების ტენდენციას, ილია მართებულად ფიქ-

რობდა, რომ საჭიროა ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება და ამის ერთი გზა საერთაშორისო სიტყვების მიღებაა. იგი აღნიშნავდა, რომ საჭიროა მკვეთრად გავმიჯნოთ ქართული ენისაგან ზარბარისშემები და საერთაშორისო სიტყვები. ამ უკანასკნელთა მიღება არამც თუ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა, რადგან ნაკარნახევი ცხოვრებისა და ენის განვითარების ტენდენციით და ამ მხრივ ქართული ენა გამოეპოვოს ვერ იქნებო.

ასეთი მსჯელობით ილიამ მხარა დაუჭირა იმ მართებულ ტენდენციას, რომელიც მიზნად ისახავდა ენის სიწმინდის დაცვასა და ენის ლექსიკის გამდიდრებას. ს. ლოდაშვილისა და 50-იანი წლების ზოგიერთი კრიტიკოსის მიერ ამ მხრის გამოთქმული მოსაზრებები ილიამ ერთხელ კიდევ გააშუქა და ქართულ მკითხველს ნათლად გაუთვალისწინა წამოჭრილი საკითხის მიწვევლობა (ისიც აღსანიშნავია, რომ თავის პირველ კრიტიკულ წერილებში ილია შეეხო ქართული ზმნის ბუნებას, ზელსართავი და არსებითი სახელების შეთანხმების საკითხს, ზმნიზედს. ნაცვალსახელს და სხვ. ყოველივე ეს უფროდ საინტერესოა ქართული ენის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისით).

60-იან წლებში, როდესაც თერგდალეულები ფართო სამოქმედო პროგრამით გამოვიდნენ, როგორც აღვნიშნეთ, ისინი უკუურადღებოდ ვერ დატოვებდნენ სალიტერატურო ენის საკითხებს, მით უფრო, რომ რეალისტური ხელოვნების ინტენსიური განვითარება დიდად იყო დამოკიდებული ერთიანი სალიტერატურო ენის, ახალი ქართულის საბოლოო დამკვიდრებაზე.

სავსებით ბუნებრივია, ილიას „საქართველოს მოამბე“ ვეერღს ვერ აუვლიდა ქართული ენის უმთავრეს პრობლემებს და, მართლაც, უკრანალში გვხვდება საინტერესო შენიშვნები. ყველაზე საყურადღებო მაინც დავით ყიფიანის სპეციალური სტატიაა — „რიგიანი ქართული გრამატიკის შესაბამისეგებელ მასალებად“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა.

დ. ყიფიანს კარგად ესმის საკითხის მნიშვნელობა, ესმის, რომ სალიტერატურო ენის პრობლემის მოგვარება გადაუდებელი ამოცანაა:

„მთელ ქართველობაში სუყველამ ერთმანეთს ხელი მივაწოლოთ ენის დამუშავებასათვისა და ამით ლიტერატურა სწორე გზაზე დავაყენოთ. ლიტერატურა არის ხალხის სიცოცხლე და იმ ხალხსა, რომელსაც სალიტერატურო ენა არა აქვს მტკიცედ დადგენილი, იმ ხალხსა მეთქი ხალხოზა არ ეთქმის“ („საქართველოს მოამბე“, 1863, № 3. გვ. 75).

დ. ყიფიანი ეკამათება ა. ორბელიანსა და დ. ბაქრაძეს და, თუმცა მას მთლად სწორად არ ესმის აღნიშნულ პირობა გრამატიკული მოსახრებანი, ერთი რამ ცხადია: წერილის ავტორი შეგნებულად დგას ერთიანი სალიტერატურო ენის პოზიციასზე და კატეგორიულად უარყოფს ქართული ენის რაიმე „განყოფას“ („მალა-ფრაზიანად და მდაბალ-ფრაზიანად“. „საეკლესიურად, მდაბიურად და გლენჯაკების ენად“, „საშუალო ენად“), იგი მტკიცედ მოითხოვს სალიტერატურო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოებას.

დ. ყიფიანის აზრითაც, ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. მას ესმის ენის განვითარების ხასიათი. ამიტომ აღნიშნავს იგი, რომ ყველა ენას განუცდია ცვლილება. ასეთი თვალსაზრისი მას საშუალებას აძლევს კატეგორიულად უარყოფს ძველი ქართული და დაასაბუთოს ახალი სალიტერატურო ენის უფლებები:

„ყოველგან ეს განყოფილება მაშინ ყოფილა ენაში, როდესაც ენა არ ყოფილა ჭერ დამდგარი საზოგადო-სახალხო ლიტერატურის სილარბის დროსა. ყოველ ლიტერატურის ენას ვაუღლია ეს არეულობა ძველსა და ახალ ფორმებს შუა, მანამა ენის ერთი სალიტერატუროდ დაღვრამილება სიმტკიცეში არ შესულა; რაკი ეს დრო მოვა — მაშინა მალა-ფრაზიანობასა და მდაბალ-ფრაზიანობასა ალაგი აღარა აქვს, თუ ისეთი უყუ-მქცეველი ცრუფილოსოფოსი გამოვიდა ვინმე, რომელიც ძველბურ მალა-ფრაზიანობას დაწყებს, მაშინვე სასაილოთ აიგდებენ“ („საქართველოს მოამბე“, 1863, № 3. გვ. 83).

ავტორის მსჯელობაში ორთოგრაფიის გამარტივების თაობაზე ახალი არაფერია. დ. ყიფიანი ფაქტიურად ილიას არგუმენტაციას იმეორებს. ისიც ხალხის ცოცხალ მეტყველებზე იღებს ორიენტაციას და ასაბუთებს, რომ რაკი სადავო ასოებს შესატყვისი ბგერები არ მოემეგვებათ ცოცხალ მეტყველებაში, ამიტომ მათი დატოვება ქართულ ალფაბეტში ვაუმართლებელიაო. მაგრამ დ. ყიფიანი იმდავჯარად მსჯელობს, თითქოს მანამდე ქართულ კრიტიკაში ამ საკითხზე არაფერი თქმულა, — მხოლოდ ერთხელ იგი პრლემიკურად იხსენიებს პროფ. დ. ჩუბინაშვილს. ეს გარემოება აღნიშნა ჭერ კიდევ „ცისკრის“ რეცენზენტმა:

„რვა წელიწადია რაც უ. ჩუბინაშვილის დრამატია არის დაბეჭდილი, რომელიც მთელმა საქართველომ იცის, სადაც შენზედ უკეთ, ნათლად და მოკლედ არის გარჩეული ხსენებული ასოების უქმობა და ღირსება... ამას ისიც დავამატოთ, რომ უ. ჩუბინაშვილი 1851 წ. ახალი დროს „ქართლის ცხოვრება“ დაბეჭდა, რაც უქმი ასოები სრულებით არ არის

ნახმარი, ზოგი ალავს 3 და 4-ს გარდა, ესეც როგორც შემიტყვია, მესტამის შემტლონი გარდა ამისა უ. ჩუბინაშვილს დაბეჭდა, რომელიც ქართული ნრისტომატია, არც ერთი ასო არ არის ნახმარები ის ასოები...“

ესეც რომ არ იყოს უ. ი. ჭავჭავაძემ ამ სამ წელსადე წინ კარვა გრძალდ მოილაპარაკა „ცისკარში“ ამ ასოებზედ და უ. ყიფიანზედ წინ გამოსტქვა ჰაზრი იმით უქმობისა“ (ულოლიკო, ორიოდ სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიაზედ „გრამმატიკის შესაძრ-შავებელ მასალებად“, ცისკარი, 1863, № 9, გვ. 106-107. წერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ დ. ყიფიანი ამ საკითხზე პროფ. დ. ჩუბინაშვილის ლექციებსაც ისმენდა პეტერბურგის უნივერსიტეტში (ულოლიკოს რეცენზიის განხილვა უფრო დაწერილებით იხ. შემდეგ).

საკუთოდ, დავით ყიფიანის სტატია საკითხების სიხალთ ყურადღებას არ იქცევს. ყოველივე ეს უფრო ადრე აღნიშნეს დ. ჩუბინაშვილმა, დ. ბაქრაძემ და განსაკუთრებით კი ი. ჭავჭავაძემ. მაგრამ ამ სტატიის გამოქვეყნება მაინც საკურო იყო „საქართველოს მოამბეში“, რადგან ახალი ქართული ენის საბოლოოდ დახვეწისა და დამკვიდრების საქმე ჭერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

ი. ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულების ლიტერატურულ პრინციპებს ოზიარებდა და ენერგიულად იცავდა ბერტი უმიკაშვილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი წერილი — „ილია ჭავჭავაძის მოწინააღმდეგეთა მიმართ“, დაწერილი 1861 წელს. ავტორს იგი წარუდგენია „ცისკარში“ დასაბეჭდად, მაგრამ ჟურნალის რედაქციას აღარ გამოუტყვევნება (წერილი დაცულია საქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1746). 1956 წ. ჟურნალ „მნათობში“ იგი გამოაქვეყნა ლ. ბერძენიშვილმა).

სათაური უკვე მიუთითებს წერილის ტენდენციასზე. ავტორი მკაცრად ესიტყვება ი. ჭავჭავაძის ოპონენტებს — გ. ბარათაშვილს, ს. ალექსი-მესხიშვილს, ი. კერესელიძეს, საერთოდ კი ძველი თაობის ლიტერატორებს ეკამათება.

პ. უმიკაშვილი, კერძოდ, ვრცლად მსჯელობს სალიტერატურო ენის საკითხებზეც. მართალია, ილიას შემდეგ იგი ახალს არაფერს ამბობს, მაგრამ ეს წერილი მაინც საინტერესოა, როგორც ერთ-ერთი პირველი გამოცხადი თერგდალეულთა ენობრივი პრინციპებისა.

უპირველეს ყოვლისა. კრიტიკოსი მკაცრად ილაშქრებს ენის რაიმე დაყოფის წინააღმდეგ და თუ იგი ყოველთვის ვერ ითვალისწინებს, რომ საგნის სპეციფიკისა და მიზანდასახულობის მიხედვით ენობრივ-სტი-

ლისტური განსხვავების არსებობა ზოგჯერ აუცილებელიცაა და ამხრივ ნიველირება აო შეიძლება, სამაგიეროდ პ. უმიკაშვილის კარგად ესმის ერთიანი სალიტერატურო ენის მნიშვნელობა, ენის განვითარების ტენდენცია და ენაში მომხდარი ცვლილებათა გთვალისწინების საჭიროება. იგი წერს: „ცხადი საქმეა, რომ ენა ხალხში დაბადებულია. გაიწინა. ხალხის ცვლილებასთან ენაც იცვლება. ხალხის გამოცდილებასთან ენაც პირველად შემუშავებული ვითარდება. ათას წლის განმავლობაში პირველ ძველ ენას რომ შევადაროთ უკანასკნელი ახალი, რასაკვირველია, რომ დიდ ცვლილებას ენაზე. ძველი ენა ახალ ხალხში აღარ იხმარება, ამიტომ რომ ის ძველი ენა ძველ ხალხთანვე მომკვდარა და პირველი ეს არის, რომ ენა უფრო და უფრო, როგორც ხალხი უფრო და უფრო, სისრულეში შესულა. ზოგიერთ ხალხში ისე მომხდარა, რომ ენა ხალხთანვე მომკვდარა, მაგალითად, რომნი გაჰქრნენ, ენასაც ისე დაემართა. მწერლობა რომ არა ჰქონდათ იმათ, ეხლა არავის არცეი ეცოდინებოდა იმათი ენა, მაგრამ თუ ენის ვინმემ, ისე იცის, როგორც მკუდარი იცის და არა ცოცხალი“ („მნათობი“, 1956, № 12, გვ. 173).

პ. უმიკაშვილის ეს მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ მას გათვალისწინებული აქვს ენის ხასიათი, იცის, რომ ენა საერთო ეროვნული ფენომენია და ენის ბედი ხალხის ბედთან არის დაკავშირებული. ამიტომ კრიტიკოსი კატეგორიულად მოითხოვს სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციას, საერთო სახალხო მეტყველებასთან მის დაახლოებას.

პ. უმიკაშვილის ღრმა რწმენით, ენა დახვეწილი, სავსე, მამასადამე, თანამედროვე და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს.

პ. უმიკაშვილის წინაშე, ზოგიერთი თანამედროვისაგან განსხვავებით, არ დგას საკითხი, არის თუ არა საერთო მწერლობის ენა ახალი ქართული და შეიძლება თუ არა მისი გამოყენება, თუნდაც გარკვეული კონფორმის შემდეგ. XIX ს. 60-იან წლებში კრიტიკოსი პრინციპულად უარყოფს საერთოდ ძველ სალიტერატურო ენას, ენის განვითარების თვალსაზრისზე დგას და მოითხოვს, რომ ახალ მწერლობას შეუფარდონ ახალი ენა, რომელიც თავის მხრივ საერთო სახალხო მეტყველებას დაეფუძნება.

შემდეგ პ. უმიკაშვილი იმ აზრს ანვითარებს, რომ „ენას კაცი ვერც ღრამბატკით ისწავლის, ვერც არა თეორიულადა. ენას კაცი ენითვე ისწავლის ცხოვრებაში“, „ენის სწავლის წყარო ჩვენთვის ცხოველ ენაში უნდა მოიძებნოდ“. მისი სიტყვით, მშობლიურ ენას უმსწავლა და დაცვა უჭირდება, რადგან თანამედროვე ქართული ფრადა წარუგნილია—...ეს უნდა ეთქვას, რომ ჩვენ უფ.

მწერლებმა ენა არ ვიცით. პირველი მიზეზი ეს გახლავს, რომ დიდი ხანი არ გახლავს რაც წერისათვის ხელი მიგვიყვია, მეორედ, რომ ენა სწავლა სხვა ენაზე მიგვილია“.

იგი აკრიტიკებს ძველი თაობის ზოგიერთ მწერლის ქართულს, სამაგიეროდ იცავს ი. ჭავჭავაძის ენას და არ იზიარებს ილიას ოპონენტთა შენიშვნებს. გატაცებული თანამოაზრის დაცვით, პ. უმიკაშვილი ზოგჯერ ისეთ შენიშვნასაც უფულობელყოფს, რომელიც თვით ილიამ მართებულად სცნო (მაგალითად, გ. ბარათაშვილისეული გასწორება ი. ჭავჭავაძის ტაეპისა ლექსიდან „ელეგია“ — „როსლა გვექნება ჩვენ გავიძობა“ — კაცის ენაშია უსაფუძვლოდ მიიჩნია). იგი იცავს ილიას არა მარტო ორიგინალურ ლექსებს, არამედ მისი თარგმანების ენობრივ-მახტვრულ ღირსებასაც.

ანტონ ფურცელაძე ერთი იმ სამოციანელთაგანი იყო, რომელმაც საერთო ენა ვერ გამოიხატა ი. ჭავჭავაძის ჭგუფთან და იგი მწვავე პოლემიკასაც კი აწარმოებდა „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლებთან. მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ კი ენის საკითხებზე მას არსებითად განსხვავებული შეხედულებანი არ ჰქონია და სხვა სამოციანელებთან ერთად ა. ფურცელაძემ დაამკვიდრა ჩვენში რეალისტური სალიტერატურო კრიტიკის პრინციპები.

თავის კრიტიკულ სტატიებში ა. ფურცელაძე აქა-იქ შეეხო სალიტერატურო ენის საკითხებს და ყურადღება უზიარტესად მხატვრული ნაწარმოების ენაზე გაამახვილა. კრიტიკოსს კარგად ესმოდა მწერლისა და პერსონაჟების მეტყველების თავისებურებათა ხასიათი, ენისათვის ბუნებრივი სინტაქსური წყობის შენარჩუნების აუცილებლობა; იგი ერთმოდა ბარბარისმების მოქარბებას ქართულ ლექსიკაში, მოითხოვდა ქართული ანბანის გამარტივებას, მოძველებული ასოების ამოღებას. მართალია, როგორც მწერალი, თვით ა. ფურცელაძე საქმოდ სცოდავდა ენის სიწმინდის მხრივ, მაგრამ თეორიულად კრიტიკოსი შეგნებულად იცავდა პურიზმის პრინციპებს. მას ისიც აღფიფქვნიდა, რომ „უმთავრესი ნაკლებევაენება აქამდენი მწერალი გრამბატკოსებისა ეგ არის, რომ ისინი ახეივდნენ ხალხს თავისგნით შედგენილს კანონებსა და გრამბატკიას არა ჰხდინენ აღმასრულებლათ ხალხისაგან შემუშავებულის კანონებისა“ („ცისკარი“, 1863, № 7, გვ. 355).

ნიშანდობლივია, რომ ამ თვალსაზრისით ა. ფურცელაძემ უარყოფითად დაახასიათა თვით „სურამის ციხის“ ენაც კი. მაკარაღ შეუფასა იმ ნაწარმოების ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებანი, რომელსაც იგი, სა-

ერთოდ, თვალსაჩინო მოვლენად თვლიდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. კრიტიკოსის სიტყვით, დ. ჭონჭაძის „სურამის ციხის“ ენა დაუხვეწავია, აღსავსეა ბარბაროზებით, კერძოდ კი რუსიციზმებით. ა. ფურცელაძემ იმ თვალსაზრისი დაუქირა მხარი, რომ დაუშვებელია ავტორისა და პერსონაჟების მეტყველების ნიველირება, რომ ამ უკანასკნელთა მეტყველება ღრმად ინდივიდუალური უნდა იყოს და ფეუქნებოდეს იმ ენას, „რომელსაც ისინი ხმარობენ ნამდვილათ“ (ა. ფურცელაძე, „სურამის ციხე“ დ. ჭონჭაძისა, „ციციაკონი“, 1863, № 1).

ასევე მკაცრად შეაფასა ა. ფურცელაძემ ზოგიერთი სხვა ქართველი მწერლის მხატვრული ნაწერების ენაც. ამ მხრივ, მისი მსჯელობა ყოველთვის ვამართლებული და ობიექტური ვერ იყო. მაგალითად, კრიტიკოსმა საესტეტიკო უარყო გ. ერისთავის დამსახურება ენის სფეროში და არ გაითვალისწინა, რომ დრამატურგის მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯი პრინციპულად ნიშნავდა სალიტერატურო ენის სასაუბრო, ცოცხალ მეტყველებასთან დაახლოებას. როგორც „სურამის ციხის“ ენის დახასიათების დროს, ა. ფურცელაძე ახლაც აღნიშნავს, რომ ავტორისა და პერსონაჟების მეტყველება ნიველირებული არ უნდა იყოს და ამ უკანასკნელთა ინდივიდუალურ მეტყველებას უნდა განსაზღვრავდეს თვით ცხოვრებაში მათთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი. კრიტიკოსის ამ მოთხოვნას უთუოდ აკმაყოფილებდა გ. ერისთავის კომედიების ენა. მაგრამ მან ხელაღმობი გააბიძგა ქართველი დრამატურგის დამსახურება.

ასევე მკაცრად და არაობიექტურად შეაფასა ა. ფურცელაძემ მთლიანად „საქართველოს მოამბის“ ენა:

„გარდა ამ ქურნალის გზა დაკარგვისა, ენაც ზომ ყველა მკითხველმა ვიცით რაც ენაა, ეს გაწმენდილი სალიტერატურო ენა კი არ არის, ეს სწორედ დღეობაში საჭაჟყანო ენაა. მეტადრე დმკრთმა ნუ მოგაკლავთ ჭკეპაძის კუდ მოკნეტილი ენა და დავით ყიფიანის ტელემახიდური სლოგი“ („ციციაკონი“, 1863, № 7, გვ. 376-377).

ა. ფურცელაძემ ყურადღება მიაქცია ქართულად თარგმნილი ზოგიერთი ნაწარმოების ენასაც. კერძოდ, ამ თვალსაზრისით დაახასიათა მან ს. ალექსი-მესხიშვილის მიერ თარგმნილი ეყენ სიუს „მიმოგზაური ურია“ („მოხეტიალე ურია“). იცავს რა სალიტერატურო ენის სისადავის პრინციპს და უარყოფს არქაულ, მწიგნობრულ მეტყველებას, ა. ფურცელაძე მწარედ დასცინის ს. ალექსი-მესხიშვილს.

მოუხედავად ცალკეული მცდარი მსჯელობისა და ზოგიერთი ქართველი მწერლის ენ-

ობრივი ღირსების არასწორი შეფასებისა, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ა. ფურცელაძის კრიტიკულ წერილებში გაცემული ძირითადი ტენდენცია, რაც უკანასკნელს სალიტერატურო ქართულისა და მისი დემოკრატიზაციის პრინციპების აღიარებას ნიშნავდა. ამ მხრივ, სხვა სამოციანელებთან ერთად, ა. ფურცელაძემ უდავოდ შეუწყო ხელი სალიტერატურო ქართული ენის შემდგომ აღმავლობას.

1865 წელს ქურნალ „ციციაკონი“ დიმიტრი ჯანაშვილმა (ინგილა) გამოაქვეყნა პოლემიკური წერილი „მაზე“, რომელიც მიმართული იყო ღვიმელის წინააღმდეგ. დ. ჯანაშვილის სტატიაში ორი მნიშვნელოვანი საკითხია აღძრული: ძველი და ახალი ქართული მწერლობის შეფასება და სალიტერატურო ენის რეფორმა. დ. ჯანაშვილი უმეტესწილად საკმაოდ სწორად მსჯელობს წამოჭრილ საკითხებზე და მისი მოსაზრებანი როდი უპირისპირდება ახალ ლიტერატურულ პრინციპებს. ამ აზრით, დ. ჯანაშვილის მოქცევა ლიტერატურთა ძველი თაობის ზანაკში მართებული არ იქნებოდა. მეორე მხრივ, მას ვერც თერგ-დალეულთა თანამებრძოლად მივიჩნევთ, რამდენადაც იგი პოლემიკას აწარმოებს ახალთაობის ამ გვეუფთან და ილიასა და აკაკის დამსახურების გაბიძგრებას ცდლობს. დ. ჯანაშვილი თავისი მრწამსით უეჭველად სამოციანელია, მაგრამ ერთი იმთავანი, რომელმაც ვერ მოახერხა საერთო ენის გამოწანება ი. ჭავჭავაძის თანამოაზრეთა თან.

ბევრი თანამედროვის მსგავსად, დ. ჯანაშვილსაც მიაჩნია, რომ „ეხლა ჩვენი ენა ძლიერ არეულია სხვა ენებში, ესე იგი ნამდვილი ქართული ენა, თუ ასე უშიშოდება ვსთქვათ, რუსულ-სომხურ ქართულად მოქცეულა“. ამიტომ იგი ცდლობს გაარკვიოს ქართული ენის „აღდგენის“ გზა. ერთ მნიშვნელოვან პირობად მას მიაჩნია ძველი ლიტერატურის შესწავლა. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ძველი ქართული ენის რესტავირებას მოითხოვს. კრიტიკოსი მხოლოდ მდინდარი ძველქართული ლექსიკის გამოყენებას თვლის შესაძლებლად, ამიტომ იგი პრინციპულად წინააღმდეგაა „ძველი ენის გრამატიკის ფორმებისა“ და „ძველი ლიტერატურის ენის კილოსი“. დ. ჯანაშვილი მოითხოვს აღდგენილი ძველი ქართული ლექსიკაც „ახალ კილოზე იმპრონ“. მართალია, მის მსჯელობაში არ არის აღნიშნული, რომ ცოცხალ მეტყველებასთან სალიტერატურო ენის კავშირი არის საფუძველი თანამედროვე სალიტერატურო ქართულის დადგენისა, მაგრამ კრიტიკოსი ისე დაბეჭითებით უარყოფს ძველ ქართულს და ლაპარაკობს „ხალხის ენაზე“ (მწერლობის ენა „ხალხის ენა“.



უნდა იყოს, ყველასთვის გასაგებია), რომ აშკარაა, მას კარვად აქვს შეთვისებული ახალი ენობრივი პრინციპები.

რა თქმა უნდა, ძველი ქართული ენის ცნებაში დ. ჯანაშვილი საერთოდ მეცხრამეტე საუკუნის წინანდროინდელი ლიტერატურის ენას გულისხმობს და, ზოგიერთი თანამედროვისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ქართული ენის განვითარების ისტორიულ საფეხურებს. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის არის, რომ კრიტიკოსის ესმის თანამედროვე ქართული საკითხის სპეციფიკა და იცის, რომ ძველი პერიოდის მწერლობის ენა თავისი პირდაპირი, უცვლელი სახით მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას ვეღარ გამოადგებოდა (ქართული ენის აღრევის ერთ-ერთ მიზეზად დ. ჯანაშვილი ისიც მიაჩნია, რომ მშობლიურ ენაზე საკითხავი წიგნები არ გვაქვს და „ამ მიზეზისა გამო უმეტესი ნაწილი ქართველთაგანნი შეილებს ევროპულ ენაზედ ასწავლის წიგნსა“. უფრო ადრე ამავე აღნიშნავდა უ ლ ო დ ი კ ო ლ).

60-იან წლებში გამოქვეყნებული თითქმის ყველა კრიტიკული წერილი არსებითად შედეგი იყო იმ უთანხმოებისა, რაც ლიტერატურათა ძველსა და ახალ თაობებს შორის წარმოიშვა. ძველი თაობის წარმომადგენლები უპასუხოდ როდი ტოვებდნენ „შვილების“ გამოსვლებს. 60-იანი წლების ვრცელ კრიტიკულ მემკვიდრეობაში მცირე ადგილს არ უჭირავს „მამათა“ პოლემიკურ სტატიებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ბარბარე ჯორჯაძე, რომელიც, ეჭვი არ არის, უფრო მეტად ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულმა პოლემიკამ გამოაჩინა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ცნობილია, რომ ილიას „ორიოდე სიტყვის“ საპასუხოდ სამი წერილი დაიბეჭდა ერთდროულად „ცისკარში“: ბ. ჯორჯაძის, რვე, ერისთავის და გ. ბარათაშვილისა. თუმცა კამათის დაწყება მაინც მწერალ-ქალს ხვდა წილად, რამდენადაც იგი იყო პირველი სტატიის ავტორი.

უეჭველია, ბ. ჯორჯაძეს გულწრფელი სურვილი და ჩენი მწერლობის სიყვარული ამოძრავებდა, როდესაც იგი მკაცრად გამოეპასუხა ახალგაზრდა ილიას. მას ღრმად სწამდა თავისი სიმართლე. მაგრამ, სამწუხაროდ, მწერალი ქალის ლიტერატურული შეხედულებები საკმაოდ პრიმიტიული იყო, ხელოვნებისა და ენის საკითხების მისეული გაგება ხშირად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნილებებს, მაინც იგრძნობოდა „შინიღამ გამოუსვლელობა“. ერთი სიტყვით, დასაწყისშივე აშკარა იყო ის განსხვავება ძველსა და ახალ თაობებს შორის, რამაც განაპირობა „მამების“ დამარცხება.

ბ. ჯორჯაძემ უყურადღებოდ არც ილიას ცნობილი „პასუხი“ დატოვა: 1861 წლის რექტემბერში გამოაქვეყნა სტატია — „პასუხს პასუხი“ და ამით დაამთავრა კამათი თაობასთან.

ორივე წერილში ბ. ჯორჯაძე ძირითადად სალიტერატურო ენის საკითხებს შეეხო. კრიტიკოსის ამოსავალი დებულება ის არის, რომ „ენას, ჩენს მამაბაბათ დარბაისლს ენას, არც ამაღლება ეჭირებება, არც დამდაბლება, ჩენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქვენებრ მწერალთ წყალობით, რომელსაცა დაფუძნება უნდა და მიმართულება“ (ბ. ჯორჯაძე, პასუხის პასუხი, „ცისკარი“, 1861, № 9, გვ. 98. არსებითად ეს არის ა. ორბელიანის თვალსაზრისის განმეორება).

ცხადია, ბ. ჯორჯაძეს ენის განვითარების ტენდენცია არ ესმის, არ იცის, რომ ენა ისტორიულად იცვლება. ამიტომ მას ვერ გაუგია ილიას სიტყვები: „ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველს კაცსა“. როგორც ჩანს, ბ. ჯორჯაძეს საერთოდაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს საზოგადოების განვითარების ისტორიაზე, რადგან ილიას გულუბრყვილოდ, მაგრამ დაჯერებულად პასუხობს:

„როგორ მითომ? რაკი კაცი დაუბადები დმერთს, იმ დლიდამ მოკიდებული ერთის სახიერებისა გამოდიან, ესკი არის, ზოგი იბადება ლამაზი, ზოგი გონჯი, ბრძენი და ზოგი სულელი. ძველ დროშიაც ასე ყოფილა და ახალშიაც ასეა, თორემ რა განჩრევა აქეთ ძველთ კაცთ და ახალთა. ვინც კარგი გამოსულა, ამშინაც გამოსულა, ვინც გამოდის კარგი, ესლაც გამოდის. რატომ არ ჰგავს ახალი კაცი ძველსა?“ („ცისკარი“, 1861, № 9, გვ. 102).

ბუნებრივია, რომ ასეთი თვალსაზრისის მქონე კრიტიკოსი ილაშქრებს ორთოგრაფიის გამარტივების წინააღმდეგ. იგი იმარჯვებს „ანბანთ თეორეტიკას“, — როგორც ილიამ უწოდა, და დაბეჭდვითი მოითხოვს მოძველებული ასოების დატოვებას. ილიას მსჯელობის საწინააღმდეგოდ ბ. ჯორჯაძეს რაიმე დამაჯერებელი არგუმენტაცია არ გააჩნია; იგი მხოლოდ მოძველებულ გრამატიკულ წესებს იმეორებს.

მას არ მოსწონს ახალი თაობის, კერძოდ კი ილიას მიერ თამამად ხმარებული ხალხური ლექსიკა — წირპლიანი, ავანგალა, მორახუნე და სხვ.; აღშფოთებს საერთოდ ილიას კრიტიკული განხილვის ტონი და მანერა, რადგან ბ. ჯორჯაძის სიტყვით, — „...ლიტერატურა უნდა შეიცავდეს პატიოსნურს და დარბაისლურს ენას და არა უშვერობას“

ბ. ჯორჯაძე, თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ, „ცისკარი“ 1861, № 5, გვ. 34).

ბ. ჯორჯაძე ვერ ანსხვავებს ურთიერთ-საგან საერთაშორისო სიტყვებსა და ბარბაროზებს, მას არ ემისი ილიას ბრძოლის პრინციპული მნიშვნელობა მოძალბული უცხოური ლექსის, კერძოდ, რუსიკოზების წინააღმდეგ, ამიტომ იგი გაკვირვებული კითხულობს: თუკი თვითონ ი. ჭავჭავაძე ხმარობს სიტყვებს — ეთნოტაქური, სენტიმენტალიზმი, დრამატიზმი და ს.რ., ჩვენ რაღად გვიკვირნებს ზადაჩების, ოსტრავების, ლინიების და სხვათა ხმარებასო.

რა თქმა უნდა, ბ. ჯორჯაძის შენიშვნებიდან ზოგიერთი საკმაოდ საბუთიანი იყო და იმაზე მუთითებდა, რომ მივარაღმა-აქლმა მშობლიური ენა რიგთანად იცვალა. ასეთ შენიშვნებს განეკუთვნება ილიას ზოგიერთი ლექსის რამდენიმე ადგილის ენობრივ-სტილისტიკური შესწორება. მაგალითად, ლექსში „ა. ჭავჭავაძეს“ —

„ხან დაპყრებს ღრუბლიანი დაფიქრებით გოგჩის ტბასა“ —

„მოდრუბლული“ უნდა იყოსო, — აღნიშნავს კრიტიკოსი. ასევე შეუწყნარებლად მიიჩნია მას — „ან შენ გიქმა რა იცოდა“ (უნდა იყოს სრული ფორმით — „შენმა გიქმა“ და ამას არავითარი „პოეტური ფანტაზიის თავისუფლება“ არ უშველისო).

არ მიიჩნია დამაჯერებლად ბ. ჯორჯაძეს ილიას ზოგიერთი განმარტებაც, მაგალითად: „დაუთინია დიღს პოეტს ჩემი სუბუქფრთით და თქვენი თვალ-დაკვირვებით ერთი არისო, აგრეთვე ჩახარუხადის პირმცინარიო, საიღამ არის, თქვენი ჭირიანე, ერთი. სუბუქფრთით ორი ლექსია (ზედასართვალ და არსებობით სახელებია — ჯ. ჭ.). აგრეთვე პირ-მცინარი ერთათ ითქმის“ („ცისკარი“, 1861, № 9, გვ. 103).

ილიას წერილებში წამოჭრილ ხელოვნების ზოგად საკითხებს ბ. ჯორჯაძე არსებითად არ შეხებია. მხოლოდ ერთგან, გაკვრით, იგი ეხება ილიას განმარტებას, რომ „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა“. და მას მიიჩნევს სხვისი აზრის განმეორებად (იქვე, გვ. 95).

ილია ჭავჭავაძეს მწერალი ქალი უპირისპირებს „ცისკრის“ თანამშრომლებს: დიმ. ყიფიანს, დიმ. ბაქრაძეს, ლ. არდაზიანს და თვით ახალი თაობის წარმომადგენელს ა. წერეთელს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბ. ჯორჯაძე თავის საპასუხო წერილებში სრულებით არ იცავს ი. კოზლოვის „შეშლილის“ რევ. ერისთავისეულ თარგმანს, რომელიც თაობათა შორის პოლემიკის დაწყების მიზეზი გახ-

და. ამ შემთხვევაში ბ. ჯორჯაძეს საამისოდ ან ძალა არ შესწევდა, ანდა ფიქრობდა, რომ ილიას მსჯავრი სამართლიანი იყენებოდა. მა ქალმა უმთავრესად ენის საკითხებზე გამართა მწვავე კამათი და ამ მხრივ ძველი თაობის ჩამორჩენილი შეხედულებანი გამოამჟღავნა.

ი. ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვას“ სხვა მოპასუხენიც გამოუჩნდნენ, კერძოდ, სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა 1861 წლის „ცისკარში“ მე-6 ნომერში გამოაქვეყნა „უსტარია ანტიკრიტიკული“ (ამავე ნომერში დაიბეჭდა ილიას „პასუხიც“). ს. ალექსი-მესხიშვილი, უპირველეს ყოვლისა, ენის საკითხებს შეეხო და დაიწყო საზოგადოებრივი წერილის ენა, ასევე თვით წერილში წამოყენებული სალიტერატურო ენის გამარტივების პრინციპები. მან გაკვრით აღნიშნა, რომ „წერა არის სამ გვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალი“. ამის შესაბამისად კრიტიკოსმა მოითხოვა: „სადაც იხმარება ნაცვალსახელი „იგი“ ამ მაღალს სიტყვას ზმნის-ზედა შეეფერება „ოდეს“ და არა სრულიად მდაბიური ლექსი „როცა“ (ს. ალექსი-მესხიშვილი, უსტარია ანტიკრიტიკული, „ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 253). მანვე დაბეჭდილებით აღნიშნა მოძველებული ასოების დატოვების საჭიროება ანაწინა და ვაიმეორა სხვა კრიტიკოსების მიერ ადრე გამოთქმული აზრი, რომ ამ ასოებს „აქეთ მართლ-წერისა მნიშვნელობა“. ს. ალექსი-მესხიშვილმა აგრეთვე არ მიიჩნია საჭიროდ საერთაშორისო სიტყვების შემოტანა ქართულ ენაში და ისინი გააიგივა ისეთ სიტყვებთან, როგორცაა: აშული, თანხა და სხვ. მან ერთნაირად დაიწყო ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული ეტიმოლოგიურად უცხო წარმოშობისა და საერთაშორისო ხმარების სიტყვები: „რასაკვირველია, ამ ენის შესაფერად შემოტანილი არიან თქვენგან ეგრეთვე უცხონი სიტყვებიცა: აშული, თანხა, კაპიტალი, პლასტიკა, სენტიმენტალური, ფორმა, სუყერი და სხვ. და აქა-იქ თქვენი მშვენიერ-სიტყვაობა, შესაქვევად მკითხველთა, შეგინდებლათ ავანგალა განგალათი, ეოძეოთი და მრავლითა სხვითა ენა-წყლიანობითა“ (ს. ალექსი-მესხიშვილი, უსტარია ანტიკრიტიკული, „ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 257).

ს. ალექსი-მესხიშვილი თავად ცდიდ მთქართულ და მთარგმნელი როდი იყო. მაგრამ მისი ენობრივი პრინციპები დიდად ჩამორჩებოდა თანამედროვეობის მოთხოვნილებას. ს. ალექსი-მესხიშვილი — ტიპიური არქაისტი — ძველქართულ მეტყველებას უჭერდა მხარს (უპირატესად ე. წ. „საშუალო“, ანუ ძველი ქართული საერო ლიტერატურის ენას). მისი პურიზმი სალიტერატურო ენის ყოველგვარ სიახლეს უარყოფდა, თუმცა

მწერალი გარკვეული რეფორმის წინააღმდეგი არ იყო, თუ საქმე ქართული ენის ხელოვნურად გაართულებას ეხებოდა. ამის შედეგი იყო, რომ ჯერ კიდევ 1853 წელს მან მოითხოვა ქართულში სქესისა და აპოსტროფის შემოღება. (იხ. საფია, რომანი უფლისა როგე დე ბოვოარ რუსულით გარდამოღებული ქართულით სარდისო ალექსიევ-მესხივისაგან), მთარგმნელისაგან, „ცისკარი“, 1853, № 7). ცხადია, ასეთი თვალსაზრისის მქონე კაცი ილიას შეხედულებებს ვერ გაიზიარებდა.

ლიტერატორთა ძველი თაობის შეხედულებების გასარკვევად გაცილებით მნიშვნელოვანია ულოლიკოს ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი 1863 წლის „ცისკარში“. ფქობდენე, რომ სტატიის ავტორი ანტ. ფურცელაძე იყო, მაგრამ ეს მოსაზრება ამჟამად უარყოფილია დოკუმენტური მასალის საფუძველზე (იხ. ვ. ვახანია, ა. ფურცელაძის ფსევდონიმების შესახებ, „სახალხო განათლება“, 1952, № 9).¹

თვითონ წერილის ხასიათიც გამორიცხავს ა. ფურცელაძის ავტორობას, რამდენადაც მასში გატარებული ძირითადი თვალსაზრისი არ შეესაბამება ქართველი სამოციანელის ლიტერატურულ პრინციპებს.

პრობლემა, რომელსაც აღნიშნული სტატია ეხება, სალიტერატურო ენის საკითხების გარკვევაა. იგი მიმართულია დავით ყიფიანის წერილის წინააღმდეგ, რომელიც „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა. როგორც თავის ადგილზე აღვნიშნეთ, დ. ყიფიანი სტატიაში — „რიგიანი ქართული გრამატიკის შესაშუაშებელ მასალებად“ ახალი ქართული ენის გამარტივებას, დახვეწას და სასაუბრო ენასთან მის დაახლოებას მოითხოვდა. ამ მხრივ მან ვრცელი მსჯელობა წარმოუდგინა მკითხველს. ულოლიკო არ იზიარებს ავტორის რიც მოსაზრებებს და საქაოდ საბუთიანად მსჯელობს ზოგიერთ საკითხზე. ვინც

არ უნდა ეფარებოდეს ამ ფსევდონიმს, ჩანს იგი განათლებული კაცია და, თავისი თვალსაზრისის შესაბამისად, რიგიანად რეკლამული ლიტერატურა ენის საკითხებში.

სტატიის ავტორი თავიდანვე ენის განვითარების თვალსაზრისს იცავს და დაბეჭდილებით აცხადებს:

...რადგან ღრამმატიკა არის ერთი ამათვანინი, ან ხელოვნება, ან მეცნიერება, დროს განმავლობით ესეც მიეცემა ცვლილებას, ამიტომ რო ენა იცვლება და ყოველი იმისი ცვლილება არის ახალი მასალა ღრამმატიკისათვის“ (ულოლიკო, ორიოდე სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიაზედ „გრამატიკის შესაშუაშებელ მასალებად“, „ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 74).

60-იან წლებში, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის გამოცემის შემდეგ, უკვე ძნელი არ იყო იმის აღიარება, რომ ენა ისტორიულად ცვალებადი კატეგორიაა. საქმე ის იყო, კონკრეტული საკითხების გარკვევის დროს ესა თუ ის ავტორი რამდენად მოიმარჯვებდა ამ თვალსაზრისის. როგორც ვნახავთ, ულოლიკო ყოველთვის ვერ ახერხებს ამ მხრივ თანმიმდევრულად იმსჯელოს.

ერთი მთავარი სადავო საკითხი გრამატიკის საჭიროებას შეეხებოდა. ულოლიკო მწვავედ ეკამათება დ. ყიფიანს და ამ უკანასკნელის თავდასხმისაგან იცავს დიმიტრი ბაქრაძეს:

„უ. ბაქრაძის გასამართლებლად ვიტყვი, რომ იმის სიტყვებში ღრამა ჰაზრი ძვეს, თუ ვისმეს უნდა გავება. იმისთანა კაცები იყვნენ და არიან კიდევ, რომელნიც ჰგონებდნენ, რომ ღრამმატიკის სწავლით ენა ისწავლებაო და ამ მიზეზით ყველა მოსწავლეს პირველადვე ღრამმატიკას მიაჩვენებდნენ ხელში და ათ-ათი წელიწადობით ზედ აკენსებდნენ“ („ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 76).

ულოლიკო ეთანხმება დ. ყიფიანს, რომ „ქართული ენის ფორმები ბაბილონურად აირივნენ“, ხოლო ენის ცოდნა ჩვენითვის ძალიან საჭიროა და იგი „შეიარღვეს პირველ მოთხოვნილებას (საჭიროებას) ჩვენი დროისას“. ამიტომ „ყოველი შეძლებით და დონის-ძიებით უნდა შეუდგეთ ენის სწავლას“. მაგრამ იგი იმ აზრისაა, რომ გრამატიკა ამ საკითხს ვერ გადაწყვეტს — „ენა არის ღრამმატიკის ოსტატი და არა ღრამმატიკა ენისა“.

შემდეგ კრიტიკოსი, ანალოგიის მიზნით, მიმართავს რუსული ენის ისტორიას და საკმაოდ დამაჯერებლად ანეითარებს თავის შეხედულებას. აღნიშნავს რა, რომ რუსული ენა უკვე დახვეწილია და გაუტოლდა ევროპულ ენებს, იგი წერს:

„ვინ მოახდინა ესეთი ცვლილება რუსული ენისა? უ. ყიფიანის ჰაზრით ღრამმატიკოსებმა, ჩემი ჰაზრით კი პროზის მწერლებმა

1 ა. კალანაძის სიტყვით, „ულოლიკო“ დიმიტრი ბაქრაძის ფსევდონიმი (ა. კალანაძე, „ი. კერესელიძე“, 1959, გვ. 149, სქოლიო), თუმცა ამის დასამტკიცებლად მკვლევარს რაიმე საბუთი არ მოაქვს. ეს ვანცხადება ძნელად გასაზიარებელია, რადგან ულოლიკოს სტატიაში გატარებული აზრი არამც თუ არ ემთხვევა დ. ბაქრაძის ენობრივ პრინციპებს, რომლებიც მან 1860 წ. დაბეჭდილ წერილში ჩამოაყალიბა, არამედ ეწინააღმდეგება კიდევ მათ. თუ „ულოლიკო“ მართლაც დ. ბაქრაძის ფსევდონიმი, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ უკანასკნელს სამოღვეწლის განმავლობაში არსებითად შეუცვლია თავისი ენობრივი პრინციპები, რაც ძნელად დასაჯერებელია.

და პოეტებმა. რუსებს ჰყვანდათ ღრამმატიკოსები — ლომონოსოვი, გრეჩი, ვოსტოკოვი და სხვ., მწერლები და პოეტები — ლომონოსოვი, კარამზინი, ჟუკოვსკი, პუშკინი და სხვ. ამათში ვინ უფრო შეეწია ენის გამართვას? ამ კითხვანად ყოველი რუსის ცხოვრების მცოდნე თვალის დაუხამხამებლად გიპასუხებთ: ლომონოსოვი (მწერალი, პოეტი და არა ღრამმატიკოსი), კარამზინი, ჟუკოვსკი და პუშკინიო“ („ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 83).

როგორც ვხედავთ, ავტორის მსჯელობა სალიტერატურო ენის განვითარების, ამ მხრივ სიტყვაკაზმული მწერლობის მნიშვნელობისა და გრამატიკის შექმნის საფუძვლის თაობაზე საკმაოდ გამართული და საბუთიანია. მაგრამ ამავე დროს ისიც შესამჩნევია, რომ რეცენზენტი ვერ ითვალისწინებს სავსებით გრამატიკის მნიშვნელობას და ეს უკანასკნელი მის მსჯელობაში თითქმის იგნორირებულია როგორც სალიტერატურო ენის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორი. ულოლიკო თითქმის ვერ ამჩნევს, რომ ახალ საუკუნეებში, განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნეში, კარგად დამუშავებული გრამატიკა იქცა ენის წარმატების უმკველპირობად. მართალია, სალიტერატურო ენის ხასიათს და განვითარებას ყოველთვის, უპირობლეს ყოვლისა, განსაზღვრავდა მწერლობის განვითარება. მაგრამ რეცენზენტს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მწერლობის წარმატებას, გამოცდილებას განზოგადება, გრამატიკულად გაანალიზება და დაკანონება სჭირდებოდა.

უფრო მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი, რომელიც ულოლიკოს სტატიაშია აღძრული, ენება იმის გარკვევას, თუ რომელი „ენა“ უნდა მიერწინათ იმდროინდელ სალიტერატურო ენად, რას უნდა დაფუძნებოდა 60-იანი წლების მწერლობის განვითარება. ამ მხრივ წერილის ავტორს სასებებით ნათელი, გამოკვეთილი, თუმცა არა ორიგინალური, თვალსაზრისი გააჩნია. თანამედროვე სალიტერატურო ენის „სიჭრელესა“ და „აღრევას“ რომ აღასტურებს, ულოლიკო ამავე დროს მიუთითებს წინა საუკუნეების დახვეწულ, ჩამოყალიბებულ სალიტერატურ ენაზე, რომელიც, მისი აზრით, უნდა მიიღოს თანამედროვე მწერლობა.

ავტორი აცხადებს, რომ ეს არის ენა „ვისრამიანის“, „დარეჯანიანის“, „ვეფხისტყაოსნის“, „რუსულდანიანის“, „დავრიშანიანის“, „პეკანიანის“... იგი ვასაგები იყო მე-12-13 საუკუნეებში და ასევე ვასაგებია თანამედროვე მკითხველისთვისაც — „ართუ სწავლულებისათვის, თვით იმათთვისაც, ვისაც ანბანის მეტი არა სცოდნიათ რა“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საერო ძეგლები,

ავტორის სიტყვით, სხვადასხვა დროსა შექმნილი, მათ აკავშირებს ერთიანი სალიტერატურო მეტყველება — „ეს მწერლები „მდაბიური“, საზოგადო ენა, რომელმაც უნდა მარებია თავდასაც, მეფესაც და გუთნის-ღედასაც და რომელსაც ახმარებს თავიდიც, მეფეც და გუთნის-ღედაც. ამ ენის მეტი ჩვენი არა გვექონია და არც გვაქვს: სახარებისა ან დაბადების ენა ჩვენი ენა არ არის“ („ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 92).

თავისი შეხედულების დასასაბუთებლად ავტორს მოაქვს საილუსტრაციო ადგილები „ვისრამიანის“, „ამირანდარეჯანიანის“, „დავრიშანიანის“, „ყარამიანიანის“ და თვით სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიბძძენ სიტყვისა“. ულოლიკო დასძენს, რომ ასეთი ნიმუშების მოტანა საერო ლიტერატურის სხვა ძეგლებიდანაც მრავალდ შეიძლება.

შემდეგ რეცენზენტი იმ აზრს ანვითარებს, რომ მიუხედავად ასეთი ენობრივი მსგავსებისა, დასახელებულ თხზულებებს შორის, ცხადია, არის განსხვავება, მაგრამ ეს ცალკეული მწერლის განკერძოებული ენობრივი პოზიციის შედეგი კი არ არის, არამედ ავტორთა ინდივიდუალური სტილის არსებობაზე მიუთითებს, რაც სასებებით ბუნებრივია. ამ მხრივ იგი თავისი დროისათვის საინტერესოდ მსჯელობს:

„მკითხველი იმასაც ნახავდა, რომ მოტანილი ნიმუშების ენა მართალია ძალიან მზგავსია ერთი მეორისა, მაგრამ ცოტაოდენი განსხვავებაც კი არის. ეს განსხვავება ჰეშმარიტია, მაგრამ სიმცირით არც „სიჭრელედ“ მიიღების და არც ენის დაუმდგარობად-დაუმდგრომელობად. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ყოველი მწერლის ენას თავისი საკუთარი სახე აქვს, რომ ამ მხრით ერთ დროის მწერლებშიაც ერთობა არ არის. — თან-ჟაე რუსსოს ენა ეგრეთვე განსხვავდება ვოლტერის ენისაგან, როგორათაც ვოლტერისა მონტესკიესაგან, თუმცა ეს მწერლები ერთ დროს ჰსცხოვრობდნენ; პუშკინის ენა ეგრევე განუსხვავდება ლერმონტოვის ენას, როგორათაც ლერმონტოვისა ვოგოლისას, თუმცა ესენი ერთ დროს ჰსცხოვრობდნენ. და ტურგენივისა გონჩაროვისას. ამას დაუმატოთ, რომ „ვისრამიანსა“ და „რუსულდანიანის“ შუა ორას წელიწადს გაუვლია და „რუსულდანიანის“ და „ყარამიანიანის“ შუა. თითქმის, ოთხასს. აქედან გამოვა, რომ ერთნაირი დამდგარი ენა გვაქვს“ („ცისკარი“, 1863, № 9, გვ. 99-100. ცხადია, ულოლიკოს მხრივ ქართულ ძეგლებს შორის არსებული ქრონოლოგიური შუალედების დასახელება ზუსტად არ არის, მაგრამ ამას ავტორის მსჯელობისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს).

წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ აღნიშნული ძეგლების ენა სავსებით თანადროულია და გასაგები დღევანდელი მკითხველისათვის. ამ მხრივ მას არავითარი გამარტივება ან დახვეწა არ სჭირდება:

„უცლა დაგვრჩა ერთი მხარეც საქმისა. ხსენებული წერილების ენა მარგებელია ჩვენი ხალხისათვის და ეხლანდელ მდაბიურ ენას ემსგავსება თუ არა? ამისათვის საკმაო იქნებოდა ხსენება იმ შემთხვევისა, რომ მთელ საქართველოში შეიქმნა-ხანს ვერ იპოვის კაცი, ვერც საფეიქროს, სადაც „დავროშიანს“, „რუსუდანიანს“, „ყარამიანს“ ან სხვა ხსენებულ წიგნებს ან კითხულობდნენ. მაგრამ იქნება უ. ყიფიანს სთქვას, რომ ისინი კითხულობენ და ვაგებით როდი ესმით. მაშ, აბა გამოწერილ ნიმუშებს შევადაროთ ერთი რომელიმე ადგილი ყიფიანის ნაწერისა და ენახამო, თუ რომელი ენა უფრო მარტივი და გასაგები იქნება“ („ციცკაი“, 1863, № 9, გვ. 100).

წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით, ძნელი არ არის მივხედვით, რომ ულოლიკო ა. ორბელიანის თვალსაზრის იმეორებს და ისინი ენობრივი პოზიცია პრინციპულად არაფრით განსხვავდება ა. ორბელიანის ცნობილი პოზიციისაგან. როგორც ვნახეთ, სტატიის ავტორი „მდაბიურ“, ანუ „საშუალო“ ქართულს იცავს და ეს არის ძველი ქართული საერთო ლიტერატურის ენა, რომელიც უკვე მე-12 საუკუნიდან ყალიბდება. თანამედროვე ენათმეცნიერების მიხედვითაც ეს არის ახალი ქართული, რომლის ჩამოყალიბების პროცესი მე-18 საუკუნისათვის უკვე დამთავრებულია. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ „საშუალო ქართულს“ თვითონ მომხრეთა უმრავლესობა ვერ გრძნობდა, რომ ძველი ქართული საერთო მწერლობის ენის პირდაპირი, უშუალო გამოყენება აღარ შეიძლებოდა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, მით უმეტეს, რომ ასეთი თვალსაზრისის მომხრეი სავსებით უშუალოდ ეკუთვნის „გლეხკაცობის ენას“, ე. ი. ოცხალს, სახალხო მეტყველებას, რომელთანაც მჭიდრო კონტაქტის გარეშე, როგორც ცნობილია, ახალი სალიტერატურო ენა ვერ განვითარდებოდა. ულოლიკოც ასეთ პოზიციებზე მდგომი კრიტიკოსია და იგი თავგამოებით იცავს „საშუალო ქართულს“ ხელშეუხებლობას. მისი მსჯელობიდან არ ჩანს, რომ, ახალ პირობებთან შეფარდებით, იგი ამ ენის გადახალისების საჭიროებას გრძნობდნენ, ყოველ შემთხვევაში მის სტატიაში ამის შესახებ ლაპარაკი არაა. მიუხედავად იმისა, რომ ულოლიკომ წერილის დასაწყისშივე ენის განვითარების პრინციპი წამოაყენა, მან ვერ გაითვალისწინა, რომ მის მიერ აღიარე-

ბული „მდაბიური“ ენაც იცვლებოდა და დროსთან შეფარდებით ამ ენის რეფორმაც აუცილებელი იყო.

ულოლიკო არც სხვა შემთხვევაში გამოთქვამს რაიმე ისეთ მოსაზრებას, რაც ქართული კრიტიკისათვის უტნობი იქნებოდა. კერძოდ, მისი მსჯელობა მწერლის ინდივიდუალური წერის მანერაზე ა. ორბელიანის აზრის განვითარებას წარმოადგენს. ასევე, დასაბუთება, რომ განამატების მეშვეობით სალიტერატურო ენა ვერ ჩამოყალიბდება და საჭიროა სხვა გზას მივართოთ, არსებითად დამ. ბაქრაძის აზრის დადასტურებაა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ეს ულოლიკომ მექანიკურად, მოწაფურად ეს არ გაიმეორა, არამედ გავრცობილი, საინტერესო მსჯელობის სახით მიაწოდა მკითხველს და ერთდობლივი ავტორის ინტერესები გამოამჟღავნა.¹

ამრიგად, მე-19 ს. 60-იანი წლების ქართულმა კრიტიკამ არსებითად გადაჭრა სალიტერატურო ენის ძირითადი საკითხები. მან არა მარტო განავითარა წინა პერიოდის ქართული კრიტიკის მეტ-ნაკლებად მისაღები შეხედულებანი, არამედ საერთოდ ახალ საფეხურზე აიყვანა სალიტერატურო ენის პრობლემების გაგება. პაექრობა ძველსა და ახალ თაობებს შორის ენის საკითხების გარშემო, ცხადია, მოწინავე თვალსაზრისის გამარჯვებით დამთავრდა და, უპირატესეს ყოვლისა, სწორედ ქართველმა სამოციანელებმა გადაწყვიტეს მშობლიური ენის უმთავრესი პრობლემები. მათ საბოლოოდ დაამკვიდრეს ენის განვითარების პრინციპი, და აასაბუთეს ეს ერთიანი სალიტერატურო ენის აუცილებლობა და სალიტერატურო ენის საერთო სახალხო მეტყველებასთან დაახლოების საჭიროება. 60-იანი წლების მოდერნიზებმა კარგად გაითვალისწინეს, რომ ახალი ქართული მწერლობის ინტენსიური განვითარება სალიტერატურო ენის სრულყოფილია და დახვეწის გარეშე არ მოხერხდებოდა. მათ იმდაგვარად დაასაბუთეს სალიტერატურო ქართული ენის ძირითადი საკითხები, რომ შემდგომში ამ დებულებებს არსებითი კორექტივი აღარ დასჭირვებია.

¹ აქ ვეღარ ვეხებით ულოლიკოს საინტერესო მსჯელობას მოძველებული ასოების თაობაზე, აგრეთვე ფურხლ „ციცკის“ გამოუქვეყნებულ სარედაქციო შენიშვნებს, რომლებიც დაურთეს ილიას წერილს — „სარდიონ მესხივეის კრიტიკის გამო“ (ამის შესახებ იხ. ა. გაჩეჩილაძე, ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის XIX ს. ქართულ ლიტერატურაში, 1957).

მაინე სოსაქე

ბავშვი და საბავშვო მხატვრობა

როგორ უნდა დასურათდეს საბავშვო წიგნი?

მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე დიდი მწერალი მაქსიმ გორკი: „როგორც მოზრდილთათვის, მხოლოდ უფრო უკეთ!“ ასეთი პასუხი ცხადყოფს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მხატვარს, რომელიც საბავშვო ნაწარმოების დასურათებას გადაწყვეტს.

წიგნის გრაფიკის მკვლევარები, ჩვეულებრივ, როცა ვრცლად მიმოიხილავენ ხოლმე მოზრდილი ადამიანებისათვის განკუთვნილი წიგნების დასურათებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნავენ ილუსტრაციის დიდ შემეცნებით მნიშვნელობას (ესთეტიკურზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ცალკე მიმოიხილავენ საბავშვო წიგნის გრაფიკას; ხაზგასმით აღნიშნავენ ყველა იმ სპეციფიკურ მხარეს, რაც უნდა გაითვალისწინოს საბავშვო მხატვარმა (თუ შეიძლება ეს ტერმინი საბავშვო მწერლის მსგავსად ვიხმაროთ).

უკვე დიდი ხანია საბავშვო წიგნის დასურათება ცნობილი ხელოვნებათმცოდნეების საგანგებო კვლევის საგნად იქცა. ამ თემას მიეძღვნა ცალკეული წერილები, ნარკვევები, მონოგრაფიები. შორს რომ არ წავიდეთ, ამის თვალნათლივი დადასტურებაა 1963 წელს გამოცემული

წიგნი „საბავშვო წიგნის მხატვრები“ (მოსკოვი). ასეთი მონოგრაფიები უდაოდ ხელს უწყობს საბავშვო წიგნის მხატვარ-ილუსტრატორის წინაშე წამოჭრილი პრობლემატური საკითხების გადაჭრას. სამწუხაროდ, ქართულ ენაზე ჯერჯერობით ამგვარი ხასიათის გამოკვლევები არ მოგვეპოვება, თუმცა უკანასკნელ წლებში ქართველმა მხატვრებმა მეტად საყურადღებო წარმატებებს მიიღწიეს. წიგნის ბაზარზე ერთიმეორის მიყოლებით გამოჩნდა კარგად დასურათებული ქართული საბავშვო წიგნები: ვაჟა-ფშაველას „ჩიხვთა ქორწილი“ (მხატვარი ი. გაბაშვილი) და „პატარა მწყემსის ფიქრები“ (მხატვარი მ. ბერძენიშვილი), ი. ევდოშვილის „უბედური ქორბუდა“ (მხატვარი ა. ბანძელაძე), შ. მღვიმელის „ნაბია და წიკა“ (მხატვარი გ. თოთბაძე), ქართული ხალხური ზღაპრები სერიით „იყო და არა იყო რა“: „ნაცარქექია“ (მხატვარი ი. გაბაშვილი), „ასფურცელა“ და „ქოსატყუილი“ (მხატვარი დ. ხახუტაშვილი), „წიქარა“ (მხატვარი გ. ოჩიაური), „ადიხანჯალა“ (მხატვარი მ. ბერძენიშვილი), „სიზმარა“ (მხატვარი ე. ამაშუკელი) და სხვ.

უყურადღებოდ არ რჩება არც თანამედროვე ქართველ მწერალთა თუ პოეტთა საბავშვო ნაწარმოებების დასურათება. საკმარისია ამ ბოლო ხანებში

გამოსული რამდენიმე წიგნის დასახელებაც: გ. კაჭახიძის „ჩვენთვის ვალობს ყველა ჩიტი“ (მხატვარი შ. ცხადაძე), ა. ხახუტაშვილის „მშვიდობით, იაე ლამაზო“ (მხატვარი გ. ფოცხიშვილი), ნ. დუმბაძის „გაკონი, შენი მანანა“ (მხატვ. კრიმოვსკაია, დ. ჯავახიშვილის „ყოჩაღი ბაკურისა და ძილისგულდა ზარმაცების თავგადასავალი“ (მხატვარი თ. სამსონაძე) და სხვ.

ქართველი მხატვრები აგრეთვე ხშირად ასურათებენ მოკავშირე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთელი მწერლების საბავშვო წიგნებს (ო. თუმანიანის „გიქორი“ — მხატვარი გ. ჩირინაშვილი, შ. პეროს „წითელქეღა“, ე. მეყელიაშვილის „ბაჰია-ბიჟუნა“ და გ. ბოიკოს „მხიარული ბავშვები“ — სამივე წიგნი შ. ცხადაძემ დაასურათა, რ. კიბლინგის „მაუგლი“ — მხატვ. ა. ბანძეაძე და სხვ.

წიგნის თაროზე ჩიპოლინოსა და ბურატინოს გვერდით თამამად გრძნობენ თავს ქართული ხალხური და კლასიკური საბავშვო ნაწარმოებების გმირები: ვაჟას შგლის ნუკრი და ასფურცელა, შ. მღვიმელის ნაბია და წიკა, ნაცარქექია, ი. ევდოშვილის ქორბუდა ირემი, ადინხაჯაღა, წიქარა, კომბლე და ვინ მოთვლის, რამდენი სხვა. სულ ახლახან მათ კიდევ ორი მიემატა: კონკია და კოჭლი მონადირის შვილი. პატარა მკითხველები გულისფანქვალთ მოელიან ახალ-ახალი გმირების გამოჩენას, ისინი თითქმის უკვე მიეჩვენენ ყოველწლიურად მდიდრულად დასურათებული რამდენიმე წიგნის მიღებას.

ქართული საბავშვო წიგნების დასურათებას მზრუნველობას არ აკლებენ ძველი და ახალი თაობის შესანიშნავი ქართველი მხატვრები: ე. ახვლედიანი, ე. ბაღდავაძე, ა. ბანძეაძე, მ. და ე. ბერძენიშვილები, ი. ვაბაშვილი, გ. გელოვანი, დ. ერისთავი, გ. თოთბაძე, ნ. ივანტოვი, ზ. კაპანაძე, ზ. ლეყავა, ჯ. ლოლუა, კ. მახარაძე, ზ. მცქარაშვილი, ვ. მელიქიშვილი, თ. სამსონაძე, გ. ოჩიაური, გ. ფოცხიშვილი, ზ. ფორჩხიძე, ი. ქლიბაძე, ჯ.

ყავლაშვილი, შ. ცხადაძე, რ. ცუცქერიძე, ვ. ქუმბურიძე, დ. ხახუტაშვილი და სხვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მხატვართა ღვაწლი. ქართულმა ილუსტრირებულმა საბავშვო წიგნებმა აღიარება მართო საქართველოში კი არა, საბჭოთა კავშირშიც მოიპოვა, — საკავშირო გამოფენებზე მათ არაერთგზის დაიმსახურეს ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და პრემიები. ქართული საბავშვო წიგნით საერთო დანტერესებამ განაპირობა ის, რომ დაიწყო ქართველ საბავშვო მწერალთა მოთხოვნებისა და ქართული ხალხური ზღაპრების რუსულ ენაზე მასობრივი ტრიაჟებით გამოცემა. უკვე გამოვიდა „წიქარა“ გ. ოჩიაურის ილუსტრაციებით და „ადინხაჯაღა“ (მხატვ. მ. ბერძენიშვილი). ორივე ეს ზღაპარი რუსულად თარგმნა მწერალმა ვ. ბერესტოვმა.

რუსულ ენაზე ქართული დასურათებული წიგნების გამოცემა რომ კარგი წამოწყება შეიქნა, მოწმობს ერთი პატარა წერილი, რომელიც ამასწინათ მოვიდა ვოლგისპირეთიდან. რუსი გოგონა თავისი თანაკლასელების სახელით მადლობას უთვლის „წიქარას“ მთარგმნელს ვ. ბერესტოვსა და დამსურათებელს მ. ბერძენიშვილს. ნორჩი მკითხველის ასეთი გულწრფელი აღფრთოვანება ჭეშმარიტი ჯილდო უნდა იყოს საბავშვო მხატვრისათვის. კარგი საბავშვო ილუსტრაციის შექმნა, ისეთის, რომელსაც ერთნაირად მოიწონებს ბავშვიცა და მოზრდილიც, რთული შემოქმედებითი პროცესია. მხატვარს დიდად ეხმარება ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებანი, რაც მას კლასიკოსების მოთხოვნებისა თუ ზღაპრების წაკითხვით მიუღია, სულსა და გულში აღბეჭდვია და ღღემღე ცოცხლად მოუტანია. თუმცა ეს შთაბეჭდილებები საკმარისი როდია. ჩვენ აქ აღარაფერს ვამბობთ მხატვრის პროფესიულ ოსტატობაზე.

საბავშვო ლიტერატურის ღრმად და ყოველმხრივ გაცნობასთან ერთად მხატვრისათვის აუცილებელია თვით ბავშვის ხასიათის, ჩვევების, ინტერესების ცოდ-

ნა. სულ მცირე უზუსტობასაც კი ბავშვი ადვილად შეამჩნევს ხოლმე — ამ მხრივ მას გასაოცარი დაკვირვების უნარი აქვს—და შეიძლება წიგნი აითვალისწინოს კიდეც. ეს განსაკუთრებით სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე ითქმის და ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა საბავშვო მხატვრებს სწორედ ამ ასაკისათვის განკუთვნილი წიგნების დასურათების დროს მართებთ. ხშირად ასეთ წიგნში ილუსტრაციები უფრო მეტს ეუბნება მკითხველს, ვიდრე თვით ტექსტი. ზოგჯერ ხდება პირიქითაც: მოსმენილი ამბის მიხედვით ბავშვი საკუთარი ფანტაზიით ქმნის გმირთა სახეებს, რომლებიც, შესაძლოა, სულაც არ დაემთხვეს მხატვრის მიერ შექმნილს. იქნებ მოზრდილთა თვალსაზრისით ილუსტრაციები ბრწყინვალედ იყოს შესრულებული, მაგრამ მას აკლდეს ის უმთავრესი, რაც ასე აუცილებელია ბავშვისათვის — ფანტაზია, რომანტიკა. ესა აქვს მხედველობაში ცნობილ ამერიკელ მხატვარს როკუელ კენტს, როცა იგი გულსტიკივით ამბობს ერთ-ერთ თავის წიგნში („В диком краю“): „ტყუილად ცდილობთ შეაპაროთ ბავშვებს ფანტაზიისმოკლებული ნაწარმოებები, მით უმეტეს, ყველანაირი ხალტურა... სურათებშიც, სიუჟეტშიც ბავშვი უპირველესად ეძებს ფანტაზიას და რომანტიკას. სწორედ ეს თვისებებია, ყველაზე ნაკლებ რომ გვხვდება ილუსტრაციებში“.

ბავშვების ამ მიდრეკილებას მოწმობს ის მოვლენა, რომ ცნობილი ხერხი — ანთროპომორფიზმი — ცხოველების, ფრინველებისა და მცენარეების ადამიანების სახით წარმოდგენა, მათთვის ადამიანთა თვისება-ხასიათების მინიჭება, რასაც

ხშირად მიმართავენ საბავშვო მხატვრები, სრულიადაც არ იწვევს გაოცებას პატარა მკითხველებში. მართლაც, მხატვარგან იცინა, რომ ჩვეულებრივ ცხოვრებაში დათვი, მელა, კაქკაი თუ სხვა არსება სრულიადაც არ იქცევიან ადამიანებზე, მაგრამ მოსწონთ ისინი სწორედ იმიტომ, რომ ეს აკმაყოფილებს მათ მდიდარ ფანტაზიას. დამახასიათებელია ერთი ბავშვის ნათქვამი კ. ჩუკოვსკის ცნობილი წიგნიდან, „ორიდან ხუთ წლამდე“: „მე ვიცი, რომ კუდიანი ქალი არ არსებობს, მაგრამ შენ მაინც მომიყვები ისეთი ზღაპარი, სადაც ის იქნება...“

რაკი ზღაპარი ვახსენებ, უნდა აღინიშნოს: რამდენადაც დიდია ზღაპრის დიდაქტიკურ-შემეცნებითი მნიშვნელობა, იმდენად მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ზღაპრების დამსურათებელ მხატვარ-გრაფიკოსებს. ზღაპრებში ყოველთვის კეთილი იმარჯვებს ბოროტზე, იმარჯვებს ყველა ის მაღალი იდეა, რაც ჭეშმარიტ ადამიანს გააჩნია. ეს უნდა გახდეს ქვაკუთხედი, რომელსაც საბავშვო მხატვარი დაეყრდნობა.

სამყარო ბავშვის თვალში არაჩვეულებრივი, მიმზიდველი და ამავე დროს პოეტურიცაა, იმიტომ რომ სამყაროსთან გაცნობა ბავშვს ყოველთვის ზღაპარში მოგზაურობად ეჩვენება. ამაში მას შემოხსენებული ფანტაზიის უნარიც ეხმარება, დიდი გულწრფელობაც და უშუალობაც. საბავშვო მხატვარმა უნდა იცოდეს ეს და ცდილობდეს სამყაროს გასაცნობად ბავშვის მოგზაურობა წარმოეტაც ზღაპრად აქციოს, საიდუმლოების, რომანტიულობის ნისლში გაახვიოს ჩვეულებრივი ყოველდღიური მოვლენები, ააღელვოს და თან ჩააფიქროს მნახველი.



გიორგი ჩუბინაშვილი

გიორგი ჩუბინაშვილი ქართველ მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა იმ შესანიშნავ თაობას ეკუთვნის, რომლის დაფუძნებელიცაა, არსებითად, მთელი დღევანდელი ქართული მეცნიერება. ეს ის თაობაა, რომელმაც ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაუყარა ქართულ უნივერსიტეტს — ყველა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლისა და სამეცნიერო დაწესებულების პირველ კერას.

გიორგი ჩუბინაშვილი ხელოვნების ისტორიკოსია და იგი იმთავითვე ამ დარგს — ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევას — ჩაუდგა სათავეში. XIX საუკუნის მანძილზე და XX საუკუნის პირველ ათეულ წლებში ქართველმა და უცხოელმა მკვლევარებმა დიდძალი მასალა დააგროვეს ქართულ სიძველეთა, ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესახებ და ამით საფუძველი შექმნეს შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. მაგრამ ეს მასალა განზოგადებული, ისტორიულად გააზრებული, არ ყოფილა: ქართული ხელოვნების ეროვნული თავისებურება, მისი ადგილი ხელოვნების ზოგად ისტორიაში არ იყო გაგებული და ნაჩვენები, ქართული ხელოვნების ისტორიული განვითა-

რების სურათი დაუდგენელი რჩებოდა. ამ მისიის შესრულება გიორგი ჩუბინაშვილს ხედა წილად. მან პირველმა გადაგვიშალა ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარების პროცესი, პირველმა გამოაჩინა მთელი ძალით ქართული ხელოვნების დამოუკიდებელი ეროვნული ხასიათი, მისი სრულუფლებიანი ადგილი სხვა ერების ხელოვნებათა გვერდით, მისი წვლილი მსოფლიო ხელოვნების საგანძურში. გიორგი ჩუბინაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების ისტორიას, როგორც მეცნიერების დარგს. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო ეს ჩვენთვის, იმიტომ რომ ქართველები იმ ხალხთა რიგს მიეკუთვნებიან, რომელთაც შეძლეს დიდი პროფესიული ხელოვნება შეექმნათ და თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე რამდენიმეჯერ მიეღწიათ ამ ხელოვნების მწვერვალებისათვის. სუროთმოდგრებას, მხატვრობას, ოქრომჭედობას, გამოყენებით ხელოვნებას ჩვენი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და ქართული ხელოვნების ეროვნული სახის ჩვენება, მისი ნამდვილი მნიშვნელობისა და ადგილის საქვეყნოდ დამტკიცება — ის, რაც გიორგი ჩუბინა-

ნაწილია გააკეთა — თვით ქართველი ხალხის ძალისა და შემოქმედებითი უნარის საქვეყნოდ ჩვენებას ნიშნავდა.

ეროვნული კულტურის და მშობლიური წარსულის კვლევისადმი ინტერესი გიორგი ჩუბინაშვილს გვართ მოსდგამს: XVIII ს-ში მისი ერთი წინაპარი ერეკლე მეფის ქართულ სტამბაში იღვწოდა; პაპამისის მამაკალიგრაფი იყო, პაპამისის ბიძა ნიკოლოზი ქართულ სიძველეებს იკვლევდა, თარგმნიდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიულ ძეგლთა გასაცნობად, 1845 წელს კი პალესტინაშიც იმოგზაურა: სწორედ მან მიაქცია ყურადღება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მხატვრობას, გადმოიღო მისი წარწერები და პირველმა გადმოხატა (რა თქმა უნდა, სქემატურად) შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც შემდეგ შელესეს და ამას წინათ ხელმეორედ იქნა აღმოჩენილი ქართველ მეცნიერთა ცნობილი ექსპედიციის მიერ. გიორგის პაპა დავით ჩუბინაშვილი ფართო საზოგადოებისათვის უკეთაა ცნობილი: იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, მისი სახელი შთამომავლობისათვის, უპირველეს ყოვლისა დიდ ქართულ-რუსულ ლექსიკონთანაა დაკავშირებული.

სწორედ თავისი პაპის დავითის სახლში დაიბადა გიორგი ჩუბინაშვილი, პეტერბურგს, 1885 წლის 21 ნოემბერს.

ოჯახის ტრადიციები, ოჯახური გარემო ხელს უწყობდა იმას, რომ ბავშვს ბუნებრივად, ძალდაუტანებლად შეეთვისებინა ფართო კულტურული ინტერესები, ხელს უწყობდა ამ ინტერესთა გარკვეულად წარმართვასაც. თავისი პაპა ბავშვს ბუნდოვნად ახსოვდა. მაგრამ სახლში დავითის „სული“ ტრიალებდა. კვირაობით ჩუბინაშვილებთან თავს იყრიდა ქართველი სტუდენტობა, დიდი მეცნიერის ოჯახს არ ივიწყებდნენ დავითის ძეგლი ნაცნობ-მეგობრებიც, ქართველი მოღვაწენი, რომელნიც დროდადრო ჩადიოდნენ პეტერბურგს. ეს გარემოცვა

დიდად აღვივებდა ბავშვის ინტერესს სამშობლოსადმი, რომელიც მას არ ენახა, უმტკიცებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ბავშვი განსაკუთრებით დაინტერესა პაპის მდიდარმა ბიბლიოთეკამ, რომელშიც მრავალი ლექსიკონი, ქართველოლოგიური ნაშრომი და თვით დავითის ნაბეჭდი თხზულებები ინახებოდა. ათი-თორმეტი წლისა იყო, როდესაც დავითის ქართულ გრამატიკასა და ლექსიკონს ჩაუჯდა და თვითონ შეისწავლა ქართული წერა-კითხვა.

1907 წელს გ. ჩუბინაშვილი ლაიტცივს გაემგზავრა. იქაურ უნივერსიტეტში, სადაც მსოფლიო სახელის მქონე ბევრი მეცნიერი იყო თავმოყრილი (მაგ. ფსიქოლოგი ვუნდტი, ეკონომისტი ბიუხერი, ისტორიკოსი ლამპრეხტი, მუსიკის ისტორიკოსი რიმანი და სხვანი), იგი ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, ევროპული ხელოვნების ისტორიაში, ეთნოგრაფიაში, პოლიტიკურ ეკონომიასა და სხვა სოციალურ დისციპლინებში. მაშინ მისი ყურადღება უმეტესად ხალხთა ფსიქოლოგიისადმი იყო მიპყრობილი. თავისი სადოქტორო დისერტაცია მან ჩრდილოეთ აზიის ხალხთა რელიგიური კულტების განვითარების საკითხებს უძღვნა („ციმბირული შამანის ფუნქციები“). მაგრამ იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ხელოვნების ისტორიისადმი, ისმენდა გამოჩენილ ხელოვნებათმცოდნეთა (კერძოდ, ავგუსტ შმარზოს) ლექციებს, მოგზაურობდა გერმანიაში, ავსტრიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში მუზეუმებისა და ხელომომღვრულ ძეგლთა გასაცნობად. მას განსაკუთრებით იზიდავდა რომანული ხელომომღვრება, რომელსაც უნებურად ქართულ ძეგლებს უდარებდა, თუმცა მათ გ. ჩუბინაშვილი მხოლოდ ორიოდ ნიმუშით იცნობდა.

1912 წ. გიორგიმ ჰალეში ჩააბარა ზეპირი სადოქტორო გამოცდები და პეტერბურგს დაბრუნდა. მას უკვე ძალიან ფართო განათლება ჰქონდა მიღებული ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და ხელოვნების ზოგად ისტორიაში. მაგრამ

თავის საბოლოო მიზნად მან ამიერიდან დაისახა მთელი ამ განათლების გამოყენება ქართველოლოგიური პრობლემების კვლევისათვის. იგი შეუდგა კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოს სიძველეთა შესახებ არსებული მთელი ლიტერატურის დეტალურ დამუშავებას, თან ისმენდა შუა საუკუნეთა ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსის დიმიანალოვის ლექციებს ადრინდელი ქრისტიანული ხელოვნების შესახებ, შემდეგ კი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტზე ქართულ-სომხურ-სპარსული განყოფილების თავისუფალ მსმენელად. იგი დაუახლოვდა ნიკო მარს, ივანე ჯავახიშვილს, ხელოვნების გამოჩენილ ისტორიკოსს იაკობ სმირნოვს, რომელსაც თავის მასწავლებლად თვლის. მარს ეხმარებოდა ანისის არქეოლოგიურ გათხრებში, ნ. მარის მიერ დაარსებულ „ხრისტიანსკი ვოსტოკში“ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნარკვევები ქართული და სომხური ხელოვნების შესახებ. პირველი გამოქვეყნებული ნაშრომი საორბისის 1152 წლის ტაძრის შესახებ იყო; იმავე დროს, იგი მოგზაურობდა საქართველოში, ადგილზე ეცნობოდა ძეგლებს, ბევრს ფიქრობდა ქართული ხუროთმოძღვრების ზოგად საკითხებზე; უკვე მაშინ ესახებოდა კვლევის უმთავრესი პრობლემები და თანმიმდევრობა.

მომავლის როგორი ღრმა რწმენა, შინაგანი ძალა, საქმის სიყვარული და უღრეკი პატრიოტიზმი უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ნახევარი საუკუნის წინათ, როცა ქართული მეცნიერება მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტების თავდადების წყალობით სულდგმულობდა, არა მარტო ეოცნება ქართული ხელოვნების ისტორიის შექმნაზე, არამედ მთელი თავისი ახალგაზრდული შეუპოვრობით შესდგომოდა კიდევ ამ მეცნიერების საფუძვლის ჩაყრას.

1917 წლის ბოლოს, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, გ. ჩუბინაშვილი საბოლოოდ გადმოვიდა თბილისს და არაჩვეულებრივი ენერგიით დაიწყო მეცნი-

ერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რომლის შედეგებიც დღეს საქვეყნოდაა ცნობილი.

მე წარმომიდგენია, როგორი დღესასწაული უნდა ყოფილიყო პატივცემულ გიორგი ჩუბინაშვილისათვის ახალდაბადებულ ქართულ უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის კათედრისა და „ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის“ დაარსება. ერთიც და მეორეც თვითონ შექმნა და თვითონვე ხელმძღვანელობდა მათ. მაშინ იგი სულ მარტო იყო თავის დარგში, მაგრამ უკვე არსებობდა ქართული უნივერსიტეტი, ქართული მეცნიერებისათვის უკვე არსებობდა მომავალთ.

იგი ამათავითვე საფუძველს უყრის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მეცნიერული ფიქსაციის საქმეს. ჯერ თავის მუდმივ თანამშრომელსა და მეგობართან, აწ განსვენებულ ხუროთმოძღვარ ნ. სვეეროვთან, შემდეგ კი სხვა თანამშრომლებთან და მოწაფეებთან ერთად, იგი სისტემატურად, გარკვეული თანმიმდევრობით შემოივლის საქართველოს ყველა კუთხეს, ამ სამეცნიერო ექსპედიციებში დეტალურად ადგილზევე იკვლევს ძეგლებს. ეს ყოველწლიური ექსპედიციები დღემდე გრძელდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე სომხეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაშიაც. გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით უკვე მეცნიერულად გაზომილია ქართული ხუროთმოძღვრების მრავალი ასეთული ძეგლი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე გ. ჩუბინაშვილი განსაკუთრებული ენერგიით მუშაობს გაუქმებულ ეკლესია-მონასტრებში სიძველეთა მოსაგროვებლად, მათ ჩამოსატანად და მოსავლელად. ხელოვნების ძეგლთა დაცვა — ხუროთმოძღვრებისა იქნება ეს ძეგლები, მხატვრობისა თუ ოქრომჭედლობისა — მისი მოღვაწეობის ერთი უმთავრესი უბანთაგანია მას შემდეგ. და ამ მხრივაც მისი ამაგი განუზომელია. დღეს გ. ჩუბინაშვილი კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების

ვამგეობის პრეზიდენტის წევრია; მისი ავტორიტეტი, მისი გამოცდილება, ყოველთვის ურყევ გუშავად უდგას ჩვენი წარსულის შესანიშნავ ძეგლებს.

გ. ჩუბინაშვილი ერთი უმთავრესი ორგანიზატორთაგანია სამუზეუმო საქმისა ჩვენში. 1924 წელს, მას შემდეგ, რაც თბილისში დაგროვდა ქართული ოქრომჭედლობის, მინაქრის, მხატვრობის, ქსოვილების ბევრი ძვირფასი ნიმუში, გ. ჩუბინაშვილმა ხელოვნების მეცნიერების კაბინეტთან დააარსა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი, რომელიც უფრო გვიან ახლანდელი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საფუძვლად იქცა. სხვადასხვა დროს იგი იყო საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის განყოფილების გამგე. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ძველი ქართული ხელოვნების რამდენიმე დიდი გამოფენა, მათ შორის 1930 წელს ვერმანის ქალაქებშიც. ეს იყო ქართული ხელოვნების პირველი (და ჯერჯერობით უკანასკნელი) ჩვენება უცხოეთში და მას ძალიან დიდი გამოძახილი ჰქონდა — ამას მოწმობს მაშინდელი გერმანული პრესა (გ. ჩუბინაშვილი, გამოფენასთან დაკავშირებით, კითხულობდა ლექციებს ქართული ხელოვნების შესახებ).

გ. ჩუბინაშვილმა დიდი ამაგი დასწო ახალ, საბჭოთა ქართულ ხელოვნებასაც; იგი იყო პირველი რექტორი 1922 წელს დაარსებული საქართველოს სამხატვრო აკადემიისა, ურომლისოდაც, რა თქმა უნდა, წარმოდგენელი იქნებოდა ქართული ხელოვნების განახლება, წარმოდგენელი იქნებოდა საერთოდ დღევანდელი ქართული ხელოვნების არსებობა. გ. ჩუბინაშვილი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს საბჭოთა ქართული ხელოვნების სადღესო, მწვავე და მტკივნეული საკითხების განხილვაში. ჩვენი ხალხის ცოცხალი შემოქმედება მის მხურვალე ინტერესს იწვევს.

გ. ჩუბინაშვილის, როგორც პროფესორის, ხელში ქართველ ხუროთმოძღვართა, მხატვართა, მოქანდაკეთა არა ერთ

თაობას გაუვლია. იგია, ფაქტიურად, მას წავლნბელი ხელოვნების ყველა ქართველი ისტორიკოსისა.

მისი მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის განსაკუთრებით მტკიცე საფუძველი მას შემდეგ შეიქმნა, რაც 1941 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში დაარსდა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი პირველი დღეებიდანვე მეთაურობს. აქ მის გარშემო მის მიერ აღზრდილ მკვლევართა კოლექტივი მუშაობს. ინსტიტუტი იკვლევს როგორც ძველ, ისე საბჭოთა ქართულ სახვით ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებას, გ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობამ შორს გაუთქვა სახელი ქართულ ხელოვნებას.

მიუხედავად ამ მრავალმხრივი პედაგოგიური, საზოგადოებრივი, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული მოღვაწეობისა, მთავარი გ. ჩუბინაშვილის ცხოვრებაში მაინც უშუალო მეცნიერული კვლევა-ძიებბაა. რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელია მისი შრომების თუნდაც მოკლედ განხილვა, მათი ჩამოთვლაც კი. მათი რიცხვი 150 აღემატება. ამ შრომებში დადგენილია ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიული საფეხურები, მისი სტილისტიკური ევოლუცია, ნაჩვენებია მისი ურთიერთობა გარე სამყაროსთან, სხვა ქვეყნების ხელოვნებასთან, მისი ხალხური საწყისები, მკაფიო ეროვნული თავისებურება და განვითარების დამოუკიდებელი გზები — ის, რისი დანახვაც ვერ შეძლეს ან არ ისურვეს უცხოელმა მკვლევარებმა — მისი ადგილი ხელოვნების ზოგად ისტორიაში. ქართული ხელოვნების ისტორიული განვითარების მართალი სურათის აღდგენასთან ერთად, გ. ჩუბინაშვილს უხდებოდა ბრძოლა ქართული ხელოვნების ისტორიის გამყალბებელთა წინააღმდეგ.

მისი ძირითადი შრომები ქართული ხუროთმოძღვრებისა და ოქრომჭედობისადრია მიძღვნილი. ეს არაა შემთხვევითი: შუა საუკუნეებში არქიტექტურა იყო უმთავრესი დარგი ხელოვნებისა და

ქართულმა ეროვნულმა ხელოვნებამაც სწორედ ხუროთმოძღვრებაში ჰპოვა ყველაზე სრული და ყველაზე დამოუკიდებელი ხორცმცხმა. ოქრომჭედლობის განვითარების მხრივაც საქართველოს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამიტომ ამ დარგთა კვლევასა და მათი ისტორიული საფეხურების შესწავლას მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ქართული ხელოვნების ეტაპების დასადგენად.

აი ეს უმთავრესი ნაშრომები: „ქართლის დარბაზი“ — რამდენიმე ალბომი, საქართველოს სამხატვრო აკადემიის მიერ გამოცემული ოციან წლებში; ქართული ხელოვნების ისტორიის I ტომი, 1936 წ.; ქართული ხუროთმოძღვრების გზები, 1936 წ.; ბოლნისის სიონი, 1940 წ.; ჯვარის ტიპის ძეგლები, 1948 წ.; წრომის ტაძარი, 1934 წ.; დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები, 1948 წ.; კახეთის ხუროთმოძღვრება, 1959 წ.; კუმურდო და ნიკორწმინდა, 1947 წ.; მრავალი ნარკვევი და წერილი ხუროთმოძღვრებაზე პერიოდულ გამოცემებში; ქართული ოქრომჭედლობა — დიდი ალბომი, 1957 წ.; ქართული ოქრომჭედლობა — ორტომიანი გამოცემა (დიდი გამოკვლევა და ტაბულები) 1958 წ.; ნაშრომები სომხური ხუროთმოძღვრების შესახებ; წერილები ქართულ და სომხურ ხელოვნებაზე ხელოვნების იტალიურ-ამერიკულ ენციკლოპედიაში და მრავალი სხვა.

ამ შრომებს დღეს უკვე შთელ მსოფლიოში იცნობენ. დღეს მათ უკვე ვერც ერთი სერიოზული მეცნიერი ვერ აუხვევს გვერდს არა მარტო ქართული ან სომხური ხელოვნების კვლევისას — ეს თავისთავად იგულისხმება — არამედ საერთოდ, შუა საუკუნეთა წინა-აღმოსავლური და ევროპული ხელოვნების კვლევის დროსაც.

რასაკვირველია, გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევების მნიშვნელობა დიდად სცილდება საკუთრივ ხელოვნების ისტორიის ფარგლებს.

ისინი უშუქს ჰფენენ საქართველოს ისტორიის ბევრ ზოგადკითხვას. დასასრულ, გ. ჩუბინაშვილს უეჭველი ამაგი მიუძღვის საქართველოს არქეოლოგიური შესწავლის საქმეშიც, როგორც კვლევის უშუალო მონაწილეს ან კონსულტანტს.

თავის ინტენსიურ ჯვლევა-ძიებას გ. ჩუბინაშვილი დღესაც განაგრძობს და მოკლე ხანში ჩვენ მის ახალ წიგნებსაც გავეცნობით.

ბუნებრივია, როცა დიდი მეცნიერის ღვაწლზე ვსაუბრობთ, ორიოდ სიტყვა გვინდა ვთქვათ მის პიროვნებაზედაც. მის ადამიანურ თვისებებზე. ეს არ არის ადვილი, თუმცა მე უკვე თითქმის ოცდაათი წელია მასთან ვმუშაობ. არ შემიძლია არ მოვიხსენიო მისი ის თვისებები, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებლად და ძვირფასად მიმაჩნია: პირად ცხოვრებაში პატივცემული გიორგი დიდად თავმდაბალია, თავის დამახსურებაზე ლაპარაკი ან თავისი „სახელისათვის“ ზრუნვა მას არასოდეს არ მოსდის აზრად; მაგრამ როცა საქმე საქმეს ეხება, როცა საჭიროება მოითხოვს, ძვირფასი გიორგი, მიუხედავად მისი სათნო და ფრიად აკადემიური გარეგნობისა, მკაცრი, შეუპოვარი და მოურიდებელია, ნამდვილი მეტროლია, რომელმაც უკან დახევა არ იცის.

რაც მე მახსოვს, მუდამ ასეთი იყო და დღესაც ასეთივეა.

გიორგი ჩუბინაშვილი იმ ბედნიერ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მეცნიერებაში ახალ ფურცლებს შლიან, საძირკველს დგამენ; იგი იმ ბედნიერ მოქალაქეთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ღვაწლიც ერს სამუდამოდ ემახსოვრება.

ვუსურვოთ მას კიდევ დიდხანს შერჩენოდეს ეს ახალგაზრდული შეუპოვრობა, რომელიც მას, საბედნიეროდ, მაშინაც არ დალატობს, როცა იგი ჩვენი ეროვნული მეცნიერების პატრიარქად იქცა.



თენგიზ ჯავახიშვილი

სიმონ ყაუხჩიშვილი

როდესაც ივანე ჯავახიშვილმა ძველი ქართული საისტორიო მწერლობა გამოსცა, ეპიგრაფად არსენ ამარტოლის სიტყვები წაუმძღვარა: „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერილისა საუკუნოდ, რომელი სამე საქებელყოფად, ხოლო სხვა განქიქებად“.

ამ წიგნში ივანე ჯავახიშვილი ეფრემ მცირის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს: „ეფრემ მცირე შესანიშნავი მეცნიერი იყო და მისი ღრმა სწავლელობა თანასწორადა ჩანს ყოველ დარგში, რომლისთვისაც კი მას წელი მოუკიდია, მისი შემოქმედებითი ნიჭი და ცოდნა შეუზღუდველია. ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუბოვარი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო“.

„ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ 1916 წელს დაიბეჭდა. ათი წლის შემდეგ კი, 1927 წლის 20 მარტს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე სიმონ ყაუხჩიშვილის ოფიციალური ოპონენტი პროფ. ივანე ჯავახიშვილი სადოქტორო ნაშ-

რომს („გიორგი ამარტოლის ხრონოლოგიის ქართული თარგმანი“) მაღალ შეფასებას აძლევს და საბჭოს მოახსენებს, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის სახით ქართულ მეცნიერებას ჰყავს განსწავლული ფილოლოგოსი, დაკვირვებული ისტორიკოსი და დინჯი მეცნიერი-მკვლევარი, რომელიც XI საუკუნის დიდი მეცნიერის, ეფრემ მცირის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად გვევლინებაო.

რასაკვირველია, ასეთი შეფასება ღვაწლმოსილი მეცნიერისაგან დიდი პატივი იყო მკვლევარისათვის და მას ბევრს ავალებდა.

სიმონ ყაუხჩიშვილმა არ უმტყუნა თავის მასწავლებელს. იგი წმინდად იხდის ვალს ქართული მეცნიერებისა და თავისი ხალხის წინაშე.

სახელოვან მეცნიერს 70 წელი შეუსრულდა.

მდიდარი და მრავალფეროვანია სიმონ ყაუხჩიშვილის ბიოგრაფია. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კლასიკური ფილოლოგიის განხრით, პარალელურად აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე ქართულ-სომხურ ფილო-

ლოგვის სწავლობს. აქ სიმონ ყაუხჩიშვილის უშუალო ხელმძღვანელები და მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები თ. ზელინსკი, მ. როსტოვცევი, ს. ჟებელიოვი, გრიგოლ წერეთელი, ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ს. ყაუხჩიშვილი მიიწვიეს თბილისის ახალდაარსებულ უნივერსიტეტში, სადაც იგი ივანე ჯავახიშვილთან და გრიგოლ წერეთელთან ერთად მოღვაწეობს.

ახალი ბერძნული ენის შესწავლის მიზნით ს. ყაუხჩიშვილი 1920 წელს საბერძნეთში მიაგვინეს. საბერძნეთიდან იგი ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება გერმანიაში.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე სიმონ ყაუხჩიშვილი ახალი ენერგიით ეწაფება ქართულ-ბერძნული ფილოლოგიური ურთიერთობის შესწავლას. გასაოცარი შეუპოვრობით ეწევა სიმონ ყაუხჩიშვილი ქართული მეცნიერების უაპანს. საქართველოში კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტიოლოგიის სკოლების ერთ-ერთი დამაარსებელი, დედუღავად მოღვაწეობს უმაღლეს სასწავლებლებში და აკადემიის ინსტიტუტებში, აქვეყნებს ისეთ კაპიტალურ ნაშრომებს, როგორცაა: „გიორგი ამარტოლის ხრონოლოგიის“ ქართული თარგმანი (არსენ იყალთოელი), ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ („გეორგიკა“ — 5 ტომი), ბერძნული ლიტერატურის ისტორია (3 ტომი) და სხვ. სიმონ ყაუხჩიშვილის ამ წიგნებში ქართული მასალების გათვალისწინებით ახლებურად არის გაშუქებული წინაბერძნული მონასტრობის წარმომავლობის, ლიტერატურული, ისტორიული თუ მითოლოგიური ურთიერთობის საკითხები.

ფასდამდებელია პროფ. ს. ყაუხჩიშვილის „გეორგიკას“ სერიის გამოკვლევები. აქ მრავალი ახალი ძვირფასი მასალაა საქართველოს წარსულისა და შუა საუკუნეების ისტორიის კვლევისთვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორია“, რო-

მელიც საბჭოთა კავშირში პირველად დაიწერა, ხოლო საზღვარგარეთ გამოცემულ მსგავს შრომებს იგი ბევრად მატება მასალის სისრულით, სიხლით, ახლებური ინტერპრეტაციით და, რაც მთავარია, ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის შექმნაში ქართული სინამდვილის გათვალისწინებით.

სიმონ ყაუხჩიშვილი ფართო დიპლომატიური შემოქმედია. ძნელია ყველაფრის აღწერა და ჩამოთვლა: თარგმანები ბერძნულიდან და ლათინურიდან, პალეოგრაფიული გამოკვლევები, რიტორიკული, ფილოსოფიური, პოეტიკური ტრაქტატების კვლევა და გამოცემა, არქეოლოგიურ, ისტორიულ ექსპედიციებში მონაწილეობა და აღმოჩენები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები, რედაქტირება, ასპირანტებისა და სტუდენტების სწავლება...

სამეცნიერო სესიებზე სიმონ ყაუხჩიშვილის გამოსვლები და მოხსენებები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. აქ უთუოდ რაღაც ახალს ელი, ახალს გაიგებ. ამიტომ არის, რომ მის გამოსვლებს ყველა გულსყურით უსმენს.

როდესაც სიმონ ყაუხჩიშვილი იოანე პეტრიწის ლიტერატურულ მემკვიდრეობას იკვლევდა (1937—1940), დაებადა აზრი გულდასმით შეესწავლა გელათის მონასტერი და სხვა ნანგრევები, რადგან, როგორც ცნობილი იყო, იოანე პეტრიწს ზოგი თავისი ფილოსოფიური ნაწარმოები დაავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ „გელათის აკადემიაში“ დაუწერია. 1945 წლის ზაფხული მან გელათში გაატარა. თავისი ვარაუდებისა და მოსაზრებების საფუძველზე კვლევის გასუფთავების შემდეგ აღმოაჩინა სრულიად დამოუკიდებელი შენობა „აკადემიისა“ მალათალიანი შესასვლელითა და სამსართულიანი ვესტიბულით. ამის შემდეგ ეს შენობა დაწვრილებით შეისწავლა აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის ექსპედიციამ და დადასტურა, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის ვარაუდი სწორი იყო. ასე აღმოჩნდა „გელათის აკადემიის“ შენობა და ადგილსამყოფელი.

თვით პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი თავის მრავალ ნაშრომს შორის ყველაზე მეტად „ქართლის ცხოვრებას“ აფასებს. მისი თქმით, საქართველოს შესახებ ბერძნული წყაროების შესწავლამ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ისტორიულ წყაროებში გაბნეული მასალების უმრავლესობის წარმომავლობა გარკვეული არ იყო. ამ წყაროებს იცნობდა კონსტანტინე პორფიროგენეტი (X ს.), რომელიც თავის ისტორიულ თხზულებაში „სახელმწიფოს მართვის შესახებ“ დაწვრილებით გვიამბობს ქართველთა წარმომავლობასა და ბაგრატიონებზე. ასევე ბაგრატიონთა ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის (XI ს.) და მისი წყაროების შესწავლა-განხილვამ ნათელყო, რომ სუმბატ დავითის ძე იცნობს ისტორიკოს გიორგი კედრენეს (ბიზანტიელი ისტორიკოსი XI ს.), ხოლო ქსიფიას აჯანყების შესახებ ცნობები გამოყენებული აქვს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორს. ამან და მრავალმა მსგავსმა ცნობამ წარმოშვა „ქართლის ცხოვრების“ სრული აკადემიური გამოცემის საჭიროება. ამ ტიტანურ შრომას ხელი მო-

ჰკიდა პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილი და დღეს უკვე ორი ტომი ქართველთა ისტორიის ძირითადი წყაროების (ქართული სხის მიხედვით) დაბეჭდილია. იბეჭდება მესამე ტომიც (მე-18 საუკუნემდე).

სიმონ ყაუხჩიშვილის შრომებს კარგად იცნობენ საბჭოთა ქვეყნის გარეთაც. ხშირად იბეჭდება რეცენზიები თუ წერილები ბელგიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში, უნგრეთში და სხვ.

ღიახ, ქართველთა მეცნიერების მამამთავარი — ივანე ჯავახიშვილი არ შემცდარა, როდესაც სიმონ ყაუხჩიშვილი ეფერმე მცირის ტრადიციების გამგრძელებლად დასახა.

ჭეშმარიტად დიდია სახელოვანი მეცნიერის ღვაწლი ჩვენი მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე და რაშდენადაც დიდია ეს დამსახურება, იმდენად დიდია ჩვენი სურვილი მისი ხანგრძლივი ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

დაე, მომავალშიც ყოველი წერილი-ძეგლი სიმონ ყაუხჩიშვილისა იყოს „მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერლისა საუკუნოდ“.





უილიამ ზოლკენიკი

ეცადეთ თქვენს თავს აჯობოთ!

1955 წელს იაპონიაში სტუმრად იყო აწ განსვენებული ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი უილიამ ზოლკენიკი. იქ მას ესაუბრნენ ამერიკელი ლიტერატურის იაპონელი სპეციალისტები და ჟურნალისტები. საუბრის ტექსტი დაიბეჭდა 1956 წელს ტოკიოს ერთ-ერთ ჟურნალში. შემდგომ წელს ფოლკენერს ესაუბრა ჯინ სტაინი.

შარშან ჟურნალმა „ვოროსი ლიტერატურიმ“ (№ 11) დაბეჭდა ამ საუბრების შემოკლებული თარგმანი. ვიმედოვნებთ, ქართველი მკითხველისათვისაც საინტერესო იქნება მათი გაცნობა.

— ბატონო ფოლკენერ, თქვენ როგორღაც შენიშნეთ, ჰემინგუეის სამყარო შეზღუდულიაო. ხომ არ განმარტავდით ამ აზრს?

— მე მიხდოდა მეთქვა, რომ ჰემინგუეი ადრევე მიხვდა თავის შესაძლებლობებს და ამ შესაძლებლობათა ფარგლებში დარჩა. არასოდეს უცდია იმაზე მეტის გაკეთება, რაც ნამდვილად შეეძლო და არ წასულა რისკზე, რაც მისთვის, შესაძლოა, მარცხით დამთავრებულყო. ხოლო რისი გაკეთებაც შეეძლო, იმას გასაოცრად, შესანიშნავად აკეთებდა. მაგრამ ჩემთვის ეს გამარჯვება კი არა, მარცხია... ჩემთვის ყველაფერზე მალლა მარცხი დგას. ხელი მოჰკიდო იმას, რასაც ვერ მოეწევი, — როცა წარმატების იმედიც კი არა გაქვს, — მაგრამ მაინც სცადო და დამარცხდეს, მერე კვლავ სცადო. აი რა არის ჩემთვის წარმატება.

— და თუ მწერლის სამყარო შეზღუდულია, ეს ნაკლად მიგაჩნიათ?

— ეს იოლი კითხვა როდია. ჰემინგუეი უნდა ვიყო, რომ გიპასუხოთ. როგორც ფოლკენერი, ვიტყვი, ეს ნაკლია. მაგრამ რომ ვიყო ჰემინგუეი, რომელიც თავისი შესაძლებლობების ფარგლებში რჩება და წერს შესანიშნავ ნაწარმოებს, „მოხუცსა და ზღვას“, მაშინ, იქნება... მაგრამ ჩემთვის ეს საკმარისი არ არის, მე დამარცხება მირჩევნია. მირჩევნია ვცადო ის, რაც ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

— ბატონო ფოლკენერ, როგორ ახსნით იმას, რომ თქვენი რომანები საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში უფრო პოპულარულია, ვიდრე შტატებში?

— ალბათ იმიტომ, რომ შტატებში ხალხი არ კითხულობს. იქ ყველა წერს მაგრამ არავენ კითხულობს, ხუმრობა არც მიფიქრია, მე მინდა ვთქვა, რომ შტატებში უხალისოდ კითხულობენ. დრო არა აქვთ. ჩვენი კულტურა — წარმოება და გამარჯვება, ესე იგი, წარმოებამ უნდა აანაზღაუროს დაბანდებული ფული. ჩვენი მკითხველი — ქალია.

— როგორ გვინათ, რომელი წიგნი გამოვივიდათ ყველაზე უკეთესი?

— „ხმაური და მრისხანება“ იყო უმაღლესი მარცხი. ჩემთვის ესაა ყველაზე უკეთესი რომანი, რადგან ეს იყო ჩემი საუკეთესო მარცხი.

— იაპონელმა კრიტიკოსებმა აღნიშნეს, რომ თქვენ განიცადეთ ახალგაზრდობაში წაკითხული ავტორების გავლენა, მათ შორის შერვუდ ანდერსონის, სუინზერნის და ოსკარ უილდისა. მაგრამ არავის უხსენებია ედგარ ალან პო, და მე მინდა ვიცოდე, თქვენსა და პოს შორის რაიმე განსაკუთრებული „ურთიერთგავშირი“ თუა?

— არა მგონია. პო ეკუთვნოდა ამერიკელ მწერალთა იმ ჯგუფს, რომლებიც უპირატესად ევროპელები იყვნენ და არა ამერიკელები. ანდერსონი და დრაიზერი კი ამერიკელები არიან. მე მეტი შევიძინე მათგან, ვიდრე პოსაგან იმიტომ, რომ ჩემთვის პო, პოტორნი, ლონგფელო — აღმოსავლელები, არსებითად ევროპელი მწერლები არიან.

— გარემოცვაზე თუ ვილაპარაკებთ, ვიტყვოდი, რომ თქვენი სამხრეთი ძალზე რთულია. როგორ ფიქრობთ, ხომ არ აიხსნება თქვენი სტილის სირთულე, — ჩვენთვის მიიჩნე, — თქვენი გარემოცვის სირთულით?

— არა, სერ, მგონი ასე არ არის. თვით თემა, ამბავი განსაზღვრავს თავის სტილს. ვფიქრობ, თუ მწერალი სტილზე მეტისმეტად წუხს, ბოლოსდაბოლოს, ხელშიც მხოლოდ სტილია შერჩება. და თუ თემა (თუ ის რამედ ღირს) ისე აღვლევს, რომ მწერალი უნდა ჩასწვდეს კიდევაც მას, — უნდა თქვას: „კიბრაო იყო აქ“.¹ მან უნდა თქვას მთელი სიმართლე ახლა, ამჯერად, იმიტომ რომ მეორეჯერ იქნებ ამის შესაძლებლობა არა მიეცეს. მან უკვე სცადა ერთხელ და მთლად კარგად არ გამოუვიდა. ახლა ისევ სცდის. სულაც არ უნდა გაუგებარი იყოს, მაგრამ ამჯერად წიგნში უნდა თქვას ყველაფერი, რისი თქმაც აქამდე ვერ შეძლო. იქნებ ახლა გამოუვიდეს რამე. აი რით განსხვავდებიან იაპონელი და ამერიკელი მწერლები. იაპონელი უფროსია, მას ოდინდელი ტრადიცია აქვს. მან იცის, რომ უნდა დაწმინდოს, დაწმინდოს, დაწმინდოს — სანამ მხოლოდ არსი არ დარჩება. დასავლეთელი კაცი კი არც ისე დიდი ხანია, რაც ხელოვნებას მისდევს შეიძლება ისიც მივიდეს აქამდე, მაგრამ ჯერჯერობით არ მისულა, მით უმეტეს ამერიკელი, მასობრივი წარმოების ქვეყანაში გაზრდილი კაცი. გარემოს შეუძლია გავლენას ახდენდეს მის სტილზე, მაგრამ სტილს გარემო არ ქმნის. ეს მისი ტემპერამენტის საქმეა. არ ვიტყვი, ყველაფრის მიზეზი გამოცდილების სიმცირე იყოს, მაგრამ ესეც მოქმედებს. იშვიათად თუ გამოჩნდება ჰემინგუის სხვაგვარი მწერალი, რომელიც ინსტიქტით ან კარგი შემგონებლის დახმარებით ხდებდა, რომ მისთვის უკეთესია მისდიოს მოქნილსა და უცვლელ სტილს. მაგრამ ის სტილისტად კი არ დარჩა, მან ისწავლა რაც აღვლევდა იმისი გამოთქმა ისეთი ხერხით, რომელზედაც მისი შემგონებლები ამბობდნენ: „აი, ეს კარგი ხერხია“. ის ამ ხერხს იყენებდა და, ალბათ, მართალიც იყო, რადგან ჩინებული წიგნები დაწერა. მაგრამ სხვებს, მაგალითად ვულფს ან მე, ასეთი ინსტიქტი არ გვქონდა, ან ასეთი შემგონებლები არ გვყავდა. ჩვენ ვცდილობდით, რომ მთელი გამოცდილება თითოეულ აბზაცში მოგვექცია და ხელიდან არ გაგვეშვა წუთიერი ვანცდის არც

¹ ასეთ წარწერებს ტოვებდნენ ამერიკელი ჯარისკაცები ოკუპირებულ ქალაქებში.

ერთი ნიუანსი, სინათლის არც ერთი გაღვება. აი რატომ გამოვიდა ჩვენი სტილი მოუქნელი, აი რატომაა ის ძნელი წასაკითხი. სულაც არ გვინდოდა მოუქნელი ყოფილიყო, მაგრამ ვერაფერი მოეუხერხეთ.



— მე მსმენია, როგორ უკვირდა ჩვენი ჯგუფის ზოგიერთ წევრს თქვენი აღიარება, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევთ თანამედროვე ლიტერატურას, მაგრამ სიამოვნებით გადაიკითხავთ ხოლმე იმ წიგნებს, რომლებიც საუკეთესოდ მიიჩნით. ყველა ჩვენგანს აინტერესებს, რა წიგნებია ეს წიგნები?

— სიამოვნებით. ყოველ წელს ვკითხულობ „დონ კიხოტს“. ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ ვკითხულობ „მობი დიკს“. ვკითხულობ „მადამ ბოფარის“ და „ძმებ კარამაზოვებს“. ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ ვკითხულობ ძველ აღთქმას. მაქვს მთელი შექსპირი ერთ ტომად, თან ვატარებ და ცოტ-ცოტას მუდამ ვკითხულობ. თითქმის ყოველ წელს ვკითხულობ დიკენსის რომელიმე წიგნს, ასევე თითქმის ყოველ წელს — კონრადის რომელიმე ნაწარმოებს.

— ახლაც თუ წერთ ლექსებს?

— არა. მინდოდა პოეტი გავმხდარიყავი, მაგრამ ძალიან მალე მივხვდი, რომ ჩემგან ხერიანი პოეტი არ დადგებოდა. სწორედ მაშინ მოვისჩქა ძალ-ღონე სხვა საქმეში, რომელსაც უკეთ ვართმევ თავს. ჩემს თავს ისე ვუყურებ, როგორც ხელმოცარულ პოეტს.

— ბატონო ფოლკნერ, საინტერესოა თქვენი აზრის გაგება კოლდუელზე, განსაკუთრებით მის ნათელსა და სადა სტილზე. ეს სტილი ჩვენში ძალიან პოპულარულია.

— როგორც სადა, ნათელი სტილის ნიმუში, ეს მართლაც საუცხოოა. მის პირველ წიგნში, „თამბაქოს გზა“, იყო აზრი თუ ერთგვარი ამაღლვებელი ძალა. მაგრამ შემდეგ, მგონი სულ უკან-უკან წავიდა და ახლა რაღაც აბდაუბდას წერს. პირველ წიგნს დიდი ძალა ჰქონდა და თუმცა მისი გმირების ბევრი არაფერი მშაშადა, მთლად ცოცხალ ადამიანებადაც არასოდეს აღმიქვამს, — მათში მანც რაღაც ადამიანურსა და ამაღლვებელს ვხედავდი.

— მე მგონია, რომ თქვენ ქალის საკუთარი იდეალი შეჰქმენით. რომელ ტიპს მიეკუთვნება თქვენი იდეალური ქალი და რომელ რომანსა თუ მოთხრობაში ვხვდებით მას?

— მე ვერ გეტყვოდით, რა ფერის თმა ან რა ფერის თვალები აქვს ამ ქალს. ასე რომ ავიწეროთ, სულაც გაქრება. ყოველ მამაკაცს ქალის საკუთარი იდეალი აქვს. მას იწვევს სიტყვა, ფრაზა, თითების მოყვანილობა, ხელი. ულამაზესია ისეთი აღწერები, მათ შორის ქალებისაც, სადაც ყველაფერი ბოლომდე არაა ნათქვამი. გაიხსენეთ, ტოლსტოიმ ანა კარენინაზე მხოლოდ ისა თქვა, რომ ლამაზი იყო და სიბნელეში კატასავით ხედავდაო. აი მთელი მისი აღწერა. მშვენიერზე ყოველ ადამიანს საკუთარი წარმოდგენა აქვს. სჯობს აღიწეროს მოძრაობა ან ტოტის ჩრდილი, — დაე ამის მიხედვით ხე წარმოიდგინონ. აი რატომ ვერ ავიწეროთ ჩემს იდეალს, თუმცა, ცხადია, ასეთი იდეალი მაქვს.

— ბატონო ფოლკნერ, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რომელი დიალექტით სარგებლობთ თქვენს წიგნებში?

— ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე დიალექტით ვსარგებლობდე, გარდა იმისა, რომელზეც ვლაპარაკობ. დიალექტზეც იმასვე გავიმეორებ, რაც სტილზე მოგახსენეთ. მომენტი, ხასიათი, მეტყველების რიტმი, — ყოველივე ეს განსაზღვრავს დიალექტის გამოყენებას. გმირი ხან გლუხვიით ლაპარაკობს, ხან კი, თუ ეს საჭიროა, პოეტურად ილაპარაკებს, მაგრამ მისი წრისთვის დამახასიათებელი სიტყვებით. მე მგონი, დიალექტზე წერა ისევე ფუჭი საქმეა, როგორც განსაზღვრუ-

ლი სტილით წერა. თუ შენ გინდა, რომ ქალღმერთზე ცოცხალი ხასიათები შექმნა, სტილზე და დიალექტზე მეტისმეტი ფიქრისათვის დროც აღარ დაგვრჩება.

— ბატონო ფოლკნერ, რა მნიშვნელობას ანიჭებთ რომანის ფორმას? შემოქმედებაში სრულიად სხვადასხვა ფორმებს ვხვდებით: ზოგ რომანში სიუჟეტი მარტივია, ზოგში — რთული.

— ამაზე გიპასუხებთ... რომ ყოველი რომანი თავის ფორმას მოითხოვს. ხანდახან რომანი თვითონვე, დასაწყისშივე მკარანახობს, როგორც დავეწრო. მეც დამიწერია წიგნები ექვს კვირაში. სხვა დროს მთელი ცხრა წელი ვიმტვრევდი თავს; რადგან არ ვიცოდი, რა სურდა, როგორ უნდოდა დამეწერა. ვსინჯავ, — ისე არ გამოვიდა, კიდევ ვსინჯავ — მაინც არ გამოდის, და ასე მანამ, სანამ არ მივხვდები, რომ უკვე საუკეთესო ვარიანტი დავწერე. ამიტომ ღირს, ეს გვერდზე გადავლო და ახალ წიგნს მოვკვიდო ხელი.

— თქვენს რომანებში გვხვდება ადამიანური ღირებულების აღმნიშვნელი ისეთი ცნებები, როგორცაა *pieta*, *gloria*, *virtus* და ა. შ. ახალგაზრდობაში რომაული ლიტერატურა ხომ არ გისწავლიათ?

— არა. და ძალიან ვეჭვობ, რომაელებს გამოეგონებინოთ დიდება, თანაგრძნობა და კეთილშობილება. ვფიქრობ, რომაელებმა, ისევე, როგორც სხვა ხალხებმა, მემკვიდრეობით მიიღეს წარმოდგენა დიდებაზე, თანაგრძნობასა და კეთილშობილებაზე. არა მგონია, მათ გამოეგონებინოთ ეს ცნება, არა მგონია საჭირო იყოს რომელიმე ლიტერატურის შესწავლა, რომ დიდება, თანაგრძნობა და კეთილშობილება გწამდეს. მე ვიცნობდი გაუნათლებელ ადამიანებს, რომელთაც არასოდეს არ გაეგონათ ეს სიტყვები, მაგრამ სწამდათ ეს ღირებულებანი და თავიანთი მოქმედებით დაადასტურეს თავიანთი რწმენა.

— მაგრამ თქვენ მოიტანეთ პორაციუსის სტრიქონები „ჯარისკაცულ ჯილდოში“.

— დიახ. მე მიყვარს პორაციუსის კითხვა.

— სხვა რომაელი მწერლები თუ წავიკითხავთ?

— დიახ. ახალგაზრდობაში უამრავი ლექსი წავიკითხე. მგონი უხვდაც გამოვიყენე ისინი ჩემს წიგნებში; ახლაც ვკითხულობ ამ ლექსებს. ლექსების კითხვის დროს ცოტაოდენი ლათინური ვისწავლე ისევე, როგორც ფრანგული ვისწავლე ფლობერის, ბალზაკის, ლაფორგისა და ვერლენის კითხვაში.

— რა აზრისა ხართ მარკ ტვენზე, ბატონო ფოლკნერ?

— ჩემი აზრით, მარკ ტვენი იყო პირველი და ნამდვილი ამერიკელი მწერალი. და ჩვენ ყველას, მის მემკვიდრეებს, მისგან მოგვდევს ჩვენი ტრადიცია. ის მწერლები, რომლებსაც მარკ ტვენამდე ამერიკელ მწერლებად თვლიდნენ, არ ყოფილან ნამდვილი ამერიკელი მწერლები. მათი კულტურა ევროპული გახლდათ. მხოლოდ მარკ ტვენითა და უოლტ უიტმენით იწყება თვითმყოფადი ამერიკული კულტურა.

— და თქვენ მარკ ტვენს თვლით თქვენი ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებლად?

— გარკვეული აზრით კი. ქრონოლოგიურად უიტმენია პირველი. მაგრამ უიტმენი ჯერ კიდევ არ შერეებოდა ამერიკული კულტურის არსებობის აზრს. ის ექსპერიმენტებს ატარებდა. ტვენი პირველია, რომელიც გაიზარდა იმ რწმენით, რომ ამერიკული ლიტერატურა არსებობს. და ის ქმნიდა ამ ლიტერატურას ამიტომ ვუწოდებ ტვენს ამერიკული ლიტერატურის მამას, თუმცადა ის პირველი არ იყო.

— როგორ ნაწარმოებებს უნდა ველოდოთ თქვენგან უახლოეს მომავალში?



— ვიმედოვნებ უფრო უკეთესს, ვიდრე აქამდე დამიწერია. მე მგონი მწვერალი არასოდეს არ არის კმაყოფილი წიგნით, პოემით, რომელიც ახლახან დაამთავრა, ამიტომაც წერს ახალს. და მე მწამს: სანამ ცოცხალი ვარ, კიდევ შევეცდები ისეთი კარგი წიგნი დავწერო, როგორც დღემდე არ დამიწერია.

— ხომ არ არის თქვენი სტილი შეგნებული ღონისძიების, სხვადასხვაგვარი ახალი ექსპერიმენტებისა და მთხრობელობითი ტექნიკის შესწავლის შედეგი, თუ ის სავსებით ბუნებრივია თქვენთვის და სხვანაირად წერა არ შეგიძლიათ?

— მე ვიტყვოდი — ეს სტილი აუცილებლობის შედეგია. მხედველობაში მაქვს აი რა: ადამიანმა იცის, რომ მარად არ იცოცხლებს. მისთვის განკუთვნილია მხოლოდ მცირე დრო. მას შეიძლება სურდეს, — მთელი გონებით, მთელი გულით, — თქვას რაიმე საყოველთაო სიმართლე; მან იცის, რომ მხოლოდ დათვლილი წლები აქვს ამ სიმართლის სათქმელად. და დრო — ყოველ შემთხვევაში ჩემს მაგალითზე ეს ასეა — აიძულებს მას ყველაფერი ერთ ფრაზაში თქვას, რადგან ორი ფრაზისთვის შეიძლება აღარ იქმაროს.

— ამბობენ, რომ თქვენ მაინცადამაინც არ გაინტერესებთ ის, რასაც „ლიტერატურულ კლასიფიკაციებს“ უწოდებენ. რაღას არ გეძახდნენ: ნატურალისტს, ტრადიციონალისტს, სიმბოლისტს და ა. შ. საინტერესოა, თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ, რომელ სკოლას ეკუთვნით?

— მე ასე ვიტყვოდი, — და იმედი მაქვს, ასეც არის: ერთადერთი სკოლა, რომელსაც მე ვეკუთვნი, რომელსაც მინდა ვეკუთვნოდე, — ეს ჰუმანისტების სკოლაა.

— მე მგონია, მკითხველთა და ლიტერატურათმცოდნეთა უმრავლესობას ძალიან აინტერესებს მწერლის მუშაობის საიდუმლოება. ბუნებრივია, სომერსეტ მოემის დღიურები და ჩანაწერები მათთვის მეტად საინტერესოა და სასარგებლო. თქვენ თუ წერთ დღიურს? შენიშვნებს თუ აკეთებთ და აპირებთ თუ არა მათ გამოქვეყნებას?

— არა. შენიშვნები არასოდეს არ შემინახავს. ზოგჯერ რაღაც-რაღაცეები ჩამიწერია, როგორც ხურო გადასდებს ხოლმე გვერდზე ფიცრის ნაჭრებს, რადგან იცის, გამოადგება. მაგრამ გამოყენების შემდეგ ჩანაწერებს ვყრიდი. არასოდეს არ ვანიჭებდი მათ მნიშვნელობას. ეს არის ნაჭრები, რომელიც ტანსაცმლის შეკერვის შემდეგ რჩება. მათ არ ინახავენ. შენახვად არ ღირს. ფასი მზა ტანსაცმელს აქვს. ზოგიერთი ჩანაწერი ზედმეტია ამ ტანსაცმელში, ამ წიგნში. მე მათ ვყრი, არასოდეს არ ვინახავ.

— ...როცა ამერიკულ ლიტერატურაზე ვკითხულობ ლექციას, სტუდენტთა უმრავლესობა განცვიფრებულია, რატომ არიან თქვენი გმირები — ახლა მახსენდება „ტაძარი“ და „ნებელის წამბილწველი“ — მე თვითონაც განცვიფრებული ვარ, რატომ არიან თქვენი გმირები ასე გადაგვარებული და დაწყვეტილები. ხომ ვერ ამიხსნიდით ამას?

— უბრალო ამბავია. მე საკმარისად მიყვარს ჩემი ქვეყანა, რომ მისი ნაკლებანებების გამოსწორება მინდოდა. ჩემი უნარი და ჩემი მოწოდება ერთადერთ გზას მაჩვენებს: შევარტყვინო, გავაკრიტიკო და დავანახო განსხვავება მის ცუდსა და კარგს შორის, ვაჩვენო მომენტები სიმდაბლისა და კეთილშობილებისა, სიამაყისა და პატიოსნებისა. სიმდაბლის შემდობით მოვავგონო, რომ ჩვენს ქვეყანას დიდების ხანაც ჰქონდა, რომ ჩვენი ხალხის მამა-პაპა მშვენიერ და დიდებულ საქმეებს აკეთებდა. მართო იმაზე რომ ვწერო, რაც კარგია ჩემს ქვეყანაში, ეს იმას ნიშნავს, ცუდი არ გამოსწორდეს. მე უნდა ველაპარაკო ადამიანებს ცუდზე, რათა იმდენად გავაბრაზო და შევარტყვინო ისინი, გამოსწორება შეძლონ.

— ამიტომ ჰკიდებთ ხელს უკიდურეს შემთხვევებს?

— ალბათ ამიტომ. მე ხომ პროფესიონალი სოციოლოგი არა ვარ, მაგრამ მწიგნობარი, მგონი, სწორედ ეს უნდა იყოს.

— ვინ არის თქვენი აზრით ხუთი უდიდესი ამერიკელი რომანისტი?

— მარკ ტვენი, გერმან მელვილი, თეოდორ დრაიზერი. დანარჩენი ორის შერჩევა ძნელია. ბევრს დაუწერია პირველხარისხოვანი რომანი. მე შემიძლია დავასახელო მწერლები, რომლებმაც, ალბათ, გავლენა მოახდინეს ჩემზე; ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ ახლაც მიყვარს მათი გადაკითხვა: ერთი ქალია, უილა კესერი (ვფიქრობ, იაპონიაშიც იქნება ცნობილი), შერვუდ ანდერსონი, სინკლერ ლეისი.

— შეიძლება გკითხოთ, რატომ არ ახსენებთ ჰოტორნი და ჰენრი ჯეიმსი?

— აი რატომ: ჩემთვის ჰოტორნი და ჰენრი ჯეიმსი ნამდვილი ამერიკელი მწერლები არ არიან. მათი ტრადიცია ევროპიდან მოდიოდა. ისინი ევროპელებივით წერდნენ და, ჩემი გაგებით, არ იყვნენ ნამდვილი ამერიკელები, არ იყვნენ წმინდა ამერიკული კულტურით შექმნილი და გამოკვებილი თვითმყოფი ამერიკელი მწერლები, როგორც უიტმენი, მარკ ტვენი და პოეტი სენდბერგი;

— რომელი ხერხი უმჯობესია წერის სასწავლად?

— დარწმუნებული ვარ, წერის სწავლება შეუძლებელია. კაცმა თვითონ უნდა ისწავლოს წერა. ჩემს წინაშე რომ ახალგაზრდები იყვნენ, რომელთაც წერა უნდათ, მე მათ მივცემდი ყველაფერს, რაც კი ლიტერატურაში არსებობს, — ეპოქების, პერიოდებისა და სტილის განურჩევლად. ის, ვისაც წერა სურს, უნდა კითხულობდეს ყველაფერს, — აბდაუბდას, შედეგებს, უფარგისს, იმიტომ რომ არასოდეს არ იცი, სად იპოვი იმას, რაც ოდესმე გამოგადგება და რასაც გამოიყენებ, რადგან ყველა მწერალი ქურდი და მძარცველია. ის ყველგან იპარავს და წაკითხვითაც ყოველივე უნდა წაიკითხოს. მე მგონია, საჭირო არ არის თავის მტკრევა და მისი ზედამხედველობა — დაე მას ხელი მიუწვდეს ყველაფერზე. რომ კითხვა შეეძლოს. თუ დაიბნევა, აუხსენით, — თუ კი სურს აუხსნათ, მაგრამ ყველაფერი იკითხოს.

— რას იტყოდით ებტონ სინკლერზე?

— ბატონი სინკლერი არის მეორეხარისხოვანი მწერალი პირველხარისხოვანი შინაარსით. ის იმდენად იყო ამ შინაარსის კაცობრიობამდე მიტანის ფიქრებში გართული, რომ ვერ მოიცალა პირველხარისხოვანი მხატვარი გამხდარიყო. ეს არის შესანიშნავი ადამიანი და არა შესანიშნავი მწერალი.

— თუ არის რაიმე ფორმულა, რომლის მიხედვით შეიძლება კარგი რომანისტი გახდეს?

— 99 პროცენტი ტალანტი... 99 პროცენტი დისციპლინა... 99 პროცენტი შრომა. მწერალი არასოდეს არ უნდა იყოს კმაყოფილი იმით, რასაც აკეთებს. არც ერთი წიგნი არ გამოდის ისეთი კარგი, როგორც შეიძლებოდა გამოსულიყო. მუდამ იოცნებეთ და თქვენს შემოწმებულ შესაძლებლობებზე მაღალი მიზანი დაისახეთ. მხოლოდ იმაზე ნუ იზრუნებთ, რომ თქვენს თანამედროვეებს ან წინამორბედებს აჯობოთ, ეცადეთ თქვენს თავს აჯობოთ...

— რა ტექნიკას იყენებთ მხატვრულობის თქვენს იდეალს რომ მიადწიოთ?

— თუ მწერალს ტექნიკა აინტერესებს, ჩირურგიას ან კალატოზობას მოჰკიდოს ხელი. არ არსებობს წიგნის დაწერის არავითარი მექანიკური საშუალება, არავითარი უმარტივესი ხერხი. ახალგაზრდა მწერალი რეგვენი იქნება, რომელიმე თეორიას რომ მისდიოს. ისწავლეთ საკუთარ შეცდომებზე; ადამიანები მხო-

ლოდ შეცდომებზე სწავლობენ. კარგი ხელოვანი დარწმუნებულია: არავინაინმ-
დენად კარგი, რომ მას რჩევა-დარიგება მისცეს. ის განუზომლად პატივმოყვარეა.
რეა. იქნებ ძველი მწერლით ძალზე აღტაცებულიცაა, მაგრამ მაინც სურს მასაც
აჯობოს.

— მაშ თქვენ ტექნიკის დამოუკიდებელ როლს უარყოფთ?

— არასგზით. ხანდახან ტექნიკა მწერალს ასწრებს, თადარიგს იჭერს და ჩა-
ნაფიქრს ეუფლება. ეს არის *tour de force*, და მაშინ მწერლის მუშაობაც ავტურ-
ბის ერთმანეთზე დაწყობას ჰგავს, რადგან მან, ალბათ უკვე წინასწარ, კალმის
ხელში აღებამდე იცის ყოველი სიტყვა თავიდან ბოლომდე. ასე მოუვიდა რომანს
„როცა კვდები“. ეს არ იყო იოლი საქმე. კეთილსინდისიერი შრომა საერთოდ არ
არის იოლი საქმე. მაგრამ არც ძნელი იყო, რადგან მთელი მასალა ხელთა მქონდა.
ვწერდი თავისუფალ დროს, თორმეტსაათიანი ფიზიკური შრომის შემდეგ და
მხოლოდ ექვსი კვირა დამჭირდა. წარმოვიდგინე ადამიანების ჯგუფი და თავს და-
ვატეხე მათ უბრალო და საყოველთაო სტიქიური უბედურება — წყალდიდობა
და ხანძარი — თანაც თითოეული მათგანის ქცევაც უბრალო და ბუნებრივი მო-
ტივებით განისაზღვრებოდა. ასევე იოლია წერა თუ ტექნიკა არ ერევა საქმე-
ში, მაგრამ სხვა აზრით. იმიტომ რომ, როცა წიგნის გარკვეულ ადგილამდე,
ეთქვით 275 გვერდამდე მივალწევ, დგებიან თვითონ გამირები, თავისთავზე
იღებენ მთელ დატვირთვას და საქმეს ამთავრებენ. ცხადია, არ ვიცი, რა მოხდე-
ბოდა წიგნი 274-ე გვერდზე რომ დამესრულებინა. მხატვარი ობიექტურად უნ-
და მსჯელობდეს თავის ნაწარმოებებზე, მას პატიოსნება და ვაყაყობა სჭირდება,
რომ თავი არ მოიტყუოს. რაკი ვერცერთი ჩემი წიგნი ჩემს იდეალს ვერ უპასუ-
ხებს, საზომად ისევ ის წიგნი უნდა ავიღო, რომელმაც ყველაზე მეტი ტანჯვა და
მწუხარება მომაცენა.

— ეგ რომელი წიგნია?

— „ხმაური და მრისხანება“. ხუთჯერ დავიწყე ამ წიგნის წერა, ვცდილობდი
გადმომეცა ისტორია, რომელიც საშველს არ მომცემდა თუ მისგან არ გავნთავი-
სუფლდებოდი. ეს არის ორი გზადაკარგული ქალის, კედის და მისი ქალიშვილის
ტრაგედია. დილსი¹ არის ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი გმირი ქალი: გულადი, მა-
მაცი, დიდსულოვანი, ნაზი და პატიოსანი, ის გაცილებით უფრო გულადი, პატი-
ოსანი და დიდსულოვანია, ვიდრე მე.

— თქვენს წიგნებში ბევრს რასმეს უღვეს საფუძვლად პირადი გამოცდილება?

— ვერ გეტყვით. არასოდეს მიანგარიშია. თანაც, მთავარი ხომ ეს „ბევრი“
არაა. მწერალს სჭირდება სამი რამ: გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა.
მათგან ორს, ხანდახან ერთსაც, შეუძლია დანარჩენების დანაკლისი ანაზღაუროს.
ჩემთვის წიგნი, ჩვეულებრივად, ერთი აზრით, მოგონებით ან წარმოდგენილი სუ-
რათით იწყება. მთელი მუშაობაც ისაა, რომ ამ მომენტამდე მოვიდე და აგსნა,
თუ რატომ მოხდა ეს ან რა მოჰყვა ამას. მწერალი ცდილობს შექმნას დამაჯერებე-
ლი ხასიათები სარწმუნო და ამალელებელ მდგომარეობაში და დახატოს ყოვე-
ლივე ეს ზედმიწევნით ამალელებლად. ცხადია, მან უნდა გამოიყენოს, როგორც
ერთ-ერთი ინსტრუმენტი, მისთვის ცნობილი გარემო. მე ვიტყვით: გამოსახვის
ხერხთაგან ყველაზე ხელსაყრელია მუსიკა — ადამიანის გამოცდილებასა და ის-
ტორიაში პირველად მუსიკა ჩნდება. მაგრამ რადგან ჩემი ნიჭი სიტყვიერია, მოუ-
ხეშავად და სწორედ სიტყვით უნდა გამოვთქვათ ის, რასაც გაცილებით უკეთ იტ-
ყოდა წმინდა მუსიკა. ესე იგი მუსიკა გამოხატავდა ჩემს სათქმელს უფრო უკეთ

¹ მოხუცი ზანგის ქალი. გვხვდება აგრეთვე რუსულად თარგმნილ მოთხრობაში: „როცა დამ-
დება“.

და უფრო უბრალოდ, მაგრამ მირჩევნია ვისარგებლო სიტყვებით ისევე, როგორც მირჩევნია ვიკითხო, ვიდრე მოვისმინო, ხმაურს დღემილს ვარჩევ და სიტყვები სახეც სიჩუმეში აღიქმება. ესე იგი პროზის ქექა-ქუხილი და მუსიკა უხმოდ ვაქოცხლდება.

— ზოგიერთების აზრით, თქვენი წიგნები ორჯერ-სამჯერ წაკითხვის შემდეგაც კი გაუგებარია. რას ურჩევდით მათ?

— მეოთხედ წაკითხვას.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მწერლისთვის მნიშვნელოვანია გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვა. ხომ არ მიუმატებდით ამას შთაგონებას?

— შთაგონებაზე ვერაფერს გეტყვით, არც ვიცი რა არის. გავონებით კი გამიგია, მაგრამ თვალთ არ მინახავს.

— ხომ ვერ მიაშობდით, როგორ დაიწყეთ წერა?

— ნიუ ორლეანში ცხოვრობდი და ყოველგვარ წვრილმან სამუშაოს ვასრულებდი, რომ ცოტა ფული მეშონა. იქ გავიცანი შერვუდ ანდერსონი. ნაშუადღევს ქალაქში დავებეტებოდით და ნაცნობებთან ვსაუბრობდით. საღამოობით ისევ ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსვამდით. ის ლაბარაკობდა, მე კი ვუსმენდი. დილით არასოდეს არ მინახავს, ჩაიკეტებოდა და მუშაობდა. მეორე დღეს ისევ თავიდან იწყებოდა ყველაფერი. მეც ვიფიქრე: თუ მწერლის ცხოვრება ასეთია, ჩემთვისაც ზედგამოჭრილი იქნება-მეთქი და წერას ჩავუჯექი. მართლაც კარგი თავშესაქცევი გამოდგა. უკვე სამი კვირა იყო, რაც ანდერსონი არ მენახა და არც ვამხსენებია, რომ კარზე დამიკაკუნა. მაშინ პირველად მოვიდა ჩემთან — და მკითხა: „რა მოხდა? ჩემზე ნაწყენი ხომ არა ხართ?“. მე ვუთხარი რომანს ვწერ-მეთქი. „ღმერთო ჩემო!“ — წამოიძახა და წავიდა. როცა წერას მოვრჩი — ეს იყო ჩემი პირველი წიგნი „ჯარისკაცური ჯილოდ“ — ქუჩაში შევხვდი მის მეუღლეს, ქალბატონ ანდერსონს. როგორ მიდის წიგნის საქმეო, — მკითხა. ვუპასუხე დავამთარე-მეთქი. მაშინ მითხრა: „შერვუდი ასეთ პირობას გთავაზობთ: ოღონდ ხელნაწერს ნუ წამაკითხებს და ჩემს გამომცემელს ვთხოვ, რომ დაბეჭდოსო“. „ყაბული ვარ-მეთქი“ — ვუთხარი და ასე გავხდი მწერალი.

— თქვენ, ალბათ, დიდად დავალეზულად გრძნობთ თავს შერვუდ ანდერსონისაგან, მის შემოქმედებას როგორღა უყურებთ?

— ის იყო ჩემი თაობის ამერიკელ მწერალთა და იმ ამერიკული პროზის ტრადიციათა მამა, რომელსაც ჩვენი მემკვიდრეები გააგრძელებენ. მას არასოდეს არ აფასებდნენ ჯეროვნად. დრახერი მისი უფროსი ძმაა, ხოლო მარკ ტვენი ორივეს მამად ეკუთვნის.

— იმდროინდელ ევროპელ მწერლებზე რას იტყვით?

— ჩემს დროს ორი დიდი ევროპელი ცხოვრობდა: თომას მანი და ჯოისი. „უილსს“ უნდა მიუდგე ისე, როგორც უწიგნური ბაპტიستي მქადაგებელი მიუდგებოდა ძველ აღთქმას: რწმენით.

— თქვენს თანამედროვეებს თუ კითხულობთ?

— არა. მე ვკითხულობ იმ წიგნებს, რომლებიც ახალგაზრდობაში გავიცანი და შევიყვარე. ძველი მეგობრებივით ვუბრუნდები ხოლმე მათ: ესაა ძველი აღთქმა, დიკენსი, კონრადი, სერვანტესი — „ღონ კიხობი“. ამ წიგნს ისევე ვკითხულობ ყოველ წელს, როგორც ზოგიერთები ბიბლიას კითხულობენ. ვკითხულობ ფლობერს, ბალზაკს — მან შექმნა განსაკუთრებული სამყარო, მის ოცივე ტომში ცხელი სისხლი ჩქეფს. ვკითხულობ დოსტოევსკის, ტოლსტოის, შექსპირს, დროდადრო ვკითხულობ მცლვილს, პოეტებიდან მარლოს, კემპიონს, ჯონსონს. გერკის, დონს, კიტსა და შელის. დღემდე ვკითხულობ პაუსანასს. იმდენად ხშირად ვადამიფურცლავს ეს წიგნები, რომ ხშირად არც პირველი გვერდიდან ვიწყებ და არც ბოლომდე ჩავდივარ. შემიძლია მხოლოდ ერთი სცენა წავიკითხო,

შემიძლია რომელიმე გმირს ძველი მეგობარივით შევხვდე და რამდენიმე წუთს ვესაუბრო.

— ფროიდი?

— ნიუ ორლეანში რომ ვცხოვრობდი, სულ ფროიდზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ არასოდეს არ წამიკითხავს. არც შექსპირს წაუკითხავს. ეჭვი მეპარება, რომ ან მელოის წაეკითხოს, მობი დიკს კი ნამდვილად არა აქვს წაკითხული.

— ვინ არიან თქვენი საყვარელი გმირები?





— ჩემი საყვარელი გმირები არიან სარა გემპი — სასტიკი, შეუბრალებელმა ქალი, ლოთი, ოპორტუნისტი, დაუნდობელი, რომელსაც ხასიათი, საერთოდ ცუდი აქვს, მაგრამ, რაც მთავარია, აქვს; შემდეგ მის ჰარისი, ფალსტაფი, უფლისწული ჰოლი, დონ-კიხოტი და სანჩო, რაღა თქმა უნდა. მუდამ აღტაცებული ვიყავი ლედი მაკბეტით, შემდეგ ოსნოვა, ოფელია და მერკუციო, — მერკუციოცა და გემპიც ცხოვრებისათვის იბრძოდნენ, არ მათხოვრობდნენ, არ წუწუნებდნენ. გეკ ფინი, ცხადია, და ჯიმი. ტომ სოიერი არასოდეს არ მომწონდა, — აუტანლად კმაყოფილია თავისი თავით. გარდა ამისა, მე მომწონს სეტ ლავინგუელი, იმ წიგნიდან, რომელიც ჯორჯ ჰარისმა დაწერა ტენესის მთებში, დაახლოებით 1840—1850 წელს. სეტი კარგად იცნობდა საკუთარ თავს და რაც შეეძლო აკეთებდა; იქნებ შეშინებოდა კიდეც, მაგრამ ესეც იცოდა და არ რცხვენოდა; თავის უიღბლობას სხვას არასოდეს გადააბრალებდა და არც ღმერთს დასწყევლდა ამის გამო.

— როგორია თქვენი აზრი რომანის მომავალზე?

— მე ვგონი, რომანებს დაწერენ მანამდე, სანამ მათ წამკითხავი ეყოლება, ანდა პირიქით, ცხადია, თუ ილუსტრირებული ჟურნალები და კომიქსები ადამიანებს კითხვის უნარს არ დაუჩლუნგებენ. მაშინ ლიტერატურა დაუბრუნდება ნახატებს ნეანდერტალური გამოქვაბულების კედლებზე.



თავიზული





ახალი წლის წინა დღეებში გამოჩენილმა დანიელმა მხატვარმა ჰერლუფ ბილსტრუპმა თავისი ახალი ნამუშევრების წიგნი გამოუზღვრა საჩუქრად შურნალ „ცისკრის“ რედაქციას ბულთბილი წარწერით:

შურნალ „ცისკრის“ მთავარ რედაქტორს...

ბოლოვით თქვენი შურნალის საშუალებით სოციალისტური საქართველოს ახალგაზრდა მკითხველებს გადასცემთ ჩემი საუკეთესო სურვილები და ღიმილი, რომელსაც ამ კარიკატურებში იკვირებთ.

თქვენი ჰერლუფ ბილსტრუპი.

ვაჰვეყნებთ ორ ნახატს აღნიშნული წიგნიდან.

ახალი წელი იტინის...

ეს ლექსები სხვადასხვა დროს არ დაიწერა, ერთდროულად დავწერე. მიწოდდა „ცისკრის“ ყველა მიზნობარს ჰაზვუმრებოდნი, მაგრამ ვერ მოვასწარი, — 1966 წელი ძალიან ჩქარა მოვიდა.

ირაკლი ავაშიძე

ხ მ ა კ ა ბ ი ნ ე ტ ი დ ა ნ :

— მე აქ ვარ, აქ ვარ,
ვისაც სურს მნახოს.

შორს, სულ შორს,
მაგრამ

ახლოს, სულ ახლოს...

ერთ უთქმელ სიზმარს
ვწერდი და ვხევიდი

და თუ აქამდე

შოთას კვალს ვდევდი,
თქვენ გამოპყვეით

ჩემს კვალს აწინდელს.

და ჩაეწერეთ კართან სიაში...

თუმც გულიც მაქვს და

ხმაც საკუთარი,

მაქვს უამრავი

ნავსაყუდარი;

ყველას მიღება

სად შემიძლია,

უნდა ვამიგო,

ჩემო ბიძია,

კაბინეტში და

სახლში მიზიან

რადიოცა

და,

ტელევიზიაც,

...მე აქ ვარ, აქ ვარ,

ვისაც სურს მნახოს!

ხ მ ა კ ა ბ ი ნ ე ტ თ ა ნ :

— ჩვენო ირაკლი,

ერთი თხოვნის მე ვარ მთხოვნელი,
გულთამსილავი

მიმიხედვები ალბათ საწადელს.

ნუ, ნუ შემრისხავ,

მე აქ ვდგავარ,

მე აქ მოველი;

(ხამს ეს ხუმრობა

არ მემწუსროს,

ხამს არ წამმწარდეს).

ამირჩევია გზა

ჭკუის და გონების მჩენი,

მეც მინდა,

ენციკლოპედიის

ფურცლებზე ვნახო

გვარი ჩემი და

სახელი ჩემი.



„სამყაროს ვეგარ, სამყარო მე მგავს,
მე ამ სამყაროს ვერვინ გამყაროს.
მე სამყაროში დავეძებ ჩემს თავს,
ჩემს არსებებაში ვეძებ სამყაროს.“

ლექსიდან „მე ვარ მზისა და
სიცოცხლის ხნისა“.

როგორც იქნა ქვე ვიპოვე სამყარო,
სამყაროში ახლა ჩემს თავს დავეძებ.
არსად არ ჩანს, ლამის დარდმა დამფაროს,
როგორც ვატყობ, გაპარულა მთვარეზე.

სამყაროდან წასვლას როგორ გაბედავს,
ყარამანას ლადარს მიგავს სტრიქონი,
თუნდაც ფეხით მოვიარო პლანეტა,
ჩემს თავს მაინც ვიპოვი.

ოტია იოსელიანი

„სად ვარ, მე ვუთხარი და გვიშ-
ტიბში ვარ, მე ვუთხარი. რას შობი
შერეო? იმან მითხრა: რას გშობი, მე
ვუთხარი და თითს კი არ ვწოვ იქა-
ნა, მე ვუთხარი; ვშუშობ, მე ვუთ-
ხარი...“

ოტია იოსელიანიდან საუბრიდან.

თბილისიდან მირეკავენ,
ინგლისიდან მირეკავენ:
— არც რომანი მოგვაშოო,
არც მოთხრობა მოგვაშოო,
არც ნოველა მოგვაშოო,
არც სცენარი მოგვაშოო.
...ვერ გავიგე ოტო ვარ თუ
გვიშტიბელი ბოკაჩიო.

ანა კალანდია

ჩქარა უნდა გაიარო
შესვენების მრუდე ხიდი,
ხამს ბოლომდე გაიტანო
პოეზიის მძიმე ტვირთი;
თორემ ლურჯი იის ნაცვლად,
შენს წიგნს ყიდის
იეზიდო.

ლექსს ვიწყებ მღვღინარე ტალღებთან დავიდ
და ვიღერ გაღმა ნავს გაიყვანდე —
ღია ზღვაში ვარ, ტანვიწრო ნავით
ზღვას მთელი ჩემი სიცოცხლე ვანდე!

ლექსიდან „ზღვის ტალღა“

ლექსებშიმუღონი ქრიან მტრედები,
ზღვა შავია და არ დაიკარგო.
საკვირველია, როგორ ეტევი
ტანვიწრო ნავში, ძვირფასო კარლო!

მეჩიან ლეგენია

„გასწით ხარებო,
ღვინიებო და წიქარებო,
გასწით ხარებო —
თქვენი გზა ნახეთ.“

ლექსიდან „ახალგაზრდობა“.

ხარი დაუმორჩილებია ადამიანს
და გაუხედნია ხარი უხედნავი,
მერე დაუდვია უღელი კისერზე;
და ასე უბოდიშოდ
და ასე უმადურად
ქვებს ათრევენებს და მიწას ახენვენებს.

ხარებო!
ღროა შეწყდეს, რაც არის,
ასწიეთ თქვენი ქედი ვეება,
რად გინდათ რქებზე კაცის ბაწარი,
დაე, უღელშიც თვითონ შეებას.
გასწით ხარებო,
ღვინიებო და წიქარებო,
ბოუთოკავი მიჩვენეთ სახე,
„გასწით ხარებო —
თქვენი გზა ნახეთ.“

რევაზ მარბიანი

„იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი,
და სვანეთივით სხვას ვესესხები,
ალბათ ამიტომ ქარიშხალივით
არ მქუხარებენ ჩემი ლექსები.“

ლექსიდან „მარილი“

არა! ამაოდ გღრღნიან ეჭვები,
კაცს სიტყვა გიჭრის ბასრი ხმალივით,

ნუ დაიჟერებ, ნუ შეერვევი,
თითქოს შენს ლექსებს აკლდეს მარილი.

...და რაკი მარილს აღარ ეშვები,
ნუ შეწუსდები გზით და სიშორით.
შენ ისევ წერე კარგი ლექსები.
მარილს როგორმე აქვე იშოვი.

ვლადიმერ მაქაჰარიანი

...რომელიც ნამყოფია საბერძნეთის
გავლით იტალიაში, საფრანგეთის და
პოლანდიის გავლით, — ინგლისში,
ინგლისიდან ფრენით ამერიკაში და
მთელ რიგ სხვა ქვეყნებში.

— ახლო, წელო,
უბრალოდ გეტყვი,
(უბრალოება მიყვარს ძალიან).
ამაღამ უნდა ვესტუმრო დე გოლს,
ასე რომ, დიდხანს არა მცალია.
რა გეცინება?
რომ არ ჩავიდე, კაცს ეწყინება.
გუშინწინ აგერ თეთრ სახლში ვარ და
ამერიკულად ვუქცევ პრეზიდენტს.
„აუდენციას გთხოვთ, მისტერ ჯონსონ“,
ჯონსონმა ერთი კი გაიცინა,
მხარზე დამადო ხელი: „იცი რა,
ვოვა, რა უცხო ვინმე მნახეო,
შენ მაინც მიცნობ, ვინ ვარ და რა ვარ,
უბრალოდ ჯონდო დამიძახეო“.

მხრან მაქაჰარიანი

დიას...
დღეის ამას იქით,
ვინც რა უნდა თქვას,
არის
1966.
— სამოცდაექვსო, ბარე ორს
შენი ხმა გააჟრიალებს,
მზე,
პიტნა,
პანტა,
ასფალტი

შენს შესახებდრად კრიალებს,
„იარე,
მიდი,
იარე,
რამდენიც გინდა იარე“.

გიორგი ნასროშვილი

ახალი წელი ხარ?
კი კაცო, გიცანი,
ჩემზე ნაწყენი ხარ?
ა? ბევრი იარე?
ამ წუთში ვკითხულობ,
აქა მაქვს, ბინაში,
შენ გამომიარე
იქეთა კვირაში.

— მეორე ნომერში ადგილი არ იყო,
მესამე ნომერი დარეკვამ წაიღო,
მეთოხე ნომერი ნარკვევმა გამიყო,
მესულე ნომერში ვერ ვბეჭდავ, რა გიყო...
მეათე ნომერში ჩაგიშვებ.

უმთა ნიუნიაჩია

„ჭალა-ჭალა, შარა-შარა,
შარა-შარა, ჩალა-ჩალა,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა“.
ლექსიდან „ჩქარი მატარებელი“.

სამოცდასულთს მოვეხსენი,
სამოცდაექვსს გამოვები.
ზოგიერთი მოლექსენი
(ზოგიერთის გამოკლებით),
ლექსებს წერენ შარა-შარა,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა,
და წიგნებში ჩანან-ჩანან,
ჩალა-ჩალად, ჩალა-ჩალად.

ლექსთა ჩემთა დინება
თვითონ ღმერთმა ინება,
რაკი ღმერთმა ინება,

ზვინულები ზვინებად,
ბინულები ბინებად,
მე არ ჩავიძირები,
მე არ ჩამეძინება.

ცხელი ზაფხული ვკიცხე და ვკიცხე,
გამეკცა მერე, წაიღო სიცხე,
აღარ დადიან ქალები იავე
სარაფანით და მსუბუქი ქოშით.

იოსებ ნუნუაშვილი

ერთ რედაქციაში
კეთილი ძიები
ძებნის და ძიების
გარეშე ვერ ძლებენ.
კარებს აწერია:
„წავიდნენ ყველანი,
ყველანი რედაქტორს ეძებენ“.

და შრება მელანი...
ეძებენ ღურბინდით,
ეძებენ ღუმლით,
ეძებენ დაფით,
ეძებენ ქადილით,
და ისმის: — ამ დილით,
სადილად ბეირუთს გაფრინდა.

და თურმე კახეთად
ერგენა შორიდან:
ჩიკავო, ტოკიო,
მეხიკო, ფლორიდა,
და ტიურინგიის
ტყეებს რომ გახვდა,
ეგონა უმზერდა
სიღნაღს და ახმეტას.
...და ბოლოს აქ არი,
მწერალთა ამქარი

და მართლაც
რა მოხდა ასეთი?
ხომ მაინც მოასწრო
ხომ მაინც მოვიდა,
ხომ მაინც გამოდის გაზეთი.

ლალ სულაგერიძე

„მაღლეებს სკვერში სიმცირე სკამთა
და ვაჩხრიალებ ჟიბეში ხურდას;
ფყიდულობ ნაყინს, სულ ას გრამ ზამთარს
ფინჯანზე მიდეგს, ვით თოვლის გუნდა“.

ლექსიდან „მცირე ზამთარი“.

ვიგონებ სითბოს, ვით სიზმრად ნახულს,
მაცივარს ახლავს ვრილი ღიმილი,
მივირთმევ ჩაის — ორას გრამ ზაფხულს
და მენატრება „მზის ზიშნიმილი“.

მირის ფოსნიკი

— მგელს ჩვენს ქუჩაზეც შევხვდებით, მაშა?
— მგელს ჩვენს ქუჩაზე რა უნდა შვილო?!“

ენკი, ბენკი, სიკლისა
ლექსებია ციკლისა:
„ზოპარკი დღეს“.
ნაკადული როდი ვარ,
ნიაღვარი მოვდივარ,
(თუ შემეწყობთ ხელს).

მისეილ კვლივიჩი

ეპ, რას გააწყობ, თუ ცხოვრება ასე რთულია:
„უამინდობის გამო ფრენა აკრძალულია“.

ჯანსუღ ჩარკვიანი

მე ვიცი, ქვეყნად რომ არის დილა,
ლურჯი თოვლი და უცხო გენუა,
და ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ:
(„როგორც წეროვებს ჩვევით ხოლმე,
დედალს და მამალს“).
— ქართულ პურ-მარილს
სულ სხვა გემო აქვს.

— ღამეო, მალე ნუ გათენდები,
დილავე, ნუ ჩქარობ მთავარ გამორთო,
ერთად დავბერდეთ, თუ დავბერდებით...
„სოლექტრამონტო... სოლექტრამონტო“...
ნეაპოლი.

თიიერაზ კანონაჲვილი



„შავად სერის,
წითლად წვიმს,
მწვანედ თოვს...“
„ძახილი დიღეგებიდან“

— ცამ მეტი	ყველაფერს
რა უნდა	ერთ ფერში
აკეთოს:	გადაწყვეტს.
„შავად სერის	და მუდამ,
წითლად წვიმს	ქველ წელს თუ
მწვანედ თოვს“.	ახალ წელს
მე ვიცი,	შავად წერს,
ზოგ-ზოგი	შავად წერს
მწერალი	შავად წერს.

რეჟისორი: ვიქტორ ჯაფარიძე

ქნელია დირექტორობა

(გერმანულიდან)

სამსახურში თუ ადრე მოვიდა, იტყვიან: დახეთ, უთენია მობრძანდა, თვალებს გეიხვევსო.

გვიან მოვა და, ირონიულად ჩაილაპარაკებენ: უფროსებს არ აგვიანდებათ, უფროსებს საქმეები აყოფნებთო.

თუ ცოლშვილის ამბავი გკითხა, გაკილავენ: არამკითხე მოამბეო. არ გკითხავს და — უგულოაო.

თუ სხვას რაიმეზე აზრი ჰკითხა, ჩაიქირქილებენ: საკუთარი აზრი არ გააჩნიაო.

არ იკითხავს და ჩურჩულებენ: კოლექტივს არად ადგებსო.

თუ საკითხი უმალ გადაწყვიტა — სულსწრაფია, დაფიქრება არ უყვარსო.

ბევრს იფიქრებს და — გაუბედავია, თავს იზღვევსო.

თუ ახალი სამტატო ერთეული მოითხოვა, აყვირდებიან: შტატებს ბერავსო.

თუ თქვა, საქმეს ჩვენც ვეყოფითო, უკმაყოფილოდ ალაპარაკდებიან — ჩვენი თუნდა ფონს გავიდესო.

თუ ზემოდან მითითებების გარეშე იმუშავა, იტყვიან: ურჩია, თავის ჭკუაზე დადისო.

უფროსების მითითებებს შეასრულებს და — წმინდა წყლის ბიუროკრატიაო.

თუ გაიხუმრა — უგერგილოდ სუმრობს, რა გაგაცინებსო.

არ იხუმრებს და, ბუზღუნებენ: ერთხელ თუ გინახავთ მაგის სახეზე ღიმილიო.

თუ მეგობრულად მოგექცათ, იტყვიან: ნდობის მოპოვება უნდაო.

თუ თავი შორს დაჭირა, — ცხვირს მადლა იწვევსო.

საქმეები თუ აეწყო — ჩვენი კარგი მუშაობითააო.

გეგმა ჩავარდება, მოხსნიან და — ახია, თავის თავს დააბრალოსო.

პაინს ანოზლოხი

უინჯული

ირაკლი აბაუიქი, დიმიტრი ალექსიქი, გიორგი ახვლედიანი, ელენე გოგოლუვა, გორის ეგოტროვი, ევგენი ვინოკუროვი, გორის კოლეჯოი, რევაზ ჯაფარიქი — სუბსულუო სურვილიბი	3 გვ.
ოთარ ჩიქოქიანი — ლინინის მიორე ორდენი სუპრთვილუს დროუჯი	7 გვ.
ილია ვიქუა — ჩვენი ხალხის დიდი გუბარჯუვა	9 გვ.

პროზა დე კოეზიქი

რეიო ვივივილი — მიოთხე პალატა, ვვივიანი დღე (მოთხრობეი)	10 გვ.
გონდოო კეუქიანი — ლექსიბი	22 გვ.
ვინტანე ჯუბუბუქი — სუმი ლექსი	24 გვ.
ალექსი ჯონუა — შოტოლიურ მითებუი (ლექსი. თარგმნა შ. აქოზიანი)	26 გვ.

გუნის დანაწეისი

მინანა აბრამივილი — ლექსიბი	27 გვ.
კარლო არსენავილი — ახალწლის ღამე (მოთხრობა)	29 გვ.
ვაჟა დოლუბანი — ორი ლექსი	33 გვ.
ილია ედიშერავილი — ცისფარ ტუვი მობანავე ქალივილიბი (მოთხრობა)	35 გვ.
თამაზ გიგოლივილი — მთაუი (მოთხრობა)	38 გვ.
თეიშუკო ოქოლავილი — არსენას (ლექსი)	45 გვ.
ნუგუარ სულქუაქი — ხილბანდი (მოთხრობა)	46 გვ.
ჯარჯი ფოქოვილი — ორი ლექსი	50 გვ.
შოთა ქავთარაქი — ორი ლექსი	51 გვ.
ლევან ჩანტლუქი — ხვტბი (მოთხრობა)	52 გვ.
ვაჟა ჯანდიერი — ვვივილი (მოთხრობა)	59 გვ.

ახალი თარგმანეი

ბრუნო ტრუვიანი — ვიტა-ქუქილის ქალღმერთი (მოთხრობა. თარგმნა ნ. კალანდარიშვილი)	62 გვ.
--	--------

ღიადი თარიღეი

ჯუბარბი შვილიქი — ლინინი კოლეტარული პარტიის წინამორბედთა შისახე	72 გვ.
---	--------

ჩვენი ახალგაზრდოის ეგოტრობეი

გიორგი ლოქიანი — ვნახოთ, ლავინდოს გუბარი! (ინტერვიუ)	78 გვ.
ვანო გოქივილი — კიღევაკ დიურდებანი... (ინტერვიუ)	88 გვ.

ლიბრავრული პორგრები

გრიგოლ ხერხეულიძე — ანა კალანდიაძე



მეცნიერება

გიორგი ჯიბლაძე — ფართო როლი ესთეტიკურ აღწერაში	95 გვ.
ვასილ ლავაზიძე — ნაძალაძის აღვანის მინდორში	112 გვ.

წერილები

ჯუმაგაძე ზუმბურიძე — სალიტერატურო ენის საკითხები სამოცინანი წლების ძველ კრიტიკაში	120 გვ.
მარინა სოსხაძე — ბავშვი და საბავშვო მხატვრობა	132 გვ.

ჩვენი ქალენდარი

ვახტანგ ბერიძე — გიორგი ჩუბინაშვილი	135 გვ.
თენგიზ ფხალიშვილი — სიმონ ყაუხჩიშვილი	140 გვ.

მწერლის ოსვამობა

შილიაშვილი ფოლკანდი — ეცადეთ თქვენს თავს აჯობოთ!	143 გვ.
--	---------

საგირა და იუმორი — „ქოლალი“

ბილტრუაძე — ორი იუმორისტული ნახატი	152 გვ.
რევაზ მიწვალაძე — ახალი წელი ივინის	154 გვ.
პანინი ანთონოვი — ძნელი დირამატორობა	158 გვ.



გარეკანი და ტიტული ელავუჯა ამაშუკელისა ყურნალი გააფორმა თენგიზ სამსონაძემ
 ტექნიკური ხელმძღვანელი ს. გოდერძიშვილი

რედაქციის შემოსული მასალები, მოცულობით ერთ თაბახხაზე, ავტორებს
 არ დაუბრუნდება

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 5-08-85, პ/მ მდინის — 5-08-86, განყოფილებების:
 კოაზიისა და პროზის, კრიტიკისა და გიგლიშვილის — 5-08-85, კულტურისა და
 ხალკვნების 5-08-75

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/I. 66 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
 ფორმათა რაოდენობა 13,7 შეკვ. № 4336. უფ. 08741. ქალაქის ზომა 70 X 108. ტირაჟი 11500.

საქ. კვ ცკ-ის გამოცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14
 Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ფასი 60 კპ.

68732



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

издательство
«ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»

ИНДЕКС 76236